ლექსის აკვანი

ტომი V

ქუთაისი
2021

შემდგენელი, რედაქტორ—გამომცემელი

გერმანე საზანოელი

ინტერნეტში, ლიტერატურული ჯგუფის ,,საზოგადოება პოეზიელი" დამფუძნებელი და ხელმძღვანელი.
პროექტის ,,ლექსის აკვანი" ავტორი და რედაქტორი ამავე სახელწოდების პოეტური ტომეულებისა.
გაზეთ სასალხო განათლების რეგიონალური დეპარტამენტის უფროსი.
საქართველოს პოეტების საერთაშორისო ასოციაციის, თავმჯდომარე იმერეთში.
ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო მრავალპროფილიანი აკადემიის წევრი.
საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი.

ISBN 978-9941-495-18-2

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

ქუთაისი, 4600, თამარ მეფის 59. ტელ.: 24 00 21
E-mail:atsugamomcemloba@gmail.com

ᲒᲬᲐ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘᲡᲐ ᲒᲣᲚᲘᲗᲘᲡᲐᲙᲔᲜ!

ლექსი სულის ზეიმია, სიფაქიზე და სიმშვიდეა, ლექსად თქმული გულს ესალბუნება და ჰარმონიას ჰგვრის მსმენელს. ლექსთმწერთა სიმრავლე გულს უხარია. ერთსა და იმავე ფაქტზე პოეტნი სხვადასხვაგვარად, სხვადასხვა კუთხით და საინტერესოდ გადმოსცემენ თავიანთ შეხედულებებს.

ვინმეს მოსწონს ეს თუ არა, პოეტნი ღვთის რჩეულნი არიან და ცოტა სხვაგვარად, უფრო ფაქიზად აზროვნებენ. მათ გაფრთხილება სჭირდებათ. ისინი ხომ ლექსით ადიდებენ სამშობლოს, უფალს!.. ლექსითვე ჰკიცხავენ უგნურთა ქმედებებს. მომავალ თაობებს არიგებენ და ასწავლიან უკეთესი ცხოვრებისაკენ მზაობას, მამულის სიყვარულსა თუ მსახურებას. ამ ლექსთა კრებულში სწორედ ისეთი ავტორები და მათი ლექსებია მოთავსებული, რომლებიც სწორედ ამ ზემოთ ჩამოთვლილ პირობებს აკმაყოფილებენ. მე, აქ არ შევუდგები მათი შემოქმედების განხილვას, ვიტყვი მხოლოდ ერთს, რომ წინ დიდი ბედნიერება ელის მკითხველს, ისინი კრებულში შეხვდებიან ზოგს ნაცნობს, ზოგიერთს კი ახალბედა პოეტს და დატკბებიან მათი შემოქმედებით.

წარმატებებს ვუსურვებ თითოეულ ავტორს და გზას დავულოცავ მათ და მათ ლექსებს მკითხველთა გულებისაკენ!..

პატივისცემით, **ზურაბ ქობალია**

ჟურნალისტი, პოეტი, მწერალი; გაზეთ „სახალხო განათლება+“-ის სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე, გამომცემლობა „ზენაარის“ დამფუძნებელ-დირექტორი, ჟურნალ „ამერიმერის“ თანარედაქტორი, საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის აღმასრულებელი დირექტორი

●

• • •

მოგესალმებით ძვირფასებო, მახარებს თქვენი აქტიურობა. „ლექსის აკვანი“, როგორც პროექტი, არ მოიცავს მარტო წიგნებს. ამ პროექტის ფარგლებში ხორციელდება შეხვედრები რეგიონებში, ვიწვევთ პოეტებს და ვატარებთ მათ შემოქმედებით საღამოებს, აქტიურად მიმდინარეობს შეხვედრები სკოლებში, სადაც ჩვენ ვპოულობთ განსაკუთრებული პოეტური ნიჭით დაჯილდოვებულ ახალგაზრდებს და გზას ვუხსნით მათ მომავალი განვითარებისაკენ. ვაქვეყნებთ მათ ლექსებს ინტერნეტ გვერდზე „საზოგადოება პოეზიელი“ დ. ა. შ.

ჩვენს ტომეულებში ასობით ავტორი დაიბეჭდა, ეს მეგობრული პროექტი კიდევ მრავალ ახალ აღმოჩენასთან იქნება დაკავშირებული. მადლობა თქვენ, მადლობა თითოეულ ადამიანს, ვინც გვერდით მიდგას ამ საქმეში.

ძალიან მიყვარს ფშაველას ია,
გალაკტიონის უკვდავი მერი,
წიგნის სარკმელი სულ მუდამ ღია,
ფრთითა და მელნით ქართველი ერი!

პატივისცემით **გერმანე საზანოელი**

გერმანე საზანოელი

მუზას

დასაბამიდან დღემდე,
ბევრი მგოსანი გმორჩავს,
შენ მარადმწვანე ხე ხარ,
მარადმწვანე და მორჩა.

არ ვერიდები შენში,
არც სიხარულს და არც ცრემლს,
ნუ მიმატოვებ მუზავ,
შენ ბობოქრობის მაცნევ.

ნუ ამიტირებ გრძნობას,
ნუ დამიობლებ განცდებს,
და თუ გინდ ჩემი სევდაც,
გალაქტიკასაც გასცდეს.

გთხოვ, მომაფრქვიო ნიჭად,
უილიამის სონეტს,
ნუ დამისგავსებ ფიჭას
გაშექსპირებულ პოეტს.

სტრიქონს რომ ცხრილში გასცრი,
შემდეგ ანწუხზე აგებ,
ეს საჭიროა მესმის,
და აქ ამ მწუხრზე, განგებ,

შენ ეტრფი წმინდა კალამს,
ბულბულივით რომ ჰგალობს,
სხვათა დინების ხარჯზე
რომ არ ლეწს, კუთვნილ კალოს.

შენით მოგიჟობს ციდან,
შეყვარებული ქარიც,
შენ თითქოს ერთი ციდა,
შენ ხარ ღვინოც და ქალიც.

მუზავ მუზათა მუზავ,
სინათლის სხივის მაცნევ,
ხან თეთრ ჩოხაში მპრანჭავ,
ხან უიმედოდ მაცმევ.

მეფეთა მეფევ, მუზავ,
დიდი ხარ ბრძენთა ბრძენზე,
ქარიშხალსაც ვერ ზღუდავ,
აქ საპოეტო ველზე.

კალამს დაადნა რწმენა
და სიყვარული შენი,
შენი ხატება წერას,
ო, რა საყვარლად შვენის.

დასაბამიდან დღემდე
ბევრი მგოსანი გმორჩავს,
შენ მარადმწვანე მზე ხარ,
მარადმწვანე და მორჩა!

გულნაზი ხარაიშვილი

***

ცეცხლი ანთია, წიფლის ტოტი, იწვის ბუხარში...
ბზას ჩაუთქვი და აალებულ ცეცხლში ვისროლე.
ჩუმად, უთქმელად, ბზის ნედლ ფურცლებს ასე
ვუთხარი...
მინდა ვხედავდე, შინ და გარეთ, სულის სიწრფელეს.
მე, ხომ ალალად, თაფლს ვაგროვებ, დედა ფუტკარი!

***

შიშის აგურს არ ვიყენებ საშენებლად,
არც მუქარის მეშინია, რომ იცოდეთ,
უფლისგან ვარ, მოვლენილი საფერებლად,
სიყვარულის სადიდებლად მოგიწოდებთ.

რის ქონება, რა სიმდირე, რას მიქვია,
სიყვარულით, შეიყვარეთ, სიყვარული...
რასაც გასცემთ ეს, იცოდეთ, ის, იქვეა,
არავისგან ის, არ არის მოპარული!

***

გულით მინდა, ნამეხარ ტოტს ვუმკურნალო,
შევუხორცო, ღრმა ჭრილობა, სეტყვით ნავნებს...
იმედის რაშს, გამოვუცვლი, ნაცვეთ ნალებს,
გადხმარ ვარდს, რწმენა ისევ გაამწვანებს...

გულდაჭრილი, თან უიღბლო მეცოდება,
იარებით გული რომ აქვს დასერილი...
უბედობამ შემიყვარა, არ მშორდება,
მეცოდება, ჩემნაირად დასევდილი.

***

ხვალის გაზაფხულია შვილი,
სუნთქვაა, სიცოცხლის დღეთა,
დედა შვილითაა თბილი,
ვაიო, არავის ეთქვას.
ოი, რა მწარეა ფიქრიც,
გულს მიღრნის,
მთუთქავს და მტანჯავს...
ცაზე აწერია ციფრი,
რამდენიც მიეჯაჭვა.
გიორგი, რამაზი, გელა,
დათა, გოჩა და სხვები,
მტკივიხართ შვილებო ყველა,
გახსენებითაც ვკვდები.

***

გაზაგხულდა, უღიმღამოდ გაზაფხულდა,
წითელ ტიტებს, დასდებია, სევდის ფერი.
პაპის გუთნით, მიწა აღარ გადახნულა,
არია, დაირია, ყველაფერი.

ვატყობ უკვე ძველებურად, ვერ მივიღებ,
შემოდგომით, პურის მარცვლის უხვ მოსავალს...
ეს, ჰანგები, რომ ვერაფრით ამოვიღე,
ამიტომაც თვალს ვარიდებ, ჩემს მომავალს.

ზურა ქობალია

მარადმყოფლობა

ღმერთო, მომეცი ნიჭი მადლისა,
რომ გიერთგულო ჩემი მამულით,
სხვაგან სიცოცხლე, აბა, რად მინდა,
რატომ ვიარო თვალდანამული.

უნდა მომმადლო სხვა მადლიც ერთობ,
რადგან მირჩიე და ვარ რჩეული,
ხომ არ მეშლება, მითხარი ღმერთო,
ჟამი დგას შენი თუ ჩემეული.

გადაშენება არ გვიწერია,
მარამყოფლობის გვაქვს განაჩენი,
ახლა ეს ვალი, ვიცი, ჩემია,
ადრე სრულყოფდა მას პაპაჩემი.

ჰოდა, მისმინეთ ხალხ-ჯამაათნო,
გადაშენების არ მოსურნენო,
მოდით, კოცონი ერთად ავანთოთ,
რომ სურვილები მანდ ვისურვილოთ.

ვიცი, ჩვენ ბოლოს რომ დავდებთ ლელოს,
ნატიფ სურვილებს რომ ავისურვებთ,
მარადმყოფელი დღეს საქართველო
მედგრად დამდგარა, ტკივილს იშუშებს.

უფალმა შეგვქმნა მის ხატად

სამყარო სიყრმეში რაც იყო
იგივ არი და იქნება,
ახლა ვით, როგორ დაიყო,
რო ვერ გრძნობთ იმის დიდებას.

უფალმა შეგვქმნა მის ხატად,
შემოქმედებაც დაგვნათლა,
რად გადავდივართ მის სიტყვას,
რატომ ვთამაშობთ თამამად.

იქ, სადაც გვმართებს დუმილი,
იქ, სადაც ვლოცდეთ ლამაზად,
რატომ გიჩნდებათ სურვილი,
სამყარო გეპყრათ თამასად.

მე უძილობა ამოვიჩემე

მარტო შენ გღვიძავს, სხვას ყველას ძინავს
და კიდევ, - მე შენ, ჰო, გითევ ღაბეს.
შენთვის მდუმარე ღამე რას მიზამს,
მას მოვუხერხებ, როგორმე რამეს.

მე უძილობა ამოვიჩემე,
იგივეს ვატყობ შენსავ თვალებში,
ჩემი ცხოვრება გამოვიგლოვე,
შენი სიცოცხლის მაქვს მე ვალები.

გავუქარვებთ

თუ ოსური არ ვიცი,
აფხაზურსაც ვერ ვსწავლობ,
ვინ გაზომა მანძილი
სად მივდივარ და რა დროს?

ჩვენი ძმობა ურყევი
რატომ დავარღვევინეთ?
ბევრი დაგვრჩა უთქმელი,
რადგან ვერ ვაგებინეთ.

სხვათა ენით ვსაუბრობთ,
მათ არ ესმით ქართული,
ქვეყანა გვაქვს საუბნო,
აქ კი მავთულ-ხლართულით

გაგვიყვია რატომღაც
ჩვენი ბაღჩა-ბოსტანი,
სად გავიქცეთ, როცა გვაქვს
ეს საზღვრები მცოცავი.

მომავალის იმედად
შევისწავლოთ ოსური,
შევისწავლოთ აფხაზთაც
ენა კოხტად მორთული.

მათ ქართულიც ვასწავლოთ,
რომ გავუგოთ ერთმანეთს
და შევიგნოთ ამავ დროს,
გავუქარვებთ ჩვენ დარდებ.

არაფერია შემთხვევით

თუ მოწიწებით თავს გიხრი
და მუხლმოდრეკით გემთხვევი,
იმიტომაც ვარ ამ მიწის, .
არაფერია შემთხვევით.

ზეციერიდან მოვსულვარ,
შრიალს მოვყვები ვერხვების,
ბოლომდე ჯერ არ გავსულვარ,
არაფერია შემთხვევით.

იქ, ცათა შინა, გადაწყდა,
მიწად ვიარო მე ფეხით,

ჰოდა, მწამდა თუ არ მწამდა,
არაფერია შემთხვევით.

მადლი მოვისხი ამ მიწის,
ნამი ვაპკურე ფერებით,
აქ ცოტას კიდევ დავიცდი,
არაფერია შემთხვევით.

ვისაც აქ ჯერ ვერ გეფერეთ,
იმ სამყაროში შეგხვდებით,
ნუ გაიკვირვებთ იმ ფერებს,
არაფერია შემთხვევით.

მან ხომ უჩვენოდ დაგეგმა,
ჩვენ მის დაგეგმილს ვეხებით,
რადგან სიცოცხლე აქ შედგა,
არაფერია შემთხვევით.

არ მაქვს უფლება

დილის ცივ ნიავს შუბლს რომ შევუშვერ,
დაივანებენ ცად ბინადარნი,
კი, ცხოვრებაში შეცდომებს ვუშვებ,
თუმც, უშეცდომო, აბა, ვინ არი?!

მაგრამ მე სულ სხვა შეცდომები მაქვს,
უფრო მიმტევი და ზეციური,
უფრო მაღლა და ზევით მიზიდავს,
რაღაც ზე ძალა, უფრო ღვთიური.

დილის ნისლი რომ ლოყებს დამიცვარს,
მზე გამოკრთება ფოთოლთ ლაჟვარდში,
გონება უმალ სოფელს მოიარს,
სიმღერებს უსმენს უკვე სამ ხმაში.

რადგან უფალთან მსურს ახლო დგომა,
არ მაქვს უფლება მე შეცდომების,
ჩემზედ ნათელი ვეღარ გადმოვა,
ან როგორ ვივლი შარავანდებით...

ზურა მამულაშვილი

უბრალოდ

ხომ არ გგონია ამ ქვეყანაზე,
მარტო შენა ხარ ულამაზესი,
უბრალოდ, შენი ღიმილი მომწონს
რომელიც მაბამს ტრფობის ბადეში.

ხომ არ გგონია მარტო შენა გაქვს
ამ ქვეყანაზე მწველი ტუჩები,
უბრალოდ, როგორც ვარდის კოკორი
სხვებზე ლამაზად შენ იფურჩქნები.

ხომ არ გგონია მარტო შენ დგეხარ
ჩემი ცხოვრების ღია კარებში,
უბრალოდ, მე შენ გამოგარჩიე
მთელი მსოფლიოს ლამაზ ქალებში.

ქართლი

ზეციდან მოსულ ნათლით,
მარიამ-ნინოს მადლით,
ქრისტეს უწმინდეს კვართით,
დავით მეოთხეს საქმით,
მღვდელი თედორეს სახით,
თამარის ერზე დარდით,
დიდი შოთაის კალმით,
დანთებულ თაფლის სანთლით,
რა სასაწაულით, რა დღით-
გადარჩა ესე ქართლი.

მარტივი მცნება

ნუ იმოქმედებ მაცდურად,
იცხოვრო მუდამ სხვის ხარჯზე,
მიდექ-მოდექი კაცურად,
ცოტათი შენც გაისარჯე.

სხვას კარგს თუ ვერ გაუკეთებ,
ნურც გაუკეთებ სიგლახეს,
თვალი სხვისკენ ნუ გექნება
უარი უთხარ სიხარბეს.

უფლისგან რასაც მიიღებ
მადლობა ჰქმენ და იკმარე,
ვინც ანგარებით მოგექცეს
ახლოსაც ნუ გაიკარებ.

პატივი ეცი შენ მშობლებს,
იმათ ღირსების სიმაღლეს,
დრომოჭმულს მუდამ ეშორე,
ხელი ჩაჭიდე სიახლეს.

ამპარტავნებას ნუ იზამ
ამას სულ მალე მიხვდები,
ყველა შენს გვერდით დადგება
თავმდაბალი თუ იქნები.

ვინმე თუ შეგეკამათა
არ ჩაყვე მამასისხლამდე,
შეინარჩუნე სიმშვიდე,
მის წინ თავსაც ნუ იმართლებ.

ცხოვრება ისეც რთულია,
შენ უფრო ნუ გაირთულებ,
უიმედოდ და უაზროთ
სიცოცხლეს ნუ დაისრულებ.

სხვასაც ასწავლე შენდობა,
არასდროს არვინ აცდუნო,
არ გაპატიებს შეცდომას,
დაუნდობელი საწუთრო.

ვინმეს ნახვა თუ მოგინდა,
იკითხე მასთან მისვლამდე,
იქნება რაღაცა უჭირს და
მცირე წყალობა მიჰმადლე.

სიხარული თუ გეწვია,
სხვაც სიხარულით აღავსე,
პატივი ეცი სუყველას,
ბოლომდე არვის გადაჰყვე

ზოგი თუ მართლა გაგიგებს,
ზოგს ეგონები დებილი,
ისევე, როგორც ერთი გზით
სუყველას გვერდით ვერ ივლი.

ნურასდროს ჩამოიმწუხრებ,
თავისუფლებას, სილაღეს,
სხვის მონაგონს ნუ ირწმუნებ,
თვალი უსწორე სიმართლეს.

დავრდომილი თუ შეგხვდება,
გვერდით დაუდექ ყოველთვის
და არასდროს შეგრცხვება,
განვლილ გზისაკენ მოხედვის.

გაითავისე ეს მცნება,
სხვებიც აცხოვრე ამ მცნებით,
ყოველთვის შენთან იქნება,
უფალი შენი დამცველი.

ჩემს ღირსად რომ არ გამომეცანი

კიდევ კარგი რომ გვერდით ქმარი გყავს,
მარტო არა ხარ დღემდე ჩემსავით,
თავს მოვიკლავდი ნაღდად ამაღამ -
ჩემს ღირსად რომ არ გამომეცანი.
ჯერ ისევ ფეთქავს იმედი მცირე,
რადგანაც მყავხარ სულის ნაწილად,
უიმედობა მე შენით ვძლიე,
გული ამდენ ხანს რომ არ გაცივდა.
მე ისევ შენით ვსუნთქავ ამ ქვეყნად,
იმ ჩემს შეცდომებს კვლავ გულში ვიკლავ,
შენ გყავს პატრონი ნუ შემიცოდებ,
რა ვქნა ქმრიანი ქალი თუ მიყვარს.
გულს ვერ ვუბრძანებ, არ შემიძლიან,
გადავიწყება ასე არ ხდება,
თემიდა უკვე გამოვიძახე
ვისაც სიმართლე ჰქვია სახელად.
მანვე განსაჯოს ეს სიყვარული
რომელს ეკუთვნის უფრო ძლიერად,
შენ რომ დაკარგე ასე იოლად,
თუ შენთვის მე რომ გამიძლიერდა.
კიდევ კარგი რომ გვერდით ქმარი გყავს,
მარტო არა ხარ დღემდე ჩემსავით,
თავს მოვიკლავდი ნაღდად ამაღამ -
ჩემს ღირსად რომ არ გამომეცანი.

შორენა გორგოძე

მხატვარს ა.მარღიშვილს

წმინდანს ნუ დახატავ, არ ხარ დამიანე,
სულის იარები ფუნჯით დამიამე...
არ ხარ ტიციანი და არც ბოტიჩელი,
შენი სულის სარკე - მღერის ფუნჯი შენი.

ევას მოდგმას ხატავ, მაცდურს და ვნებიანს,
მათ წამწამთ ჩეროში, ცრემლები კრთებიან...
მუზა მოვიდა, შექმენი ჯერ არ ქმნილი...
ქაოსში გახვიე, ტილო და აკრილი.

არ სცნობს შენი ფუნჯი, რასას, ეროვნებას,
მოლბერტთან დგები...ზეიმობს ხელოვნება!
არა ხარ გოია, მაგრამ თქვი სათქმელი,
მაოცებს, როდესაც ხეში ჩანს სარკმელი.

***

წლები გავიდა... ტკივილი კი არ ცხრება გულში,
შენი სიმღერა-გრგვინვას ზევსის, ასე რომ გავდა,
როგორც იმ ძველ დროს... ისევ ცხადად ჩამესმის ყურში,
ამაყად ვიტყვი: საოცარი მამიკო მყავდა.

შენი ხმა მესმის, არა მტოვებს დღისით თუ ღამით,
ფიქრები მუდამ დაგტრიალებს, არ ისვენებენ,
დღესაც ვამაყობ, ვიამაყებ გარდაცვლილ მამით,
მჯერა, იქა ხარ-სად მართალნი განისვენებენ.

შეხვედრა წარსულთან

მასზე ოცნებები...ახლა შორეული,
დღესაც ნათლად მახსოვს, თუ როგორ მდაგავდა,
ჩემი გამოხედვა, გრძნობა მორეული,
პატარა გოგოსას - ნამდვილად არ გავდა.

ისე მიღიმოდა, ძველი ძმაკაცივით,
თითქოს ერთად ვთელეთ ცხოვრების გზა- კვალი,
ჩვენს შორის კედელი მტკიცე საყდარივით
ააგო, რომ არ ეგრძნო ტრფიალი ქალის.

მე წლები დამჭირდა რომ დამვიწყებოდა,
გულში დავიმარხე ის ბავშვური გრძნობა,
თავს ვიიმედებდი, თან გული მწყდებოდა,
მწამდა, სიყვარული აღარასდროს მოვა.

მას შემდეგ ცხოვრებამ ბევრჯერ გამახარა...
ამიხდა მრავალი სურვილი და ნეტა...
ის ბედის ბორბალმა სად აღარ ატარა...
დღეს, სხვისი ცოლი ვარ, ბედნიერი დედა.

გუშინწინ შემთხვევით შემომხვდა ქუჩაში,
ღიმილით მომესალმა და მითხრა ყურში,
იცი? იმ ... წარსულში რა ძლიერ მიყვარდი?!
ვფიცავარ, კელაპტრად ანთიხარ ამ გულში.

მე და გაზაფხული

ცამ ნისლი ისე მოიხვია, როგორც ვუალი...
მერე სატირლად მოემზადა ღრუბელი ნაზი,
ისე ლამაზად შემომხედა, ვერ ვთქვი უარი...
ისე ვიყიდე ენძელები, არ ვკითხე ფასი.

ხელში შერჩენილ თაიგულებს რომ დავაცქერდი.
გულმა, ინატრა, იოცნება ტყემლების თოვა,
სხვა ქვეყანაში მონატრებით გულო აძგერდი,
შენს სამშობლოში გაზაფხული უცილოდ მოვა.

მოხუცთან ნაყიდ თაიგულებს ვეხები ხელით,
მოუქარგია ოცნებაში ენძელებს მდელო,
სიზმარში მაინც დავკეფ იებს პატარა ხევში,
გაზაფხულს ასე მივულოცავ ჩემს საქართველოს.

არა არ მინდა უცხო ქვეყნის ფარჩა და დიბა,
მამულზე შიშით და დარდით ვარ აქ დაზაფრული,

ვიცი ვერ გავძლებ, ვერ ვიცოცხლებ ეული დიდხანს,
და მოვალთ ერთად სამშობლოში მეც, გაზაფხულიც.

ვიცი არ მოხვალ

მიუწვდომელი ხარ ვით ვარსკვლავი ცაში,
და მენატრები, როგორც ბედუინს წყალი,
ვით ეულ ფოთოლს, გზები ამებნა ქარში,
ვერ მიპოვნია სავალი გზა და კვალი...

ვით უდაბნოში. გზაარეული მწირი,
მონატრებისგან სასოწარკვეთა მიპყრობს...
მირაჟებს ვხედავ ერთი ცოდვილი გზირი,
ვიცი არ მოხვალ, მაგრამ ჯიუტად გიხმობ.

არ მოხვალ, მაგრამ აღარც ოცნებას ვეტრფი,
როგორღაც ვბედავ, გესაუბრები გულში,
უკანასკნელად მოგიალერსებ, გეტყვი,
წახვედი, მაგრამ აქ ჩამისახლდი - სულში.

ჩემო სამშობლოვ

მე მიყვარს შენი ამაყი მთები,
შავი ზღვაც მიყვარს აღელვებული,
თერგის ღრიალი-ქართული გენი,
შავი არაგვი ამღერებული.

მაგ ცის სილურჯე-ზოგჯერ მაწამებს.
სიზმრებში გხედავ,მეძახი თითქოს...

შენი სიშორე ისე მაწვალებს,
როგორც მყინვარწვერს მაისის სითბო.

ღმერთო, ამრავლე ქართული ჯიში!
მე სხვა წყალობას არც გთხოვ, არც ველი,
გაუქრე ჩემს ერს მომხვდურთა შიში,
გმადლობ უფალო! რომ ვარ ქართველი.

საქართველოა ის სალოცავი,
რომლის ხატებას გულით ვატარებ,
შენი ცა მიყვარს, შენი მთა-ბარი,
ჩემო სამშობლოვ,თავს განაცვალებ!

ღამეს გავანდე

ღამეს გავანდე ჩემი ფიქრები ,
ღამეა ჩემი მესაიდუმლე,
დილამდე მასთან მთვრალი ვიქნები,
ვსვამ რადგან ჩემად ვერ დაგიგულე.

მერე შევხვდები კენტად ალიონს,
დღეს დავუმალავ ცრემლსა და ვარამს,
სანთელს დავანთებ, მივალ ამბიონს.
მერე ქუჩაში ამაყად გავალ.

მხოლოდ ღამესთან არ ვიმალები,
მხოლოდ სიბნელის არა მრცხვენია,
ცრემლში დავდნები, დავინამები.
იმედის ფერფლიც არ შემრჩენია.

ზაირა ფრუიძე

სიყვარული უფრო მეტია

ყველა დაცემა და წამოდგომა,
ეს გამოცდაა, ალბათ ბედია,
დრო და დრო ხვდები, ყველა გრძნობაზე,
რომ სიყვარული უფრო მეტია.

მერე რა, თუკი გზას მივსდევ მარტო
და ვიცი არსად არ მომელიან,
ბევრჯერ დავეცი და წამოვდექი
ავი ერთხელაც ვერ მომერია.

ყოფას ყოველთვის ექნება აზრი,
აზრი აქვს წინსვლას, ახლის ძიებას,
გულში არასდროს არ გამივლია,
სამაგიერო შურისძიება.

გზაარეული ნავსაყუდელად,
მეც მივეკედლე არეულ რითმებს,
ჩემმა ლექსებმა, ღამენათევმა,
იციან მხოლოდ რამდენ დარდს ვითმენ.

მე მარტოობაც აღარ მაშინებს,
ჩემთან ყოველთვის გვერდით ღმერთია,
გუშინ სიცივე თუ იყო გულში,
დღეს სიყვარული უფრო მეტია.

ვინც ამ სიყვარულს ვერ დამინახავს,
მარტო ერთს ვიტყვი, ეს სულერთია....

ქვასთან მოდი

ალბათ წავალ და არ ვიცი საით,
ქვასთან მოდი, მოგენატრო როცა,
გზა არეულს ვერაფერი მშველის,
ამაოა ცრემლები თუ ლოცვა.

არავისგან აღარაფერს ველი,
ვერ გავშალე სიყვარულის ფრთები,
თუკი მართლა უჩემობას შეძლებ,
წავალ ჩემო... წუთს არ დავფიქრდები...

კარის ზღურბლზე ჩამომიჯდა დარდი,
ჩემში ეჭვმა მოიკიდა ფეხი,
მზემ დაკარგა ბრწყინვალება ისევ,
გაქრა ყველა ცისარტყელას ფერი.

წავალ, მაგრამ ღარ ვიცი საით,
ქვასთან მოდი, მოგენატრო როცა,
ჩემი სული იქ დაგიცდის ჩემო,
შენს გზას იქით დასასრული მოჩანს...

მე მქვია დედა

ათასი განცდის მიუხედავად,
არ ჩაუვლია ჩემს წლებს უკვალოდ,
ბედნიერი ვარ მე მქვია დედა,
და ამისათვის, მადლობთ უფალო!

ათასი მადლით სანთლად ნანთები
თაფლის სურნელით, ჩემი შვილია,
ათასჯერ განვლილს ისევ გავივლი,
მე აღარაფრის არ მეშინია...

ძალა არ მეყო

ვერ დავამსგავსე ჩემი ცხოვრება, სრულყოფილ ნახატს,
თუმც პალიტრაზე ბევრი ფერი ავრი-დავრიე,
ანდა, ვინ მომთხოვს ამის პასუხს უნიჭო მხატვარს,
შავ-თეთრ ფერებში ეს დღეებიც თითქმის გავლიე.

ძალა არ მეყო, ვერ შევღებე ცხოვრება ცისფრად,
ვერც ცისარტყელას ვერ მოვპარე კაშკაშა ფერი,
დრო მეპარება, მეც მივყვები ჩქარი ნაბიჯით,
და მოწყენილი, მომაკვდავი გედივით ვმღერი.

თუ შეგიძლიათ ჩამომრეცხეთ მუქი ფერები,
გამინადგურეთ სევდისა და ტკივილის ჯარი,
არ შემატოვოთ ჭინჭყლი მარტის წვიმას და ქარებს,
და გევედრებით ლურჯ აპრილთან დამწერეთ ჯვარი.

მე შემოვყევი ცივი ზამთრის სუსხიან ღამეს,
იცხოვრო ქვეყნად, არ ყოფილა თურმე ადვილი,
მე თუ სიცოცხლე წამოვიწყე თებერვლის ბოლოს,
მინდა ცხოვრება დავამთავრო ლურჯი აპრილით...

ყოფნა-არ ყოფნა

გვიანი ქარი აწყდება ფანჯრებს,
ღმერთო! პირველად გრძელ ღამეს ვნატრობ,
ხვალინდელი დღე არრას მპირდება,
მაინც თენდება? ნეტავი, რატომ...

ყოფნა-არ ყოფნა საკითხი თუა,
თუ ხვალინდელი დღევანდელს ვერ ცვლის,
სჯობს მიგონებდნენ როგორიც დღეს ვარ,
ვიდრე გიჟსა და ჭკუაზე შეშლილს...

პატარა ოდა

პატარა ეზოს პატარა სახლი,
პატარა ჩიხში ჩემს სახლთან ახლოს,
რომელსაც ახლა წარსული ქვია
და სიყვარული ამ დრომდე სახლობს.

შემორჩენია პატარა ოდას,
იმ წარსულიდან ტკბილი სურნელი,
ხავსმოკიდებულ ხეების ჩრდილში,
დგას, გზას გაჰყურებს მომსვლელს სულ ელის.

ვაი... რა სევდად მაწვება გულზე,
სახლის დაშლილი საფეხურები,
გულში ჩაუკრავს, და არ ეთმობა
ჩვენი ბავშვობის ნაფეხურები....

თვალებს ვხუჭავ და ისევ იქა ვარ,
ისევ მაბრუებს ნანატრი სუნი,
და ჩვენი ბებო, ყველა პატარის,
სიყვარულს გვაწვდის მაგ თბილი გულით...

და სინამდვილეს ვუსწორებ თვალებს,
მოგონებებად რჩება ყოველი,
რა იცის ახლა პატარა ოდამ
მასთან შეხვედრას როგორ მოველი...

მომნატრებია ლეჩხუმი

მომნატრებია ლეჩხუმი თავისი მკაცრი კლდე-კარით.
მთები დარაჯად დამდგარი და დღემდე შეუდრეკავი.
ამწვანებული მინდვრები და სევდიანი ბავშვობა,
დღეს ტკბილად მოსაგონარი ხტუნვა თამაში, ანცობა.

„წიწილიანქვის“ ბილიკზე „ლამაზას“ ზარის წკრიალი,
ქვემოთ ცხენისწყლის ნაპირზე აკი ტალღების ტრიალი.

„ქვისაგორებლის“ გორები, გაუკაფავი ტყეები,
ფიჩხის ძებნაში დაღლილი დედის ნაჯაფი ხელები.

მამის გასხლული ვენახის ვაზის ანკარა ცრემლები,
წარსულში დავხეტიალობ და ჩუმად თავზე ვევლები.
ჩემო გამზრდელო ლეჩხუმო, მთებით და სულით მაღალო,
დედის სევდიან ნანაზე გადარწეულო აკვანო...

თურმე ყოფილა სიზმარი

...მოვიდა, თავი დამადო...
ღამეს ჩემს მხარზე ათევდა...
ალერსი ვერ მოვასწარი,
ღმერთო, რა მალე გათენდა!..

ღამე რა უცებ გამიქრა,
ცრემლად მეპკურა ცის ნამი,
მე რომ მართალი მეგონა,
თურმე ყოფილა სიზმარი....

ნინო ბაკურაძე

***

მიყვარს გაზაფხულის სურნელი,
მზის სხივს რომ აისხამს მძივებად,
სულში აიმღვრევა სათქმელი
და გზას გამოჰყვება დინებად...
ჰაერს ჟრუანტელი დაუვლის,
ეს ცაც სხვანაირად ინათებს,
ღამე სადღაც მიიმალება,
და დღეს დაუმატებს სინათლეს.
კვირტი გაიღვიძებს ხეებზე,
და მზეს ყვავილებად ეწვევა,
მოვა იმედების საუფლოდ,
მიწის გაზაფხულად შეგრძნება.
მერე აინთება სულებში,
თუ რამ მონატრებას ვმალავდით,
თუ რამ ზამთრის სუსხმა დააძრო,
და რაც გვაღელვებდა მანამდის...
გული ასეთია - აპრილობს,
მას არც ეს ქარები აშინებს,

რადგან სიყვარული გვაცოცხლებს,
და კვლავ გადავლახავთ ნაპირებს..
მიყვარს, ასე როცა განვიცდი,
და ვგრძნობ არაფერი მთავრდება,
რადგან ისევ ისე მიყვარხარ,
ისევ თენდება და ღამდება..

***

აქ ყველაფერს სხვანაირი სუნი აქვს,
და ფერებიც უცნაური ფერია,
აქ სამყაროს სულ სხვაგვარად აღვიქვამ,
სიმშვიდისთვის აქ სუყველაფერია.
აქ სითბო და სიხალისე მასწავლეს,
აქ ბავშვობის იმედების სკივრია,
აქ დღეები ოცნებებზე ასხმული,
ბედნიერი მაჯისცემით მიდიან.
ყველაფერი მზის სითბოთი გამთბარი,
შემახსენებს მშობლიურის სიწმინდეს,
და ფიქრითაც ვსტუმრობ როცა ჩემს ფუძეს,
ვძლიერდები, რაც არ უნდა მიჭირდეს.
დავდივარ და ყველაფერი ჩემია,
ამ სითბომ და ამ სურნელმა გამზარდა,
რადგან ხშირად ამ სიხარულს შევიგრძნობ,
რაღა უნდა დამიშავოს ზამთარმა.
ყველა განცდა ერთად ფიქრადშეყრილი,
არის ძალა მშობლიურის რწმენისა,
მადლობა რომ გამაჩინე უფალო,
მადლობა რომ აქ სიცოცხლე მეღირსა...

***

არ ვიქნებოდი არც ფოთოლი,
არც ყვავილი და არც ბეღურა,
ადამიანი ვიქნებოდი მხოლოდ და მხოლოდ,
რადგან ადამიანად არსებობა უფრო მეტია,
დასაწყისშიც და სიცოცხლის ბოლოს.
არ ვიქნებოდი აღარც თიხა, აღარც კედელი,
ადამიანი ვიქნებოდი მაინც და მაინც...
რადგან საყრდენი, საძირკველი ყველაზე მეტი
ადამიანში ცოცხლობს და ჰყვავის.
ვერ ვიქნებოდი ვერც პეპელა, ვერც სიო დილის,
რადგან წუთიერ ვერ მოვქარგავდი ირგვლივ სამყაროს,
რადგან უზომო შემიძლია სიყვარულისთვის,
შენს კალთებამდე ამოვფრინდე ღმერთო მაღალო...
არ და ვერ ვიქნებოდი გარდა ერთისა...
ადამიანად დამაბედა ყოფნა გამჩენმა,
და როგორც ჩიტი უგალობებს მარტში გაზაფხულს,
გმადლობ უფალო ამ სიცოცხლეს, ასე გაჩენას.

***

სიკვდილო, როგორ შემოგვეჩვიე,
ყოველდღიური გახდი სტუმარი,
შენთან არაფერს არა აქვს აზრი,
არც თანხმობა ჭრის და არც უარი.
ააბობოქრე ბედის ზვირთები,
და ერთ ნაფიქრად აქციე წლები,
მიდიან ჩვენგან როგორც სიზმრები,
ვერაფერს ვერ ვცვლით, ვერაფერს ვშველით...
შიშმა იმედებს აჯობოს ლამის,

განთიადს ზოგჯერ ცრემლები ასწრებს,
გარდასულ დღეებს დავუდგათ ძეგლი,
ვინც იმსახურებს დიდების კვარცხლბეკს...
სიკვდილო, როგორ შემოგვეჩვიე,
ყოველდღიური გახდი სტუმარი,
მაინც ვერაფრით ვერ მოგვერევი,
ბრძოლას აზრი აქვს გარდაუვალი...

(ტ.ფ-ძეს)

წუთისოფელო ბინდისფერი ყოფილხარ ოდეს
და შენს ბილიკებს შეხიზნული ბევრი გაწირე,
რამდენი ფიქრი უსარგებლოდ გაფანტე ქარში,
რამდენი დილა ტკივილებით უხმოდ ატირე...
ამ ჟამმა ისევ მოიტანა ცრემლები წყებად,
შენი არყოფნით გაჩენილი იარა გვტკივა,
იძინე მშვიდად მარადიულ სასუფეველში,
ჩვენი სანთლები იმიერში დაგხვდება სხივად.
არაფერია, წამის ყოფა გვიგეგმავს დღეებს,
დგეს საქართველო ტკივილებით შეხვდა ალიონს,
ინატრებს ბევრი შენებურად ესუნთქა ეს ცა,
და შენნაირი ბილიკებით ეს გზა გალიოს..
წუთისოფელო, მერამდენედ გვატკინე გული,
და შენს ჭიუხებს შეხიზნული ისევ გასწირე,
და რადგან ბრძოლა ვერ მოვიგეთ, ისევ დავმარცხდით,
რომ ვერ გიშველეთ, ეს გაგვიგე და გვაპატიე.

***

თუ მომენატრე, ხვალ შეიძლება
არც დრო იყოს, აღარც ადგილი
სათქმელად ამის, და სიჩუმეში
იხმაურონ მხოლოდ ფიქრებმა,
დღეს მინდა გითხრა
ყველაფერი რაც ასე მწადის,
ხვალ შეიძლება....
გვიან იქნება...
წუთებით ვცხოვრობთ და
ეს წუთი არ უდრის არცერთს,
დღეისზე ფიქრით სახვალიოდ დაგეგმავ ვერც რას,
რადგან ხვალისთვის არ იქნება ადგილი ამის,
ვერ გავაგონებ ჩემს გულისხმას -
გულისხმას შენსას.. თუ მომენატრე,
ვიცი ფიქრებს, გაფანტულს ქარში,
სულ ბგერა-ბგერა აკინძული მოვაფენ ბილიკს
და ბედნიერი გავიღვიძებ ყოველ ცისმარე
- ახალი დილით.

...ისევ გაზაფხულდა

შენი სახელია დედა გაზაფხული...
სევდა და სიხარული ერთად მოაქვთ ფერებს
გაზაფხულის...
მზის სხივს მოყოლილი
ციდან მოსულია ყველა მონატრება,
ჩემგან შორს წახვედი
და სულ მენატრები
და სულ მენატრება -
გრძნობა უპირობო...
შენით შევისწავლე ძალა სიყვარულის

დედაშვილურის და არსი სიხარულის...
ახლა შორეთიდან ვგრძნობ,
რომ მეხმარები,
და რა ტვირთიც ზიდე
ვცდილობ შეგეშველო...
თუ დამეხმარები...
ჩემთვის თუ ილოცებ
დედავ ერთადერთო,
რათა ის მისია
რაც შენ დამაკისრე
წმინდად გამოვკვეთო...

***

ხანდახან დადიხარ, მზე დაგაქვს გულით და
ხანდახან ისეთი მკაცრია ცხოვრება,
ვერ უძლებ სიცივეს და ფიქრიც ჩუმია,
სულ ზღურბლის პირზეა ცოდვა და ცდუნება...
მე მჯერა მირაჟის და უცხო ფერების,
და ამ ყოფითობას რომ ამსხვრევს ღიმილი,
რომ თუკი იწამებ, ვერაფრით იძლევი,
უსასო გახდება დარდი და ტკივილი...
ო, ღმერთო, რამდენი ვიარე ნაპირზე,
რამდენჯერ სათქმელი ფოთლებში გაიბნა,
რამდენჯერ დაზამთრდა და გული ამტკივდა,
სანამდის ღრუბელი გაფანტა მაისმა.
მე ვიცი, შენც გჯერა, ცისფერი დღეების,
და რომ ამ ფერებში ყალბია არცერთი,
და რომ რაც არსებობს თბილი და ნათელი,
რომ გამოძერწილი არაა ნამცეცი.

თამთა აბულაძე

ჩემს მესხეთს

მესხეთში ზარზმას მივაქროლებ ფიქრებს გულისას
საფარას სუნთქვით შეიმეცნებს გაშლილი ფრთები,
ბუზმარეთს საზღვარს გადაკვეთავს ოცნებებისას
ჭულევში დაცვად აშოლტილი ჭაღარა მთები...
ხერთვისის ციხე მოგვიყვება ძველთა გმირობებს
წინაპართ სისხლით გაპოხილ წყალს მოგვართმევს პეშვით,
ჭოროხის შვილებს, თურქთ კალთებში დაზრდილ
ქართველებს
ცხოველთა მეფე დაიტირებს მრისხანე ეშვით...
სმენას მივაპყრობ აკვანთან მყოფ მომღერალ დედას
მესხური ნანით რომ აძინებს ჩვილს მოღუღუნეს,
ტკბილი ჰანგებით მოკისკისე პატარას ვხედავ,
ეთამაშება ფანჯარასთან ქარს მოგუგუნეს.
აწყურში მშვიდად მძივებს აფრქვევს ქართული ზეცა,
ტაძრიდან ისმის მგალობელთა გალობა თბილი,
აბულის მთების ბანი მოჰქუხს, ხეობებს ეცა...
მესხეთს შეუკრა გადახსნილი გულ-მკერდზე ღილი...
ჩემი ტკივილი, ჩემი ტაო... სულის ღიმილი
,კლარჯეთს ხანძთა და ბანა, ოშკი, კენტად შთენილი,
ოპიზა გუმბათდანგრეული... სადღაც ჩივილი,

მიტოვებულის წართმეულის ტანჯვა ძლეული...
ჩემი სამშობლო, მამული და კუთხე-კუნჭული,
მიწის გოჯიდან დაწყებული ცით ვარსკვლავამდე,
მშობელი ქვეყნის ეს ნაწილი - მესხური გული...
მიყვარს და მუდამ მეყვარება კუბოს ფიცრამდე...

დართლოს

გული დაგიტოვე დართლოვ ხურხევებში,
ფიქრით ნაბაკურთას დავალ,
ისევ შემოგირბენ კოშკის ნანგრევებში,
საფრინდაოს ფრენით მივალ.

ყვავთ საბუდარს მიტომ მივაშურებ,
დართლოს გადმოვხედო, მინდა..
შემდეგ ჩანჩქერს ფიქრებს მივასტუმრებ,
უნდა გადმოვეშვა მთიდან.

თუშ მეცხვარის ფარას გადავყვები,
თოვლით გადასერილ მყინვარს,
ნაბადს შემოვიხვევ, ყინვას არ ავყვები,
ქედს არ მოვდრეკ - თუკი მიყვარს...

ჩემს ტკბილ თუშეთს ხშირად ვესტუმრები,
დარდს გავანდობ ჯანღებს მთისას,
ჩუმად ვუმღერებ და მერე გავეცლები,
ვარსკვლავთ გუნდს გავყვები ცისას..

შორით ტრფობით არროს დავიღლები,
ჩემში მეყოლები მშვიდად,
ძლიერ.. ძლიერ თუ მომენატრები,
მალვით გესტუმრები სიზმრად...

თუშ მეცხვარის ფარას გადავყვები,
თოვლით გადასერილ მყინვარს,
ნაბადს შემოვიხვევ, ყინვას არ ავყვები,
ქედს არ მოვდრეკ - თუკი მიყვარს...

მიყვარხარ

მე ჩვენს სიყვარულს შევადარებ „ვარსკვლავთა ცვენას“
უფლის ნათელით გულის გულში რომ ირეკლება..
ეს ნაზი გრძნობა მომაგონებს „ზღაპრის ახდენას“
ბედნიერება დასასრულად რომ არ ეკლება..

განთიადისას მზის სხივებით ირთვება ზეცა,
შენზე ფიქრები მაღიმებს და მიხარებს წუთებს,
სული ივსება სიხალისით... მადლს გვაფრქვევს ჩვენ - ცა,
შენით ვარ სავსე და ღიმილით გავცქერი თუთებს...

სამყარო მიყვარს რაც შენ გნახე, რაც ჩამისახლდი,
სულ სხვა ფერები მივანიჭე ირგვლივ ყვავილებს,
ბედნიერება შევიგრძენი ... თითქოს სხვა გავხდი,
და დავედარე გაზაფხულის ლურჯთვალა იებს..

მიყვარხარ ჩემო ... შენით ვხედავ ირგვლივ ყველაფერს,
შენით ვსუნთქავ და შენი სუნთქვით ვათენებ დღეებს,
მეიმედები... სულს აჩნიხარ ... გიწოდებ ჩემფერს..
უშენოდ წამიც წამებაში მიჰყვება წრეებს...

სულ მენატრები, მაშინაც კი როცა ჩემთან ხარ...
როცა გიმზერ და კრძალვით ხვდება ჩვენი თვალები,
ჩემო ნანატრო... მართლა ძლიერ, ძლიერ მიყვარხარ
განატრობ და მალვით გულს ედება მწველი ალები.

მამა სვიმონს

ოცი წელია მხრებს მიმაგრებს ბერობის ღვაწლი,
ჟამითი ჟამად საცდურს ვებრძვი ჩემს ირგვლივ ერთო,
წამი არ იცდის, სინანულით ფერს იცვლის ანწლი,
ომგამოვლილი ურჩი შვილი მოვედი ღმერთო...

დამჭრეს, თუმც სული ვერ შელახეს ტყვიების ფრენით,
ჯოხს მიმაჯაჭვეს, მაგრამ უფალს მიმანდეს ახლოს,
ზნე შეიცვალეს, ვერ გამტეხეს ვერც ტკბილი ენით,
რადგან ჩემს გულში ყოვლადწმინდა სამება სახლობს.

დედაო ღვთისავ, შემიწყალე ძე შეცდომილი,
ადამის ცოდვა აკვნიდანვე თან დამდევს ერთობ,
მეოხებითა შეგვიწყალე, მოგვეც ღიმილი,
შენს წიაღში რომ განვისვენოთ უფალო, ღმერთო..

დაღლა ვიგრძენი ამა სოფლის მცხოვრებთა მხრიდან,
მაშინებს მხოლოდ ორი რამე და ამას ვდარდობ,
არ დავაბრკოლო კაცთაგანი და ამ ცოდვიდან -
გზა არ დავკარგო სასუფევლის კარამდე, ვნატრობ..

სხვა არ მაფიქრებს, მინდობილვარ სახეებას ციურს,
მწამს გაბრწყინდება ივერია უკუნისამდე,
და ჩვენც, მოკვდავნი დავინახავთ ოდეს ზეციურს,
ლოცვას აღვავლენთ მადლმოსილნი სულიდან - ცამდე....

ქრისტე აღსდგა!

აღდგომა თენდება, ცამ იგრძნო აისი,
მტრედისფრად განათდა ნანატრი მაისი,
სანთელი ლიცლიცებს... ცრემლს იშრობს დაისი,
ყვავილთა სიყვარულს ასხივებს ნარცისი..

სასწაული ხდება... ცეცხლი შემოგრძანდა,
ღმერთმა ჩვენს გულებში მადლი მოაფრქვია,
ისე გაჩირაღდნდა - სითბო სხეულს გასცდა,
ამ განცდას ხომ მართლა სიხარული ქვია...

უკვე ახლოვდება ზიარების ჟამი,
მაცხოვარი ჩვენთვის ისევ ჯვარს ეცმევა,
ლოცვით ნაღვენთ თვალებს მოლოდინის წამი
გრძნობა - გონებაში სათუთად ემჩნევა..

უფლის სისხლსა და ხორცს ზეცა აცისკროვნებს,
გალობა მოისმის ქვეყნად ანგელოზთა,
მადლობა მეუფეო... ფიქრებს ახმოვანებს,
ჟღურტულად მონაქროლი შრიალი დილის ხმათა..

უკვე შინ მივდივარ მადლით აღჭურვილი,
პულსაციამ მამცნო - ჩემში ქარი ჩადგა..
სიმშვიდით მუხლმოყრილს - მიჩნდება სურვილი,
სამყაროს მივულოცო.. გესმიით? ქრისტე აღსდგა!

მადონა დვალი

სონეტი 1

ვიდრე იმედსაც გაუხდია თეთრი სტიქარი,
ვიდრე მზის ქოშით ალიონი მოდის, დილაზე,
მე ლოცვასავით, ისევ ლექსის წერას ვიჩქარი,
რომ სტრიქონს მაინც შევახიზნო სულის სინაზე.

აქ მამრებს, ჯერ ვერც შეუცვნიათ ევას თამაში,
ალბათ შენც ველარ ამოიცნობ ქალის ხასიათს,
მერიდე,ვიდრე ჩავტეულვარ ისეთ კაბაში,
რომლის შლეიფიც ადამისთვის ბოლო ხავსია.

ჯერ იქნებ, არც კი უცეკვია შენთვის იზიდას,
გაგათამამეს, გახალისეს იქნებ, ხასებმა,
ის პლანეტა ვარ, რომ ატყვევებს (ჯერ მიიზიდავს),
ამ კალმით, შენი ბედის რუქა დაიხაზება!

მრავალ მწვერვალზე გიმტვრევია, თურმე, ყინული,
ბოლოს დაეცი, ჩემს მწვერვალთან, ფრთაშეყინული.

სონეტი 3

ნუ მიწყენ, უკვე თუ მოგმართავ მხოლოდ სახელით,
ასე უხმობენ ან მეფეს და ანდა, ისახურებს,
მე დიდსულოვნად შეგეგებე, თვალთა გახელით,
მაგრამ მათ სითბოს, თურმე, არვინ არ იმსახურებს.

რარიგად მსურდა, შენს თვალებში წრფელად მემზირა,
მთელი ცხოვრება ვიგერიებ ათას "ლოველასს!"
მეგონე მეფე, რამ გაქცია ბოლოს ვეზირად?
ვაი,თუ ლექსიც დაემსგავსოს, ბოლოს, ნოველას.

უნდა წავიდე, აკუჩქარო იქნებ ნაბიჯებს,
ჩემი მუზების საუფლოშიც ვიდრე მოყინავს,
მე მამრის ტრფობა ძვირად რატომ უნდა დამიჯდეს?
მე,ლექსის კერპთან, პოეზიის ღმერთთან მორკინალს!

შენ უფაქიზეს ღრუბლის ნავში უნდა ჩაგესვი,
მაგრამ აღმოჩნდი, თვით "გოჩაზე უგოჩავესი!"

სონეტი 4

ასეთ ქაოსში, სიბრიყვის და კადნიერების,
ასე კარდაკარ რომ დამეძებ, ნეტა ვინ გრჯიდა?
რომ მიმტვრევ საკანს, ფატალური ბედნიერების,
არახარ მხსნელი, პოეზიით გვემამისჯილთა.

ამ გრადაციის კარიბჭესთან ნუ ილურსები,
რადგან არც შენი გაკვალული გზებით არ წავალ,
მე რაც დავწერე, ვარსკვლავების ძველი ლურსმნებით,
ამ დედამიწას არ დატოვებს გაუკაწრავად.

ამდენი გვემა, გამართლდება მხოლოდ იმ ერთით,
სხვებიც რომ შენებრ იპოვიან სულის ამ მდელოს
და სიყვარულის გადარჩენის რწმენით,იმედით,
შეაფარებენ თავს ჩემს სტრიქონს,როგორც ანგელოზს.

ნუ გაირჯები,შენს წყალობას ნუ დამპირდები,
მე მიპოვიან, პოეზიის ვუნდერკინდები!

სონეტი 5

უკვე აღარ ვღვრი, რახანია, ცრემლის წვიმასაც,
ტკბობამ ხანმოკლემ, მომიტანა დარდი ხანგრძლივი,
ზეიმის მერე, ივიწყებენ თავად წმინდანდაც,
რომ გამოხრიან რაც მიართვეს, ვითომ განძივით.

ბევრი, მოსული სალამურით, დოლით გავუშვი,
ვნანობ, რომ აღარ მოვერიდე შარის ატეხვას,
რადგან დავრწმუნდი, არ ილევა ბრიყვი და მრუში,
პატარა ქვით რომ ცდილობს, დიდი თავის გატეხვას.

რაღა დროსია, შენც რომ ვითომ ვნება გალომებს
და გინდა, ვიყო ვითომ შენი იაგუარი...
ქედს ვუხრი,მე იმ უჭკვიანეს ქალს, ლუ სალომეს,
თავად ნიცშეს და თვით ფროიდს რომ უთხრა უარი!

უკვე არავის დავრთავ ნებას სულში თარეშის,
რადგან სამოთხეც არ არსებობს გველის გარეშე.

ირმა კვაშილავა

დუმს როიალი

დარჩა კლავიშზე დაუწერელი,
ხუთხაზოვანი თეთრი ფურცლები,
სულში ჰანგები გამოუთქმელი,
რომ ვერ დაითვლი ისე ულევი,
ირწევა ნოტი, ჰაეროვანი,
ყვითელ ფოთოლთა ჩუმი შრიალით,
აქ უკვდავება დაიარება,
ასე ნაცნობი დუმს როიალი.
დუმს როიალი, ელოდება კლავიში თითებს,
როს აჟღერდება მელოდია ჯერ შეუქმნელი,
მაგრამ წავიდა, ჩაიხუტა უფალმა ისე,
და დაუმკვიდრა უკვდავების სასუფეველი.
დუმს როიალი, კლავიშები სტირიან ისე,
გენიალური მუსიკოსის. გია ყანჩელის!

მუზას

მე ყოველ ღამე პაემანი დამითქვა მუზამ
და მთვარის შუქზე ველოდები მის გამოჩენას,
ლექსად შემოვა,თუ ნოტებით გამიშლის სუფრას,
ან იქნებ ფუნჯით დამიხატავს გრძნობების სურათს...
უჩემოდ ვერ ძლებს, ელოდება ღამის სიჩუმეს,
საათს შეჰყურებს, როს დარეკავს ღამის თორმეტი,
მე კი შევავსებ, სიყვარულით პირსავსე სურას,
რომ სასთუმალთან პატივი ვცე, ვით ნანატრ სტუმარს...
მე ყოველ ღამე ველოდები, საყვარელ მუზას!

სადღეგრძელო საქართველოზე

მინდა შევსვა სადღეგრძელო,
ჩემი კუთხის, ჩემი მხარის,
ჩემი დედა - საქართველოს,
ღვინო შევსვა სავსე თასით.

ვადღეგრძელო ჩვენი ბგერა,
იაკობის "დედა-ენა",
შოთას "ვეფხისტყაოსანი"
და ილიას სიტყვა ზენა.

ვაჟას ია, თუ წიფელი,
ჩემი სულის ქნარზე უკრავს,
ვადღეგრძელო ის ბუნება,
რასაც მისი ენა უდგას..

ვადღეგრძელო ყველა ის, ვინც,
მამულისთვის თავს გაწირავს,

ვინც მტერს მტრულად დაუხვდება,
ვინც სამშობლოს მიწას იცავს,

ვინც სიკეთის მთესველია,
ვინც მოყვარის მძებნელია,
და სხვა ქვეყნის მიწა- წყალზეც,
უდრეკელი ქართველია!

ჩვენი დედა - საქართველო,
სალოცავი, საფიცარი,
იყოს ყველა ქართველისთვის
უკვდავების წყაროს თვალი.!

***

გაყინული სული ფიფქებს ეფერება,
თვალში ციმციმებენ სევდის ლოლუები,
მთვარე მოფარფატე ღრუბელს ჩაეხუტა,
მე კი ჩემს სატკივარს ღამეს მოვუყვები...
ბორგავს, ხევის პირას დიდი ნაკადული,
შენგან ნაწამები. ფიქრებს ვეფერები,
გზები მომენატრა, ტყეში გაკვალული,
დილის გარიჟრაჟის შორი ყრუ ბგერები...
შენი სიყვარულიც ვეღარ გადამარჩენს,
ქარი გაიყოლებს, სულის რაფსოდიას,
ყველას ვეხვეწები, ნუ დაიძინებენ,
თუკი გულის კარებს დატოვებენ ღიას...
სულის გასაღები შენშიც ვერ ვიპოვე,
ვრჩები კვლავ ეული, ძალა მილეული,
ზღაპრის ბოლო გვერდი უკვე დაიწერა,
ქარმაც მომაყარა სუსხი მისეული...

***

თითქოს მგონია დავტოვებ ყველას,
ცივი ფიქრები როცა მერევა...
ვღელავ ვით ტალღა სანაპიროზე,
ბორგავს გული და კვლავ ითხოვს შველას....
მიყვარს სიცოცხლე ლაჟვარდოვანი,
ლურჯი ცა, მიწა ბალახოვანი,
მზის სინათლე და მთვარის ღიმილი,
ვარსკვლავთ ციმციმი ღამის დუმილი....
ყვითელ ფოთოლთა ჩუმი შრიალი,
წრე დედამიწის ბურთივით მრგვალი,
სამყარო, სივრცე, სული ღვთიური,
მიყვარს უფალი, ხმა ზეციური!

***

ვისთვის არავინა ვარ,
ვისთვის ყველაფერი,
ვისთვის მზე ვარ კაშკაშა,
ვისთვის ღამე ბნელი...
ვისთვის სული- გული ვარ,
ვისთვის არაფერი,
ვისთვის სავსე გული მაქვს,
ვისთვის ცარიელი.

განმიკითხავთ? ვინა ვარ?
რისი, ვისი ფერის?
მე მტვერი ვარ, უფლისგან,
სულჩადგმული ერთი,
უცოდველი ამ ქვეყნად
არის მხოლოდ ღმერთი!

***

ღამის სიჩუმე სევდის ფერია,
დარდი გულს სერავს, სადღაც ვვარდები...
მიმზერს შორიდან ჩემი გიტარა,
და მელოდება როს ავმღერდები...

ტკივილის ნოტი სულ სხვა ფერია,
სულის სიმები ტოკავს ძარღვებში,
მუსიკა მინდა! მუსიკა მინდა!
რაღაც ისეთი, რაღაც ასეთი...

განა დო, რე, მი? ფა, სოლ, ლა და სი?
არა! სულ სხვა ხმა, სულ სხვა ბგერები,
ჰარმონიული ნაზი ჰანგები,
სულში ჩამწვდომი და აღმამფრენი!

***

დაივიწყა არ აქვს რული,
ასე ყოფნა არის რთული,
არც ნოტს ეძებს და არც ფერებს,
თითქოს ობლად ხეტიალობს,
წუთისოფლის უვალ გზებზე,
შთაგონების წყაროს ეძებს,
მის გარეშე თითქოს ვერ ძლებს,
შორს გაქცეულ მუზას ეძებს,
სული ჩემი, რომ გადარჩეს...

ნუგზარი კობერიძე

ამოფრქვევა

ტყუილია, რომ ამბობენ,
პოეტია, აქვსო ნიჭი,
ლექსებს წერსო საკვირველსო,
სხვებზე კარგი არის ბიჭი.

რის პოეტი, რა პოეტი,
რა მელექსე და რის მთქმელი,
არა, ეს არ დაიჯეროთ,
ტყუილია ყველაფერი.

ნუ მიაწერთ პოეტობას,
კაცის გულის გამოძახილს,
მთავარია გაბედო და
მერე გული მოგძახის.

ნუ აბრალებთ პოეტობას
ღამის თევას ან სიმთვრალეს,
რითმა შიგნიდან გაწვება,
შიგნიდან ტეხს ციხის კარებს.

ყველა თავის გულის ნადებს
თეთრ ქაღალდზე გადაიტანს,
ცოდვა გამხელილი სჯობსო,
და ცხოვრებას უფრო იტანს.

ზოგი წერს, და ზოგი ამბობს
ზოგი კიდევ ხალხში აფრქვევს
რითმა გულში არ ეტევა
ვულკანივით ამოაფრქვევს.

და ეწოდება მას სიყვარული

ერთმა ფუტკარმა შენიშნა ველზე
მრგვალი გვირგვინი ყვავილთა შორის,
მუდამ იმ გვირგვინს დასთამაშებდა,
თუმც სხვებს ვერ ჯობდა ის, სხვათაშორის.

ასე გავიდა ორი ზაფხული,
სხვა ყვავილს ზედ არ ხედავდა მწერი,
მაგრამ ნუ იტყვით, თურმე იმასაც
გაუჩნდა ქვეყნად ნამდვილი მტერი.

შურით და ბოღმით გადარგეს სხვაგან,
რომ არ ენახა ფუტკარს დღეიდან,

სხვა ყვავილებმა ის ვერ მოხიბლეს,
თუმც ასჯერ დღეში უფრენს მეიდანს.

გავიდა ხანი, იცვალნენ დრონი,
 აყვავდნენ ველნი ისევ უკლისად,
და ეს ფუტკარი შუახნის ყვავილს
გამოეცხადა კვლავ სიურპრიზად.

არ დაფრენია მაშინვე ნექტარს,
მათი გული კი ძლიერ აძგერდა,
გაყინულ გულებს ძლივსღა ათბობდნენ,
თუმცა მზე მაღლით, მაგრად აჭერდა.

შეიქმნა ერთი დავიდარაბა,
გულაჩუყება, ცრემლის დინება,
საყვედურები ურთიერთ შორის,
ალბათ ყოველი ღმერთმა ინება.

ყვავილი უკვე გამრავლებულა
და აღარ არის ისე უვნელი,
ფუტკარი ისე ეალერსება,
თითქოს კვლავ ჰქონდეს ძველი სურნელი.

ყოველ მოსვლაზე მიმართავს ყვავილს:
„როგორ ცხოვრობო, როგორ ხარ, ჩემო“,
თითქოს ჟამთა ცვლით, გვირგვინგაცვენილს
არ დაეკარგოს ის ძველი გემო

ყვავილიც ნანობს სხვაგან გადარგვას,
გვირგვინი სცვივა, სურნელი ქრება,

მოვა დრო, მკვლელი და ულმობელი,
ქვეყნიდან წავლენ, ორნივ ჩაქრება.

ყველაზე ცოდო ფუტკარი არის,
ის მრავალ გვირგვინს გადუფრენს თავზე,
არცერთ ყვავილზე გული არ უწევს,
თუმცა მრავალი ბიბინებს მთაზე.

მაინც რა ახსოვს მისი ნექტარის
და რამ მოუკლა მას ასე გული?
ალბათ იმ გრძნობამ ყველას რომ ჰმონებს
და ეწოდება მას სიყვარული.

ჭაღარა

გაიკეთეო ჭაღარა,
მოგიხდებაო ძალიან,
გავეპასუხე: მომეშვით,
მაგისთვის არა მცალიან.

ახლა გამიჩნდა ჭაღარა,
შუბლზე დამეტყო ღარები,
და საოჯახო უღელში
დიდი ხანია გავები.

საეჭვო არის ნამდვილად
რომელი არის აქ მეტი,
შავი ბატონობს თეთრზე თუ
ჭაღარა არის ნამეტი.

ახლა, რომ შემხვდეს დამკვეთი
ნეტავ, რას მეტყვის, რასაო,
რა ფერი მოეწონება
და რომელს მირჩევს თმასაო?

დავით აღმაშენებელს

ქვეყნად არ იყო: „გაერო“,
„ნატო“ და „ევრო-კავშირი“,
ისე დატოვე სამშობლო
გადაჭიმული გაშლილი.

სახელიც კარგი შეგარქვეს-
აღმშენებელი ქვეყნისა,
მას შემდეგ არც ერთ ხელმწიფეს
ეს სახელი არ ეღირსა.

ვატყობ დღეს უფრო გვჭირდები
გაგვიძღვე შენი ალამით,
და რუსთაველი გვამკობდეს
თავის ფრთოსანი კალამით.

მაგრამ ვერ შეცვლი რას იზამ
ეს ხომ განგების წესია
უარ და უარ სოფელი
ცხოვრებას დაუწესია.

ხათუნა დოლიძე

ჩამისახლდა მუზა სულში!

შემომყურებს ღამე უხმოდ-
ჩუმად მახვევს ბურუსს ფიქრის...
ცის შორეთში დროის ეტლი,
წლებთან ერთად,ელვით მიქრის!

ჩამისახლდა მუზა სულში -
აღარ მტოვებს ერთი წამით...
ოცნებების თეთრ ტილოზე,
ვქარგავ სიტყვებს ყოველ ღამით!

სიო- სადღაც მონავარდე,
კაბას ურხევს წითელ ტიტებს...
გული ჩემი, ხან მაისობს,
ხანაც სევდას ვეღარ იტევს!

სად ლხენაა - დაბადების,
სად სიცოცხლე წამებს ითვლის...
ცის შორეთში დროის ეტლი,
წლებთან ერთად,ელვით მიქრის!

დააბიჯებს პოეტი!

მეოცნებე თვალებში,
მუდამ უკრთის ნაღველი...
ტკივილს მალავს ღიმილით
ბევრი ჭირის მნახველი!

ბალახს ეჩურჩულება,
ესმის ქვათა გოდება...
მიანიჭა თვით ზეცამ-
თურმე, მგოსნის წოდება!

გზა ბურუსმა დაბინდა,
დიდებისკენ სავალი...
მეგობარი ვერ ჰპოვა-
მოშურნე კი მრავალი!

კინძავს სიტყვის მარგალიტს,
გრძნობის სხივებს აქარგავს...
სული უფალს ვით მისცეს?!
მის ლექსებში დაკარგა...

ახლაც ჩუმად მოსტაცა,
ქარს ნამღერი სონეტი.
სევდიანი თვალებით
დააბიჯებს პოეტი!

ნეტავ, რატომ კვნესის ქარი?

ქარი უკრავს მელოდიას
და ქვიშაზე ხატავს ნოტებს...
ეპარება ზამთრის ლანდი-
გაშიშვლებულ ჭადრის ტოტებს!

ნეტავ,რატომ კვნესის ქარი,
რა ამღერებს ასე სევდით?
რად იტაცებს გროვას ფოთლის
ან ვის უფენს გზებზე ფერხთით...

კლდე-ღრეს რატომ ეხეთქება,
ღრუბლის ქულებს რატომ პენტავს?
უღალატეს მასაც იქნებ-
იქნებ, ისიც დარჩა კენტად!

ქარი უკრავს მელოდიას
და ქვიშაზე ხატავს ნოტებს...
ერთფეროვან დღეთა მგლოვი-
სულიც ქართან ერთად გოდებს!

გულო, გამაგრდი კლდესავით!

შემოათენდა სალ კლდეებს-
ულრან ხევებში მძინარეს...
თავზე მოადგა რიჟრაჟი,
გულზე დარდ-გადამდინარეს.

კლდეებს პირქუშად მომზირალს,
ნისლებად ადევს ნაღველი...
რამდენი რამე უნახავთ--
რამდენი რამ აქვთ სათქმელი...

გულო, გამაგრდი კლდესავით,
ნუ დაგიმონებს ტკივილი...
ისევ მოიხმე დარაჯად,
მგზნებარე სულის ყივილი!

გულო,ნუ ურჩობ მიენდე,
რჩევას და ფიქრებს გონების...
შენ კიდევ ვერ შეგიცვნია,
ავი და კარგი ცხოვრების...

სხივებმა შუქი მოჰფინა,
კლდეთა მრისხანე იერსაც...
სითბოთი მოდრეკ ამ ქვეყნად,
ყველას: სუსტსაც და ძლიერსაც!

ვიღაც იყო ბედნიერი, ვიღაც იტანჯებოდა

უკუნეთი ღამე იდგა,
ქარი კვნესით წიოდა...
ვიღაც სავსე სუფრას უჯდა
და ვიღაცას შიოდა!

ძაღლი ყეფდა გამალებით,
პირზე დორბლი სდიოდა.
ცუდი ამბის მაუწყები
ბუ საზარლად კიოდა...

ვიღაც ბებო იხსენებდა
ამბებს მთის და ბარისას...
ხან პატარებს უკითხავდა
ლოცვას ავი თვალისას.

სევდიანი სიყმაწვილის
იმ ლამაზ წლებს ნატრობდა...
"ოხ, რა გოგო ვიყავიო!"
დანანებით ამბობდა.

პატარები ბებოს სიტყვებს
გაოცებით ისმენდნენ...
სად ქრებოდა სიყმაწვილე
ამას ვეღარ იგებდნენ.

კუპრისფერი დალალები
წყვდიადს გადმოეფინა
და ტურების კივილისგან,
სოფელს აღარ ეძინა!

ასწლოვანი კაკლებიც კი
ჩურჩულებდნენ შრიალით.
ქარს ამბავი მოეტანა
და ჰყვებოდა ღრიალით!

შემოპარულ შავ აჩრდილებს
მხოლოდ ძაღლი ხედავდა...
გულსაკლავად ყმუოდა და
ისევ ეზოს ზვერავდა.

საჯინიბოს აწყდებოდნენ-
მოუსვენრად ცხენები...
იდუმალი ღამე იყო,
უცნაური სცენებით!

და მიმქრალი მთვარეც დარდით
ღრუბლებს ეფარებოდა...
ის უცნობი ბებო თურმე,
უფალს ებარებოდა!

წამით ზეცაც გაირინდა
და ჩამოწყდა ვარსკვლავი...
აქ დასრულდა უცნობ ბებოს
ცრემლიანი ამბავი!

ვიღაც იყო ბედნიერი,
ვიღაც იტანჯებოდა,
ვიღაც ზეცად მიდიოდა,
ვიღაც იბადებოდა!..

მზია გუმბერიძე

დედის დარიგება

ნუ დაივიწყებ და ნუ დაკარგავ,
სიტყვას, ჩურჩულით ნათქვამს,
ის დარიგება, შენი დედისგან,
დაიმახსოვრე კარგად.
შენ ქართველი ხარ და ქართველობა,
დიდი ვალია მართლა...
წარსული ბრწყინავს, შენი იმედით,
რომ იქართველებს ხვალაც.
სამშობლო, პაპის სისხლით და ძვლებით,
შემონახული ხატად,
ნუ წაიშლება უნიათობით,
ნუ დაგედება ვალად,
განცხრომისათვის, შენ არ მოსულხარ,
კმარა, ო, ძილი კმარა...
კაცად, რომ გაჩნდი, ჩოხას ნუ არცხვენ,
უნდა გამოდგე კაცად...

თუ ვერ იგმირებ, ნუ დაეცემი,
იდექ ორ ფეხზე მყარად,
კაცი იყავი, იცხოვრე კაცად,
მოკვდი მამად და პაპად...
მადლი ეფინოს მარადის,
ნაკვალევს შენგან ნავალს,
შენს გამო, არა რცხვენოდეთ
შვილებს, ამ სოფლის გავლა...

ქალია სამშობლო

ჭილყვავებისგან ჩამოკენკილო,
სამშობლო ჩემო, გულგამოცლილო,
ღვთისმშობლის კალთით გადაფარულო
და ნინოს ჯვარით გამოლოცილო...

თამარ მეფისგან დამშვენებულო,
ქეთევანისგან რჯულშენახულო,
ქართლის დედისგან გამრავლებულო,
მაიას სისხლით გადანამულო...

დღეს კი ქალისგან დაცლილო სახლო,
რა გჭირს ძვირფასო, ქართველო ქალო,
შენ, ხომ მონობას, არ ხარ ჩვეული,
შენ ალესილო, უღლელო ხმალო,

შენ, ორგულობა არა გჩვევია,
მზისას, მთვარისას ჩამომავალო,
შორენასა და მელანოს სისხლო,
მზეო ლამაზად ამომავალო..

სახლში დაბრუნდით, ქართველთ ასულნო,
სამშობლოს, ოჯახს თქვენ აქ სჭირდებით,
შვილებს სჭირდებით, თქვენ აღსაზრდელად,
კაცებს სჭირდებით გასაღვიძებლად...

თვით მოურავი, დიდი გიორგი,
რუსუდანისგან იყო ძლიერი,
ის იყო მისი, ზურგი და ძალა,
ოჯახის ბურჯი, შნო და იერი...

ყველა დაბრუნდით, სუყველა ერთად,
მთელი ქვეყანა, იცოდეთ თქვენ ხართ,
თქვენ ოჯახისთვის: წყალი ხართ, მზე ხართ,
შვილებდაფანტულ კრუხუნებს გევხართ.

დედაბოძი აქვს, სახლს გამოცლი,
დაცარიელდა სამშობლო ჩვენი,
სახლში დაბრუნდით! ქალებო თორემ
ვეღარ გიცნობენ, შვილები თქვენი,

არა, არ შველის ტკივილს გაქცევა,
ტკივილი მაინც, ყველგან გაგყვება
და მარტოობით, ყველა ტკივილი,
უფრო გტკივა და უფრო მძაფრდება.

სხვა ქვეყანაში, შრომა - გმირობით,
არ იჭედება სამშობლოს ბედი,
ერთად ვიბრძოლოთ, ყველა პირობით,
ჩვენც მივუშვიროთ, ჭირ-ვარამს მკერდი.

სახლში დაბრუნდით, ქართველთ ქალებო,
რომ კვლავ, სამშობლო ავზიდოთ მხრებით,
შემოვუძახოთ და შევაღვიძოთ
ქმარი და შვილი, ვიმშვენოთ გვერდით..

არსად გავუშვათ, შვილები ჩვენი,
მაგრად ჩავკიდოთ სუყველამ ხელი,
ფულის მანქანად, ნუ გადვიქცევით,
რადგან დედები, ვართ უფრო მეტი...

სამშობლოს მიწა, უყვარდეთ მეტად,
ვით ოქრო-ვერცხლის მთა და კლდე ერთად,
რადგან მიწაა მარადიული,
ოქრო და ვერცხლი, არავის შერჩა...

შემოვუნახოთ სამშობლო შვილებს,
ვერავინ იზამს, ამას ჩვენს გარდა,
თუ არ მოუხმო, კრუხმა წიწილებს,
ის შეიძლება, დაფანტოს ქარმა...

ჩემო კარგო ქვეყანავ

ვინ დაგწყევლა, ჩემო კარგო ქვეყანავ!?
სისხში ცურვა, ვინ მოგიძღვნა წილად,
ორპირი და გამყიდველი შვილები,
დღესაც გყავს და მრავლად გყავდნენ წინათ.
ვით, გაზარდა დედამ უმადურები?
ან რამ შექმნა, არ ჩაუდგათ გულები...
ტოტებს ჭრიან, რაზეც სხედან, ფესვებდაკარგულები...
ყველა მხრიდან ჩამოგაჭრეს, ააკვნესეს გულები....

მოგისიეს სვავები და გზა-კვალ არეულები...
ურჯულოებს გზა გაუხსნეს, წაიწყმიდეს სულები,
წინაპრების გმინვა ისმის, დაიჩიჩქნეთ ყურები...
ქართლის ჭირი წაიკითხეთ, ნახეთ, კვნესა ულევი,
ბევრ რამეზე გვიამბობენ, იქ, დავითის შვილები...
დიდ ილიას დარდი ნახეთ, ელეგია გამდნარი,
არ, გვეღირსა გაღვიძება, წავიხურეთ საბანი.
ჭამენ, თქვეფენ ღორებივით, მოუშვიათ ქამარი,
არ ადარდებთ მომავალი, არც წარსული, თამარი,
ისტორია, წინაპრები, მათთვის არის ზღაპარი,
ეკლესია მოდა არის და სანთელი ლამპარი,
ღვთის სახელით გვძარცვავს ყველა, საღია თუ საპყარი...
ან, სამშობლო ვიღამ იცის, საიდან და სადამდის,
კვნესის გული ვეღარ უძლებს, დანას ჩაყრილს ვადამდის,
დაჭრილ არწივს ვერ უშველი, მოღალატის წამალით...
ან, ჩანგური რას უმღერის, მახინჯია სარკე,
შადიმანი ბლომად არის, ამილახვრის კარზე...
ჩოლოყაშვილს წინ გადუდგა, მაყაშვილი გზაზე,
თიმსალმაკო ჭორებს აყრის, მელანოებს თავზე,
შველას ითხოვს დათუნები, ვინ იზრუნებს მათზე?
ვიღას ახსოვს ქეთევანი, დედოფალი ტახტზე,
არ გაცვლილი ურჯულოზე, წამებული ხატზე...
ქართლის დედა, ვაჟკაცურად აღმართული მთაზე,
სისხლი თუ, არ შეისწავლე ვერას იტყვი მასზე,
მიწა თუ, არ შეიყვარე, ვერ იბრძოლებ მასზე,
რუსთაველი თუ, არ იცი, ვერ გაიგებ ასე,
რომ სახელი, სიცოცხლეს სჯობს ტკივილებით სავსეს.

ეკატერინე ციცქიშვილი

მიუწვდომელი

სულში მარტოობის უფსკრულია,
ცალყბად ღაღადებენ ნარცისები...
უხმო რიტორიკა უძლურია -
თუკი სინანულით არ ვივსებით.
სხეულს განცდები თუ არ გაეყო
აღარ დაგვინდობს მუხთალი ბედი,
ყოფიერების მბორგავ ფაეტონს
მაყრიონივით შეუსხამს წლები.
ცნობიერების დამტვერილ ფარდაგს
ააბრიალებს ბრმა ქარაშოტი,
გაჭვალულია სარკმელის დამღა,
მიმოიფანტა მზის დანაზოგი
მიუწვდომელი გრაალის ხილვამ
მიმოაშფოთა გრძნობის ფიასკო...
კოდალამ მერქნის შეწყვიტა ხირხნა,
ცდილობს ბუმბული გააპიაროს!

სიჩლუნგის კასტა

ნასხეპ სამყაროს ჭრილობა მეწვის,
მომძლავრებულა ყლორტების ფეთქვა...
ცვდება სტიქია განსჯის და ხვეწნის,
ხორკლი დაფარავს თავკერძა მერქანს.

ძლივს გადაწონა ტრამალის ფლორამ
ნაბობოქრები ქარის ქომაგი...
კრუნჩხვის სიშმაგე ხოდაბუნს ტორავს,
წუხს სიალალე, ჩალპა ხორაგი.

ყარიბს დაზაფრავს საყვირის სპაზმი,
ვუფრთხი ჩანგრეულ კიბეთა ნაზავს...
მბორგავ ბლანტ მასებს სიობლე აწვიმთ,
წინსვლის ლაბირინთს სიმხდალე კაწრავს.

მცონარ პანსიონთ გულძმარვა ჩაცხრა -
თავდავიწყების მოწყენის ფონზე,
ცალკერძ ბობოქრობს სიჩლუნგის კასტა,
ჩამოასკინტა ფასკუნჯმა კორტებს.

ფიქრის დუღაბი

იმგვარად გვიტევს სნობის ნავარდი-
ვერ გავემიჯნე მთრგუნავ ქარაშოტს...
განწყობავ, ისე შემომაღამდი
ფიქრის დუღაბი უნდა დავაცხრო.
გაყურსულია ძირძველი ბუჩქი,
სახე ეცვალათ ედელვაისებს...
თავს ადვილად რომ არვის დავუხრი -

ვერც სიჩაუქით ვერ ვიხალისებ.
სასაფლაოთა გაჟღენთილ სურნელს
სისხამის სიო მიმოეპკურა...
ნაგაზი მთვარის სილუეტს უღრენს,
არწივი ჭიუხს ზვერავს მეფურად!

გვიხმობს სირენა

არ შეიმჩნიო, რომ არ უყვარდეთ -
განსაკუთრებით დესპოტ ორგიებს,
ო, ვინ არ ილხენს გაშლილ სუფრაზე,
ვინ არ ჩაქოლავს ქუსლით მორიელს.
იცოდე, წამით ეჩოთირები
საუკუნეთა გადმოძახილებს...
არ გაგიკვირდეს ყბედი ჩარჩები -
ვით აქარწყლებენ ცინცხალ სამხილებს.
თანაც მჩხავანა მედროვეები
განადიდებენ ლანდების ლაციცს...
დევის ნაფეხურს მოჰყვა ტბორები,
ფრთა შეეკვეცა გულზვიად არწივს.
ამ გასაოცარ ყოფით დილემას
ისე შეერწყა ზარნაშოს კვნესა,
დღევანდელობის გვიხმობს სირენა
და დილეტანტი ცხვრის ფარას მწყემსავს!

რწმენის კედელი

ვერ იჯეჯილა ნუგეშის სითბომ
ჩამოეღვინთათ გორმახებს ცრემლი;
ნაგვემი სული შენდობას ითხოვს,
მწუხრი ქარაგმულ მოგუდულს მღერის.

ბერმუხამ ღრუბელს დაუცაცხანა,
ფრთებს აგოგმანებს ქროლვა ქარების...
მიჟანგებულა სხვენში შაშხანა,
შეუვალია მზის ნაკრძალები.
აქ ხომ სიკეთე ფესვს ვერ გაიდგამს,
ყამირის მოხვნა ჯერ ვერ შევძელით,
მაგრამ რატომღაც ვამბობ ყასიდად -
არ გაიბზაროს რწმენის კედელი!

კალთის კდემა

თვინიერად მომათბუნა
გოგმან კალთის კდემამ,
დედაშვილურ ნასათუთარს
დაელოცა კერა.
როს მანდილის შარავანდი
ესალბუნა ტატნობს,
დაებედა სულს ნავარდი,
სათნოება ლაღობს..
მერიდიანს მიმოწვდება
დედის ლოცვის ექო,
რაიც გულწრფელ საოცნებარ
სიერთგულეს შეფობს.
აბრიალდნენ კელაპტრები
ნამკობ, ნათაყვანები,
ოი, როგორ მენატრები,
როგორ მეამაყები!

სიმარტივის სიობლე

ვერ ვითავისე მიწის სიფითრე,
საცდურთა ხორხოცს ვერ ვეპაექრე...
გაუტანლობა ცისკენ მიბიძგებს,
ვით განვერიდო მბურძგლავ ნარ-ეკლებს.
ვით ჩამოვფხრიწო ბეცი ნიღაბი
ამაოების უტიფარ ზრახვებს...
როგორ თარეშობს დღეს ეს ჭილყვავი,
ნისლი პირბადის ამანათს ახვევს.
ო, ამ ყველაფრის სიუცნაურემ
დაასნეულა იმედის დვრიტა...
ორჭოფის უსტარს გავამზეურებ
და სიმარტივის სიობლე მხიბლავს!

ფარფატებს ნისლი

მიმოიჩრდილა სხივთა ნაფერი,
ნისლი ფარფატებს კულისებს მიღმა,
სავალალოა განცდა ამფერი,
ვეჯიუტები ჟამსა და იღბალს.
წყვდიადის ფარმა მხარი ჩაქინდრა,
მთვარის სილუეტს ჩაწყდა სიმები,
წარსულ სულების სპეტაკ საფიცრად
უსაზღვროებას ვესიმძიმები.
ბრმა ღრუბლის ფთილა დაძრწის უღირსად ,
ჩაყუჩდა ჩირგვში ნასიმწრი დამღა,
გაუფერულდა გვემა მწუხრისა,
მომდევნო სცენის იხსნება ფარდა!...

ლეილა ჯახველაძე

ტაძარში

სინათლის ბილიკით მივარღვევ ზე-სართულს...
დე, მადლი ფარვიდეს ქვეყანას უფალის!
ტოროლა ცისკრის ჟამს უგალობს მზეს ქართულს,
უმაღლეს განცდებით ბაგეა მდუმარი...
ციდან ჭეშმარიტი იღვრება ნათელი,
ბრწყინდება ტაძარი, ციალებს კანდელი...
- უფალო, მოველი ნუგეშის ნატამალს,
განმრიდე გამოცდა, ვარ წუთის სტუმარი...
და ტაძრის სარკმლიდან:
„ღანი"-დან, „ნალი"-დან, იდუმალ კარიდან
შეირხა კელაპტრის ალი და
ბილიკით, ნაქარგით ქარვისფრად,
ვით ქანდა - ნასხლეტი კალმიდან,
ვითარცა ციერი წყალობა,

გულამდე ჩაწვდენას ლამობდა
(გაისმა ანგელოზთ გალობა)...
უხილავ კარიდან სუფევდა უფალი!..
მე ვიყავ სნეული, ძე ღვთისა - მკურნალი.

ყაყაჩო

ვინ აგიტეხა გულო განგაში,
ვინ მოაბნია ცეცხლი ყანაში?

* * *

უმშვენიერესი სანახავია გიშრის და
მეწამულის ფერთა საოცარი შეხამება,
ზედ, პურის ყანის ლივლივა მზეკაბანი...
ნეტა, რა ძალამ შემბორკა, რად არ ვიჩქარე მის საალერსოდ...
ახლა, ჟამის მიქცევის დროა...
ხელიდან გამომეცალა ქარს აყოლილი,
ქარივით თავნება, ნამდვილი სიშმაგე,
ნამდვილი ვნება!
ყ ა ყ ა ჩ ო -
სიყვარულის ფორმულა...
შორიდან გითვლი მადლობას,
დილის სისხამზე მზის ამობრწყინებისას,
ბუნების ღვთაებრივი სილამაზის
გამონაშუქის, სიცოცხლის წყურვილის
განდიდების, სიამის, აღმაფრენის,
სიყვარულის მადლისმომფენი და ზე-
მაღალი შთაგონებისთვის...
შორიდან გეთაყვანები, შორიდან...
შენი შორი და...

* * *

მოხდება, ზოგჯერ მზეს ედება ოქროს ურდული...
ამ დროს მე ჩემ თავს ვგავარ დასავით და უამრავჯერ
(მიზეზთა გამო),
ტყუპისცალი ვარ საავდრო ღრუბლის,
სუნთქვაშეკრული და შესუდრული...

საგნებს ადგილი ეკარგება, ცაა უნდილი..
ხან უნიათოდ შემაფხიზლებს სიო - ქურდული,
ხან მბორკავს ფიქრი აწეწილი, ხან აბსურდული...
-ეს მაშინ, როცა მზის თვალს ადევს ოქროს ურდული.

***

ისე მომენატრა ფანტელები,
როგორც გამხელილი გრძნობა... წინათ,
იყო იანვარი ფიფქით ნამხილები!
მერე გახელებულ მზესთან იქორწინა...

საგაზაფხულო

ახალნაბადი გაზაფხულის სურნელი დაჰკრავს,
მიწის გულიდან ამოწვდილ იებს!
წიწვების საბანს აიხდიან, მზენასვამ კვირტებს
უფახულებენ თვალებს -მიღმიერს...

დაჟინებული ბილილები დაფართქალებენ,
ხელებს უწვდიან ხევის ლილიებს...

რა იოლია წაკიდება მზის და ყინულის,
ჩხუბობენ ოდით, - საჯილდაო ვერ დაილიეს...

ქარი ქირქილით მოიქროლებს ერთისპირობით,
ახირდება და „ძველ ბიჭივით" ყინჩად იომებს!..
შეუმოსავი გაზაფხულის გულითადობით
თითქოს ასაკი გავიიოლე...

შემოდგომური

ცა აფერადდა დაისური ფერის მანდილით
და ფეხადგმული, მოიისფრო ღრუბლის წადილით...
დაუძველდება ღვინობისთვეს კდემა, ხადილი,
ვაზის ლერწების კოწმაწი, ამ ქარის ქადილით...

დაგოგმანებენ, ღუღუნებენ ეზოს მტრედები.
რაღაცნაირი სიმშვიდეა, თითქო ედემის...
მოიშილიფეს სიჭარმაგის ჭრელი პლედები, -
ჩემი ასაკის ძახველებო, მეიმედებით!

დარბაისლური ბუბუნებენ ქართლის ქედები, --
დაბადებამდე რომ ვაღმერთებდი!

ნურავინ

„ყოველი ხორციელი ბალახივითაა და
ყოველი მისი დიდება ბალახის ყვავილივითაა..."

ნურავინ ინატრებთ მზის ხელში აყვანას,
ნურც ერდო - მაღალზე ნუ გინდათ მაყრობა!
თავს რით ინუგეშებთ, თუკი გვიანია
დასეტყვილ ვარდებზე ბულბულის გალობა?!

ფუჭად, ნუ ინებებთ მზის ხელში აყვანას,
თორემ ჩაგიქვრებათ სულში ალმასები..
ინატრეთ „ზეციურ მანანით" ნაყრობა,
იკმარეთ ფარჩის ნაცვლად ნაკემსი ფლასები.

ნურავინ ინატრებთ მზის ხელში აყვანას,
რადგან ხართ, უმეტეს სინათლის დამტევი...
- და მაინც, მტვერი და მიწა და ფერფლი ხართ,
დადგება ჟამი და დადნება ფანტელი.

***

მსუსხავს შეღამების განცდა -
ჭინჭრის უმკაცრესი ვნება,
თითებს აღარა აქვს ნება...
ხელში გაზაფხული ჭკნება!

ღამე თითბრისფერად დნება,
მთვარე ნელდება და ქვრება,
ქრება ჭოჭმანი და წყდება!
უფლის პარასკევი დგება...

ლაურა სარალიძე

ყვავილებს

დამჭკნარ ყვავილებს ისევ ახსოვხარ,
ისევე დასდით შენი სურნელი,
აქ, ყველგან შენი თვალები მსდევენ
და სიყვარული განუკურნელი.
დრომ ვერ დაკარგა ოცნება ჩემი,
უფრო და უფრო მომნატრებიხარ,
რა შორეული და ახლობელი,
მეხმიანები ტრფობის ველიდან.
ამ მონატრებას ველარ ვერევი,
მკლავენ დღეები ერთურთის მსგავსი,
ამ მონატრებას და ამ სიშორეს,
მე სიყვარულის სიმძაფრით ავხსნი.
დამჭკნარ ყვავილებს დასდევთ სურნელი,
შენი ხელების და მოფერების,
რა სევდიანი ისმის სონეტი,
ამ მონატრების არდაჯერების.

დედა ენა

იავარდით მოხატულო ჩემო ანბანო,
ენავ ტკბილო, ღმერთებისა, ჩემო სამანო,
რამდენ მგოსანს უმასპინძლე, ავან ჩავანო,
ჩემო ენავ, სიყვარულო, ცეცხლის ღადარო,
ვეფხისტყავი აწერინე რუსთველს, სამანო,
ფარნავაზმა მოგანიჭა შენ საანბანო.
მოგვიყვანე დღემდე, ენავ დაუსაბამო,
გვაყვავე და გვადღეგრძელე, ჩემო ანბანო,
მოხატულო იავარდო, ენავ ქართულო,
ჩემო ტურფა იბერია, ვაზო ხლართულო.
იდიდე და იდღეგრძელე, ჯვარით მართულო!
უკუნეთში გვინათებდე, ენავ ქართულო!
გვაზრდევინე ვაჟკაცები გმირთა სადარი!
გვამღერინე იავნანა, ჩაკრულსამანი!
ბულბულებად აგვიმღერე ვაჟა, აკაკი!
იბერია, ქრისტეს ჯვარი, შენი სამანი!
ენავ გმირთა: სოლომონის, მეფე თამარის,
დავითის და ქეთევანის, პატარა კახის!
იავარდო, ენავ ჩემო, უკვდავ ანბანის!
შენ ხარ ჩვენი სიყვარული, სულის სამანი!

ვაი, სამშობლო

დაჩოქებულ ქართველ დედას ცრემლი სდიოდა,
მშობელ მიწის გადარჩენას იგი ჩიოდა,
ქართვლის დედას ხმალი ეპყრა, არწივ ჰყიოდა,
მზე საომრად გამზადილი ცაზე სდიოდა,

პირტიტველა ვაჟკაცები დაბლა ცვიოდა,
სისხლი ძარღვებს მოხეთქილი ცეცხლებრ ყიოდა,
შინა მტერი, გარე მტერი თავზე სდიოდა,
ცოდვა მადლის განკითხვასა არვინ ჩიოდა,
გმირი დედა ქართლისაო ვაგლახ ჩიოდა,
გამგონი არავინ იყო ცრემლი სდიოდა,
ბოროტება იმარჯვებდა, სულ არ ჩიოდა.
წინაპართა ნაპოხ მიწას გული სტკიოდა,
და ვაჟკაცი ვაჟკაცურად ვეღარ ყიოდა,
სულ სხვა ძალა პარპაშებდა, გადადიოდა,
ღამდებოდა, ცაზე მთვარე ამოდიოდა
და ღვთისმშობლის თბილ მიწაზე თურქი ხიოდა,
საქართველო არაგველთა ფესვებს ჩიოდა,
სააკაძის ხმალის ნატეხს შემოსჩიოდა,
ფეხშიშველი თამარ მეფე ომში დიოდა,
ვაჟკაცებო, დედას ცრემლი რატომ სდიოდა?

გმირებს

ათი ათასი ტიტა,
ათი ათასი ვარდი,
რამდენი ცრემლი გვერგო,
ქართველს რამდენი დარდი?
გადათელილი ქუჩა,
გადათელილი ხალხი,
პატარა საქართველო,
გერგო რამდენი თალხი.
ცრემლის მორევი ტბორავს,
ჭირისუფალთა სახეს,
ცხრა აპრილები კმარა,

ცხოვრება გვიგებს მახეს.
მათი ხსოვნისა იყოს,
მათ სიყვარულის დარად,
კმარა ქართველთა ჟლეტა,
სამყარო, მართლა კმარა.

ნუღარ

წყენა გადავფაროთ სიყვარულით,
უკან მოვიტოვოთ აღელვება,
ნუღარ აირევი, ჩემო გულო,
გრძნობა არასოდეს დაბერდება.
სულში ჩაიხვიე იმედები,
თბილად აფერადე აპრილები,
ალბათ არ გაგვწირავს დიდი ღმერთი
და შენც ნურასოდეს დაიღლები.
არა, არ ჩააქრო ნაპერწკალი,
გული სიყვარულით დაიამე,
ჰო, ქარს გაატანე ყველა წყენა,
ღმერთი მოწყალეა, დამიჯერე.
თბილად აფერადე ყველა წუთი,
შეხე, რა ლამაზი აპრილია,
თბილად გაიღიმე, ნუ მოიწყენ,
თორემ გული ისეც დაღლილია.

ისე, უბრალოდ

მე გაგიცანი ისე, უბრალოდ,
ჩვენ დავახლოვდით ისე, უბრალოდ,
ყვავილებს ვკრეფდით ისე, უბრალოდ,
და შენ მაკოცე ისე, უბრალოდ.

მერე გაცივდი ისე, უბრალოდ,
სულ გამირბოდი ისე, უბრალოდ,
მოდი, მომნახე, ისე, უბრალოდ
და დარჩი ჩემთან ისე ,უბრალოდ.

ემიგრანტს

ცრემლი შეიმშრალე, ჩემო ქალბატონო,
გული სიყვარულით თბილად დაიამე,
დარდი არაფერში აღარ წაგადგება,
თავი ასწიე და ისე გაიარე.
მძიმე ჩემოდანმაც უცებ გადაღალა,
სული დაგიმძიმა კარმა ჩაკეტილმა,
დიდმა მონატრებამ ისევ აგაცრემლა,
ამბავი მოგიტანა ჩიტმა მოფრენილმა.
ცრემლი შეიმშრალე, ჩემო ქალბატონო,
ქარებს გააყოლე დიდი მონატრება,
წლებმა ნაოჭები იქნებ მოგიმრავლა,
მალე სამშობლოში ნუშიც აყვავდება.
ცრემლიან ბალიშს ჩუმად ეხუტები,
იქნებ ოკეანემ გული დაგიმშვიდა,
ასეთ მონატრებას ვერვინ შეაფასებს,
მარტი უეჭველად დარდებს აგიშლიდა.
შვილი გენატრება, ქმარი გენატრება,
დედის მოფერება გულში ჩაგრჩენია,
შენი ტკივილები ძალზე მწარე არის,
ასე შენნაირი ნეტავ რამდენია.
როგორ მოგენატრა შენი საქართველო,
როგორ აგიტირდა თბილი აპრილები,
როგორ შემებრალეთ, ჩემო ქალბატონო,
შენი სიყვარულით როგორ დავიღლები.

მაია წიკლაური

***

დამღალა ამდენმა უაზრობამ,
ხალხო, გაახილეთ თვალები,
მარტო ზღვის დონეზე ნუ აზროვნებთ,
სიცოცხლე ძნელია წვალებით,
ვერ ხვდებით თამაშს და სიყალბეს,
გული მეწურება ლოდინში,
დაღუპავს ქართველებს სიხარბე,
მე მხოლოდ ნერვებს თუ მოვიშლი,
რა გჭირს, ქართველებო, არ ვიცი,
ერთი შეჭამანდი გვყოფნიდა,
ყველა თქვენს ჭრილობას განვიცდი,
თქვენთან ჩახუტება მომინდა,
მაგრამ ვერ გავიგე რატომ ხართ
ქართველი ქართველთან პირშავი,
არა გვაქვს მიწები საოხრად

და ნუთუ გულს დარდი არ გიშავებთ!
რისთვის გავიწირეთ არ ვიცი,
თუკი თქვენ ვერ ებრძვით ამ ხროვას,
მე ამ უცხო ტომში დავიწვი,
სამშობლოს არც კი არ ვახსოვარ!

***

დილავ, გათენდი, გათენდი, დილავ,
ოღონდ ღრუბელი არ დამანახო,
ღრუბელო, მეტად ნუღარ დამჩრდილავ,
ქარო ძლიერო, აღარ გამლახო!
მზე მენატრება, მზე და ღიმილი,
არ მინდა ზამთარს რომ შევეწირო,
აღარ მაღვიძებს მამლის ყივილი და
მინდა დღეც და ღამეც მეძინოს!
აღარ ვუყვარვარ დედას და მამას,
ბავშვობის დროს და ზღაპრის სამთავროს,
მძიმე სიცოცხლეს, და მაინც ლამაზს,
მინდა ვუთხრა რომ: -არ დამამთავროს!
არ დამამთავროს, ცოტაც მაცალოს,
ერთი ფურცელი შემრჩა გვირილის,
არ მინდა ყველა ტყვია დავცალო,
არ მინდა ცალად ცაში ყვირილი,
არ დამამთავროს, დრო მომცეს ვნების,
სიყვარულის და ღიმილით ნატვრის,
ვიცი რომ წამის წამებში ვდნები,
მაგრამ დარჩენილ წამებს ვინ დათვლის,
დაუსრულებლად არ დამამთავროს,
ამ სულს ბევრი რამ ოცნებად დარჩა,
რას დავუჯერო, რომელ სამთავროს,

არცერთის გზაზე სინათლე არ ჩანს,
არ დამამთავრო, მუხთალო ბედო,
ისე რომ ჩემთვის არ მოიცალო,
ვიცი რომ შენთვის უაზროდ ვყბედობ,
მაგრამ გთხოვ ცოტა მაინც მაცალო!

***

მეკითხებიან დასევდილი ლექსების მიზეზს,
ნუ ეძებთ მიზეზს, თვით სიცოცხლე მიგზავნის ბწკარებს,
წუთისოფელი წუთს და წამებს დარდებით მივსებს
და უკვე ვიცი რომ სიყვარულს არ გამაკარებს,
მეკითხებიან, მაშ რატომ ვარ ასე ძლიერი,
გავარვარებულ ნაკვერჩხლებზე როგორ დავდივარ,
ყველას თავის წილ ძალას აძლევს ხმა ზეციერი
და მეც ჯიუტად მხრებგაშლილი ჩემს გზას გავდივარ!
მერე რა, თუკი ზოგჯერ მზეშიც წამოუთოვებს,
ზოგჯერ უბრალო წვიმაც ჩემთვის წარღვნის ტოლია,
მოვა ზაფხული, სულს ნესტის კვალს არ დაუტოვებს
და მაშინ ყველა ღრმა მდინარე წყარო მგონია,
სიცოცხლე ავი და კეთილი, ტკბილი და მწარე,
სინანულები, ცრემლები და ეიფორია,
ყველასთვის ერთი დედამიწა, ცა, მზე და მთვარე
ამ ჩემი სევდით შეიცვალოს, არა მგონია.

***

არ შუშდება ჭრილობა, თუმცა ზამთარს გამოვცდი,
არ ნებდება ქარიშხლებს სული ჩემი თავნება,
მელის გაზაფხულები ბრძოლისა და გამოცდის....
როგორ მენატრებიან ჩემი იასამნები!
ისევ ღამე ჩამქრალი მთვარით დაბნელებული,

ისევ გრძელი ლოდინი და დაღლილი თვალები,
გული ჩემი თავნება, ნარ-ეკალს დაგებული...
როგორ მენატრებიან ჩემი იასამნები!
იისფერად ლურჯები, სურნელით მათრობელა...
ისევ ისე თავნება დილას მივესალმები,
სადაცა ხარ, გიპოვი, ვიდრე დამეთოვლება...
როგორ მენატრებიან, ჩემი იასამნები!

***

ვერ დავეღწიე თითებით ფხოჭვნას ქვასავით მიწის,
დამტყდა ფრჩხილები, სისხლს შეერიე, მოშავო მტვერო,
წყალს ვეძებ, თუმცა ერთი პეშვის ამოთხრაც მიჭირს,
მაინც ამოვთხრი, რომ წყურვილი გავიცამტვერო,
მაინც მივაღწევ დასახული მიზნის კენწეროს,
თუნდაც წვეთ-წვეთად დამეცალოს გრძნობის ფიალა,
თუნდაც ჩემს მძიმე საფლავის ქვას რომ მიეწეროს,
ქარიშხლის მერე ფოთოლივით გაიფრიალა!

***

მათე დარბის მეზობლებში,
დააქვს ტყავის ძველი ჩანთა:
-ილო პაპა, რას უჩივი,
გულისა და მუხლის გარდა?
ექიმი ვარ, ალბათ იცი,
წამალს გიწერს უებარსს,
ნუ იდარდებ ბაღჩა ბაღზე,
მეზობლებმა გადაბარეს!
-თამრო ბებო! რას უჩივი?
ქალაქელ შვილს არ ახსოვხარ?
ეგ წამალი არის ძვირი,

ამიტომაც დღეს მარტო ხარ!
შაქრო პაპა! მე მოვედი,
მე ვარ შენი შვილიშვილი,
წნევა გიწევს, ნუ იდარდებ,
ჩემი გული არის თბილი!
არ დატოვებს მათე ბიჭი
თავის სოფელს არასოდეს,
თუ ქალაქში ასე გიჭირს,
მაშინ სოფელიც გასსოვდეს!

***

მაიკონას სათამაშო მტვერსასრუტი უყიდეს,
დროს არ კარგავს, აფუსფუსდა, შუბლიც ნაჭრით წაიკრა,
დედას ბაძავს, აბა რა ქნას, არავის გაუკვირდეს:
-მტვერი, მტვერი, დავიღალე, სურვილები გამიქრა!
დააატარებს მტვერსასრუტს და მამას ცერად უყურებს:
-ვერ გავიგე ამ ფეხბურთის,ხმა მაინც ჩაუწიე!
მამას მისთვის არ სცალია, დამცავი აქვს მის ყურებს:
-ბავშვი მაინც შეიბრალე, თავი ნუ გაუსიე!
მამა ყვირის: მიდი! მასე! არ დაუთმო ეგ გოლი!
მაიკონა ტუჩს იბზუებს:-არ გიყვარვარ მე მგონი,
ერთი ხელში ჩამივარდეს მაგ ფეხბურთის მომგონი!

ნანა ყალიჩავა

ვეღარ ავკინძე

რა ციცაბოა ეს აღმართი და რა საშიში,
მაინც მივყვები, ვითომ გულში დარდს არ ვიკარებ,
შემომეძარცვა იმედები, ვით ხეს ფოთლები და
და შიშველ სულზე ჩემს სევდიან ლექსებს ვიფარებ.

ვერ დავემალე, ცივი ზამთრის სუსხიან დღეებს,
ცივი ხელებით რომ შემიხსნა თეთრი საკინძე.
სადღაც გაებნა, მძივებივით, ნაოცნებარი და
სული ჩემი ხელმეორედ ვეღარ ავკინძე.

შეჭრილი ფრთები

ნეტავ რამდენჯერ დავიკემსო ფრთები შეჭრილი,
ამდენი შხამი ჩემი ნებით რამდენჯერ შევსვა,
ახლა ბედნიერ ქალის როლსაც ვეღარ ვთამაშობ,
ჩამქრალ თვალებში წრფელი ცრემლის გზებიღა შემრჩა.

დიდი ხანია ოქროსფერი თეთრმა შეცვალა,
შემოდგომაა, წვიმა მოდის თეთრი ზოლებით.
მე შევეხიზნე, წარსულ დღეებს და მოგონებებს,
განს რომ მეკვრიან, ცხელი სუნოქვით და გაზმორებით.

გმადლობთ უფალო, ოცნებების განსაგებისთვის,
ახლა ჩემს სხეულს ვიცი ლექსი მოემჭევნება,
იქ ერთადერთი მეგულება თავშესაფარი,
ის ერთადერთი არავისთვის არ მემეტება.

ვედრება

ო გვედრი უფალო, აღარ მიმატოვო,
შენი ჯვრითა და ლოცვით მეცისკროვნე,
შენი რწმენა, ჩემი ტაძარია,
ჩემი სიბრძნეა და ჩემი მეციხოვნე.

მინდა აღსარება გულწრფელად მოგიყვე...
რაც ველარ გითხარი, რაც დამრჩა უთქმელი...
მე მოვინანიე, დუმილსაც დავარღვევ,
და შენთან ვიქნები ბოლომდე გულწრფელი.

ღმერთო, მიკარვე შენი თბილი კალთა,
შენი სიყვარული ლოცვად მაბარია,
უფლისადმი რწმენა, მირონი და ჯვარი,
ჩემი ბიბლიაა, ჩემი ტაძარია!

დამიძახე

ყველა ემიგრანტს

ო! უფალო გევედრები წინაპართა,
ადათ წესი რწმენა აღარ დამავიწყო,
მიწის გულში იმედად რომ გეგულება,
ქართულ ფესვებს არასოდეს არ მომწყვიტო.

სამშობლოა სადაც ვცხოვრობ დავიბადე,
სადაც ფეხი ავიდგი და გავიმაგრე,
მეც ხომ შენი ფესვის ამონაყარი ვარ,
შენს თბილ მკერდზე როგორც ღილი დამიმაგრე.

მე ვამაყობ ჩემი ჯვარით, ჩემი რწმენით,
ჩემი ბრძენი წინაპარი სადაც იშვა,
მომეც ძალა, რომ ცდუნებებს აღარ ავყვე,
სხვაგან ბედის საძიებლად არ გამიშვა.

თუკი ხშირად გული მწარედ მეტკინება,
ჩემს მიწაზე თავშესაფარს ვერსად ვპოვებ,
არ გამიშვა, ამატკიე ჩემი ფესვი,
შემახსენე სხვა სამშობლოს ვერსად პოვებ.

უშენობის სევდას ველარ გადავიტან,
უშენობით კარგად არსად არ ვიქნები.
დამიძახე გთხოვ, დედის ხმით დამიძახე,
თუ ოდესმე ამერია ნაბიჯები...

მანანა სამყურაშვილი

ქ ა ლ ი

ქალი უნდა მზედ ჰყვაოდე,
ვარსკვლავთ სხივები უქარგო,
შენს ქართულ სახეს არასდროს,
იერი არ დაუკარგო.

ლხინს ლხენა მიეც, ჭირს თმენა,
პატიოსნებას ძლიერი რწმენა,
თუ ბაღში მუდამ ვარდნი ყვავიან,
შენც იყვავილებ, გულს მიეც რწმენა.

თუ დაეცემი მიწას მტვრად ქმნილი,
თუ თავზე გხურავს მანდილი ბილწი,
მაშ რად გინდა რომ მოხველ ამ ქვეყნად,
ანდა ყოველ დღე რატომღა იღწვი?

ქალი მწამს პატიოსნებით ზენიტზე მდგარი,
შრომისმოყვარე და თავმდაბალი.
მოკეთისათვის მდნარი და მკვდარი,
სიტყვა ძუნწი და გონად მაღალი.

***

მტერს მტრულად დამხვდურს,ხმალი მუდამ აქვს ალესილია,
მოყვასისათვის გული ყოველთვის ფიანდაზებად
გაფენილია,
ერთგულების რაშს აუწყეტია, უკეთურები დაუწყვეტია,
ჭორისთვის მშრომელს სადა სცალია, გული ბოქლომით
დაუკეტია.
ყველა უგუნურ ბილწთათვის სავალი გზები დაუკეტია,
დროს არ დაკარგავს ароდეს ვინც აშარი და ატეხილია,
პატიოსნების ყველა ბილიკი გულში თამამად ჩაკეცილია.
ისე წარმართე წუთისოფელი, არვინ შეგრაცხოს ჩარეცხილია,
სავალი გზები სუფთა გგქონოდეს, ნიშადურებით
გარეცხილია.

ქ ა ლ ი

ქალი როცა უფლის მადლით
სამზეოზე გამოვიდა,
მან შეუმკო ტუჩ-კბილი და
ვარდნი ბაგეს გადეფინა.

წამწამთა ჩერო შეუმკო,
გიშრის სხივოსან მძივითა,

წარბნი ჩაქარგა ორბისფრთებრ
გაფრენილ წეროთ მწკრივითა.

თვალზე სხივები თამაშობს,
მზისებრ მწველია სხივითა,
მაცდურად მოგვევლინება,
შორს გაგიტაცებს სხივითა.

ისეთ მჭრელ ცელად იქცევა,
მოგცელავს ბალახს მწირადა,
დაგკეცავს დაგაჩანაგებს,
მიწას დაგაკრავს ღილადა.

ბროლის ყელს შეათამაშებს,
მკერდზე შეგიბნევს მძივადა,
სურს გაგითენებს ბნელ ღამეს,
სურს დღეს გადგიქცევს ბნელადა.

მერე ურცხვად და ამაყად
ისე გაჰყვება ბილიკებს,
არავის აღარ მოუსმენს,
აღარც ჭორსა და ქილიკებს.

წუთისოფელო...

წუთისოფელო,ლურჯი მზე
სხივებს მოგაბნევს მკერდზეო,
დროის მანქანას დაჰხარი,
წუთს არ მოაცდენ ჩვენზეო.
არ ვიცი თუ გამწყრალი ხარ!..

ან თუ ბობოქრობ ჩვენზეო.
კომბლებსა ვთლი და ვალაგებ,
გატენილია ჭერზეო.
მგელმა თუ ცხვარი დამტაცა
ველარ გამასწრებს სერზეო,
მტერმა დავლური გამართა,
ჩვენს სულდაჩაგრულ ერზეო...
მელამ მგელი დაიჭირა,
კბილი ჩაასო წელზეო,
კუდს უქიცინებს აწამებს,
მელა ბატონობს მგელზეო.
ლომი სულმდარი გამოდგა,
სპილოს აგლიჯა ყურიო,
სჯა და ბაასი გაცრუვდა,
მოძმეს გამოსდო ყლუფიო
გულზე ბოქლომი დაადო
უბრალო არა,ლუქიო.
ახლა ვერაფერს გავხდებით,
ნაგავი არის ლუქსიო,
ველარ შერაცხავთ პატარძალს
ნიახურს გვერდზე უფსიო.
პრეზიდენტი სოფონიკით
ლობიოს,ბუხარს უზისო,
პარლამენტის სადიდკაცოს,
აქლემი კუზით უზისო.
მარაგი უხვად ჰქონია,
გუანო ცხიმი ჰგონია,
მიხვდით? მოძმენო აქ არვის,
არავის დარდი ჰქონია?!

ია, იაკო პატარავ!..

მარტმა რომ კარი გააღო
და ასპარეზზე გამოჩნდა,
მის საამებლად სალხენად
ია გულის კანკალით გამოჩნდა.

ყინულის ბზარი გაეპო,
შლიაპად ფიფქი დაედო,
წითელი კაბა ჩაეცვა
მარტს ფიანდაზად დაეგო.

ია,იაკო პატარავ!
გული რად გაგიღიაო,
ჯერ ხომ ზამთარი კარსა დგას,
თოვლიც არ აგვიღიაო.

ყინულის ტახტი გააპე,
უმალ ამოხველ ტახტზედა,
სალოცავად რომ შეეედი
იქაც გამოჩნდი ხატზედა.

წითელი კაბა გაცვია
შემოგფრიალებს ტანზედა,
ავი ქალი ვარ აშარი,
როგორ ვიფიქრო ავზედა.

მარტმა ია გულს ჩაიკრა,
სიყვარულის ცრემლები
მან გულზე ჩამოიდინა,
გადაეხვია, იასთან
სურნელში გამოიძინა.

ნათია ჯიმშელეიშვილი

მომენატრები

თუ ბრაზი ვძლიე, სევდიანად მომენატრები,
ხშირად გულსაც კი ავუკრძალავ ფიქრებს მრისხანედ,
შენით ვიწყები, მაგრამ შენით ველარ ვმთავრდები,
რადგან ძარღვებში უშენობის შხამებს მისხამენ.

რა უძლური ვარ, რა სულელი ,რა უსუსური,
ხან მსურს, რომ სადმე თვალი მოგკრა ბავშვობის წამთან,
ხან უშენობას შევეჩვიე, ვარ მარტოსული,
ისე მიყვარდი, შენნაირად არავინ მწამდა.

მზიანი იყო, მახსოვს ის დღე, პირველ შეხვედრის,
მნახე ზრდასრული კოპლებიან კაბის ფრიალით,
თან დაგვყვებოდნენ თბილუსური ძველი ვერხვები,
გვწვავდა სიმშვიდე შენიღბული ჩუმი ტრფიალით...

თუ ბრაზი ვძლიე, ტირილამდე მომენატრები,
გამახსენდება აგვისტოს მზე, რიცხვი ცამეტი,

ეჰ, ნეტა მომცა მე ნიღბები და თეატრები,
ვიარტისტებდი სიყვარულს და არ ვიწამებდი.

***

ვესტუმრე სამყაროს დროებით,
თავად დამპატიჟა უფალმა,
ცხოვრებას ლხინით, სან გოდებით,
მივილევ, სამარეც სულ თან მაქვს.

კეთილიც ვიყავი, ბიროტიც,
ავი, ხან ძალიან სათუთი,
ხან ღია ფერებით მხატავდნენ,
ხან ზედმეტ ფერებით გავმუქდი.

ხან მქმნიდნენ, მძერწავდბენ ვით სურდათ,
ხან თავად ვიქმნიდი სახებას,
თუ ღმერთით შობილი არ უნდათ,
ვაი იმ ყოფით დაბადებას.

გაგსვრიან ტალახის გუნდებით,
თითქოსდა პირს გბანენ შერცხვენილს,
შენ თავის მართლებას უნდები,
დარდისგან ვერადა ვერ ცხრები.

სიკვდიმდე სხვის ნებით იცხოვრებ,
შენზე კი ცოდვა- მადლს წონიან,
უფალო ნეტავი იცოდნენ,
ღვთის შვილი თიხა რომ ჰგონიათ.

თავიდან რომ მზელენ გულდაგულ,
ხელებზე ეს ოფლი იცხონ რომ,
ეჰ, როდის მივხვდებით რომ ყველამ,
საკუთარ ცხოვრებით ვიცხოვროთ.

***

მე შენი ლექსები ძალიან მამშვიდებს,
საცაა წამიღებს მორევში სამყარო,
ვიდრე ასაფრენად ნისლის ფრთებს გავშლიდე,
ლექსებში დამტოვე, ზვირთებიც დავღალოთ.

საშველი არ მივცეთ დაღლას და სიკვდილებს,
ჩვენ უფრო სიცოცხლეს შევებათ სიმხნევედ,
მე რომ დღეს ვმღელვარებ, არ უნდა გიკვირდეს,
რითმებად ავფეთქდეთ, ლექსებში მიმღერე.

რა მომკლავს, რა დამლევს, რა მაქცევს წარსულად,
თვალებში, გულშიაც მუზებით მევსები,
არასდროს, არ ვიტყვით, მორჩა და დასრულსა,
ვიდრემდი არსებობს მუზა და ლექსები.

მე შენი რითმები ძალიან მამშვიდებს,
საცაა ჩამძირავს მორევში სამყარო,
ვიდრე ასაფრენად ნისლის ფრთებს გავშლიდე,
ლექსებში დამტოვე, ზვირთებიც დავღალოთ.

***

დავახურდავე დარდი წვრილწვრილად,
და შევიძინე სიხარულები,
მაშინ, როდესაც ძლიერ მიჭირდა,
და უიმედო დავრჩი სრულებით.

მეც მამწარებდა ერთ დროს ძაგება,
მაგრამ დათმენის ტკივილით ვდუმდი,
რაგინდ დაგღალონ ყეფით ძაღლებმა,
ანდა პირიქით, გიქნიონ კუდი.

შენ შენი გქონდეს მუდამ მეობა,
შენ შენი გზების გეზით სავალი,
სიტყვაზე მჭრელი გქონდეს ზნეობა,
არც დასაფიცი,არც დასამალი.

ჰოდა იყავი ისე მართალი,
როგორც ნათება დილით ცისკარზე,
ჰაერში იყავ სივრცის ამტანი,
და დააბიჯე მყარად მიწაზე.

დავახურდავე დარდი წვრილწვრილად
და შევიძინე სიხარულები,
მაშინ როდესაც ძლიერ მიჭირდა
და უიმედოდ დავრჩი სრულებით.

***

იცი ძვირფასო? წუხელ შეშლილი,
იყო წვიმების კორიანტელი,
შორგზაგამოვლილ გაწუწულ ფიქრში,
ბედი გორავდა, ვით კამათელი.

ახლა საღამოს ცხრა საათია,
არც ისე ბნელი, არც ისე რუხი,
წვიმები აბამს ვერცხლის სიმებს და
ჩუუუუ, შენს ხმას ატანს ცა ჭექაქუხილს.

მიჰქროდა ღამე ქურანზე მეტად,
მიაჭენებდა მტრედისფერ ნაბადს,
შენი უმზეო გამოცხადება,
უფლის თავლაში სიკვდილთან მაბამს.

იცი ძვირფასო, არ გვარგებს ასე,
მონატრებაში დაღლა მუდმივი,
ეჰჰ, ძალა მომცა... უშენო წამებს,
ალბათ ეშმაკებს გადავუთვლიდი.

და მერე ისე ჩაგიხუტებდი,
გაგიჟებით და ისე ძალიან,
თითქოს შეგხვდი და ჩვენი შეხვედრა,
ჩემი სიცოცხლის ბოლო წამია.

ზიზო ბურდული

დაუვიწყარო

არა, არ უჩანს არც ბოლო ლოდინს,
აღარც დასრულდა ეს მკვლელი სევდა...
მოდის და მიდის, მიდის და მოდის,
ელდა და დარდი, დარდი და ელდა.

ფათურობს ქარი, სულის იარა
რომ დამიამოს ხელით, შიშველით,
მე კი, უშენოს, ქარი კი არა,
თვითონ უფალიც ველარ მიშველის.

ჩამოვიბერტყავ მხრებიდან ლექსებს,
და გარეთ გავყრი მთვლემარ იმედებს,
გულს უშენობის დარდი თუ შევხსენ,
დასავიწყებლად თუ გაგიმეტე!

თორელო

თორელო, ახლა ისე ქრის გარეთ,
ძაღლსაც არავინ გააგდებს კარში,
შენ კი სადა ხარ, ქისტეთის მხარე
ამ გულში რამდენ საფიქრალს აშლის.
აი, გაკრთება ტკივილად ის დღე,
შენ რომ იები მაჩუქე გზაში,
და აქამომდე ჩუმად რომ ისხდნენ
მოლოდინები, დარდს ფაფარაშლილს
ჩემზე გეშავენ, ნაბიჯით ჩქარით,
არ მომეახლე ჭიმღაში რადგან...
ვინ იცის, ეგებ მაშინაც ქარი,
ვით ბედისწერა, შენს გზაზე ადგა.
და დაგამგზავრა აბეზარ ავდრებს,
სად მიმავალი, მოსული სითგან...
ჯოყოლა მაინც თუ შეგხვდა სადმე,
აღაზამ ტაბლა თუ გადმოგიდგა.
ქრის... დასასრულიც არ დადგა ზღაპრის,
ჯადოქრის ქოხს ჰგავს უშენო ბინა...
შორს გარდასული ბალღივით გარბის,
გულში კი ათას კაეშანს სძინავს.

ტყვე ჩიტი

არსაით სწყდება ცის კიდეს თვალი,
ლაჟვარდებს ელტვის გული ნაკლული,
ნატვრად ქცევია ფრენა ფრთამალი
და მიები, დილის მზის სხივდაკრული.
გალიის კედლებს მკერდით ასკდება,

(ვინ გაიმეტოს მისთვის წყალობა...)
გული შეუკრავს მძიმე დარდებად,
და ხმით ტირილს ჰგავს მისი გალობა.
მონადირის სახლიდან
აქა-იქ ჩამკვდარი სახლები,
დარდები, ფიქრები ახალი...
ბუხართან გამხდარი ძაღლები,
სუფრასთან აზრები მაღალი.
სარკმელთან მიმინო გამხმარი,
ფიტულად აწვდიან თამადას...
დღეს ჩემი სიზმარი, ამხდარი,
მიმქრალხარ დაისის დარადა.
თვალს გამოუკრთები წამიერ,
მიხვალ და... კვლავ ვეღარ გაბრუნებ,
და მგოსნის ღიმილის მაგიერ,
ოფიცრის ღიმილი მაბრუებს.
მკლავს ჩავლილ დღეების ხსენება
და შენი ლექსები, მწველები,
შენ კი არც ბინდი, არც თენება,
არ გამღვრევს, არ შემეშველები.
და ასე... ტრფიალის ნაპირთან,
ვზი შენგან სამუდმოდ წასული,-
ელოდე, უთუოდ ზღაპრიდან
გეწვევა მზისფერი ასული!

შენს მერე

გადავიღალე ქარებით, წვიმით,
და შორს გავექეც დანისლულ თვალებს,
ვერ დავემალე მარტოდენ ღიმილს,
შენს დაღლილ ღიმილს ვერ დავემალე.
არადა, აბა რა თავში ვიხლი,
შენი ღიმილის ანთებას გზაში,
გულს უშენობის ედება ჭირხლი,
და მარად ხედნის დარდს, ფაფარაშლილს.
არ მსურდი ნახვად, სად არ ვიარე,
ხან ცაში აველ, ხან ქვესკნელს ვეცი,
ვერრა ვუშველე სულის იარებს,
ვერ ჩავანავლე სურვილის ცეცხლი.
და დავიღალე... მიჯნურად ხელად
არ მინდა მთვლიდეს უაზრო ხვალე...
მე გავექცევი ამქვეყნად ყველას,
შენს დაღლილ ღიმილს თუ დავემალე.

შემოდგომა

დღეს ფოთოლცვენა ისე დიადობს...
დგას შემოდგომა გრილი და ჩუმი...
ჩამოიხედე სულში, წყვდიადო,
და შემოდგომის გადაჰყევ დუმილს.

მე უშენოდაც მგვემენ ქარები,
და სიცოცხლისას ვერ ვიკლავ წყურვილს,
დანისლულია ცრემლით თვალები,
დაბზარულია კედლები სულის.

დაჭქრის ველური ლექსების ჯოგი,
ზოგი უმიზნოდ გრიგალებს უხმობს,
თუ ეს სიშლეგე დღეს ღიმილს მოგგვრის,
ხვალ უსათუოდ გატირებს უხმოდ.

დღეს ფოთოლცვენა ისე დიადობს...
დგას შემოდგომა გრილი და ჩუმი...
მე ესეც მომკლავს, წადი, წყვდიადო,
და მოწყენისფერს გადაჰყევ დუმილს.

მე მოვალ

მე მოვალ შენთან, როცა იქნება
ათენგენობის ორომტრიალი,
არ გავწვალდები, ნუ გეფიქრება,
მოვალ „ლურჯაის“ ნალთა წკრიალით.

გზებს გამოვყვები დარდის ამარა,
ღმერთო, ჯვარს მაცვა შენმა მდურვამაც...
გეტყვი, რომ ლამის დამასამარა,
შენმა ტრფობამ და შენზე ურვამა.

შემოვადგები არხოტს ღამეში,
გადმოვჭრი მინდორს ღამისმთევლების,
გიპოვი სადმე ლექსით გალეშილს,
მოვალ და თავზე შემოგევლები!

ივეტა რეხვიაშვილი

***

ქართულ სიმღერას რა შეედრება
ან კიდევ ქართულ ლექსს,
გულში სიმებს რომ ააჟღერებს
და მოგგვრის ლამაზ ცრემლს.

ქართველ თამადას ვინ შეედრება
ქართული სიტყვის ლაზათს,
ქართველის მრავალჟამიერს
ქართული სუფრის ეშხს!

ქართულ სიტყვას და ქართულ სიმღერას,
ქართველის ადათ-წესს
მრავალჟამიერ აწ და მარადის,
მრავალ ათას წელს!

***

სიყვარულია, თავად ღმერთი ამ ქვეყანაზე,
სიყვარულია ცხოვრების გზა და სილამაზე,
სიყვარულია ზოგჯერ ბრძენსაც რომ გააგიჟებს
მაღლა ზეცაში ააფრენს და კვლავ დაანარცხებს.
სიყვარულია ცხოვრების გზა ამ ქვეყანაზე,
სიცოცხლეს ხალისს რომ ჰმატებს და კვლავაც ამშვენებს,
სიყვარულია ფერად ფერებს ,რომ აფენს ირგვლივ,
ყველა დარდსა და ყველა ტკივილს ადგილს რომ უცვლის.
სიყვარულია, ცხოვრების მეფე,
რომელსაც ყველა მუდმივად ეძებს,
თუკი იპოვე ხარ დედოფალი
და თუ დაკარგე მაშინ მხევალი.
სიყვარულია ზოგჯერ გიჟსაც ბრძენად რომ აქცევს,
ატარებს აღმა,მაგრამ გზასაც უცებ უნათებს,
ცხოვრების გზაზე მისდევს მეგზურად
სასწაულებთან ცხოვრობს მეფურად.
სიყვარულია ზოგჯერ მწარედ რომ აგატირებს,
უგზო-უკვალოდ გატარებს და ისევ გაბრუნებს,
გზას დაგილოცავს სამოთხისკენ წადი, იპოვე,
თორემ ცხოვრება მუხთალია შვებას ვერ ჰპოვებ.
სიყვარულია თავად ღმერთი ამ ქვეყანაზე!

***

მე ვერ შევძელი ამ ცხოვრებას შევმატო ფერი,
ავაფერადო, ავაჭრელო ლამაზ ფერებით,
მე ვერ შევძელი მოვაფრქვიო ვარდის სურნელი
და წარმოვსახო ეს ცხოვრება ვარდის ფერებში.
მე ვერ შევძელი ავამღერო ტკბილი ჰანგები,
ქარს გავატანო ფიქრები და გულის დარდები,

გთხოვ მომიტევე უფალო და ჩამჭიდე ხელი,
ნუ მიმატოვებ ნურასოდეს, ნუ დამეხსნები.
თითქოს ცხოვრებამ მომიხურა მძიმედ კარები,
ვცდილობ გავაღო, მაგრამ ვერა, ვერ ვეკარები.
მიმოვიხედე, არსით ჩანდა მკრთალი ნათელი,
იღვენთებოდა და იწვოდა ნელა სანთელი.
მე ვერ შევძელი ამ ცხოვრებას გავუგო გემო,
რომ მიმოვფანტო ირგვლივ მხოლოდ ნაზი სურნელი.
გთხოვ, დამეხმარე, ნუ დამტოვებ უფალო ჩემო
მსურს რომ შევიგრძნო ამ ცხოვრების ტკბილი სურნელი.
მე ვერ შევძელი ამ ცხოვრებას შევმატო ფერი,
ცხოვრებისაგან სიურპრიზებს ხომ თავად ველი.

***

ნუთუ როდემდე? დასასრული არ უჩანს წუხილს,
ნუთუ როდემდე? დასასრული არ უჩანს სევდას,
მზის სხივი გაქრა, ჩამოიქუფრა, ჩამუქდა ზეცა,
რატომ ან რისთვის, არ კითხავთ ნეტავ?

გული გაცივდა, ირგვლივ სუფევს სრული სიცრუე,
გაუტანლობა, სიძულვილი, შური და მტრობა,.
ადამიანი დაიმონა კოჭლმა დროებამ
და დაივიწყა ყველა წმინდა და სუფთა გრძნობა.

აღსდექი სულო, არ დაეცე და არ დანებდე,
არ დაივიწყო საიდან ხარ და საით მიხვალ,
არ მისცე ბოროტს უფლება, რომ სულში ჩაგხედოს
და მისებურად გამოგაწრთოს ანდა გაგხედნოს.

თესე სიკეთე, სიყვარული, სითბო ულევი,
გახსოვდეს მუდამ უფალია შენი მრჩეველი,
გაგითბობს სულს და დაგიამებს გულის იარებს
შენ კვლავ იბრძოლე და ებრძოლე არვის დანებდე
და წინ იარე!...

სულის ძახილი

დავიღალე, ამ ცხოვრებით დავიღალე,
წამიყვანე, შორს სადმე შორს წამიყვანე,
რომ არ ვნახო ამ ცხოვრების მკაცრი სახე
წამიყვანე!... მენატრება ღამით ბადრი მთვარე.

დღისით სიხარულით მნათი სახე,
სიყვარულით და სითბოთი სავსე მხარე,
მაგრამ ვერა, ვერსაით ვერ დავინახე.
დავიღალე!.. იცი? ძლიერ დავიღალე.

წამიყვანე, შორს, სადმე შორს წამიყვანე!
იქ სადაც რომ სამართალი გაიხარებს,
ბოროტებას დაანახვებს თავის სახეს
სიკეთე კი კვლავ მოიმკის კეთილ მარცვლებს.

დავიღალე!.. როგორ ძლიერ დავიღალე,
აღარ მინდა ისევ ვნახო ამ ცხოვრების მწყრალი სახე.
წამიყვანე, შორს, სადმე შორს წამიყვანე.
გამაქანე!...

მე მოვალ შენთან

მე მოვალ შენთან გაზაფხულის მთვარიან ღამეს,
მე შენ გაჩუქებ ბედნიერ წამებს,
სითბოს უამრავს, სიყვარულს ულევს
და გაზაფხულის საამო სურნელს.
ჩვენ შეუერთებთ ერთმანეთს გულებს,
მოგეფერები, მოგიალერსებ და
დაგიკოცნი მაგ ლამაზ თვალებს...
მერე კი თუნდაც მივანდოთ უფალს,
ეს სიყვარული და სილამაზე.
მე მოვალ შენთან გაზაფხულის მთვარიან ღამეს...

***

ფიქრით გავუყვები შარას უსასრულოს,
ფიქრთა დედოფალიც შენ იქნები,
უკან მოვიხედავ ერთხელ უნებურად,
მერე უჩუმრად კი ღამეს შევერევი.
ფიქრით გავუყვები შარას უსასრულოს,
ცრემლით ჩამოვირეცხ დარდებს,
მზესაც გავუღიმებ, სიცოცხლეს ვუმღერებ,
აღარ ვალოდინებ ღამეს.
ფიქრით გავუყვები შარას უსასრულოს,
ცხოვრებას დავხატავ ლამაზ ფერებში,
ცხოვრება მშვენიერია და ცხოვრების ფერხულში,
ყვავილთა დედოფალიც შენ იქნები.
ფიქრით გავუყვები შარას უსასრულოს,
ფიქრთა დედოფალი შენ იქნები...

მაგდა გორგიძე

აპოლონს (დაბრუნება)

სარკალური ანარეკლით სარკეების,
როცა მოვალ ჩემს საფლავთან,
დამამშვიდებს მზერა უცხო სახეების.
სარკაზმული ირონია: მაწიოკებს ცის სამანთან,
რომ, არ ვიცი, სასაფლაო სად იქნება!
მეც მაქვს ჩემი, საკუთარი ჰეროდეა!
ზე – განგებამ მოწყალება თუ ინება,
შეგვინდო და შეგვიწირა ბოლო როკვა, სალომეა.
სალომეა! იმ ცეკვით და იმ რითმებით
საუკუნეებს ახსოვხარ, აღარ ქრები.
ჩემს საფლავთან, (თუმც, არ ვიცი სად იქნება)
მასხენდება სარკეების დარკალული ანარეკლი –
სიძულვილის სიბრალული. და საშველად სიყვარული!
სარკეებში ჩარჩენილი შეფეთება
სულის-სულთან, თვალის-თვალთან
და სხეულის ანდამატთან. მახსენდება, აქ, საფლავთან.

კიდევ კარგი, შენ რომ მყავდი. კიდევ კარგი...
ერთხელ, მეც რომ ჩამოვკარი, შენი ჩანგი.
მახსენდება, აქ, საფლავთან და მშვიდად ვარ!

ნაკუწ-ნაკუწ

რომ არ დაგენანე განცდებისთვის,
ანდა, უფერული ლექსებისთვის..
ახლა, დავჯექი და დროშებს ვკერავ
სადმე, შორეული განედისთვის.
უცხო მოტივები ამოვჭერი,
ნაკუწ–ნაკუწ ჩითის კაბებიდან.
დავჭერი დედის ხავერდებიც,
ატლასიც ბავშვობის ბაფთებიდან.
რომ არ დაგენანე, გასაშოლტად,
უცრემლო თვალების წამებიდან,
ახლა, დავჯექი და დაპირებებს
ვკემსავ არ განცდილი ხარებიდან.
როგორ გადავიტან გახუნებას,
როგორ გადაიტან ამ სიშორეს,
ან, რაღა აზრი აქვს გაჩუმებას,
"ლაზარე" მაინც არ მიშორებს.
რომ არ დაგენანა გასაშრობად,
მიწა, ჩემი ცრემლით დასანამი.
დედაჩემის საფლავს მივუჩინე
ყელში გაჩხერილი სამალავი.
რომ არ დაგენანა საუცხოოდ
ჩემი დუმილი და ძახილები,
საგზლად გუდაში რომ ჩამილაგე

შენი ლოცვები და ქუხილები.
ახლა, დავჯექი და სულ დავჭერი
დედის ნაქონი ხავერდები.
ასე, აღმა–დაღმა ვიწიოკებ,
და მოვალ, როცა დავბერდები.
რომ არ დაგენანე და მასწავლე
სულში აღდგინება სულის მკვდრეთით,
ნაკუწ–ნაკუწ დაჭრილ კაბებიდან
დროშებს ამოვკემსავ ნებით ღმერთის!

ძვირფასო

შენ, ჩემი დილაც ხარ, ღამეც და შუაღამეც..
უჩემოდ, როგორ ცისკრობ და მწუხრობ?!
შენს მზერას, შენს სუნთქვას,
შენს წყურვილს უსაზღვროს,
მუზათა სიშლეგით ვუხმობ.
გონს ვკარგავ!
შევდივარ მუზების ფერხულში
თანდათან ფიცხდება რიტმი.
არც წლებს და არც თვეებს,
დღეებს ან ღამეებს..
საუკუნეებს ვითვლი.
ჩემს ხელებს საშენოდ
ჩავჭიდებ სამყაროს.
შენით დავიურვებ
სიცოცხლის სამ წყაროს –
წყალს, ჰაერსა და მიწას..
ვიცი, მირაჟია ავსება საწყაოს

მაგრამ, ბედისწერა მიტანს.
შენ ვნება არა ხარ!
შენ ცოდვა არა ხარ!
შენა ხარ სიწმინდე ჩემში.
უმანკო, უშხამო, უბიწო ყოფნა ხარ –
სინათლე ადამის გენში.
შენ ჩემი დილაც ხარ,
შუადღეც, საღამოც..
ჩემი ცისკარი და მწუხრი.
სისხლის ყველა წვეთში
სამუდამოდ მყავხარ
და ზენარს მადლობას ვუხდი.

***

ჩემი სახლის სახურავს
მთვარე ქუდათ ახურავს..
იცი, რამდენ სუნთქვას და
რამდენ ღიმილს იფარებს
ბელურების ფრთხიალით –
ჩემი ციხესიმაგრე!

ღამეების სითეთრე,
და ცისკარი წინკარში.
მოლოდინი დარაჯად
დაუკეტავ ჭიშკარში.
ჩემი სახლის სახურავს
მზე ბეჭებზე ახურავს!

სამშვენ – სამკაულებად
ნეტავ სხვა რაღა უნდა:
დოქი – წითელი თიხის,
სუნი – მოხნული მიწის,
წყალი – ძველისძველი ჭის,
თაფლი – ნამდვილი ფიჭის
ერთგულება ღვთის სიტყვის,
და.. არ გატეხვა ფიცის!

ჩემი სახლის სახურავს
წვიმა სიცოცხლედ ხურავს.
ეზო, ღობ–ყორეში
სიყვარული დაცურავს.
ოცნება და იმედი
ჩურჩხელებად აცმული.

ლოცვა, მრავალჟამიერ
ღვთის გულამდე ასული.
ჩემი სახლის სახურავს,
შენი სახლის სახურავს,
საქართველოს "სახურავს"
ღვთისმშობელი ახურავს!

გვანცა იაკობიძე

***

ხან სანუგეშო, ხან სადარდელი,
ირევა ფიქრი, როგორც დომხალი,
მე რომ სიცოცხლეს არ ვადარდებდე,
როგორ ვიქნები, დღემდე ცოცხალი,
როგორ შევძლებდი იმ ტვირთის ზიდვას,
რასაც საჩემო ჯვარი დაარქვეს,
ხანდახან ვყვირი, სისუსტე მინდა,
ხან კი, ვჩურჩულებ, ძალა დამაქვს მე,
სხეულს მაკვდება მოგვის პერანგი,
ადამის მოდგმის ქალის სიმშვენით,
ჩამსაფრებია ეშმა ვერაგი,
მითვლის, თავიდან როგორ ვიშვები,
ბედს ვეგუები ჩანაბარები,
ზეცის თილისმის გამოძერწვა ვარ,
მოდის ჩემამდე დანაბარები,
შენი ჯილდო ხომ, ლალი - ძეწნაა,

ვკეთილშობილობ უფრო ფიქრებით,
რომ სიხარული გამიხდეს ჩვევად,
სულ მეყვარება, ასე ვიქნები,
ნეტავ, ამ ქვეყნად ვინღა კი, რჩება.

***

კაბა მომიქარგეთ ყაყაჩოთი,
მერე ჩამაცვით და გამასვენეთ,
კაბა მენანება სამიწედ და,
თორემ მე რა მიჭირს დამასვენებთ,
ყაყაჩოს ალმური მომედება,
მიწა იბრდღვიალებს ისე წითლად,
მერე ვიცოცხლებ და თუ ვიცოცხლებ,
ყველა დამინახავს შორი გზიდან,
ყაყაჩო, ჩემო არჩეულო,
როგორ გამიმართლე ამ ფერებით,
ჩემთან მოსულო ახლობლებო,
სულ ყველას შორიდან გეფერებით.

მიყვარხართ

დილით, მზის სხივი მიყვარს,
ღამე, კრიალა ზეცა,
ციდან, ვარსკვლავებს ვიყვან,
სიყვარულებად ვკეცავ,
რუ, მორაკრაკე მიყვარს,
შრიალი მწვანე ხეთა,
სამშობლოს გარდა ვინ მყავს,
ერთგული, წმინდა, ერთა,

მეუღლის სიტყვა თბილი,
მადლიერება შვილთა,
თავაწეული ვივლი,
დამმარცხებელი შიშთა,
მიყვარს ცოცხალი დედა,
მამის ცხონებას ვფიცავ,
იმ მარადიულ დღეთა,
მოგონებებსაც ვიცავ,
მიყვარს ჩემი დის სული,
მფარველ ანგელოზს მიგავს,
მიყვარს ჩემი ძმის გული,
ასე ალალი ვის ჰგავს,
წინაპართ სისხლი ჯიშის,
დაღვრილი ჩვენთვის წვეთავს,
არდავიწყება ჯიბრით,
ცრის ჟრუანტელის წვეთად,
ტკბილი უფალი მიყვარს,
და მეგობარი მყარი,
ტანთ შვილიშვილებს ვიკრავ,
ნელ-ნელა გამსდის ყავლი,
ახალგაზრდობა მიყვარს,
ბავშვობა არვის დარი,
სიმართლის ძალი სიტყვა,
ყველა უეკლო ვარდი,
წაშველებული ხელი,
მიყვარს სიკეთე ჩუმი,
და რაც დრო გადის ვხვდები,
სიყვარულს იქით მჩუქნით.

***

ქარი მაგიჟებს მირკანის,
სულს, ბუმბულივით წეწავს,
ღმერთია მოწმე მიყვარდი,
შარშან, გაისად, წელსაც,
შენზე საფიქრალს ვიტანდი,
მექცა, ცხოვრების წესად,
გრძნობებს, არეულს მირკანით,
თავს ვუყრი, ძალად ვმწყემსავ,
მოქროლდები და მიდიხარ,
ვერ დაგემალე ვერსად,
სიყვარულისთვის მინდიხარ,
შარშან, გაისად, წელსაც.

***

ეჭვიანობს? მერე უნდა გიხაროდეს,
ყვარებიხარ, თანაც როგორ ყვარებიხარ,
არ გაოცდე, თუ გაგიჟდა ერთხელ, ოდეს,
სიყვარული ზედმეტობით აერია,
სულ მისი ხარ, უნდა სხვამ არ შემოგხედოს,
არ მოპაროს შენი თვალთა ელვარება,
და არავინ, არასოდეს შემოგბედოს,
ის, რაც ეჭვით დღე და ღამე ელანდება,
ვეღარ უძლებს უშენობას, თუნდაც წამით,
შენ მასში ხარ, მის გულს ჭია გაუჩინე,
ვერ განკურნავ, ვერასოდეს ვერა წამლით,
გული მხოლოდ მოფერებით მოურჩინე,
ნუ გბეზრდება, ეს ზედმეტი ყურადღება,
და ხანდახან ნუ გსურს კიდეც, რომ უარყო,

ბრაზობ, მაგრამ შენს გულს მაინც უამდება,
მას არავის, არასოდეს არ გაუყოფ,
ეჭვიანობს? მერე უნდა გიხაროდეს,
ყვარებიხარ, თანაც როგორ ყვარებიხარ,
ანგელოზნი გიგალობენ, გიხაროდენ,
ბედისწერას არავისში არევიხარ.

***

ნაღდი დედა და ქალი ვარ,
ჩემი გზა ნაიარევით,
ყოველ დღე ვიწყებ თავიდან,
სხვა გზით არ დავიარები,
სევდა მეწვია რბოლაში,
სიხარულს ნაზიარები,
და ბედთან ჩუმად ბრძოლაში,
მეხსნება ღრმად იარები,
იმედმა ძალით მომნუსხა,
ბრმად მექცა დანაპირები,
სიკეთის მარცვალს წყალს ვუსხავ,
არ გახმეს, გასძლოს ძირებით,
გავივლი ასჯერ გასავლელს,
წავიქცევი და ავდგები,
მაინც ვიპოვნი გასასვლელს,
ჩახერგილს დედის დარდებით,
უკან დახევას ჩვეული,
ფარ-ხმალს არ დავყრი მთლად ხელად,
უფლისგან გამორჩეული,
ძველი მუხის ხეც არ ხმება.

გიგა ლაბარტყავა

უკომენტაროდ.....

მე, ყოფილს ვერასდროს მიწოდებ, იცოდე,
ეს სიტყვა, ღვთაებავ, გონიდან წაშალე,
თუ გინდა უკვდავი გენიით იწვოდე,
მხოლოდ მე მომენდე, მხოლოდ მე მაცალე...

ჩამხედე ხატებავ უტიფრად თვალებში,
შეიგრძენ მუზაში სრულყოფა უმანკო,
თუ გინდა თაფლებით მაგ უკუნ მაყვლებში,
უკვდავი გზნება რომ ნებაში უკვდავვყო...

თუ გინდა, რომ შლეგად არღვევდე ალიონს,
ნეტარი,ვნებიან ჩურჩულის ფრაზებით,
თუ გინდა, რომ, ბედის მზაკვრობა არიო,
დამნებდი მხოლოდ მე, სიყვარულს დამნებდი...

დამნებდი მხოლოდ მე, სიყვარულს მაცალე,
რომ ტრფობა უბადლო უკვდავვყო, შეგკადრო,
სიტყვა კი "ყოფილი" გონიდან წაშალე,
ამ სიტყვას გპირდები ვერ მკადრებ ვერასდროს!!!

***

მე შენთან შეხვედრა მეშინია უკუნმაყვლისთვალა
დედოფალო.
ჩემში ტრფიალება შეშლილია და რომ მომახალო
მიყვარხარო,
ვიცი ვერ დაიტევს გული ნებას, ვიცი შეგასკდები სულზე
სულით,
და შენს ცხელ ბაგეზე აფეთქდება, ჩემი შლეგი ბაგის
გაზაფხული.
ეს კი ზღვისფერ თვალებს გაახელებს და მე მოღალატეს
დამარქმევენ?

***

გადაივლის თებერვალიც მალე,
გადასკდება ატმის რტოზე კვირტი
დავაცხრები შენს ბაგეზე ლალებს,
გამარჯობა სიყვარულო-ვიტყვი...
ადუღდება შენს სხეულში ნება,
ათრთოლდება მოდაგდაგე გული,
თითქოს ატამს კვირტი სულ არ ება,
შენ იქნები ჩემში დაკარგული...
მერე ხელში აგიტაცებ ნაზად,
გავუყვები უკვდავების ბილიკს,
და ალერსით შეგახსენებ გზა-გზა,
ჰო საუნჯევ უსასრულოდ ვივლით...

***

"მიყვარხარ"რომ გითხრა - ცოტაა ძალიან,
ამ სიტყვას ო, სულო შეგბედო ვთაკილობ,
ჩემს ნებას იმდენი ქათქათა შარმი აქვს -
ამბოხდა ტრფიალით-ტრფიალი გაკილოს...
ამბოხდა...გადასწვდა დრო-სივრცის სარეცელს,
მომავალს წარსული აწმყოში ებევრა
და თუკი სისრულე ულმობლად გავლექსე,
დე შეძრას სიმართლე უბიწო შედევრმა...
ვერ გხედავ, ვერ გკოცნი, ვერც გიწყობ საუბარს,
გაზაფხულს მივევნე კვირტებად დახეთქილს,
სივრცის და დროს კვეთას არტყია აურა,
როს სული გზნებაში სითეთრეს გახედნის...
ვერ გხედავ... და მაინც ჩემი ხარ, ჩემი-თქო,
ვერ გკოცნი... და მაინც მატკბები ბაგეზე,
ვერ გიწყობ საუბარს რომ მუზა შეგიქო,
რომ ლექსის ბადალი გამანდო ამ ლექსზე...
დაღამდა... კვლავ ფაქიზ ნათელში დაღამდა
და მთვარეს კვლავ ციურ ალერსობს მზის სხივი,
შენს გამო ტრფობაში ბადალი არამყავს,
შენს გამო წყვდიადშიც ქათქათით ვიცინი...
და წარღვნის ზვირთებში ვაღმერთებ სრულყოფას,
შორსა ხარ და მაინც ჩემში ხარ იქამდე,
რომ სივრცე დროს ციურ სარეცლად უხმობს და
მაღზევებს საზღვრებზე უსაზღვროდ მიყვარდე!!!
გათენდა... და ნებას უზადო შარმი აქვს,
ამბოხდა ტრფიალმა-ტრფიალი გაკილოს,
რომ გითხრა "მიყვარხარ"- ცოტაა ძალიან,
ამ სიტყვას საუნჯევ შეგბედო ვთაკილობ!!!

***

მერე რა მიჭირს, რომ არმაქვს სასიმინდე,
მერე რა, რომ არმაქვს არც სახლ-კარი,
სულის სურნელება ისე გავიწმინდე,
გული ტყვეობაში ხელში შევიკალი..
მერე რა მიჭირს, რომ ნება დამეღალა,
მერე რა მიჭირს, რომ ვნება მეხუთება,
ალბათ ნეტარებას ჩემთვის არ ეცალა
და დღეს უკვდავების ლანდად მეხუტება...
მერე რა მიჭირს, რომ ყველა ცოდვა ვსცოდე,
მერე რა მიჭირს, რომ ახლა ვინანიებ,
ვიდრე განკითხვაზე უფალს გავიცნობდე,
ასე ვიგერიებ კალმით პირანიებს...
მერე რა მიჭირს რომ ზოგჯერ არ გამომდის,
მერე რა მიჭირს, რომ ეჭვი მეძალება,
ბრძოლით კვდება განა როსმე ავადმყოფი,
კვდება - რომ იბრძოლოს როცა ეხათრება...
და ჰა, ასეთად ჟღერს სუნთქვის რექვიემი,
აღარც სახლ-კარი მაქვს, აღარც სასიმინდე,
მაგრამ ახლა გავხდი სწორედ ბედნიერი,
რაკი განკითხვამდე თითქმის განვიწმინდე...
თითქმის, თითქმის-მეთქი, თითქმისს-თითქმის ჰქვია,
რადგან რწმენით უნდა ცოტაც გავიჭირვო,
როცა ზეცას სწვდება სუნთქვის სიმფონია,
მერე რა მიჭირს, რომ ... მერერა მიჭირს რომ!!!

***

იცი?! ბეწვის ხიდზე მივდივარ და
მიმაქვს დასახული იმედები,
ერთი უცნაური ბიჭი ვარ და
რას არ მოვედები-მივედები...
იცი?! გადავწყვიტე ლექსის წერაც,
ახლაც ამ სტრიქონებს ვაცოდვილებ,
ისე გადამგესლა ბედისწერამ,
მინდა ჩემს ფიქრებზე დავქორწინდე...
იცი?! სიყვარულიც შემიძლია,
წმინდა, უბადლო და უანგარო,
შურზე მრისხანებაც შემინდვია
როცა დავრჩენილვარ უსახლკაროდ...
იცი?! ცოდვის დენაც გამიბედავს,
ოღონდ საარაკოდ ღირსეული,
უშნო ცხვირიც ბევრჯერ გამიხეთქავს,
კბენაც მიკისრია მგლისეული...
იცი?! სულ არ მხიბლავს ზოგჯერ რამე,
მაგრამ თვით სიცოცხლე მაიძულებს,
თორემ გავქრებოდი ეხლავ და მე
მყისვე მოგართმევდი თაიგულებს...
იცი?! რა ჰანგებზე გიმღერებდი?!
სუნთქვას გიღვივებდი ალერსიანს,
მერე მთელი ღამე ვიცეკვებდით,
ისე როგორც სწორედ ამ ლექსშია...
მაგრამ უცნაური ბიჭი ვარ და
რას არ მოვედები-მივედები...
ისევ ბეწვის ხიდზე მივდივარ და
ლაღი ოცნებებით ვიკვებები!!!

დათო ცაბუტაშვილი –ბოდბისხეველი

***

მომიტევეთ! თუკი რამე გაწყენინეთ,
ჩემი სიტყვა, ვისაც მწარედ მოხვედრია,
უნებლიეთ! იქნებ თქვენც კი მაწყენინეთ,
შემეკითხეთ! გიპააუხებთ, მომხვედრია.

მომიტევეთ! ბეღურებო შროშანებო,
კაკანათი დამიგია, მიტყორცნია,
მშვილდ-ისარი, მოზიდული ირმის შვლისთვის
ოცნებებში! შენს ტუჩებზეც მიკოცნია.

მომიტევეთ! თუ მიმიძღვის ერთი ცოდვაც,
ჩემი სიტყვა, ვისაც ლახვრად მოხვედრია,
მომიტევეთ, გასარტყმელად ჩემი ხელი,
სხვის სახეში, ისევ თავად მომხვედრია.

***

დ-ილიდან თოვლი, ყინვა და სუსხი,
ა-ლიონს ვხვდები, და ვეგებები,
თ-რობით, სიმღერით, მრავალჟამიერ,
ო-რბის თვალებო შემოგეგები.
ც-აზე გამოჩნდა თოვლის ღრუბელი,
ა-ლუბლის ტოტებს, შემოსავს ათოვს,
ბ-ეღურა ტოტზე აბუზულია,
უ-ამინდობით, მზეც ველარ ათბობს.
ტ-ოტს არხევს, ზამთრის ცივი ქარები,
ა-ლუბლის ხეებს, კვირტებს გააცლის,
შ-ევზარხოშდები ვაზის ცრემლებით,
ვ-იცი უფალი, სათქმელს დამაცდის.
ი-ები ისევ აყვავილდება,
ლ-ომი დარჩება, ლომად ისევე,
ი-ს აღარ მოვა, ვინც კი წავიდა,
ბ-ოლო გზა არის, ჩვენიც ისევე.
ო-რა ძნელია, თურმე სიბერე,
დ-ა ვიყო ერთი, ტკბილი მოხუცი
ბ-ოლო ჟამს, მეც ხომ შევეგუები,
ი-ს ახალგაზრდა, მეც რომ მოვხუცდი,
ს-ოფელი ერთი, სოფელი მიწის.
ხ-ალხს როგორც ცხვარი ისე გარეკავს,
ე-ს ის ზარია, რომ ვერ გააცდენ,
ვ-აი, ყველასთან ის რომ დარეკავს,
ე-რთხელ მოხვედი, სათქმელიც ითქვა,
ლ-ურჯი ზეცისკენ თუ გაუდექი
ი-ს აღარ მოვა, თუ მოვა ვინ თქვა.

***

ფიქრი და ოცნება, ერთმანეთის ამყოლია,
მე შენ მიყვარხარ, შენი თავი აქ არ მყოლია,
ქალს თუ უყვარხარ, რა გგონია გამომყოლია,
ეს სიყვარული, საფლავშიც კი ჩამომყოლია.

შენ რო იცოდე, ქალის სიტყვა რა დამყოლია,
მე ის მიყვარდა, მაგრამ გვერდით არა მყოლია,
შენ მას უყვარხარ, შენ ის გიყვარს, ვის ვინც ყოლია
ზოგჯერ სიყვარულს, ის შედეგი არ მოჰყოლია.

შენი სახელი, სიტყვებშია რა მოჰყოლია,
მას კი ოჯახი, შვილებისთვის დღესაც ჰყოლია,
შენ რომ იცოდე, ქალის სიტყვა რა დამყოლია,
ქალს თუ უყვარხარ, რა გგონია გამომყოლია?!

***

შთაბეჭდილებას დატოვებს
გენიოსის და ნასწავლის,
პირს რომ სათქმელად გააღებს
იტყვი ეს რამეს ასწავლის.

შთაბეჭდილებას დატოვებს
პროფესორის და ნასწავლის,
იმ ადამიანს სირცხვილი
უჭკუო ჭკვას რომ ასწავლის.

ასეთი ადამიანი
რა ღირსი არის სასწავლის.
ჯერ კიდევ როცა მშობელი
ელემენტარულს ასწავლის.

თვითდაჯერებულს ყოველთვის
შედარება აქვს ნასწავლის,
ისიც არ უნდა თუ ვინმე
შენიშვნას მისცემს ასწავლის.

შთაბეჭდილება დატოვა
ნასწავლის! აუ, რეკია,
ერთი მოსმენით შეატყობ
თუ როგორ გაურეკია.

***

საქართველოში ქართველი
დღეს ძნელად მოსაძებნია,
ქართული! მხოლოდ მიწაა,
ქართული! მხოლოდ ძვლებია.

რად გვიყვარს სულ პირველობა?
მივიწევთ სადაც ბნელია,
საქართველოში ქართველი
დღეს სანთლით საძებნელია.

საქართველოში შემოდის
სხვადასხვა ქვეყნის ნაცია,

ველარ გაიგებ ვინ არის
ქალი არის თუ კაცია.

ჩვენმა მამებმა, პაპებმა
გზა გაიარეს რა რთულად,
თავი რომ გვეგრძნო ქართველად,
გველაპარაკა ქართულად.

მაგრამ ვერ ვატყობ, დღეს ამას,
ქართველი როგორც იქცევა,
გვრცხვენოდეს ქართლის დედასი,
სირცხვილით თუ წაიქცევა.

რად გვიყვარს სულ პირველობა
მივიწევთ სადაც ბნელია,
საქართველოში ქართველი
დღეს სანთლით საძებნელია.

იქნებ მე ვცდები, სადა ხართ,
ჩვენც გავიაროთ, გზა რთულად,
მომასმენიბეთ სიმღერა
"სულიკო" ისევ ქართულად.

მანანა ჭეიშვილი

სამშობლოვ ჩემო

როცა საღამო მოახლოვდება
გულს ისადგურებს სხივთა ფერები,
ფიქრით მოვივლი მთელ საქართველოს
და უსასრულოდ მოვეფერები.

მოვეფერები მე მის მთა გორებს,
ცისკრის აისს და ღამის დაისებს,
ჩუმად მოვიწმენდ ცრემლიან თვალებს
და ღმერთს ვავედრებ ჩემს ქუთაისლებს.

თვალს ვერ ვუსწორებ მე საქართველოს,
მრცხვენია, მტკივა მისი ცრემლები,
ფულზე გაყიდულ მამულს ვლოცავ და
მის გადარჩენას ღმერთს ვევედრები.

ვერ ვითავისებ ფულში გაყიდულს,
მიწას ქართულს და ზეცას კამკამას,
ნუთუ სატანამ დაგვჯაბნოს უნდა,
შენთვის თვალიც არ დაახამხამა.

ტკივილო ჩემო, მიწავ ქართულო,
ვერ ვიჯერებ რომ ფულში გაგცვალეს
და შვილ მომავალს გზანი მომავლის
ხის ფოთლებივით შემოაცალეს.

საქართველოს მტერს აროს ეძინა,
მაგრამ მტერი ხომ შინაც გვყოლია,
მწარედ ინანებთ დადგება ის დროც
უფალი ხედავს ამ ირონიას.

ბედკრულო ჩემო! უფლის წილხვედრო
კვლავ უფლის ძალამ გინათოს გზები,
შენთვის ვლოცულობთ, უფალს გავედრებთ,
თვალცრემლიანი ემიგრანტები.

ნუ დაეცემი! შენთან ვართ მუდამ,
შენ იარსებებ ულევი წლები!

როცა ამდენს ახერხებენ ვარდები

ამ საოცარ დედამიწის მიწა-წყალზე
სიყვარულიც საოცარი არსებობს,
ადამიანს, ფრინველს, ცხოველს, ყვავილსაც კი,
თუ არ უყვართ, მათთვის მზეც კი არ მზეობს.

როცა დილით მზე ამოდის ცის კამარას
სიყვარულით თვალს მოავლებს აისი,
გულიც ულევ სითბოს ამ დროს გვაგრძნობინებს
რადგან აპრილს თან მოყვება მაისი.

ბაღის კიდეს ამშვენებდა ორი ვარდი,
წითელი და მოელვარე ყვითელიც,
ყოველ დილით შეჰხაროდნენ მზის ამოსვლას,
დაისსაც კი ორივ ერთად მიელის.

შეჰხაროდნენ სიყვარულით ფრინველთ ჭიკჭიკს
და ყოველ დღე ერთმანეთით ტკბებოდნენ,
მათი ცქერით ირგვლივ ყველა ბედნიერი,
დილის რიჟრაჟს სიხარულით ხვდებოდნენ.

ასე ლაღად გადიოდა დღენი მაგრამ,
უცებ გაჩნდა თეთრი ვარდიც მათ გვერდით,
მანაც გრძნობით გადახედა წითელ ვარდს და
უკვე ყვითელს მოწყენასაც ვამჩნევდით.

არ მოსწონდა წითლის ქცევა აღარავის,
რადგან სატრფო მისი მწარედ ტოროდა,
უღალატა წითელმა და ყვითელი კვლავ,
თბილი გრძნობთ თავის მზეს უღიმოდა.

ერთხელ, უცებ აიშალა ცას ღრუბლები
ქარიშხალი ამოვარდა ძლიერი,
დააგლიჯა ხეებს ირგვლივ ტოტები და
ყვავილების ცრემლს ხედავდა ცბიერი .

წითელ ვარდსაც მწარე ცრემლი ადენინა,
თეთრი მიწას გაასწორა მალულად,
მხოლოდ ყვითელს შერჩა ძალა ძლიერი
და სატრფოსთან მიირბინა ფარულად.

მოეხვია, კვლავ ფეხზე წამოაყენა,
გულს ჩაიკრა, შეუმშრალა ცრემლები,
დარცხვენილმა თვალიც ვეღარ გაუსწორა,
მაგრამ გრძნობით შემოხვია ხელები.

ქარი ჩადგა, მზემაც თვალი გაახილა,
ჩიტუნებსაც აუჩუყდათ გულები,
გაიხარეს როცა ისევ დაინახეს,
წითელ - ყვითელ ვარდთა სიყვარულები.

იმ დღის შემდეგ ისევ ერთად ფუსფუსებდნენ,
გააჩინეს წითელ-ყვითელ ბარტყები,
ადამიანს ბევრად მეტი გვმართებს სიბრძნე
როცა ამდენს ახერხებენ ვარდები.

ბედნიერებაც მაშინ აქ არის

აბობოქრებულ ზღვის ტალღებივით
სიცოცხლე უნდა გავდეს ქარიშხალს,
არ შეგეშინდეს უკან მოხედვის
თუ კი გრძნობებმა სევდა განიშნათ.

თუ კი სავსე გაქვს გული სიწმინდით
და სულიც უფლის არის მორწმუნე,

გჯეროდეთ, სევდა ვერას დაგაკლებთ
თუნდაც ცრემლის ღვრა ჩუმად მოგწყურდეს.

ამ დროს ცრემლიც კი სიყვარულია
სწრაფად წამოდექ და არ დაეცე,
გჯეროდეს, გწამდეს უფლისა ჩვენის
და მის ათ მცნებას არსად გაექცე.

სუფთა გულით და სუფთა ხელებით,
ვერას დაგაკლებთ მტერი ვერაგი,
ღვთისმშობლისა და უფლის კალთის ქვეშ
ვერ მოგერევა ქვეყნად ვერავინ.

არ განიკითხო ვინმე ბოროტი,
ის შენგან მაინც ვერას წაიღებს,
ადამიანი შენც მას მოგიძღვნის
რაც თვითონ უდევს მალულად მკერდში.

სიკეთე თესე, არვინ საჭირო,
ჭირშიც და ლხინშიც იყავ მართალი,
გწამდეს, უფალიც შენთან იქნება
ბედნიერებაც მაშინ აქ არი.

მარინა ღონღაძე

იმერეთი

იმერეთი – საქართველოს სამკაული,
ცად აზიდულ მთის სიმწვანის სასწაული,
ხალხი ზრდილი, ტკბილ კილოთი მოუბარი,
შემოგხვდება გაგითბება წამში გული.
იმერეთი–ჩემი დედა, დედულეთი,
სილამაზის, სიყვარულის ჯადოქარი,
წითელ–ყვითელ მარმარილოს ქვით ნაგები,
სანატრელი, მართლაც უფლის საჩუქარი.
გელათი და მოწამეთა გადმოგვცქერის,
აქ, ბაგრატის წმინდა ტაძრის ნაშენია.
ნავენახარს, სათაფლიას, ქვის ძველ ქანებს
დინოზავრთა დიდი კვალი დამჩნევია.
იმერეთი, ერთხელ მაინც თუ არ ნახე,
იანვარში გაკვირტული ვარდის ტოტი,
ჩათვალე, რომ არ დამტკბარხარ ამ ცხოვრების
სილამაზით, სასწაული ჯადოსნობით.

ქუთაისი, საჩხერე თუ ზესტაფონი,
ჭიათურის, თუ ტყიბულის შავი ოქრო,
მოდით, ნახეთ და იხილეთ თვით სამოთხე,
ულამაზეს გიშრის თვლებით, მოდით, მოგრთოთ.
ზვარის წყალით და ნუნისის სასწაულით
განიკურნეთ, მოიარეთ მთა და ბარი.
მოილოცეთ უბისა და ვაკეჯვარი,
ინახულეთ ნოეს დიდი კიდობანი.
იმერეთი - ჩემი დედა, დედულეთი,
იმერეთი - სილამაზის ჯადოქარი.
იმერეთი - საქართველოს სამკაული,
იმერეთი - საქართველოს დედოფალი.

ნებოძირი ჩემი საფიცარი

მენატრება ნებოძირის ტყეები,
პირველწყალი, ბლიხევა და სახატო.
როგორ მინდა შემოვხვიო ხელები
და ჩემს გულში თბილ ფერებად ჩავხატო.

მენატრება ციხაწვერი, კრატერი,
ლაშის თავზე გადმოყრილი ლოდები,
ორტოტიდან გადმომხტარი ჩანჩქერი,
ახლო-ახლო მიწყობილი ოდები.

ბლიხევაზე კალმახების ჭყუმპალი,
საჯიკელას კლდიდან წყალში ჩახტომა,
ტყეში ჭყორის და იელის ვულკანი
ვარდისფერად გალეული ბავშვობა.

მთაში ქედის სალოცავი წმინდა,
ღრუთის წყალის ჟანგიანი გემო,
სუროებით მოქარგული კოშკი,
მენატრები, ნებოძირო ჩემო.

ისევ მიხმობს გიორგი ვაკეჯვრისა,
გვრიმლის თავზე მექაჩება ჯვარი,
ჩემს ტაძარში ზიარება მინდა,
ნებოძირი ჩემი საფიცარი!...

ადამიანთა გულცივობით ვარ ნამცივნები

დაფიქრებული მივუყვები
ძველ სანაპიროს,
მდინარეც ჩუმი დაფიქრებით
წინ მისწრებს, მიდის.
აყვავებულან გზა - გზა
თეთრად აკაციები -
გრძელჩვილფოთლება,
თავდახრილნი, ნაზნი და მშვიდნი.
შემოხვევიან თეთრ ყვავილებს
გუნდად ფუტკრები,
და ისრუტავენ ბასრი ნექტარით,
გემრიელ სურნელს,
უფალი ჩვენი, მცენარეს და
მწერსაც ათავსებს,
აცხოვრებს ასე, სასარგებლოდ
ჩახუტებულებს.

ჩვენ კი?!... რა მოგვდის,
რა გვაცდუნებს ადამიანებს ?!
გაჩენის დღიდან ვღალატობთ და
ვემალვით გამჩენს,
ვერ შეგვათანხმა... ვერ გვარიგებს
ბოღმა და შური,
გამეტებით და სიძულვილით
ვთრგუნავთ ერთმანეთს.
განა, რამდენჯერ ჩავუყვები
ამ სანაპიროს!..
ეს მდინარე კი - გამუდმებით
სულ ასე ივლის...
თუკი ამ ქვეყნად, მცენარეც და
მწერიც თავსდება
ჩვენს შორის რატომ ჩატეხილა
მუდმივად ხიდი ?!
ნუთუ, ამისთვის გაგვაჩინა
უფალმა ქვეყნად,
რომ დღენიადაგ ერთმანეთის
სული ვამწაროთ,
ვერ შევიფეროთ, ვერ შევირგოთ
სიცოცხლე ტკბილი,
გამორჩეულებს ნაცარი და
მტვერი ვაყაროთ?! ...
დაფიქრებული მივუყვები
ძველ სანაპიროს,
აყვავებულან გზა-გზა
თეთრად აკაციები,
მე კი - რას ვიგრძნობ
ბუნების ამ მშვენიერებას,

ადამიანთა გულცივობით
ვარ ნამცივნები...

ნებოძირი

გზა რკინისა, გზად - რკინიგზა,
მიხვეული, მოხვეული,
წიფის გვირაბს თავი გავყავ,
ხრამი დამხვდა მოხეული.
მაღლა მთები, მწვანე მთები,
გადმომხტარი ჩანჩქერები,
სამოთხეში მოვხვდი უცებ,
დაბლა ხრამი, მაღლა მთები!
„მასტერაო“ მიმაქროლებს,
გავიარეთ წიფის ხიდი,
აი, ზვარე და მოლითი,
მერე, სავალი - მოვლითი...
გზა - აღმართი, გზად თეთრი ქვა,
აი, ბოლო ამოსუნთქვა,
აგერ, ჩემი სალოცავი,
ტაძარი დგას ვაკეჯვარი.
ჰა, სოფელიც ცას მიმჯდარი,
მართლაც ციდან გადმომხტარი,
ირმის ყელი, მთლად ცის ძირი,
საოცრება ნ ე ბ ო ძ ი რ ი!
შორდოხანას ფერდობიდან
გადმოგცქერი, თბილზე თბილო,
შენთან მინდა, შენ მიყვარხარ,
ჩემო ტკბილო ნებოძირო!

ერეკლე ჩხაიძე

***

მე, გასროლილი ტყვია ვარ
ყოველთვის მიზანს რომ ხვდება,
მე, ობოლ ბავშვის ცრემლი ვარ
ცრემლი რომელიც არ შრება...

მე, დედა ენის წიგნი ვარ
დღეს არავინ რომ აღარ შლის,
მე, წართმეული მიწა ვარ
მიწა სამშობლოს ნანატრი...

მე, ის ცრემლი ვარ რომელიც
გმირებს უსველებს საძვალეს,
მინდვრის ყაყაჩო რომელიც
სისხლით მოვედი აქამდე...

მე ის შვილმკვდარი დედა ვარ
შვილი რომ ვერ დაიტირა,

და უსაფლავო შვილი ვარ
რომ ვერ ვეღირსე ჩემს მიწას...

მე, გასროლილი ტყვია ვარ
ყოველთვის მიზანს რომ ხვდება,
მე, ობოლ ბავშვის ცრემლი ვარ,
ცრემლი რომელიც არ შრება...

მე, ტყვედ ვარდნილი კაცი ვარ
დროშა რომ ვერ წამიბილწეს,
ჩემს სამშობლოზე ძვირის თქმა
ვერა და ვერ მოისმინეს...

მე შოთას ტარიელი ვარ
აკაკის ბათუ აფხაზი,
მე საქართველოს გული ვარ
გული დაჭრილი მრავალგზის...

გოლგოთას გზა ვარ ქრისტე რომ
ტანჯვით და გვემით ატარეს,
ავაზაკი ვარ რომელმაც
უფალი-ღმერთი ვიწამე...

ემიგრანტის ვარ ცრემლები
შვილის,სამშობლოს ნატრული,
იავნანა ვარ ჩვილისთვის,
დედის ლოცვით ვარ ნაკურთხი....

მე ხვალინდელი დილა ვარ
და იმედი ვარ მომავლის,

მე საქართველოს მიწა ვარ
მიწა ღვთისმშობლის ნაკურთხი.

წვიმა გვეკუთვნის შეშლილ პოეტებს"

გათოშილ თითებს გაგითბობ კოცნით,
და ავამღერებ ღვთიურ სონეტებს,
მოდი წვიმაში ვიცეკვოთ ვალსი,
ხალხი დაგვიყრის ხურდებს-მონეტებს..

სკრიპკაზე უკრავს ვიღაც ბეთჰოვენს
ფეხი ავუწყოთ შტრაუსის ვალსს,
მერე მოცარტი რომ გამაგიჟებს
კოცნას მოვპარავ შენს ტუჩებს მთვრალს...

სულ გამჭირვალე გაგიხდა კაბა
მკერდი მაგონებს ბობოქარ ზღვას,
წვიმა გვეკუთვნის შეშლილ პოეტებს
შეშლილ პოეტებს არავის სხვას...

ვუძღვნი ჩემს ტყუპისცალს
მიყვარხარ თამო "ბავშვობის განცდა"

გახსოვს? ბავშვობა ტალახებში თამაში ცელქი,
პურის რიგებში ნერვიულად ჩამდგრი მამა,
გამოზოგილი სუხარი და გამხმარი თევზი,
ყოველდღე ფიქრი რომ ეს იყო სულ ბოლო ჭამა...

გახსოვს? ბაბუას ყაისნაღით ნაკერი ჩუსტი,
დედის ხელებით დაკერილი პერანგის ჩაცმა,
გახსოვს პირველად გაფრენილი ფერადი ბუშტი,
ჩანგლით დაჭერილ ღორჯოების ხაშრებზე აცმა...

გახსოვს ჩვენი თხა დომნაიას დამსკდარი ძუძუ,
ვერ მოწველილი თბილი რძე და ჩაის სმა ნაცვლად,
დედის ცრემლები როცა შიმშილს მალავდა თითქოს,
ღმერთმა აქცია დედაჩემი დღეს იმ გმირ ქალად...

გახსოვს? შრომისგან გადაღლილი მამის მაჯები,
სხვა სიყვარული სულ სხვაგვარად ცხოვრების აღქმა,
მდინარის პირას შეგროვილი ქვები კაჟების,
გაჭირვება და მაინც ლაღი ბავშვობის განცდა...

ბუხართან ბაბუს მოყოლილი ტკბილი ზღაპრები,
ბებოს ჩურჩხელა, გამომცხვარი ახალი ქადა,
გახსოვს? მამიკოს ნაამბობი ჯარის ამბები,
მეც ჯარისკაცი ჩვენს ბავშვობას ვიხსენებ ახლა...

სოფლის შარაზე ჩამომჯდარი ის მოხუცები,
მენატრებიან წასულები სამოთხის კართან,
ბეღურებისთვის დაგებული კაკანათები,
მერე თამაში ჩვენი ეზოს მყეფარე ძაღლთან...

გახსოვს? ბავშვობა ტალახებში ჩვენი თამაში,
სხვა სიყვარული, სულ სხვაგვარი ცხოვრების აღქმა,
მდინარის პირას შეგროვილი ქვები კაჟების,
გიჭირვება და მაინც ლაღი ბავშვობის განცდა...

"ფიცი რომელიც ჩვენ სამშობლოს წინაშე დავდეთ"

მონატრებული ოჯახი: ცოლი,შვილი და დედა,
მამა ყველაფერს გაგიგებს მამა ყველაფერს ხედავს...
ჯარისკაცი ხარ? უნდა იყო აქ ღირსეული,
დედა–სამშობლოს ფარი ხარ და შენი ვალია,
თავად დრო გახდა დროსთან ერთად დღეს ჭირვეული
უაზრო ყოფით სიცოცხლეც რომ დასანანია...
სამშობლოს გამო ნუ გგონია ასე მოკვდები
ღირს უნდა იყვე ღმერთმა შენი სული მიიღოს,
სიცოცხლეს რომ თმობ ჯარისკაცო შენ იქ ცხონდები
სადაც ვაჟკაცი ვაჟკაცისგან გმირობას ითხოვს...
ჯარისკაცი ხარ შენ გაცვია ფორმა მეომრის
ამ ფორმის ქვეშ რომ ჩვენმა ძმებმა სული დალია,
შენც დააფასე თავგანწირვა შენი მეგობრის
და ღირსეულად მოიხადე შენი ვალია...
ჯარისკაცობა ნუ გგონია ასე იოლი
ჯარისკაცობა ღირსეულთა ღირსი ხვედრია,
ფიცი რომელიც ჩვენ სამშობლოს წინაშე დავდეთ
დაღუპულ ძმათა საფლავებზე დედის ცრემლია...
ჯარისკაცობას ვერ ისწავლი თუ სისხლში არ გაქვს
თუკი ძმის გამო თავგანწირვა არ შეგვძლებია,
დე დავიხოცოთ სამშობლოსთვის და მერე ითქვას:
ჯარისკაცობა, სიცოცხლეზე ბევრად მეტია.

თამრიკო კაპანაძე

***

ჩემო საქართველოვ, შენ ხარ
ჩემი ფიქრი, დარდი, ღელვა...
ჰოი საოცრებავ, ჩემო,
სული, გული მეწვის, ვერ გცნობ,
დარდით, სევდით მტკივა გული..
როდის დაშუშდება წყლული....
ჩვენი მიწაწყალი ტკბილი,
როდის გადაიყრის ტკივილს
როდის გაბრწყინდება მდელო
მტკივა, საქართველო ჩემო...
თუმცა ერთი ვიცი ცხადად,
ჰოი, საოცრებავ ჩემო...
მუხლზე დაჩოქილს ვერ გნახავს
ვერვინ, თუნდაც გცემდეს ხანჯალს..

მხოლოდ ერთი მინდა - არაღეს
ქართველს ქართლის შიში არ ჰქონდეს...
მიწა არასოდეს გმინავდეს,
მტერი ახლოს არ დაბინავდეს...
ბავშვებს სახე ჰქონდეთ მღიმარე.

***

იცი? მონატრება ზოგჯერ გულსაც ცდება,
სულში თავხედურად ჩუმად შემოძვრება,
გული სიყვარულმა თუკი დაიმონა,
ფიქრი მოლოდინით საზღვრებს გადაცდება....
ისე მენატრები, სული ფორიაქობს,
მოდი ჩემთან იყავ, ცოტა შორიახლოს,
შორიდან გიყურებ, ახლოს არ მოგიშვებ,
გულში იმედები კვლავ არ ჩამისახლო....

***

კიდევ ერთმა შემოდგომის უჩვეულო დილამ
ხეებს ფერი შეუცვალა, უსაშველოდ გმინავს,
ქარმა ისე დაუბერა, ტოტი შეარხია,
მიწის პირზე ფერად ფოთლებს დაუდიათ ბინა...

შემოდგომის დილა ვენახს დატყობია,
ყურძნის მძიმე მტევნები ოქროსფერად ბრდღვინავს.....
დაიწყება რთველი შემოდგომის ფერი,
იწურება ღვინო მრავალჟამიერით.....

***

ქალში მომხიბვლელი, მხოლოდ მისი სილამაზე როდია,
მის თვალებში სინაზე და გულში ტრფობის ბომბია....
მის ბაგეზე მხოლოდ ღიმი საკმარისი როდია,
მის გულისთქმას მოუსმინე, ეს ყველაფერს ჯობია....
მის თვალებში დაფანტული გრძნობა მზისა ტოლია,
ქალის გულს თუ კარგად იცნობ, მდარი არვინ გყოლია....
გაფრთხილება მოფერება სულ სჭირდება ქალს,
თუარა და ეს ცხოვრება დაგადებს დიდ დაღს,
სიყვარულის გარეშე ხომ აგებნევა გზა....
მიყვარხარო - უთხარი და გაუღიმე ქალს,
თორემ უსათუოდ სხვა ჩაუკრავს თვალს...
დღე და ღამე მასზე ფიქრი, არ განებებს თავს?
თუ ახლოს გყავს ჩაეხუტე, მოეფერე კვლავ,
ყურადღება არ მოაკლო შენ საყვარელ ქალს,
იცოდე, რომ სიყვარულსაც მარტოობა კლავს.....

***

უფერულ დღეები ალბათ ვერც ამჩნევ,
ჩემ გულს კი სევდა ისევ დაატყვე,
ყოველ წუთს ვითვლი, გულს ვერ ვკარნახობ,
ნეტავ სადა ხარ, მინდა რომ გნახო.....
მინდა გულწრფელი გრძნობა გამანდო,
ჩვენი სიყვარული არვის გავანდოთ,
ღამეა მხოლოდ ჩვენთვის სანდო,
მაგრამ ზოგჯერ ღამეც არაფერს ამბობს...
ღამე ჩურჩულებს, სიყვარულს დარაჯობს,
ჩემში გრძნობები ზოგჯერ განგაშობს,

იცი? ჩვენ სიყვარულს არავის გავანდობ,
მოდი ჩემთან და გრძნობებს შენ გაგანდობ.....

***

ვიცი ჩემთან ხარ, არსად არ წახვალ,
ვიცი, ოცნებებს რომ არ გაფანტავ.
დღეს გაზაფხულის მზემ მომანათა,
ხეებს კვირტები გამოაყარა.....
დღეს გაზაფხულის მზიანი დღეა,
ხეზე ჩიტები შემოსხდებიან,
ია, ენძელა და ყოჩივარდა
ბუჩქებში ნაზად გამოჩნდებიან...
მარტი მსგავსია ლამაზი ქალის,
ხან სევდიანი, ხან მომღიმარი,
შენთან როცა ვარ, სულ მავიწყდება,
შეიძლება მეც ვარ მარტის მსგავსი.....
მარტის ამინდებს დავემსგავსები,
თუკი არ მოხვალ, სევდას გავყვები,
შენზე ფიქრებში ღამენათევი,
ხვალ უფრო მეტად მომენატრები....

***

არასასოდეს არ დანებდე ამ ცხოვრებას... არ გინდა...
მინდა ვნახო შენს თვალებში მზე და ღიმი ბაგიდან.....
არ დანებდე ამ ცხოვრებას! გთხოვ არ გინდა, არ გინდა....
არ წამართვა ბედნიერი ეს ღიმილი სახიდან....

როგორ მინდა, ეს სიტყვები არ წაშალო თავიდან.....
მე ხომ შენი სიყვარული... მაძლებინებს....რა გინდა.....?
არ დანებდე ამ ცხოვრებას უშენობა არ მინდა...

***

წამზომი ჩართული და დაიწყო წუთების დათვლა...
რვა აგვისტოა... ვისი სიცოცხლე შეიწირა, მტერმა
ჯალათმა.....
შენი ყოველი ტკივილი, გულში ისარივით მტკივა.....
უნდა გაუძლო ქართველო, შენ ხომ ძლიერი ხარ.....
ქართველი კაცის დაჩოქება, მტერმა ვერ შეძლოს....
ეამაყები საქართველოს, ყველა ქართველო....
ჯარისკაცებო! სიბას მდგარნო, ტყვიის წვიმაში,
თქვენით ვამაყობ, თქვენითა ვარ სულით მდიდარი!

***

წლები ისე მეპარება სათქმელი რომ აღარ მრჩება,
მაგრამ მე არ მეშინია, თმები თუკი მევერცხლება,
სახეზე თუ მეტი ხალი, ხელზე კოჟრი გამიჩნდება,
გული ისევ ისე მიძგერს, სიყვარული არ ნელდება....
გული არასოდეს, არასდროს ბერდება,
ჩემი გულის ცემის რითმი არ ნელდება,
შევერცხლილი თმები სულ არ მედარდება,
შენს სიყვარულს გული, არასდროს ნებდება....
ჩვენ სიყვარულს, ვიცი, ვერვინ შეეხება,
კიდევ ბევრი წლები ერთად გაილევა,
ვიცი ჩემი გული რომ არ დანებდება,
შენი სიყვარულით წლები გაილევა....

ნინო კიწმარიშვილი

დედავ, ღვთისმშობელო, ნეტარო მარიამ

ჩემს ცოდვილ თითებს უჭირავთ კალამი.
ჩემს ცოდვილ სხეულს მოაწვა გრძნობა და
შენზე ვწერ მოკვდავი, თავხედად თამამი.
შუქმა შენი ჩრდილის ბევრჯერ შემიფარა,
ბევრჯერ მომაპყარი მზერა - ზეციური,
მადლობით აღსავსეს გული ამენთო და
შეგკადრე ხოტბა მე, ამქვეყნიური.
დედაო მარიამ, ჩემო ღვთისმშობელო,
სიტყვებით არ ძალმიძს გადმოვცე გრძნობა მე.
მიიღე ცოდვილის სიტყვების არევა,
ბოდიში ქალწულო, ყველა ჩემს ცოდვაზე.
ვცოდავ უგუნური ხან ფიქრით,
ხან სიტყვით, ხანაც კი ქმედებით, რაც არ მეფერება.
ვცოდავ ყოველ დღე და ზოგჯერ ყოველ წუთსაც,
დედავ, ჩემო უფლის გული მეფერფლება.
ჩვენო ღვთისმშობელო, ნეტარო მარიამ,
ჩემს ცოდვილ თითებს უჭირავთ კალამი,
ჩემს ცოდვილ სხეულს მოაწვა გრძნობა და
შენზე ვწერ მოკვდავი, თავხედად თამამი...

მტკივა საქართველო შენი იარები

მტკივა საქართველოვ, შენი იარები,
აწყმოსაც შევსცქერი, სევდით, შიშნარევი.
ამდენს გადაურჩი, მაინც იარები,
ჩემო საქართველო, როგორ იტანჯები...
წარსულმა გატირა ხშირად,
ცრემლს მუდამ ერია სისხლი,
მედგრად იტანდი მძვინვარს
მტერსა და აიტან ვიცი!
მუდამ ბრძოლით დაღლილს ჩემო,
დღესაც არ გეღირსა შვება,
ყველა გჩემულობს და ცოტა,
მართლა თუ მიგიჩნევს დედად.
მტკივა საქართველოვ შენი,
ყველა სატანჯველი სენი,
ვიცი დაიღალე, მაგრამ
ვაი, რომ ვერაფრით გშველი!

ლ ო ც ვ ა- ლექსად ნათქვამი

არცერთ შვილზე არ მატირო ღმერთო,
არცერთ შვილზე არ მადინო ცრემლი,
არცერთ შვილზე არ მატკინო გული,
არცერთ ჩემს შვილს დაუმოკლო დღენი.
გევედრები, მუხლმოყრილი დედა,
სავსე შიშით, კრძალვითა და რწმენით
გევედრები შენ, სამყაროს მამავ,
დაულოცე ჩემს "სამიცალს" გზები.
ააცილე ბოროტებას ყველგან,

დააფარე მწყალობელო კალთა.
აარიდე ცოდვასა და წყევლას
შენ გაბარებ ზეციერო "სამცალს".
ლექსადთქმული გულმხურვალე ლოცვა
შეისმინე, შენ ცოდვილი დედის,
დაიცავი ჩემი სამი პირმშო,
ჩემს მუდარას საზღვრები არ ერთვის.

თეთრი პეპელა

ცის კაბადონზე ფარფატებენ
თეთრი პეპლები.
თრთიან, ტირიან, განიცდიან
თავიანთ სევდას...
მათ, ხომ იციან ნაბოძები
უფლისგან დღენი,
ხანმოკლე არის, წამიერი
და გული ფეთქავს...
სინანული და ტკივილი არს
მათთვის სიცოცხლის,
თავბრუდამხვევი ნეტარების
ყველა საათი.
კიდევ ერთი დღე მაჩუქოსო,
ჩუმად ნატრულობს
ერთი დღე, თუნდაც მხოლოდ
ერთი საათი.
მთრთოლვარე ხელით,
მოფარფატე თეთრი პეპლის ჩრდილს,
შევეხე, თითქოს ვეხებოდი
სიცოცხლის სიმებს,

ხვალ გათენდება, ისევ ისე
ლამაზი დილა,
თუმცა პეპელა, სამუდამოდ
მშვიდად იძინებს.

სიცოცხლე თოკზე

ბავშვი იბადება, სიცოცხლე ჩნდება.
ვიღაცა კვდება, სახელი რჩება.
დილის გარიჟრაჟი- განთიადს ხვდება.
ღამის ვარსკვლავები-მთვარესთან კრთება.
ისმის მელოდია, ჩუმი, ბნელ ოთახში.
ვიღაც გახვეულა გძელ, თბილ მოსასხამში.
გარეთ ხმაურია, აურზაურია
ამ ბოლოს ცხოვრებამ აურ-დაურია.
ვიღაც მშიერია და თან შიშველია,
თან კი იმას ფიქრობს, როდის მიშველიან.
ზოგისთვის ცხოვრება რა მშვენიერია,
სულ არ ედარდება, სხვას თუ უშველიან...
მუსიკის ჰანგები ირგვლივ იფანტება,
უცბად სიჩუმეა, გოგო იბადება...
ცხოვრება გრძელდება სხვადასხვა ფერებად,
სიცოცხლე, რომელიც ხშირად ჩერდება.
ჩვენი სიცოცხლე თოკზე ჰკიდია,
თოფს გვიმიზნებენ, მსხვერპლი დიდია.
ჩვენი ცრემლებია სარეცხს, რომ ასველებს,
ჩვენი არსებობა, სამყაროს ამშვენებს.
ეს ცხოვრება ხომ ბეწვის ხიდია
ჩვენი სიცოცხლე კი თოკზე ჰკიდია.

გაზაფხული (ჩემი მუზაა)

გესმის, გაზაფხული მოდის,
შემოაბიჯებს ლამაზად.
ხედავ, იებს ასე მორცხვებს,
თავი მოუყრიათ თამამად.
მალე ისევ მოთოვს
ატმის ყვავილების თოვა.
მოდი, გამიღიმე კარგო
ჩვენი გაზაფხული მოვა...
სურვილს გავუშალოთ ფრთები,
მოდი და ჩამკიდე ხელი.
გესმის ეს ბუნება მღერის,
მღერის გაზაფხულზე მღერის...
ხედავ, რომ მიხდება კაბა,
ნაზი, ყვავილების ფერი.
მშვენის და მიხდება, რადგან
კაბა ამ გაზაფხულს შვენის.
ისევ წამოვიდა წვიმა,
შხაპუნ - დამისველდა თმები.
წვიმამ დამისველა კაბაც,
სველი კიდევ უფრო მშვენის...
ამჩნევ, ტყემლის ხეებს ერთად,
როგორ მოუყრიათ თავი.
ალბათ, ქორწილი აქვთ დღეს და
მოდი, მივულოცოთ წამით...
ისევ გაზაფხული მოდის.
ისევ სილამაზე ღმერთობს.
სხვა დროს აბა, როდის ვნახავთ,
იით მიმოფენილ ფერდობს...

სოსო მიქელაძე

ფიქრი დამჩემდა, ლამაზო

ფიქრი დამჩემდა, ლამაზო,
ნაღვლიან, უძირო დღეებში,
გიპოვო, ჩემო ალმასო,
ცაში ავარდნილ მტრედებში.

გიპოვო წუთისოფელში,
ფიქრშიც და ადამიანშიც,
სამჯერ შეხვედრილ უფალში -
მთვარეში სულ - ღამიანში.

შევიგრძნო შენი სიკეთე
მათხოვრის ნათელ ღიმილში,
და ვპოვო სულის სითეთრე -
ყვავილის დაბადებაში.

მინდა გიპოვო ტკივილში,
ხან რომ სიყვარულს ვეძახით,
გულის დარდიან ყივილში,
და ცრემლში ძველი ვენახის.

მინდა რომ აღმოგაჩინო
გარიჟრაჟების ბავშვებში,
რომ დავემგზავროთ, საჩინოვ,
იმედს ქაღალდის ნავებში.

მინდა, რომ გგრძნობდე, სიცოცხლევ,
თუნდაც სიტყვების ღადარში,
ეგ შენი წრფელი სიცეცხლე
მახლდეს საშინელ ავდარში.

ხან მსურს წყენაშიც გიპოვო
და შერიგების კოცნაში,
ხან ლექსით თავი ვიგლოვო -
გადვეშვა ფიქრთა კონაში...

და კვლავ ერთ რამეს გეტყოდი -
სიცოცხლის ტკბილო ნაყოფო,
სულ ამას გთხოვდი, გეტრფოდი,
შენს გულში მარად მამყოფო!

თეთრი გოგოს ამბავი

ჩემსკენ მოდის თეთრი გოგო,
ვისი არის, ნეტავ ვისი?
რამე ვუთხრა? აბა როგორ?!
მომკლავს, ალბათ, დედამისი!

მგონი, კითხვას აზრი არ აქვს -
„ვისი ხარო, გოგოვ, ვისი?“ -

როცა გულით ზეცა დააქვს,
სილამაზის განაგისი.

მოაქვს ვარდის სუნთქვა თბილი,
მყიფე, როგორც ფრენა ფიფქის,
იღიმება, როგორც ჩვილი,
მუზასა ჰგავს გოგო თითქმის.

ვუთხრა რამე? გული მივცე?
მიპყრობს ღელვა მისი მზერის,
ფიქრი იწვის, გულიც მიცემს,
ლექსიც კრთის და სულიც მღერის!

ბოლოს ჩემს ბედს სალამს ვანდობ,
იქნებ წამით მზერა მტყორცნოს,
ვის ვუთხრა ან ვის გავანდო,
ვინმემ გოგო რომ გამაცნოს.

თუმცა სალამს არ მიბრუნებს,
გამოხედვით გოგო ამბობს:
"შენზე, კარგო, ვერ ვიზრუნებ,
ჩემს გულს სულ სხვა გული ათბობს!".

გახსოვს, დედი

ის დრო გახსოვს, ჩემო დედი,
ზღაპარს როცა მიყვებოდი,
გულში როცა მიხუტებდი,
მერე ლოცვას მოჰყვებოდი.

გავიზარდე, რა არ ვნახე,
მაგრამ მგონი იმ ზღაპრის დრო
საგულეში შევინახე,
და სულ მათბობს - ნეტავ იმ დროს!

მაშინ, ალბათ, არ ვიცოდი,
რატომ იყო ასე თბილი,
ეხლა მესმის - შენ იცავდი
ჩემს ძილს, რწმენას მინდობილი.

ბევრი რამე შენ მასწავლე,
დამარიგე და მითხარი,
„თუ ცხოვრება გაგაწვალებს,
მაინც დადექ მართლის მხარეს“.

რამდენ ტყვიას ამაცილე,
რამდენ ტკივილს, მახეს მზაკვრულს,
კვლავ შენს ძალას მინაწილებ,
სიყვარულის გრძნობას ზღაპრულს.

ახლაც ჩემი გამარჯვება
გახარებს და ცაში გაფრენს,
ჩემი დარდი, დანარცხება
ისე გტკივა, როგორც ადრე.

სულ ლოცულობ, რომ მეშველოს,
გულ-კეთილს, თუმც დაუდევარს,
დღეები რომ მედღეგრძელოს,
ბევრისათვის გაუგებარს.

ერთხელ ფიქრმაც ამიტანა
რამდენს შრომობ, რამდენს ასწრებ!

რა ძალა გაქვს ამისთანა,
ზრუნვის ზღვას რომ დაატარებ!

ხან კი უფრო ის მაოცებს,
რა დიდია შენი წვლილი,
რარიგ უსმენს ამ შენს ლოცვებს,
ზენა მრავალგამოვლილი!

როცა ხელი არ გამიშვი,
ვერც დამაგდეს, არც დავვარდი,
იმ საშინლად ბნელ ღამეშიც,
ვიცოდი რომ შენ გიყვარდი.

დედი, დედი, შენ არ იყავ,
რომ შეები ბოროტ სულებს,
ჩემი თავი არ გაუყავ
მგლებს კრავებად გადაცმულებს.

მერე რწმენით, დედი ტკბილო,
ლაღი სიტყვით მამხნევებდი,
„სულ წინ გევლოს, ჩემო შვილო!“,
მეძახდი და მახსენებდი.

რა კარგია, რომ გვყავს ბედად
აზრი ჩვენი სიმართლისა,
ქვეყნად რომ ვართ მე და დედა,
ეს სინათლე სინათლისა.

და ბოლოს კი გითხრათ მინდა
ყველას, ვისაც გათბობთ დედა,
დააფასეთ, რაც გაქვთ წმინდა,
ჩაეხუტეთ ცოცხალ დედას!

ნათელა შაინიძე

ეს ლამაზი სამშობლოა ჩემი

იალაღზე შეფენილი ფარა,
ცის თაღებზე მიბჯენილი კლდენი,
ამას ყველას თვით უფალი ფარავს,
ეს ლამაზი სამშობლოა ჩემი.
ამწვანებულ კორდებსა და ფერდებს,
მზე დაჰნათის თაკარა და მწველი,
აქ ხომ გული არ მღეროდეს, ვერ ძლებს,
ეს ლამაზი სამშობლოა ჩემი.
მთის ტატნობზე მობიბინე დეკას·
თვალს უსწორებს მოსეირნე არჩვი,
ამ სიმდიდრეს შირაქსა და ელდარს,
არაფერზე არასოდეს გავცვლი.
აქ ლამაზი მთებია და მიყკარს,
აქ ჰაერი პურზე მეტად მკვებავს,
განა უნდა ამას ფიქრი დიდხანს?
რომ აქ არი სამშობლო და დედა.
აქ ჩამესმის სალამურის სტვენა,

შეყვარებულ კაცისა და მწყემსის,
აქ ისწავლი ბულბულების ენას,
ჩემ სამშობლოს ვერაფერი შეცვლის.
აქაურ წყლით დავიოკებ წყურვილს,
მე შორიდან მომავალი მგზავრი,
ჩავიხუტებ, ავისრულებ სურვილს,
თან დამყვება ჩემი ქვეყნის ჯავრი.
იალაღზე შეფენილი ფარა,
ცის სილურჯე და სიმწვანე კორდის,
თვალი უცქერს, უხარია მარად
და გრძნობებიც თავისთავად მოდის.

ჩემო სამშობლოვ

ჩემო სამშობლოვ ჩემი გული ხარ,
ჩემი ბაღი ხარ, ჩემი ედემი,
ჩემი მუდმივი სიყვარული ხარ,
ჩემს გულს მარად რომ ხავსად ედები.
ჩემი სუნთქვა ხარ, უშენოდ მიჭირს,
ძნელად გამეხსნება სხვაგან ფილტვი,
შენს გულში მინდა მუდამ ვსახლობდე,
შენთან მინდა და მე შენსკენ ვილტვი.
ჩემი დარდი ხარ,გულისტკივილი,
ჩემი დედა ხარ, დედის ძახილი,
რამდენჯერ დაგჭრეს,გადინეს სისხლი,
რამდენჯერ ჩაგცეს გულში მახვილი.
რამდენჯერ გაგყიდეს ,,შვილებმა",
ვერაფრით ვერ აივსეს ქისები,

მიკვირს ეს ქვეყნის გამყიდველები,
როგორ დადიან ვითომ ღირსებით.
ბევრჯერ გიღალატეს, ურჯულოსთან,
სულ დაგყვებიან შადიმანები,
გამოიხედეთ ვინც ძმებს ღალატობთ,
ვაჟკაცნი თუ ხართ რად იმალებით.
ახლა გარეშე მტრებზედა მეტი,
შინ მოგვიმრავლდა გამყიდველები,
ერს ღალატობენ, მერე უფალთან,
აპყრობილი აქვთ ვითომ ხელები.
უცხოს უძმობენ, შენ კი გყიდიან,
სულ არ ანაღვლებთ შვილმომავალი,
რას დაუტევენ შთამომავლობას,
მათთვის ფულია ყოვლად მთავარი.
ჩემო სამშობლოვ როგორ მტკივიხარ,
მინდა ტკივილთა ვიყო მალამო,
ნუ გაჩერდები, წერე და წერე,
მამულისათვის ჩემო კალამო.

დედებს ნუ აატირებთ

ამისთვის გზარდა დედამ?
ამისთვის გზარდა შვილო?
ცრემლი მოგვარო თვალზე,
ბალღივით აატირო?
რატომ იყიდები ვერცხლზე,
რატომ აღარა შვილობ,

ფული რად გიყვარს ასე,
მის შოვნას ასე ცდილობ.
დედა გმირად ხომ გზრდიდა,
შენ არ გამოდექ გმირი,
ამიტომაა დღეს დედა,
მუხდაჩოქილი ტირის.
უცხო მტარვალთა თვალწინ,
დედას რად არ აფასებ?
შენს ჯამში შენ რომ აფურთხებ,
სხვა რაღას დაგაფასებს.
თუ თქვენი დედა არ არის,
თქვენც ხომ ხართ ვინმეს შვილი,
რა აქვს მნიშვნელი ვინ არი,
ეს ქართლის დედა ტირის.
ნუ აწყევლინებთ დედებს,
თავის გაჩენის დღესა,
მათ ყველაზე მეტად ესმით,
მამულის გულის კვნესა.
ჩვენი დედები ყოველთვის,
მამულს უზრდიდნენ შვილებს,
დღეს კი ლაჩრობისთვის
დედებს ისევ ატირებთ.
ნუ გაუყიდით ქვეყანას,
შვილმომავალს და შვილებს,
და ქვეყნის ღალატისათვის ,
დედებს ნუ აატირებთ.

"გიორგი "ბრწყინვალე

შენ გააბრწყინე საქართველო, გაამთლიანე,
შენ დროს კანონიც იყო მორჩილი
ახლა ცრემლი სდით ადამიანებს
დარდის ცრემლებით გულშემოსილი.
შენ უძლეველი მეფე "ბრწყინვალე"
ზუსტი საზომით ზომავდი სავალს,
იხდიდი ქვეყნის წინაშე ვალებს
და ვერ ხედავდი სხვა გამოსავალს.
ერის დიდების წყურვილი დიდი,
დაუოკებელ წყურვილად გკლავდა,
გაამთლიანე, დაუბრუნე "ძველი დიდება"
და გაფიქრებდა გამყიდველთ მალვა.
ვითარც არწივი გულში დაჭრილი,
ქვეყანას წვეთ-წვეთ სისხლი სდიოდა,
ქვეყნისა ფიქრი ცამდე აჭრილი,
გაწუხებდა და სული გტკიოდა..
მოღალატენი ქვეყნის დიდებას,
თხუნელასავით უთხრიდნენ მიწას..
არც გიფიქრია სისხლღვრის გადიდება,
ვერ იმეტებდი შენს დასაფიცარს..
და ამიტომაც იქ, ცივის მთაზე,
მსახურთ ნადიმი გააშლევინე..
რომ არ ეპარპაშათ დედამიწაზე,
იმათ თავები დააყრევინე..
შენ დაუბრუნე საქართველოს "ძველი დიდება",
ნეტავ იდესმე ჩვენი ერი კვლავ გაბრწყინდება?

მთვარისა ფუხაშვილი-კევლიშვილი

სანამ ეს ქარი

მითოხარიკობს დროის გზაზე სულის იაბო
სვენებ-სვენებით, წერტილ-მძიმით, მრავალწერტილით...
და არილივით ფიქრის მთაზე სხივი კიაფობს
ამ უკუნეთში შვერილივით ამოწვერილი.
გებოდიშები მერამდენედ, ჩემო არსებავ,
ყველა უჯრედი დილის ნამით რომ ვერ გიპკურე...
ვერ გამოვძერწე თიხისაგან, რაც დროს დარჩება
აუმღვრეველი, ყინვაგამძლე და საგურგურე.
დროს ციფერბლატზე წუთი წამით მიერეკება,
მოვა ტკივილი ზამთრის სუსხის, მაშინებს რაიც...
დაოკდი, სუნთქვავ, სულ ცოტა ხნით შევრჩეთ, ეგება,
უარტახებოდ, უხუნდებოდ ამ ღამეს მაინც!
შევიყოლიე თავი ტკბილი ფიქრების წეწვით,
რაღაც, კარგი არ გამოვიდა დღეის ნაქარგი...
და უამინდო, ორჭოფული ღიმილით ვხვდები
მზის სხივს, შებოჭილს მოღუშული ღრუბლის მაქმანით.
ვერ ვაგიზგიზე მერყეობით გრძნობის ბუხარი,
აი, ეს ლექსიც უიმედო ბგერით დავიწყე...
იმ სააქაოს, იმ საქვაბეს, მე რა ვუთხარი,

სადაც ერთ ფიცრულს, სულმოსათქმელს, ვერ ითავისებ!
მეწვის თვალები და ბეჭებზეც ეს ნამზეური,
შორს ჩემგან, ფიქრნო, უამურნო, სულს რომ მიმყაყებთ!
ჯერ აქ ლასლასებს უბადრუკი ჩემი სხეული,
წესების დარად მოარული...მიწის მიყრამდე!
ქარიც რას უნდა დაეღალა, მაჯრამ დაღლილა,
ვერც ნისლმა ჰპოვა ფეხთსამოსი, თავისი სარგო...
რად არ გამომდის მეც სხვებივით, ღმერთო, ადვილად,
სტრიქონებს შუა ღურჯთვალება იები დავრგო!..
ეჰ, ქარო, ქარო, მებრალები, მოსთქვამ თუ რაა,
დაჭრილ ლომივით რომ ღრიალებ, ტირიხარ ვერ ხომ?
შენი ზუზუნი, იქნებ, სასოწარკვეთის ხმაა
და აღარ იცი, ჩუმ ტკივილებს რა მოუხერხო...
მაყრის სახეში ქარი მტვერს და ამ ქაოსს ისევ,
დარდი აქვს, რა ქნას - დამალულიც, დაუმალავიც...
რად ვერ დამათრო გაზაფხულმა ერთხელაც ისე,
გადამელახა / აკრძალულიც!/ ყველა სამანი?
ნუ მთხოვთ, მიყვარდეს განურჩევლად სწორიც და მრუდიც,
ვერ ვაკოწიწებ მთლიანობად ნამსხვრევ-ნატეხებს...
არ არის ჩემი ის სამყარო, სადაც მზეს გული
ატკინეს, სადაც ვარსკვლავს ქიმი ჩამოატეხეს.
ვხედავ, ჩინ-მედლებს მიელტვიან მძაფრი სურვილით,
თუმცა, კი ვიცი: დროს შერჩება მხოლოდ საჩინო!..
გამოცურდება ღრუბელ-ღრუბელ ოქროს ბურთივით
მზე, რომ მინდვრებზე გვირილები გადაარჩინოს!
ქარს წვიმა მოჰყვა, გამყინავი ხმებით ამღერდნენ,
ვწმენდ ამ ხელებით სარკმლის მინებს, სევდით
დაორთქლილს...
სანამ ეს ქარი, ვით ძველ ღობეს, შემოგარღვევდეს,
აქ დასარჩენი ერთი ლექსი მაინც ამოთქვი!

დრო სათქმელს ამბობს

დრო სათქმელს ამბობს-იმგვარს და ამგვარს-
ხან კი ისე, რომ-გაგეცინება...
თან ჩემი წილი სივრცეც ვერ დამაქვს
და არც ვინმესთან მაქვს შეცილება.
არ მინდა, სევდა შემოვიწოლო,
ვუგანე უკვე მუქ ფერთა გამებს...
ვინც ორგულობით სუნთქავს, წიწოლობს,
ქარს შევატოვე და... სხვა კარს ვაღებ!..
დავტოვე ის გზა და ის გოგონაც,
ნაწნავებ-კიკინ-დალალიანი...
დროის ბორბალი მიგორ-მოგორავს
ბედის ბურთივით, ოხერ-ტიალი.
ვერც იმ ხანაში და ვერც ამჯერად
ნაჩუმათებს ვერ ვეყმე სურვილებს;
დღემდე წესების მე, ვერდამრღვევმა,
ცხოვრებას წინ ვერ გადავურბინე.
რას არ მივცემდი, მალულ კადრების
აელვარება რომ განმეორდეს;
თოვლის პეპლების ერთად აფრენის
შრიალი მეგრძნო რომ ხელმეორედ.
ჟამთა სიმძაფრე ყველა სიმს მილტობს,
ეჰ, ვერ ვეახელ ბიჯითაც კბოდეს...
ებღაუჭება ფოთოლი ხის ტოტს,
ბებერი ყუნწით, რომ არ ჩამოწყდეს...
გულო, ასეც ნუ გადაირევი,
შენ, მითუმეტეს, სულო, რა დაგლევს...
ა, ტანწერწეტა მზესუმზირები
ზეცის უბეში ითრობენ თავებს...

მე და ლექსი

ხმები, უჩინო, როდემდე ვმწყემსო,
ამოვისუნთქებ რამდენჯერ კიდევ?
მოუსვენრობა შემყარე, ლექსო,
ნატვრის ჭრელ ხეზე კვლავ სურვილს ვკიდებ.
დილიდან ვშფოთავთ, შენ გარ-გარს მივლი,
პწკარების ბგერებს მსვრი ნამცეც-ნამცეც,
სულში მიძვრები და ფიქრთა ლივლივს
ამიდგაფუნებ, საქვეყნოდ გამცემ...
შენ ჰორიზონტის იქით მიქრიხარ,
მე ქვემოთ მოვქრი, სახეშეშლილი...
შენ ამ ცის ლურჯი კდემის შვილი ხარ,
მე - მიწისფერი სიურცხვის შვილი...
შენ ტკივილების მალამოს მაწვდი,
მე კი იარებს უფრო ვიღრმავებ-
ამ მადლის ღირსი, იქნებ, ვარ არც კი
და დამამუნჯოს ჩემმა სიბრმავემ.
შენ სხივს გაფრქვევდა ნაზი ევტერპე,
მე აქ მჯიჯგნიდა ყოფის უღელი,
ზეცის კაბადონს ხილვა შევბედე,
ამის ცდუნებას ვერ გავუძელი...
ვით დიონისე, მათრობ დილიდან,
სიფხიზლე ჩემში ბანგმა ჩაშალა...
სულში მიძვრები და ფიქრს, ლივლივას,
გამომტყუებ და მოსდებ გზა-შარას...

რას მოთქვამს ქარი?

რას მოთქვამს ქარი? მისმა ზუზუნმა
გაკვეთა ფიქრი, დარდის ამყოლი...
შემომნახვია სულში უზურად
სხივი, ციცქნა და ბნელში გამყოლი...

რას ვმარჩიელობ, ფიქრის კიდობანს
კვლავ ძველმანებით თუ ამოვავსებ?..
მიკეთებია, რაც არ მინდოდა
და თვითონ, თვითონ ვირევდი რამსებს...

თუმც, მოვისხიპე რამდენჯერ ცელით,
მაინც ჯერ აქ ვარ... ხორცთან გაყრამდის!..
უსველებს წამწამს ტკივილებს ცრემლი,
ყელში ბურთივით გადასაყლაპი...

რას მოთქვამს ქარი?
რას მოთქვამს ქარი?..

***

მოკლედ, ეს მე ვარ!
გითხრათ მეტი რა -
მინუს-პლუსებით,
მატებ-მაკლებით...
ჩვეულებრივზე ოდნავ მეტი ვარ.
უჩვეულოზე-ბევრად ნაკლები...

დავით შენგელია

***

როცა ღიმილიც არ ჰშველის დარდებს,
როცა თვალებით არავის ეძებ,
არც ვარსკვლავების დათვლა გინდება,
არც მდინარეში არ ისვრი კენჭებს.

და მაშინ როცა ფიქრებარეულს,
არ შეგიძლია განცდები მართო,
ყოჩივარდებით დაწნულ გვირგვინებს,
მუქ ტალღებს ატან უმისამართოდ

გამთენიისას დასვენებულზე,
სუსტი ნიავიც გრიგალად იქცა,
ღამენათევი ლანდად ქცეული,
გრძნობ რომ რაღაცა ახალი იშვა.

...პარადოქსები

ჯერ ეპილოგი შედგა ჩემში და,
პროლოგი მერე დაწერა ბედმა,
ჭადრაკშიც ენდშპილს ვთამაშობ თავში,
და დებიუტით ვამთავრებ სპექტაკლს.

მე დავიბადე მოხუცი თითქოს,
ჩვილად სიბერე მერგო მე ბედად,
სიყვარულიც კი მწარედ დავიწყე,
არ მსურს რომ დავრჩე სულ ბოლოს კენტად.

ადრე მისულსაც დამაგვიანდა,
არ დავრჩენილვარ,თუმც ვერც წავედი,
უცრემლოდ ტირილს ნაჩვევ თვალებით,
ვერ ვითამაშე როლი თავხედის.

წრფესაც ვუპოვე ბოლო წერტილი,
სინათლის წელიც გამოვითვალე,
მხოლოდ ვერ ვნახე შენამდე გზები,
ლაბირინთებში გადავიკარგე.

სწორედ შენ წერდი ჩემს მელოდიას,
შენ წერე ჩემი პარადოქსებიც,
და პრელუდია დაურთე ბოლოს,
თავში კი ბოლო ეპიზოდები.

მეც თითქოს ამას ალღო ავუღე,
და მომავლიდან მოვედი შენთან,
უკუღმას წაღმა დავარქვი ჩემთვის,
თბილი სადგური ვიპოვე ღმერთთან...

***

დამჭკნარ თითებში ჩაბღუჯულ იებს,
მოგონებების სურნელი ასდის,
ჩამოლურჯებულ ზღვის ჰორიზონტზე,
მზეც კი ზანტად და დაღლილი ჩადის;

წლების სიმძიმით ჩაზნექილ თაროს,
კვლავ მოსდებია ფიქრების მტვერი,
ზედ კი სულს ღაფავს წიგნივით ბრძენი,
ცხოვრება რთული,თუმც მრავალფერი.

შიში არარის გრძნობების მსხვრევა,
არ არის შიში ნგრევა ვნებების,
ყველაზე დიდი შიში ის არის
ასაკს რომ მოაქვს მოგონებებით.

ერთ წამში თვალწინ ჩამოიქროლა,
იმ სიყვარულმა და იმ გოგონამ,
გოგომ რომელმაც მაჩუქა სევდა,
და უდიდესი რამ შთამაგონა.

იებით მორთულ ლამაზ ნაწნავებს,
ბებრულ სიზმრებში ვნახულობ კიდევ,
ღამით კი ვფიქრობ სარკმლიდან მიმზერს,
ის საყვარელი გოგონა ისევ.

თარგმანი

რა კარგი იყო მაშინ,
რა კარგი იყო ის დღე,
როცა პირველად გნახე,
როცა რაღაცა გკითხე..

ირგვლივ სუყველა გაქრა,
შენ დარჩი ერთადერთი,
შენ ჩემი თვალის ჩინი,
ჩემი ფიქრების ღმერთი.

უჰ როგორ მეშინოდა,
იმ სილამაზის მაშინ,
მელანდეზოდი ყველგან,
ყველგან სახლში თუ გზაში.

ის მოკრძალება მახსოვს,
ის მოწიწება რიდიც,
ის გულის ფეთქვა მესმის,
იმ წამს რომ განვიცდიდი.

არსად მოცქირალ მზერით,
გეძებდი ყველგან მაინც,
ეს არამზადა წლები,
საით მიდიან საით...

კვლავ განმეორდა ის დღე,
ირგვლივ კვლავ შუქი ჩაქრა,

სიბნელეშიც კი ჩანხარ,
და მეც ვაგრძელებ თვალთვალს.

თურმე დღეს მარტო არ ხარ,
სიცოცხლე მუცლით დაგყავს,
შენს სიყვარულის თვალებს,
ბადალი არსად არ ჰყავს.

ვგრძნობ რომ მეწყინა ძლიერ,
რომ ჩემი არ ხარ არ ხარ...
ვერაფერს გეტყვი ახალს,
ვერც იმას რომ მიყვარხარ.

მოგიახლოვდე მინდა,
მაგრამ ვერც ამას ვბედავ,
შუქი აანთეთ ყველგან ,
მაინც ვერაფერს ვხედავ.

რა კარგი იყო მაშინ,
რა კარგი იყო ის დღე,
როცა პირველად გნახე,
როცა რაღაცა გკითხე

ლეილა მაჩაიძე

მარიამ ხახუტაშვილს..

ბების გოგო სულ მაფიქრებს,
როცა მეტიტინება,
სიზმრებიდან ის მაღვიძებს,
გულში მეღიტინება..
ვგრძნობ რა სითბოს მიღვრის, გულში,
გულს მიღონებს სიამით,
მიფათურებს ხელებს სულში,
სიხარულს ვგრძნობ მე ამით..
ჩემო სისხლის მონაგრებავ,
შენ ხარ შთამომავალი
ჩემო დიდო მონატრებავ,
წლები გქონდეს მრავალი..
ბებოს გულის წამალი ხარ,
ვარდი ატმის ყვავილი,
გულში წყნარად რომ დადიხარ
და სიამით დამივლი,
შენი ნახვით მუდამ ვხარობ,

შენ ხარ ჩემი ლექსები
თუკი სადმე ვწერ ან ვამბობ,
სულ შენ გეალერსები....

მარიამ ხახუტაშვილს..

ვერ მოვხუჭე წუხელ თვალი,
გავათენე თეთრად,
ხორციელად აქ ვიყავი,
სულიერად შენთან..
მოგეფერე, მაგრამ მაინც,
ვერ ვიკმარე რა ვქნა,
კულულებზეც გეალერსე,
ასე შორით რა ვთქვა..
ამასაც თუ მოფერება
ან ალერსი ჰქვია,
უთქვენობით დავიღალე
დრო კი მიაქვს ნიავს..
პაწაწინა მარგალიტო
ვარდი ხარ და ია,
მარტო ისიც კი მახარებს
შენი ბებო მქვია..

ხახუტას..

ჩემი სუნთქვის და სიცოცხლის
ხარ უშრეტელი წყარო ანკარა,
ერთადერთი ხარ ვინც ჩემში სახლობს
არა სხვა ჩემს გულს ვერ გაეკარა...

ასე დარჩები სანამ იქ ცაზე
ცას გამოესხმის ყველა ვარსკვლავი
სანამ მე შევძლებ ყველა დავთვალო
ან შევაწვდინო დაბლიდან მკლავი..
შენა ხარ ჩემი ზეცაც და მთვარეც
ჩემი ოცნება და დიადემა
არ ვიცი უფრო როგორ მიყვარდე
ან და რა გითხრა რა გეამება...

დედა

დედა ჩემო საყვარელო დედა
შევერცხლილა შენი შავი თმები.
ნაოჭებიც გაგჩენია ვხედავ
ღიმილი კი დაგრჩენია ძველი...
ლამაზი ხარ დედა საყვარელო
რაც არ უნდა მოგემატოს წლები.
შვილის გულში მუდამ სანატრელო
იმედი ხარ და იმედად რჩები....
დე, შენს ღიმილს ვერაფერს შევადრი
ერთადერთი ხარ ციური სხივი.
დილიდანვე შენს სახეს შევხარი
სიყვარულით ანთებული შვილი...
დედა ჩემო საყვარელო დედა
შევერცხლილა შენი შავი თმები.
ნაოჭებიც გაგჩენია ვხედავ
ღიმილი კი დაგრჩენია ძველი...

ნუ წახვალ, დაბრუნდი...

ნუ წახვალ ამინდი იცვლება უდავოდ
ქარი ქრის მოყვება თოვლი და ავდარი
წახვალ და დამტოვებ ისევე უვადოდ
ხომ მითხარ ვრჩებიო პირობა სად არი..
ნუ წახვალ ისევ გთხოვ რომ დარჩე
იცოდე შევიცვლი ხასიათს ხვალიდან
ვბრაზდები როდესაც ვერ მხედავ ვერ მამჩნევ
სადღაც რომ გარბიხარ მცილდები თვალიდან...
იცოდე იცვლება ამინდი აქ კარგო
ქარიშხალს მზის სხივი სისხლისფრად შეღებავს
ალიონს დავუცდი გზა რომ არ დაკარგო
მოხვალ და სიმშვიდე რა ფერში შეგხედავს..
დაბრუნდი, ნუ წახვალ ამინდი გატყუებს
ჩემსავით არავინ გულში არ გაგათბობს
სიტყვებით კი არა მე ქცევით გაბრუებ
დაბრუნდი იცოდე არაფრით არ დაგთმობ

***

გარეთ თოვდა ისევ, ქარი ფიფქებს თვლიდა
ბინდი ვარსკვლავებში გზას ძლივს მიიკვლევდა
მთვარეს შესცივნოდა ლოგინს ცაზე შლიდა
კატა ბუხრის პირას თბილ რძეს მიირთმევდა..
იდგა ზამთრის პირი თოვდა როგორ თოვდა
ბუხარს ცეცხლის ენა ამბებს უყვებოდა
ბაბუს ჩაეძინა ბებო წინდებს ქსოვდა
ანარეკლი ცეცხლის ოთახს უხდებოდა...
მონავარდე ქარი ფიფქებს დაბლა ყრიდა
მიწას უხაროდა შავი თეთრად ჩანდა

ამ საღამოს ის თვე ხვალინდელით შლიდა
აქ სამართალს ქვეყნად პირი არ უჩანდა...
ნავარდობდა ქარი სხვების ნაკვალევზე
სურდა წაეშალა დარჩენილი წლები
ტკაცუნობდა ცეცხლი შეშის ნამთვრალევზე
ჩაძინებულ ბებოს ჩაეშალა თვლები...
გარეთ თოვდა ისევ ქარი ფიფქებს თვლიდა
გარიჟრაჟი ღამეს სიმუქისგან შლიდა..

***

შენ ვერ შეძელი დაგეცადა გაზაფხულისთვის
ორიოდე დღე გაშორებდა მის ახლა მოსვლას
ის შემოვიდა მაგრამ თვითონ ისე წახვედი
გაზაფხულმა კი ვერ იხილა შენი შემოსვა..
შენ შეიმოსე გრძელი გზისთვის ვერ მოისვენე
ერთი დღეც კი არ ინდომე კიდევ დარჩენა
განა სხვაგან ხარ არა მხოლოდ ზეცას ახვედი
კარგი იყავით გაიხაროს თქვენმა გამჩენმა..
დღეს აქ მარტია, ახალი თვე ახალი სითბო
მაგრამ შენს წასვლამ დაგვიტოვა გულში სიცივე
არ გსაყვედურობთ სულ უბრალოდ გული გვეტკინა
ჩვენ ყველამ ვიცით შენც განიცდი ახლა იგივეს...
სიჩუმე დადის ახლა შენი სახლის მახლობლად
და აღარ ისმის შენი ტკბილი სიტყვა ალალი
ყველა კარგს ამბობს ვინც გიხსენებს შენდა ნაცნობად
რომ კარგი იყავ, ფაქიზი და ალალ მართალი...
წადი და ღმერთმა მოგიჩინოს წმინდა ადგილი
სულ სინათლეზე გევლოს კარგო გქონდეს ნათელი
ჩვენ კი ვილოცებთ ელენი და აქედან გლოცავთ
რომ შენს სახელზე მუდამ ენთოს ერთი სანთელი..

მაია ტურაშვილი

დაიჭირე წამი

დაიჭირე წამი ვიდრე გაგექცევა,
ვერ მოასწრებ მიგნებას და მიტევებას...
სიყვარულის გზებზე თეთრად გადათოვს და
შეგცივდება, მერე ძლიერ შეგცივდება.
უმიზეზოდ აგიცრემლებს თვალებს დარდი,
სარკის მიღმა შეევრცხლილი გიმზერს ვიღაც....
გულში ისევ ის გოგონა ცელქობს მაგრამ,
ვიზუალი არ ემთხვევა უკვე ვნებას...
დაიჭირე წამი თორემ აღარ მოვა,
სინატიფე, სიტურფე და სილამაზე...
გულს კი მხოლოდ მოგონება დაგისეტყვავს,
ამ წამს რომ ვერ მოუარე არ იბრძოლე...
დაიჭირე წამი დიდი სიყვარულის,
მატიანეს დაუტოვე ძვირფას განძად...
რადგან დღეს თუ სიყვარულად არ იქროლე,
ხვალ არ იცი რას გიმზადებს ბედი სადღაც...
დაიჭირე არ გაუშვა წამი თორემ,
შემოგაცლის დრო ამ დროის ძვირფას ჰერანგს,
და დაგტოვებს უნუგეშოდ მარტოდ-მარტო,
ისე თითქოს არც მოსულხარ შენ ამ ქვეყნად....

ტყვეობა სულთა...

ბედთან ჭიდილი!.. ტყვეობა სულთა!...
ნაკლული გულის გადავსება ფანტაზიებით...
კერპად გამხდარი წარმოსახვა სიყვარულისა...
ბედნიერების ფსევდო გრძნობა მბზინავ თვალებით...
თვით შთაგონება ნაოცნებარ ირეალობის....
მისი გავრცობა-გავრცელება ბედნიერებად...
კმაყოფილება ვითომ სულის ავსებისა და
გულში ნახინჯარ უთქმელ ყოფის გარდაცვალება...
ასე მივათრევთ ამა სოფლის ნიღბების აბმას...
იმსოფლის ზღვართან მისულებს კი სევდა გვაკვდება...
ვერ გავიარეთ ჭეშმარიტად ის ბილიკები,
რაც ჩვენ სულს მართალ გრძნობის ხატად გადააქცევდა...

ფიქრთა გროვა...

ფინჯანი ყავა ალიონზე და ფიქრთა გროვა...
ღიმილ ნარევი სევდა დროთა გარდაცვალების....
უსასრულობის იდუმალი პირქუში გრგვინვა...
და წამთა სვლაში კრთომა ხიბლთა გადაფასების....
მზედ აკიდული ოცნებების დარბაზობა და
დუდუნი ცათა კიდობანში ვარსკვლავთა რემის...
მთვარით მოფენილ ღამის ბრძოლა განთიადისას..
ჭიდილი სიკვდილ-სიცოცხლისა განცდა ყოველის...
გრძნობათა არსი... მოვლინება წუთი- სოფელში...
მარადისობის კარიბჭესთან ცრემლად დინება...
შეუცნობლობა....ამიერის და იმიერის...
დასასრულის კი დასაწყისად კვლავ აღდგინება...
ფინჯანი ყავა ალიონზე და ფიქრთა გროვა...

ააფერადებ სულს

აფეთქდები და ააფერადებ სულს,
ტურფა გაზაფხულს ბადალი არ გყავს არვინ...
სიყვარულს ითხოვ, სიყვარულს ითხოვ სულ...
ცელქი ნიავიც შენს მოტივებზე დაჰქრის...
ამ აფეთქებას ჩემს ზმანებაში ვხედავ,
მარტმა დაჰქროლა თან წარიტაცა დარდი,
ვერ გადავურჩი აპრილის ლამაზ ქურქს,
გული მაისის მოლოდინებით დამღლის.
ნაირფერებად მიმოაბნიე ზეცა
ვეღარ გელევი, თვალს ვეღარა გწყვეტ წამით,
მინდა სიცოცხლის ტრფიალსა ვგრძნობდე ყველგან,
ჩიტების ჭიკჭიკს თან მოჰყვებოდეს დარი...
ეს საოცარი ფერადოვნება შემშლის,
მარტს, აპრილს, მაისს, ყვავილთა ცეკვა ათრობს,
ცისარტყელები კამარას კრავენ ერთად
და ამ გაზაფხულს ჩუმი ოცნება ათოვს...
აფეთქდები და ააფერადებ სულს....
სიყვარულს ითხოვ, სიყვარულს ითხოვ სულ....

წარსულის წიგნი...

სულს როცა სევდა შემოასკდება,
გადიფურცლება წარსულის წიგნი,
მემატიანე სადღაც კედელთან
აქვითინდება გრძნობით და რიდით...

მაშინ გადავშლი წიგნს წარსულ დღეთა,
მაშინ ავანთებ ღიმილით სანთელს,
მაშინ არავინ არ შემეხება
მაშინ ვიქნებით იქ მე და ღამე.

კადრები კადრებს შეცვლიან სწრაფად,
ცრემლი ღიმილად გადაიქცევა,
მაშინ მივხვდები ცხოვრების გზები
რა დიდებულად გადამივლია.

ამდენი შური როგორ დავძლიე,
ამდენჯერ ნეტავ როგორ ავდექი,
ის გზები როგორ გადავიფრინე,
გულს ტკივილიანს როგორ ვაწყობდი.

სული ბობოქრობს, გული ქვითინებს,
სახეზე ისევ ის ღიმილია,
რადგან წარსულის მძიმე დღეები
მართლაც გმირულად გადამივლია.

ეს შენ იყავი ჩემთან მუდმივად,
შენ მომეც ძალა ამ გამარჯვების,
შენ გაიმეტე ჩემთვის სამყარო
თავის დიადი ჩანახატებით.

ამქვეყნად მხოლოდ შენ ერთს გენდობი,
ხელჩაკიდული შენ მატარებდი,
სასწაულები სასწაულს ცვლიდნენ
და იმედებით დამატარებდი.

დღემდე მოვედით მემატიანე,
დახურე წიგნი გარდასულ წელთა!
იმედია და სიყვარულია
ჩემი მეგზური მომდევნო დღეთა.

კადრები, კადრებს შეცვლიან კვლავაც,
წამი წამს, გული გულს ღიმილიანს.

სანამ შენა ხარ ჩემს ბედის კართან
მე არაფრისა არ მეშინია.

დიდება ღმერთო, დიდება შენდა,
შენ მე მაჩუქე კვლავაც სამყარო.
ეხლა კი არა უკვე რამდენ ხანს
შენი თვალებით ვხედავ სამყაროს.

აპნისის მიილია თვე..

მალე დაიხურავს ქუდს გადაიკარგება სადღაც,
იანვრის შემომტევ სუსხს თუ გადაურჩი ალბათ.
თებერვლის ქარები დუღს მარტი კი ჩაიცვავს ფარჩას,
ააყვავილებს სულს აპნისის ფერადი კალთა.

მაისი მოგვართმევს ძღვენს ვარდებს და გვირილებს
ფანტავს...
ზაფხულის მცხუნვარე მზე გულს მომედება ზღაპრად...
ნაშემოდგომარი წვიმა ისევ დამინამავს გზა-კვალს.
იმ ზამთარს ამ ზამთრის დღე კვლავაც დაუტოვებს ამბავს ...

რარიგად მიყვარხარ დღეს ჩემო იმედო და ნატვრა...
უნდა მოგეფინო მზედ რადგანაც ოცნებას გავხარ.
დღემ კვლავ გაიქროლა დღეს უშენოდ წავიდა გაქრა
ღამეს მოუყვები-ბევრს ჩვენი სიყვარულის ამბავს....

აპნისის მიილია თვე უკვე მოგონებებს ხატავს,
ერთი თვე აკლდება წელს დრო დროში იბნევა სწრაფად...

აზა გოგიტაური

მოაბიჯებს ილია

მთაწმინდაზე მწუხრი დადგა, არ ისვენებს ილია,
დაფნის გვირგვინს ფერს უცვლიან, აღარ უნდა ილიას,
დაიღალე, ვერ ისვენებ, მამულს უჭირს ილია,
შენ ჭირდები, საქართველოს წამოუდექ ილია,
თუ ქართველ ხალხს დაეკარგა თმენის ნიჭი ილია,
ან მოითმენს? ყველა შენი გონით გამოზრდილია,
ჭირთა თმენა ვერ გააქრობს საქართველოს მარწუხებს,
ახლა უნდა ხმა მიიღო, ქართველ ხალხის საწილედ.
მთაწმინდაზე წამოდექი გადახედე მოედანს,
ისმის ძახილი; ,,ენა, მამული, სარწმუნოება",
თბილისის ცის კაბადონზე, ისახება ილია,
მთაწმინდაზე მართლა შენ ხარ თუ შენი აჩრდილია,
აქ გახსენით ხალხის ტალღა მოაბიჯებს ილია,
დღეს მას ლოცავთ, თუ საქართველო გადარჩენილია.
ხმა არ ეყოთ, რომ გაიგო აქაც პანდემილია,
ერის მამა შენ დალოცე ,ლოცვით წმინდა ილია,
ხალხს შესძახე მოიხედონ აღარ დარჩეს არც ერთი,
და ერთმუშტად შეკრულები ღმრთისგან დალოცვილია,
ქართველ ხალხის არჩევანი მტრისგან შეთითხნილია,

შენ დალოცე, აგვარიდე სახელმწიფო ხსნილია
მტრისგან გონით მოწამლული მოარჩინე ილია,
საქართველო, რომ გადარჩეს მტრისგან იხსენ ილია..

***

კი არ გამაბრაზეს, იცი! გული დამწყდა,
ყელზე თეთრი მძივი, ქარი იყო გაწყდა,
შევეცადე კიდევ, ისევ მძივად ასხმა,
არ დალაგდა ერთად და სრულიად გაქრა.
ზღვის ფსკერიდან ნიჟარები ამოვიღე,
და აქ მარგალიტი იბადება ახლა,
ავასხამ მიჯრამიჯრა მაგარ ძაფზე ალბათ,
არ გაწყდება ჩემი მძივი, ყელს მიქარგავს
ცრემლის ნამით, დასველებულს
ქარი უშრობს აზას.

იშვიათი ყვავილი

თუ არსებობს ისეთი ყვავილი ,
რომ მოეწონოს ფერითა ყველას?
ან სად მოვწყვიტო და მოგიტანო?
და ან გულს გაუხარდება ნეტავ?

თორემ წავიდა დრო ისე უცებ,
მგონი იცი? არ ვბერდები არა,
დღეს შემოდგომის ბოლო დღეებია
ახლა ზამთრის შეგებებაც კმარა.

ეგებ ცივ ზამთარმა იმოქმედოს,
ცის კარმა გადარეკოს ღრუბლები,
თოვლის ფიფქი მიმოფანტოს სულზე,
ჩაიკრას გულს ჟღურტულა ბეღურა,

დრო მიდის არაფერს გვეკითხება,
ისე სწრაფად გაირბინა წლებმა,
ზოგს ჰგონია სულ ასე ვიქნები,
ამ ყოფაში გონი ებინდება,.

დრო, რომ მიდის შენც აუწყე ფეხი,
გავა ისე, იტყვი ჩამაღამდა,
და იფიქრე ერთხელ მაინც ისე,
დღევ გათენდი და ნუ წახვალ დაღმა.

იანვრის ვარდები

იანვარში ჩემი ვარდი გაიშალა,
კიდევ ბევრი კოკორი აქვს გასაშლელი,
რომ მიყვარხარ მე ვარდები მეუბნება,
ჩვენ სიყვარულს აურჩიე წასაშლელი,

ყოველ დილას მივდივარ მე ვარდის ბუჩქთან,
და ვნახულობ ჩემ თეთრ ვარდებს გადაპენტილს,
ამ ყინვაში, რომ ყვავიან ნაირ ფერად,
გეგონება მაისია უთბილესი,

გადაშლილა მზის სხივებათ, სიყვარულით,
აივსება ჩვენი გრძნობის ფიალები,

და გიხილავ ისევ კარგო მორიდებით,
რომ შეერთდეს გაბზარული ჩვენი გულები.

იანვარში ველოდები თოვლის მოსვლას,
ვარდებს ფიფქი ეფერება გამალებით,
ჩემო კარგო ახლა ჩემ გულს თოვლიც მითბობს,
რომ გიხილავ, დამინახავ გაღიმებით.

ალექსანდრე (საშა) ალექსიძეს

აზვირთებულ ნისლში დავცურავდი,
მზის სხივს ვეძებდი და ვერ ვიპოვე,
სანამ წამით ღმერთთან მივიდოდი,
თავად მიპოვა, თვალი ავახილე.

გვიან შემოდგომას, მწვანეშია
ისევ ჩემი ეზოს ყვავილები ,
გაზაფხულდა ზამთრის მოუსვლელად,
ზამთარს ველოდები, ვერ ველევი.

სულში გაზაფხული დგება,
გარეთ ნისლთან ერთად სუსხია და ცივა
ყვითელ ვარდს დასკდომია კვირტები,
ხეებს ყვითელი ფოთლები ცვივა.

ო, იცი, როგორ მენატრები, და
მინდა თაიგული მოგიკრიფო,
შემოდგომის ბოლო დღეებია,
მოლოდინში გულმა გაიხაროს.

ზამთრის პირას ვდგავარ მორიდებით,
მართალია ყინვა შეგვაწუხებს
რადგან არის, უნდა შევეგუოთ,
იქნებ მერე წყენამ გაიაროს.

ისე ცოტა არის საათები,
მოლოდინში გადის ეს დროება,
მე კი დროში სული ვერ ჩავტიე,
გათენებულს ვხედავ დაღამებულა..

თემურ წიკლაურს

ო, მართვესთან გაფრინდა არწივი,
მას ზეცის საუფლოში იხილავს,
ღრუბელი შეხვდა ო,როგორ ცივი,
უნდა აუწყოს მას ბედის წერა..

მიეშურება, იმის იმედით,
გულში ჩაიკრას თავისი მართვე,
მოეფეროს და გული გაუთბოს,
დღეს ერთმანეთი ოცნებით ნახეს ...

აიტანს ზეცას ქართულ ჩუქურთმას,
ააგებს საყდარს სალოცავ ხატებით,
ილოცებს ისე ზეცად გაფრენილს,
კვლავ იზრდებოდნენ მართვე ნათებით..

თამარ ნასრაშვილი

იესო

ისე შერწყმია ჩემს სულს,
შენი თვალების ფერი,
ვტოვებ მთლიანად წარსულს,
ვარ უსასრულოდ შენი.
გარემოცული სუსხით,
მზერა მომექცა ცისკენ,
ვეღარ გავუძლებ წუხილს,
მიხსენ უფალო, მიხსენ...
ხომ ვარ ჯიუტი ბავშვი...
მჭირს მოუხდელი სენი...
ხელში მიჭირავს საშვი
მეც, ხომ შვილი ვარ შენი.
ო, რა შერწყმაა ფერთა,
არც რა მაქვს გასამხელი,
მინდა უსაზღვროდ შენთან,
ვარ უსასრულოდ შენი.

ლექსად მოვედი...

ცხოვრების მიღმა ყოფნამ დამღალა,
არა, აქ უნდა სხვა სიტყვა მეთქვა...
წარმოიდგინე - სული ჭაღარა,
და თოთო გულის უმანკო ფეთქვა.

ან ლაჟვარდებში სიმღერა თოვლის,
ატმის ყვავილის უმანკოება....
ო, პირველ ყოვლის, ო, პირველ ყოვლის...
ოჰ, აქაც სიტყვას, სიტყვა მოება.

კვლავ, ვერ ითქმება ჩემი სათქმელი
მაინც შვებას მგვრის მიეთ - მოეთი....
იქნებ იცანი, ჩემი სახე, ჩემი სახელი..
მომენატრე და ლექსად მოვედი.....

***

ახლა გაზაფხულთან მე ვინ შემარიგებს?
მე ვინ დამანახებს ტყემალს აყვავებულს?
რაღაც დაავიწყდა ალბათ ცის გამრიგეს,
რაღაცა გამორჩა უთუოდ ამ ჩემს გულს.

ლექსი ლექსად მრჩება და მე მაინც ვტირი,
ლექსი ლექსია და ცას გამირბის თვალი,
შეგხვედრიათ მეტჯერ ქალი ასე მწირი?
ან გინახავთ ქალი გაზაფხულთან მწყრალი?

***

ვფიქრობ რწმენაა ამ ცხოვრების ბოლო და თავი,
და უფრო მეტიც, ამ ცხოვრების არის სათავე...
მე დავრჩი ასე, ყველასაგან განუკითხავი
და აღარ შემრჩა ხელში აღარც ერთი სადავე.
უკვე ძალიან გამიჭირდა ასე ცხოვრება,
აღარ გამოჩნდა აღარავინ ჩემი მშველელი
ჩემი ერთგული ხასიათი გემახსოვრება
მარტო დავდივარ, დაბნეული, გაურკვეველი...
რა ერთგულება, რისი რწმენა, რა სიყვარული?...
სულ ჩამჩიჩინებს მე ცივი ხმით ავი მაცილი..
და გზას ვაგრძელებ ასე, უღვთოდ დავიწყებული...
როგორ გაგრძელდა სიკვდილამდე ჩემი მანძილი...
ისე დავსუსტდი, ველარა ვგრძნობ რაც იყო ჩემში,
თურმე რწმენაა ამ ცხოვრების თავი და ბოლო,
და მაინც მარტო დავაბიჯებ წვიმაში, თქეშში,
შენ კი არა და ჩემი თავი უნდა ვიპოვო.
აღარც კი მახსოვს, როდის გაქრა ის მოლოდინი.
აზრიც არა აქვს საკუთარი თავის ძიებას,
მეზიზღებიან მე ამ წუთში ბედის მორჩილნი.
...და ვფიქრობ, იქნებ თვითმკვლელობაც მეპატიება.

მხატვარ ნიკალას

გაეხვეოდა ბალახში ფრთხილად
და ჩურჩულებდა ღმერთის ენაზე,
ენატრებოდა ქიზიყის ხილვა,
ნისლში გახვეულ მთების სინაზე.

ვაზზე, ელვარე ყურძნის მტევანი,
თუმცა რთველობა მას არ ეხილა,
თვალში ჩაუდგა მზის შადრევანი,
მთვარე ალავერდს გადმოჩეხილა.

თვალცრემლიანი ხშირად ხატავდა,
გაუცხოვებულ კაცის იერით,
თითქოს აქ, სწორედ ახლა გათავდა
ქვეყნის წარღვნა და დასალიერი.

ხატავდა, რათა ეშოვა ღვინო,
დაეფრთხო დარდივით შავი კატა.
თორემ რა ჰქონდა მხატვარს სალხინო,
მერე სვამდა, რომ უკეთ ეხატა.

ფერთა მეუფე მუდამ თან ახლდა,
თვითონაც იყო არაქაური,
ისე კი ჩვენთან გვერდით დასახლდა,
უკეთ შეეცნო ქვეყნის ხმაური...

გაეხვეოდა ბალახში ფრთხილად
და ჩურჩულებდა ღმერთის ენაზე,
ენატრებოდა ქიზიყის ხილვა,
ნისლში შეხვეულ მთების სინაზე.

ამჯერად....

ვასათაურებ სიზმრებს ამჯერად...
ვაშრობ სათუთად ხელისგულებით
შენი ნახვის თუ მხოლოდ აქ მჯერა...
ამ სიზმარს ჰქვია "აქ მეგულები"...
ო, როგორ დათბა ჩემს ზარდასშაში...
ამ სიზმარს ჰქვია "მცდელობა დიდი"
უკვე გზაში ვარ, ... გზაში ვარ... გზაში.
ვარ უჩვეულოდ ჩუმი და მშვიდი...

ამას დავარქვი "შენიღბულები"...
და მზის ნაჭუჭი თავზე მაცვივა...
ცხვირს ვიმტვრევ, ხშირად, უკან ყურებით...
სიზმარში წვიმს და ვიცმევ საწვიმარს.

გამომეღვიძა გულდაწყვეტილი...
ანგელოზებმა გამომაცილეს...
ამ სიზმარს ჰქვია სამი წერტილი...
სარკესთან ვდგავარ.. ოდნავ მამცივნებს...

ერთხელ, ორჯერ და უკვე სამჯერაც....
ვასათაურებ სიზმრებს ამჯერად.

ვარდო დევაძე

მოვდივართ

მოვდივართ ოდითგან მოვდივართ,
მოგვაქვს ქართული ჯილაგი,
აბა მტერო რა გეგონა,
ნუთუ ვერ ამოგძირკვავდით?..
ყოველმხრივ ჩასაფრებულხარ,
დღემდე ცდი, ჩვენს გამძლეობას,
მუდამ მტკიცენი, ვიყავით
და არ ვკარგავდით მხნეობას.
მთის არწივები, მოვდივართ,
მგლის მუხლა დარჩეულები,
ვერასოდეს რომ გვიხილონ,
გულს, ტკივილ დამჩნეულები.
ისეთ ქვეყანას ავაგებთ,
ყველასგან გამორჩეულსა,
მტრის გულს ლახვრად რომ დაესოს,
მათ აქ სხვად გამოჩვეულსა!

პატარეებს

გული მატკინა ბებიას,
თვალებზე შუშის სათვალემ.
ბებია ამბობს: ეჰ, შვილო,
განა ეს უნდა ამ თვალებს.
ამ ქვეყნად რა არ მინახავს,
ახლა კი შენ გითვალთვალებ.
ფეხი ოიმ აოსად წამოჭკრა,
და მოგარიდო ავ თვალებს.

ყვავილობა ბავშვებისა

დამაცადეთ იქნებ ძილში,
ჩაიაროს ყველა საფრთხემ...
ნახეთ, როგორ გაგახაროთ
როცა გამოვახელ თვალებს.
ახალ სიცოცხლესთან ერთად,
ახალ მადლით ავივსებით,
ისე იბრწყინებს სამყარო,
თავადაც რომ გაჰკვირდებით.
ულამაზეს ფერთა, ფერში,
დასრულდება განსაცდელი,
გამოღვიძებას დავიწყებთ
დიდებულად გადავრჩებით.
დამაცადეთ იქნებ ძილში,
ხილვაც ვნახო საშველისა...
დედამიწას გადაარჩენს,
ყვავილობა ბავშვებისა!..

***

სილამაზეში, სილამაზე როგორ იპოვო?
სულ ადვილია, მოინდომე და გამოგივა.
არ მისცე ნება დაგაღონოს, ფიქრმა გაჯობოს,
სუსტმა ბალახმა ქვა გახეთქა და ამოვიდა.
გულს შეუძლია, შენ თუ ნებას დართავ იბრძოლოს,
ნუ ამოქექავ შეუძლებელს, შესაძლებელში,
ენდე გონებას, შენი თავის მართვა ისწავლე,
და მოიხატე შენი აზრი შენად ბეღელში
ნუ გაიხედავ, სადაც ვერც კი დაიდებ ბინას,
ადგილი შენი სხვას არ თხოვო, ღმერთმა გაცილოს,
არც იქ გაჩერდე სადაც შენთვის არა სცალიათ,
თან შენზე სუსტი დაგეყრდნოს და მერე დაგცინოს...
იყავი ჩუმად, ნურც იმ ხანძარს შეებრძოლები,
გმირად შერაცხვენ ბოლო წამზე წვეთით ამ თოვას,
ვულკანი არ ჩანს მიწის გულში ჩაბუდებული
გაძლიერდება დაიძვრება ცამდე ამოვა...
და ფურცელს გაშლის ისტორიის სახელთან ერთად...
ვინ როგორ ცხოვრობს, არამკითხეს მიუჩენს ბუხარს
სხვის კაბის ციალს შენი ჩითის კაბა ჯობია,
შენთვის იყავი სიკეთესაც სიჩუმე უყვარს...
გაგიკვირდება ყველაფერი ისე გამოვა.

***

პოეტობა, რა ჯანდაბად მინდოდა,
უბრალოდ თავს ლექსის წერით ვირთობდი,
მერცხლებივით შემოსეულ ამ სიტყვებს,
ვხალისობდი ერთმანეთში ვრითმობდი.
მერე, ფეხი ნელა ნელა ავიდგი,
წავუკითხე ვინც წინ გადამეყარა,

ზოგმა მითხრა რა კარგია ვაიმე,
ზოგმა კიდევ ჯობდა გადაგეყარა...
მიმეხედა ოჯახისთვის ყანისთვის,
რაც ისედაც კარგად გამომდიოდა,
დრო წლებს თვლიდა და ჩემთვისაც ნელ- ნელა,
ცხრათვალა მზე ცაზე ამოდიოდა.
თაიგულად შეკონილი აზრები,
ერთხელ ავდექ და საქვეყნოდ გავშალე,
ეს ასე სჯობს , ეს კი ისე რჩევები,
გავბრაზდი და მოვახვიე საშალეს.
პოეტობა რა ჯანდაბად მინდოდა,
გამხადეთ და ახლა არის გვიანი
მეფეები არ მეფობენ გავიგე,
შევეცდები მნახოთ მრავალხმიანი!

***

ომებით შევხვდეთ ამ წყობას.
ჩემი წაქცევა რაში გარგია,
გინდა საყრდენი გამოგეცალოს?
მტერს შევუტიოთ სჯობს დამიჯერე,
ფეხქვეშ მიწა არ გამოგვეცალოს.
ვისი გული გსურს რომ გაახარო,
იქნებ და ვინმე ურჯულო არის...
მხარი, მხარს მივსცეთ ასე სჯობია,
მე არა! მტერს გაუვლე საზღვარი.
მე დავიღალე უაზროობით,
საჭირო ომებს განა გავურბი,
თუკი არკარგი, ჰო კარგი, რად გინდა ომი,
ვერ გრძნობ ბრძოლის რომ, არ მაქვს განწყობა,
ათასჯერ მაინც გითხარ, არ გვშვენის,

ისევ არვინ არ ვარ მე შენთვის,
ტყუილა ჩაგივლის აურზაური?..

ნუთუ

ნუთუ სამყარომ იცვალა ფერი,
ნუთუ ჟამია აღსასრულისა,
ნუთუ უფალო ასე დაგვშორდი
ჩამოჰკარ ზარი დასასრულისა?
ნუთუ მნათობო, კაცთ ბოროტებამ,
შენც დაგიმძიმა სული ფაქიზი,
ნუთუ ღამეო ტკივილები გაქვს,
შენაც ჩვენსავით ისევ საზიდი?
ნუთუ მძიმეა კვლავ ჩვენი ხვედრი,
თუ გვეშლებოდა, სად შეგვეშალა,
იქნებ უფალო შენაც შესცოდე
ბოროტს რომ ქმნიდი, იქ შეგეშალა?
მაშინ ერთმანეთს უნდა შევუნდოთ,
რომ არ დავუშვათ წარღვნა ქვეყნისა...
ჩვენც გვაპატიე. სულ რომ გვიყვარდა,
და სიყვარული რომ არ გველირსა ...
ისეც წუთია, წუთი სოფელი,
განა სასჯელი არა უფალო?
ნუ გამოგვტაცებ ამ წუთს ხელიდან,
კვლავ გევედრებით , თავის, უფალო!
გამოგვაფხიზლე ჩვენივე ჯვარცმა,
შევუმსუბუქოთ თავად ერთმანეთს,
გამოვასწოროთ მძიმე შეცდომა,
ჩვენი მოსვლისა დედამიწაზე...

ლია გურული

უთბილესო

მზემ ცარგვალი შემოხაზა,
მომენატრე დღესო,
მინდა ისევ რომ მიწნავდე,
თავთუხისფერ თმებსო.
ეხლა ისე შორს ხარ,
ველარ გაწვდენ ხელსო,
ჩემთან ახლოს რომ ხარ,
უცებ ვწვდები მზესო.
მოიწყინა დილამ,
მოვიწყინე მეცო,
ნეტავ როდის მოხვალ,
ჩემო უთბილესო?!
ზეცა ისევ მოიღრუბლა,
მოიდრიკა მზეცო,
კიდევ როდის მომეხვევი,

ჩემო უთბილესო?!.
სარკმელიდან ამბორს,
მე გიგზავნი დღესო,
მალე დამიბრუნდი,
ჩემო უთბილესო.

ნუ გამიხმობ იებს

თუ ვატანდი დარდებს,
ადრე წითელ ვარდებს,
ახლა გულის დარდებს,
ვატან ყოჩივარდებს.
ზოგჯერ ლურჯი ზეცა,
შავად შეჰყრის წარბებს,
გადათელავს უცებ,
მაგ შენს ყოჩივარდებს.
ეხლა უკვე ია, მოსდებია არეს,
შენზედ ფიქრი ლოცვად,
დასტყობია თვალებს.
დილის თეთრი ცვარით,
გადათქორილ მინდორს,
შეფარკლვია ღაწვი,
შენთან ყოფნას ითხოვს.
გადაჯეგა უკვე,
ნებიერამ ია,
ცრემლით დაეცვარა
ახლა თვალი ლიას.
წვიმდა დაუცხრომლად,
იაც ჭკნება ხელში,
შენ რომ დამიკრიფე,
გადაევლო თქეში.

დროც გარბის და ისევ,
ვხვდები გაზაფხულებს.
გამოცოცხლდა ია,
თვალებს აფახულებს.
რას არ ფიქრობს გული.
რა დარდს აღარ ჰგიებს,
ნუ გამიხმობ იებს,
გულს რომ შემაბნიე.

ვედრება

გული ისე დაჭრილია,
მთელი ღამე ვიწამე,
ყვავ-ყორანი ისე კორტნის,
ღმერთო რამე მიწამლე!
მთელი ღამე გულზედ მაწვა ,
საქართველოს მიწა მე.
იმედი არ გამქრობია,
რაც შენ ღმერთად გიწამე!
მერამდენედ ჯვარს გაცვეს,
მერამდენედ იწამე,
ვიცი მაინც გვაპატიებ,
კარგად ვიცი ,ვფიცავ მე!
მე ხომ მკერდში ჩაგიბნიე,
მე ხომ გულით გიწამე.
კიდევ ერთხელ გევედრები,
კიდევ ბევრჯერ გიწამებ!
დამიბრუნე კიდევ ერთხელ,
საქართველოს მიწა მე!
პეშვა-პეშვად შემიგროვე,
ცრემლი, რაც მე ვინამე.

მერე თუნდაც ვიქცე მიწად,
ამას აღარ ვინანებ
ბოლოს გულზე მომაბნიე,
საქართველოს მიწა მე!

საქართველოს პერანგი.

ცხადად ვხედავ, საქართველოს
გული, ხელზე დაგიდევს,
სამშობლოზე დარდი, გულში
ადგილს ვეღარ დაიტევს.
გულში ბევრი დავითმინე,
სათქმელს ვერა ვბედავდი
საქართველოს გულის ბადეს,
გარღვევია პერანგი.
გულს აორტა გასკდომია,
აგლეჯია სარქველი,
ჯიბისებრიც, კარისებრიც
ყველა ძარღვის სარქმელი.
ყველა მყესი გამწყდარა და
არტერიის საკინძეც,
საქართველოს ბედი ისევ,
გამობმულა ბაგირზე.
ეს ბაგირი უფალს ისევ,
გამოუბავს საკიდზე.
ღმერთო ეხლა დაგვიფარე,
ნუ დაგვტოვებ სამიზნედ.
უფრო მჭიდროდ გამოგვაბი,
მაგ კურთხეულ ბაგირზე.
ამოკემსე კიდევ უფრო,
ყველა მყესის საკინძე.

ყველა სარქველს დაახურე,
თავის კარის სარქველი,
ყველა კარი ჩაკეტე და
ყველა გულის სარკმელი.
ისე, რომ გულს აღარ დარჩეს,
კიდევ რამე სათქმელი,
ყველა კუნჭულს ანათებდეს
ანთებული სანთელი.
უფრო შიგნით ჩააღწიე
ყველა ძარღვის ფსკერამდი,
უფრო მჭიდროდ შეუკარი,
საქართველოს პერანგი.

მატასის

მოდი დამხატე,
მოდი დამგესლე.
უცხო ვნების და
ტრფობის წადილით.
ისეც დავჭრილვარ,
ისეც დაგესლილ,
და განკურნების
არ მაქვს წადილი.
თუნდაც დამსერე,
თუნდაც დამკენწლე,
მაგ ცხელი ტუჩის
ბაგის ნაწილით,
რომ გავხდე შენი
სულის სასახლე,
და შენი ნეკნის
მთელი ნაწილი!

ლალი ბარდაველიძე

მზეო შენა ხარ მშვენიერება

მზეო შენა ხარ მშვენიერება
ჩემი სიცოცხლის შუქი ელვარე
დაე იბრწყინე, ქვეყნად აღანთე
გული სიკეთის - სული მგზნებარე.
ქარი შემოჰკრავს ზარებს წვიმიანს,
ურჩი ჯიუტი მუდამ ქომაგი,
ააშრიალებს ტყეებს ირმიანს
და სიტყვა - სიტყვით რითმებს მომაყრის.
აჟუჟუნდება ბაღში იები
აფერადდება ხეთა ყვავილნი,
ცას მოედება სტვენა ჩიტების
ნაკადულებიც მიწას დაივლის.
მზეო უშენოდ რა იქნებოდა
ჩემი ცხოვრება ამ ქვეყანაზე,
სიცოცხლის დიდი გასხივოსნება
სიყვარული ხარ და სილამაზე.

დედას

დედაზე თბილს, დედაზე ტკბილს, ამ ქვეყნად
შეხვდები ... ვის.
შვილებზე ზრუნვით დატოტილ ფიქრს, დღე ღამეს ცვლის.
"ნათელი შუქი" სადარი მზის, ძალაა ღვთის,
მასში არსებულ სალოცავ სხივს, რა გაწყვეტს სიმს.
დედაზე ტკბილს ძლიერს და მშვიდს, სად ნახავთ . . . ვის.
სამყაროს შემქმნელს - სიცოცხლის საწყისს, ყველაზე ძვირს.
თვალები ამხელს ბევრჯერ ძილგამტყდარს,
უჩუმრად ტირს,
საოცარია მას ჩვენზე დარდი არასდროს ღლის.
მაშინაც როცა იმ ქვეყნად წასულს, უხმობ და თრთის,
თავს დაგტრიალებს, ჩურჩულით გლოცავს და თითქოს
გზრდის.
დედაა ყველგან დედაა მიწა დედაა ცის.
და გაზაფხულიც დედათ რომ იქცა სიყვარულს მგვრის.

იმერეთს

ო გაზაფხულო რა რიგ მიყვარხარ
წმინდა, ლამაზი... ცამდე აწვდილი.
სხვა საოცრება არსად მინახავს,
შენი სიტურფით მე ვარ ავსილი.
ო, რა რიგ შვენის ჩემს ნაზ იმერეთს
შენით ნაქარგი თეთრი ფარჩები.
ეს მერამდენედ ნეტავ ... ვიმღერე
კვლავაც ვიმღერებ, შენთან დავრჩები.
მეხმიანება ირგვლივ ყოველი
მწვანე ველი და ია ვარდები,

შენგან სიყვარულს, სხვას რას მოველი
გეტრფი მიტომაც, მონად დაგყვები.
ჩემო ომანკო მშვენიერებავ
წყაროს რაკრაკა წყალით ავსილო,
შენი ყოველთვის მეიმედება
მზისა და მთვარის ნათლით გავსილო.

***

რაღაც უცნაურად მენატრება
ტყემლის ყვავილივით თოვლი მოქათქათე,
ციდან მოფარფატე თეთრი გვირილები
- ეს ღვთის სასწაული ზამთრის სილამაზე.
დღეს ცამ ნიავი და წვიმა მომაგება
სარკმელს შემომისხდნენ სველი ბეღურები,
თითქოს დროის სათქმელს ღმერთი მეუბნება
იყოს ნება შენი, ფიქრში ვეუბნები.

***

წარსულიდან გოგო მიცქერს
მარდი თვალებხატული.
მეძახის და თითქოს მიწვევს,
ვაი რა დრო გასულა.
მოშრიალე ალუბლებთან
ცელქობს. . . მეთამაშება,
რა ვქნა ისევ უნდა ავყვე
თორემ არ მომეშვება.

***

შემომეჩვია ნაღველი
ცრემლი არ შრება თვალზეო,
ხან მთვარე ამიტირდება
მანათობელი ხან მზეო.
შენ ქარო რარიგ გაერთე
ცხოვრების ორომტრიალში,
რა გამომილევს სადარდელს
წუთისოფლისა გრიალში.

***

სიყვარული წრფელი გულის
ეს ნიჭია ღვთიური.
არ სჭირდება ვეცხლი ფული.
დიდებული მზიური
- არს სიცოცხლის დედაბოძი ,
სუნთქვა მარადიული.

***

გავყვები ჩუმად ნაწვიმარ ქუჩას
ამედევნება სიო შიშველი,
ვით ურჩი გოგო. . ყვავის ალუჩა
მშვენიერება ო, მრავლის მთქმელი.
თვეა ისეთი მარტობს და დაობს
ღრუბელს მზედ აქცევს, მზეს კი ქუხილად.
ჭრელი სამოსი გაიძვრე დაო
აპრილს ნუ შეყრი შენს ნირს წუხილად.

მონატრება

სიზმრად მექცა შენი სახე ჩემო კარგო დედა.
მენატრება შენი თბილი თვალთა გამოხედვა.
გაზაფხულის დარებია, წვიმს და ნაზად წვეთავს.
შენს საფლავზე ლურჯი ია ტირის ჩემთან ერთად.
მახსენდება სიყმაწვილე გარდასული დროთა. . .
შენი ტკბილი იავნანა შენი თბილი კალთა.
სიხარული სიყვარული შორს წასული ჩემგან,
მენატრება დედა შენი მშვიდი გულის ფეთქვა.

ქალი

ქალის ღიმილი, სიწმინდე და თვალთა სინათლე
ავსებს სამყაროს - წუთისოფლის, აქცევს ცხრაწყაროდ.
ქალი კელაპტრად ანთებული მზისგან ნაქარგი
ერთადერთი არს სალოცავი გულზე სახატი.
ქალი ღერძია სიცოცხლისა ფესვი მაგარი ,
სიყვარულით და ერთგულებით მიწას გამჯდარი.
ქალი ჰაერი, ქალი ნატვრა, ქალი ოცნება
ამ გაზაფხულის არ გინდოდეს სხვა საოცრება-
ქალი ღვთაება ბუნებისა ქალი ღირსება.
მას მოფრთხილება, მოფერება სითბო სჭირდება.

ნონა ჯანაშია

ვალები

პატივი თუ მომაგეს, მავანს გული დაწყდება,
ახლოს არვის მაკარებს, ფრთები რომ არ შემასხას,
ურჩად ამშარებია, ვერ ვახერხებ გაქცევას,
მახდევინებს იმ ვალებს, რომელიც არ მემართა.
ვაღიარებ, ვალები თან დამყვება მამულის,
მშობლიური გრძნობების, რომ ვატარებ თან გულით,
კამკამა წყაროების, მთების, ია-ვარდების,
წინაპრების ნაღვაწის, მათი ნატერფალების,
მშობლის გულისტკივილის, მასწავლებლის ნასწავლის,
ბებიების ზღაპრების, ბაბუების ნაჯაფის,
სამშობლოს სიყვარულით ხმალ-ხანჯალთა ჟღრიალის,
ერთგულების დარაჯად უღალატო ტრფიალის,
წმინდანების დასების, იდეისთვის ვნებულის...
და უკლებლივ სუყველა გმირი თავდადებულის,
თან დამყვება ვალები მშობლიური ანბანის,
,,იავნანას“ ჰანგების ... სალბუნივით ცვარ-ნამის...

ბალახების სურნელის ... მრავალფერი ბადაგის...
და მექნება ვალები მუდამ, სულის გაცლამდის...
სანამ ტირის იშხანი უკვდავების სინგურით,
ვერ ვიბრუნებთ დაკარგულს პორფირით და დიდგულით,
სანამ გრიგოლ ხანძთელის სული არ დამშვიდდება,
სანამ ტაო-კლარჯეთი ჩვენი აღარ იქნება,
სანამ ჰერეთს და ლორეს ჩახერგილი გვაქვს გზები,
სანამ ძმობას არ სწევენ აფხაზი და ქართველი.
სანამ ძველი დვალეთი შუაგულში გვიკვნესის,
სანამ ყველა წართმეულს სულ ვიბრუნებ სიზმრებში...
სანამ ჩემი თოლია სხვებს ახარებს ფარფატით ,
სანამ სხვისთვის ციმციმებს ჩემი წილი ვარსკვლავი...
ნისლით გადაბურული მთების მისტერიაში,
თავად ღმერთმა ჩამწერა გადამხდელთა სიაში.
ვალები მაქვს ილიას, ზვიადის და მერაბის,
გეაჯებით მიშველეთ, ვალებში ვარ ყელამდის.

P.S. მაგრამ ჩემი მოვალე, უბინაოდ რად მტოვებს?
მე ხომ გადავუხადე, შრომით დავიმსახურე!
საგარეო ვალს იხდის, წუთით აღარ აყოვნებს...
ეჰ, რამდენი წელია, გულს მიკლავს და მაღონებს.

სიყვარულს პეშვებით ვისხურებ

ცხოვრება თმენაში გამექცა,
ღიმილით მამხნევებს უფალი,
მინდოდა ამეწყო პეწითა,
სუთქვასაც მიშლიდა მგუდავი.
ცხოვრების გერი ვარ აქამდე,

ბედს ვეღარ ვეწიე კონკია,
ციური მაცოცხლებს ცვარ-ნამი,
ტკბილად მიგალობებს მზეწვია.
და...ბედის წყაროსთან მწყურვალი
სიყვარულს პეშვებით ვისხურებ...
თუნდაც მეწისქვილე სოსიას
უწმინდეს სიყვარულს ვიჩუქებ.
ფუფალას ქოლგაში შევძვერი,
მეასედ ავყევი თამაშში,
ზღვად აბობოქრებულ ენგურში
საჩემო სულს ღაფავს თარაში.
დამხსნელად ტარიელს მოველი,
ქაჯების უზადო ტყვექალი,
უსტარსაც ცრემლებით ვკითხულობ,
ძმისშვილსაც დავარქვი ნესტანი.
გონებით თიკოსაც გადავწვდი,
რომ იყო ფიქრებით მეპავი...
და თუთაშხიასთან უნდოდა
ჰქონოდა წუთები ნეტარი....
ხან ვირზე უკუღმა შესმული,
ვარ უღვთოდ დასჯილი მარიტა,
ერთბაშად ყველა ის ქალი ვარ,
ცხოვრებამ გული რომ ატკინა.
და ბედის წყაროსთან მწყურვალი
სიყვარულს პეშვებით ვისხურებ,
მხარდამხარ მომყვება უფალი
და ისევ იმედებს მიპურებს.

„ჰეი, ბავშვობის დღეებო, დაბრუნდებოდეთ ნეტავი".
(ლადო).

სიზმარი

წუხელ რიყეში ვიყავი,
მინდორში ვკრეფდი გვირილებს,
ბებოს რომ თვალი მოვკარი,
სიხარულისგან ვიტირე:
ბებო, ბებია, აქა ხარ?
როგორ ვწუხდი, რომ დაგვტოვე.
ოღონდ შენ აღარ წახვიდე,
გავხდები უფრო გამგონე.
ცისკარზე წამოვფრინდები,
ყველაფერს დავაწკრიალებ..
თუკი ტოლებთან გამიშვებ,
შინ აღარ დავაგვიანებ.
შენს ნამზითვ ნაქსოვ-ნაქარგებს,
მალმალე გაგიმზეურებ...
სკოლიდან მუდამ მოგიტან
ხუთებით სავსე დღიურებს.
შენთან ერთად და ხალისით
წიწილებს დავაფრთიანებ,
ბოჩოლას მოვეფერები,
კვარებს მოვხარშავ რძიანებს.
ბოსტანში გადავფრინდები,
ბიძიას დარგულ მოცვს დავკრეფ,
ახლობლებს ყველას მოვიწვევ,
ბაბუას ღვინოს მეც დავლევ.
ასე დაცლილ სულს ავივსებ,
მზის სხივებს ყანწით ჩავიღვრი,

შენს კაბებს ისევ ჩავიცვამ,
თმებსაც მხრებამდე გავიშლი.
შენ შემოგევლოს ბებია, -
ოღონდ მესმოდეს მარადის,
მეფერებოდე, მაქებდე,
ხანაც მისვამდე კალთაში.
რიბირაბოზე ჟღურტულით,
მატკბობენ ჩიტუნიები,
მჯერა, ბებია, ერთ–ერთი
შენც იმათგანი იქნები.

მამული, ენა, სარწმუნოება

ჩვენ გვაქვს ჩვენი ენა, ჩვენი ჭაფურია,
ჩვენი ლაზარე და გამამართლებელი,
ვაზის ლერწის ჯვარი, ნინოს თმით შეკრული,
ჩვენ გვყავს წმინდა ნინო-განმანათლებელი.

სიბრძნით სიავესთან ბრძოლას შეწირული,
ზვიადის სულია ნათლის ეტალონი,
მშვიდად არასოდეს აღარ გვიცხოვრია,
ოინებით გვქანცავს მტრების ესკადრონი.

მტრობენ: ენას, მამულს ქრისტეს, ჯვარს და ადათს,
უნდათ ისეც მცირე, უფრო გავითიშოთ...
შურთ ედემის ბაღი, მთები, არწივები,
უყვართ შავი ზღვა და სივრცე საპიკნიკე.

მეგრულ-სვანურს მინდა ქედი მოვუხარო,
სხვა კუთხეთა წვლილებს ენის ლექსიკაში,
მშობლიურ ხმებს ყველამ მისი ჩაამატა,
მოლის ფირუზი და ზეცის ანდამატი.

ვერც კი დაგვითვლია, ისე მდიდარი ვართ,
ისე მრავალფერი, ისე მოძრავები,
მაგრამ ფიქრი გვმართებს ჩვენს ლამაზ ენაზე,
ყოველდღე რომ ვმცირდებით მოლაპარაკენი.

რამდენ უანგაროს ითვლის ახლა ერი,
მინდა შევიგრძნო და მომემატოს ძალა,
გვყავს კიდევ ილია, გვყავს კიდევ ზვიადი,
არის კიდევ ვინმე თაყაიშვილისთანა?

წინაპრების სისხლით მიწა გაჟღენთილი,
გვიხმობს დავიცვათ და ჩვენი დავიბრუნოთ,
დავივიწყოთ ყველა საქმე პირადული,
ქვეყნის სასიკეთო გზები გავიკვლიოთ.

დღეს ყველა იმედი ჩემთვის უფალია,
ღვთისმშობლის ღიმილი – შეუდარებელი.
სხვა რაღა ვუსურვო ჩვენს მამულს, საფიცარს,
იყოს უკვდავი და გამთლიანებული.
/ჭაფურია-მეგრულია და ნიშნავს შაქარს./

ცაგო აბაშმაძე

***

ღილი შეაწყდა მკერდთან ალიონს
და სურვილისგან დაიწვა ზეცა,
მზემ შემოხვია მკლავი ამბიონს,
ჩაიხუტა და მიუალერსა...
დღეა ისეთი ნაზი და მშვიდი,
ცაა ისეთი ლურჯი და წმინდა,
რომ არაფერზე არ მინდა ფიქრი,
მე მხოლოდ ცაში აფრენა მინდა....
მინდა ღრუბელი მეფინოს ლურჯი
და მზე მიწვავდეს ალისფრად სახეს,
ხელში მეჭიროს ვეება ფუნჯი,
ვხატავდე ჩემი ოცნების მხარეს..
მინდა ვიწვნიო მზის ცხელი სუნთქვა,
ღრუბლის მანდილი მთვარემ მოქარგოს,
გვირილას ვიხმობ, სურვილს ჩავუთქვამ,
რომ სიყვარული ღმერთმა მომმადლოს.....

***

სხივი აცრემლებს ყინვის ლოლუებს,
აჭახჭახდება ჭალაში შაშვი,
დარები უდგას მზის ჭია-ღუებს,
გამოტანტალდა ეზოში ბავშვი..
მორცხვად იღიმის ლურჯთვალა ია
და ყოჩივარდებს ეჩურჩულება,
ბელტზე წამოწვა პატარა ჭია,
მზემ უჩქმიტა და ეღუტუნება.
დახტის კარდაკარ სხივი ცანცარა,
კუთხე კუნჭული აღარ დატოვა,
ბაჭიამ ყური ააცანცარა,
ბელუკამ დიდი ბელი დატორა..
ტოროლამ შეკრა კამარა ცაში,
სალამი უძღვნა ვარდისფერ აისს,
მერცხალი ბუდეს იკეთებს ბანში,
მე...აივანზე მივირთმევ ჩაის....

***

უფლის მადლი ემოსა პაწაწინა მათხოვარს,
ცოტა სითბო უნდოდა, მეტს არაფერს ითხოვდა,
ფეხშიშველი ტერფებით სიდუხჭირე დაჭქონდა,
ცრემლიანი თვალებით შველას თხოვდა მაცხოვარს...
-იქნებ, დამეხმაროთო - ცრემლი ღვარად სდიოდა,
გულგრილობა ბავშვის წინ გადი-გამოდიოდა...
ალბათ... გვცდიდა უფალი, ეჭვი ებადებოდა,
თანაგრძნობა კაცთაგან ძლიერ ენატრებოდა..
იმ ბავშვური თვალებით ქრისტე იხედებოდა,
ცოდვა-მადლის დავთარი ზეცას იწერებოდა...
ქვითინებდა უფალი, ცრემლი ჩამოსდიოდა..
პაწაწინა ბიჭისთვის მზე არ ამოდიოდა...

***

ცა მოიღრუბლა, ალბათ ისევ იწყება თოვა...
შენს ნაფეხურებს გადაფარავს ფიფქების ფრენა..
ვდგევარ სარკმელთან, ვიმედოვნებ ,,ის, ისევ მოვა",
აჭიკჭიკდება სიყვარულის ლამაზი ენა.
კარს შემომიღებ... დათოვლილ მხრებს გულში ჩავიკრავ..
ტუჩზე შერჩენილ თოვლის ფიფქებს კოცნით დაგიშრობ...
ცრემლიან თვალებს დავმალავ და ღიმილს ავიკრავ,
შენმა ამბორმა გულის ყინვა უმალ დამიზრო...
დაიწყო თოვა ... ჩემს სარკმელთან ფიფქთა მეჯლისი,
ვტრიალებ წრეში, მუსიკის ხმას მივყავარ ცაში...
,,ის დაბრუნდება" გაბრწყინდება ჩემი მერმისი..
ტკბილი ოცნების სურნელება იღვრება სახლში..

***

მიყვარს სითეთრე იანვრის დღეთა,
ციდან ფარფატით ნავარდი ფიფქის..
უსპეტაკესი პალიტრა ფერთა
და ოცნებებში ნავარდი ფიქრის..
გარინდებული სამყაროს რიტმი,
თვალისმომჭრელი არილი სხივთა,
გახშირებული სუნთქვა და რითმი...
ქარს აყოლილი ფრიალი ზილფთა..
ფიფქის ნაკოცნი ტუჩები მიყვარს
და მომნუსხველი, თამამი მზერა..
თოვლის ნამქერში ვქრები ოცნებით..
და შენთან ერთად ლაჟვარდებს ვსერავ...

***

ისევ და ისევ ფიქრები მათოვს,
ისევ და ისევ დამყვება სევდა..
გთხოვ, ნუ დამტოვებ უფალო მარტოს,
გთხოვ, მაპატიე ამდენს რომ ვბედავ..
გულდარდიანი მივყვები ქუჩებს,
მხრებზე მასხია დაღლილი წლები,
თვითონაც მიკვირს ამდენს რომ ვუძლებ,
უფალო, ნუთუ არ გებრალები?.
ჯერ ჩემი კალო არ მილეწია,
დაღლილმა სულიც ვეღარ ვათრიე,
რა ცოდვა-მადლიც ამიკრეფია,
ჩემი უმწეო მხრებით ავწიე.
ჩუმად მივყვები სველ ქვაფენილებს,
ფიქრებში ნანატრ სიმშვიდეს ვძერწავ,
ჩემი იმედის პურის ნამცეცებს,
ერთი მშიერი ბეღურა კენკავს...

***

ოცნებებში სიყმაწვილეს აირეკლავს
და ნაზ ამბორს სარკეს სტყორცნის მომღიმარეს...
თმის ჩანჩქერებს ხელით ნაზად აირეკავს
და გულისსწორს ფიქრით უხმობს: მოდი, მნახე...
მოდი, მნახე, ყური უგდე გულის ფეთქვას,
ბაგეები ჩვენს გრძნობებზე ჩურჩულებენ...
- მივდივარო, არასოდეს აღარ გეთქვას
და გულები სიყვარულით ღუღუნებდეს..
მოდი,ნახე სუსხიანი ზამთრის დილა,
შენს ნაფერებ ბაგეებზე როგორ წვება..
მოდი, ნახე პაწაწინა ფიფქის ფთილა,

მიტოვებულ გულისპირზე როგორ დნება..
ოცნებებში სიყმაწვილეს აირეკლავს...
სულის ფრესკებს მოგონებებს შემოავლებს..
ვერცხლისფერ თმებს გოგოსავით აიწეწავს
და მხარ-ბეჭზე მის ნაზ მკლავებს შემოახვევს...

***

ხელისგულზე ფიფქი პაწაწკინტელა,
დაფრინდა და გაოცებით მიცქერს..
კოცნა ვთხოვე, მაგრამ მგონი ეძნელა,
ცრემლად იქცა, გამიფრინდა ცისკენ..
მაპატიე, გაწყენინე იქნება,
კარგო ფიფქო, მითხარ რა დავაშავე,
გულმა შენი მოფერება ინება,
შენ კი მსჯი და ლამისაა მაშავებ.
რომ გიყვარვარ, ეჭვი არ მეპარება,
ჩემს სარკმელთან მაყრიონით მეახელ..
მეც მიყვარხარ, დამიბრუნდე იქნება,
იანვარს ვთხოვ, სწორედ ახლა ვეახელ...

***

ისევ იწვიმებს გაზაფხულის შხაპუნა წვიმა,
აცეკვდებიან ფანჯარასთან წვიმის წვეთები,
წვიმა გამიწვევს საცეკვაოდ, მეც გავშლი ხელებს..
პეპელასავით ავფარფატდები..
წვიმა ჩამაცმევს ვერცხლისფერად მოქარგულ კაბას,
გულს გადამიხსნის, ჩამიხუტებს, მომეფერება..
მეც ვიტრიალებ, ისე თითქოს ბოლო ზარია..
და ყველაფერი სხვანაირად მომეჩვენება..

მარი კუბლაშვილი

***

ტალღებად დაგდის სხეულში ეჭვი
და მზის ჩასვლასთან ერთად დაისობ,
შენ, გეშინია მოგვრილი სევდის...
შენ, სხვა სამყაროს ჩემსას არ იცნობ...
შენდობასავით მოელი ჩემგან
სიჩუმეს, როცა გრგვინავენ მთანი,
ახლა აპრილის დღეებიც მე მგავს,
უცხოა მათთვის სხვა გულისთქმანი.
შენ არა, მაგრამ მე კარგად ვიცნობ,
სამყაროს, უცხოდ რომ ხარ სრულიად,
და ისევ ისე ფარულად ვმისნობ,
რადგან დღეს სულ სხვა გაზაფხულია.

დამაგვიანდა

ამოსუნთქვაში ჩავატიე რაც მქონდა დარდი,
დარდი, რომელიც მუდამ ღიმილს თავს აფარებდა,
ალუბლის ყვავილს ვეფერები და ახლა ვხვდები,
რომ შენზე ძლიერ გაზაფხული შემიყვარებდა.
გონარეული მთელ სამყაროს მივედ-მოვედე,
უმთვარო ღამე უნუგეშოდ დადარდიანდა,
მეგონა აპრილს მოვასწრებდი შენამდე მოსვლას,
ვიჩქარე, მაგრამ ძველებურად დამაგვიანდა!

***

ახლა გვიანია ... ისე გვიანი რომ
ცაზე ვარსკვლავების მთელი დასი მოჩანს,
აქ ვართ, მე და ჩემი ძველი პიანინო,
ხან სიჩუმეს ვუსმენთ, ხანაც კიდევ მოცარტს.
დილა იგვიანებს, ცისკრის სადარები,
თვალწინ გადაშლილა ბნელი, ცივი ქუჩა,
გრძნობა გამიცივდა, ხელით ნატარები,
გრძნობა, ჩემს გულში რომ უხმოდ მოიქუჩა.
საზღვრებს გადადიან მძიმე აკორდები,
მოგონებებია, სულს რომ კიდევ მორჩავს,
აქ ვართ მე და ჩემი ძველი პიანინო,
ჯერ სიჩუმეს ვუსმენთ, მერე ისევ მოცარტს.

უნდა შემინდო

ეშმამ დალახვროს, ამ ღამესაც ვრჩები უძილო,
და გაცრეცილი მოგონების ვაცოცხლებ კადრებს,
უნდა შემინდო, უშენობას თუ შევეჩვიე,
თუ ძველებურად არ ვატარებ თვალებით დარდებს.

იმატებს სულში გაურკვეველ რითმების გროვა,
აღარც ნაცნობი მელოდიის არ ვარ მსმენელი,
არც უშენობა აღარ მყოფნის და უჟანგბადოდ
ვრჩები და ღამის მისტიკაში თავად ვერევი.

ეშმამ დალახვროს! გიჯობს ისევ შენვე მასწავლო
ძილიც, სუნთქვაც და დავიწყებაც, ოღონდ დღეს არა!
მერე შემინდე, უშენობას თუ შევეჩვიე
რადგანაც უკვე ერთი გულით სიცოცხლე მკმარა.

***

არ გეძებ, მე მხოლოდ ფიქრებთან ვსაუბრობ,
ვცდილობ და ვერაფრით ვერ ვიხსნი მარწუხებს,
ვხვდები რომ ეს ბრძოლა ძნელია და უფრო
რაღაცა, რაღაცა... უაზროდ მაწუხებს.

ეცვლება ფერები სეზონებს მარტივად,
და დღემდე ვერ ვყვარობ ამინდებს ჭირვეულს,
რად მიკვირს, ჩემში ხომ ყოველთვის მარტია,
ვალაგებ ოცნებებს, ათასჯერ მირეულს.

ვხედავ რომ აპრილი წინასწარ ზეიმობს,
გარეთ კვლავ თოვლია ... სითეთრე მამძიმებს,
ვინ იცის ეს გული შენს გამო რამდენს თმობს,
მძიმეა ... და ჩუმად ტკივილებს ვაძინებ.

არ გეძებ, და მაინც მინდა რომ მოხვიდე,
ვერაფრით ვერ ვიხსნი ამ წყეულ მარწუხებს,
არ მტოვებს განცდები იმისა რომ ისევ
რაღაცა ... რაღაცა... უაზროდ მაწუხებს.

***

სამყარო მიყვარს, გამჩენს ჩვენთვის რომ შეუქმნია,
სიცოცხლეც, მხოლოდ გაზაფხულის ფერებით სავსე,
ის ვაზი მიყვარს, ნამი ცრემლად რომ შეურთვია
და რომლის მადლიც არასოდეს მოშლია ქართველს.

რა სიამაყით მიცოცხლდება თვალწინ ხედები,
მზე თავაწეულ მზესუმზირებს ეალერსება,
მშვიდობის ისევ მოფრენილან თეთრი მტრედები,
თან სიხარულით ეს თვალები ცრემლით მევსება.

ჰყვავის წალკოტი, მადლიანი ხარობს თავთავი,
ფუსფუსებს გლეხი და ბეღელი ხვავით ევსება,
იშლება სუფრა, ითამადებს კვლავაც თავადი,
როგორც გულბაათ ჭავჭავაძე, გაილექსება.

აღარ დარჩება შეუსმელი ერთი ფიალაც,
კვლავ სადიდებლად უფლისა და ჩვენი ერისა...

მეც ვიგალობებ, შევიხორცებ ყველა იარას,
თუ ჩემს მიწაზე ფეხის დადგმა ისევ მეღირსა.

მუზები ჩივიან

ქარია... ფრიალებს გამხმარი ფოთლები,
ალერსი დამატყვეს ღაწვებზე შინდისფრად,
შენეულ იერში ჩემეულ ბოდვებით,
კვლავ საბნად ვიხურავ ამ ღამით სიზმრის ცას.

გამიჩნდა სურვილი მხურვალე რითმების,
მარცვლებად დავითვლი სიყვარულს ანაზდად,
პაექრობს ზეცაში სიშმაგე სიტყვების,
და პოეტესასთვის არ რჩება არასგზა!

თავად გვაქვს პოეტებს ჩვენ ჩვენი ფერები
და ჩვენთვის ფოთლები სხვაგვარად ცვივიან,
არავის მაგივრად უაზროდ თენებით,
დაღლილი მუზები დღე და ღამ ჩივიან.

ქარია...იხვეტავს ქუჩები ფოთლებს და
მეც ამ ეპოპეის დამჩემდა ტრფიალი,
ალიონს ურჩობა გრძნობებთან მომბეზრდა,
შვებას მგვრის ქარი და ფოთოლთა შრიალი.

მაია გამცემლიძე

***

გუშინაც გეძებდი,
და მხრებზე მათოვდა.
ჩემს გვერდზე გსახავდი,
მაგრამ არ იყავ.
ზეცა ჩემს სატკივარს,
სამძიმარს უთვლიდა.
შორი ცის მნათობი
მზე მწუხრში იწვოდა.
და მე დავიჯერე
ნუგეში მთვლემარე,
იდგა იანვარი
ჩემს სულში ხანძარი,
შენ ჩემში სახლობდი
ასე საოცარი,
ჩემი სიყვარულის ლამაზი ზღაპარი.

შენ

სულს რომ ეამება ის ქარი ხარ,
ვარდს რომ დაადნება ის ნამი ხარ.
თმას რომ გამიწეწავს, ის ქარი ხარ.
ნისლად რომ მოვა ის ღრუბელი ხარ.
ქვეყნად სიცოცხლე და სალოცავი ხარ,
ლიცვად მოსული ანგელოზი ხარ,
ჩემი სუნთქვა და სულის ქარი ხარ.

***

იცი! ცა ხარ განთიადი დილის.
ედემი ხარ, სადაც მე ვივლიდი.
ის შუქი ხარ, გზააბნეულს შველის,
ვარსკვლავი ხარ, მოციმციმე მშვიდი.
გულის ნაზი საალერსო შარმი,
მონაბერი, ცელქი სიო ნაზი.
ბობოქარი ზღვის ტალღების ჩქამი.
დაისი ხარ, მზის სხივი რომ ჩადის.

უფალო!

დღეს კიდევ ერთხელ დავსრულდი.
მადლობა შევსწირე ზეციერს,
ფიქრო! შენ დედისა ასრულდი,
მშვიდობის შემქმნელო მზეძლიერ.
დადის და დაგვყვება იმედად,

ცხოვრების სიმძიმის ხიდია,
სულ ჩვენი შემწე და მეოხი,
ჩუმად დუდუნით მივდივარ.
თითების ფალანგებს მოვჭედავ,
მამშვიდებს ლიცვების სიდიდე.
უფალო! - ჩვენამდე მოდი - დე -
იდიდე! ჩვენს გულში, იდიდე.

ია

თეთრი ზამთრის ცივ სამოსში,
ჩუმად სძინავ მონატრებას,
დღე მძინარე უკვე მოკვდავს,
ზამთრის თელხი ეპარება.
გაზაფხულის სუნს ნატრულობს,
მიწის გულზე მორცხვობს ია,
ყვავილს თავი დაუხრია,
სიყვარულის მკათათვეა.
სულს ნატერფალს ჩუმად სტუმრობს,
ოცნებებში ჩნდება ძალა,
მალე ზამთარს შემოახვევს,
გაზაფხულის ჭრელი კაბა.
დასეტყვილი ჩეროების,
გამოჩნდება ნაწიბური,
შეერევა ცივ სიოში,
თბილი-თბილი გაზაფხული.

***

გულის ცემა შემიჩერდა,
ეს დროც სადღაც გაიქცა,
სიყვარულის ნაპერწკალი,
ეხლა ალად გადიქცა.
დამელია მოლოდინი
აღარ მესმის ხვალისა,
ეს დროა თუ მოჩვენება,
ჩემს სარკმელთან ჩაიქცა.
გაგულისდა ისევ წვიმა,
ჩემი გულის მალამო,
ისევ ჩემი მარტოობა,
წვიმის წვეთმა განბანოს.
ასე თბილად დადის ლოცვად,
მიწის ცისდა მზრუნველად.
ერთმანეთის გაღიმება,
სიცოცხლისა ნუგეშად.

***

ჩემი ეიფორია,
შენი მკრთალი შეხება,
მოლოდინის წამები,
გათანგულის ნუგეში,
ამ ყოფაში დავიწვი,
შენ კი სად იყურები,
დახშულია ციხე და
თბენის ნაწვეთურები.
ეხლა ისე შორია,

შორს ნაცადი ხერხები,
ღიმილები წავიდა,
მხოლოდ დარჩა ცრემლები.
საით მიდის ჩემი ხმა,
უკან არ იხედები,
მე კი ისევ დაგეძებ,
ისევ შენით ვხელდები.
ჩემო სულის ნაწილო!
შემომხვიე ხელები.

***

სევდანაფენი ჩემი სულიდან,
კანკალებს, მოსთქვამს გული.
დრო ნაომარი მეფერებოდა,
ნაწილაკს ართმევს რული.
ცარიელ ფიქრებს ვერ ვაკოწიწებ,
დღეს აღარ მყოფნის ძალა.
და დროც გაიქცა ნაქურდალივით,
მოპარულ ცრემლებს ვმალავ.
მე სულ შენთან ვარ,
შენ არ მეკუთვნე,
ხელებს გაშველებ მაინც,
შენ კი წახვედი, და დამემდურე,
დრო გახდა ისევ მწყრალი.
მე და წამები, კვლავ ვაიოლებთ,
გაყინულ კედლებს ვათბობ.
შენ ნაფერები, მე ნაწამები,
ეხ, წამი ეხლაც დარდობს.
ჩუმად მოვედი, და ჩუმად წავალ,
ჩემი დროც აღარ დამრჩა.
საუკუნეა ასე ვაფერებ,
დროც დამიბერდა წამთან.

თამარ ნადირაშვილი

***

"ა-- ვე მარიას"ჰანგი ჩამიჯდა გულში,
ბ--არდნის გარეთ და მიდამოს თეთრად ქარგავს,
გ--აფრინდა წლები, როგორც ყვავილი ნუშის
და--ჩამოუშვა წარსულმა რკინის ფარდა.
ე-ნა ვერ აწერს ჩემს ფიქრებსა და განცდებს,
ვ--ერ დამავიწყა დრომ გამოვლილი ცეცხლი,
ზ--არი და გესლი უფრო გამძაფრდა რადგან,
თ--ვალწინ მრავლდება ქურდი "ოცდაათ ვერცხლის".
ი--მედიც კვდება და ფერფლად ქცევას ლამობს,
კ--არგი არ ისმის, არც არაფერი ხდება,
ლ--ამაზ ქვეყანას უდგას შავბნელი ხანა,
მ--აგრამ გზა ხსნისა არ სჩანს ნისლებში ჰქრება.
ნ--ამავს, ღვთისმშობლის ცრემლი ქვეყანას ნამავს,
ო-ხვრა და კვნესა ქართველთა ზეცას სწვდება,
პ--ანიკა მეფობს, რით გადვირჩინოთ თავი,
ჟ--ამს გაუსაძლისს ვვედრებთ ღვთისმშობელ დედას.
რ-წმენა გვინერგე, რწმენა გვიმძლავრე ღმერთო,

ს--ატანა მართავს ამ ლამაზ მთას და მდელოს,
ტ--ირილით, მოთქმით ცრემლი გამშრალა თვალში,
უ--რწმუნოება წალეკავს საქართველოს.
ფ--ული გამხდარა ჩვენი მეფეც და კერპიც,
ქ--ართველს ქართველი კაენივით თავს ესხმის,
ღ--ორებს უყრიათ მარგალიტები ჩვენი,
ყ--ურით ვიგებთ, თან ვხედავთ, მაინც არ გვესმის.
შ-იშში ვცხოვრობთ და კარგს აღარაფერს ველით,
ჩ--ვენ, თვითონ ჩვენ ვართ ჩვენივე თავის მტრები,
ც--ეცხლი მოგვადგა კარს ჯოჯოხეთის ცეცხლი,
ძ--ნელბედობა გვაქვს და ჩვენ ვერაფერს შევცვლით,
წ--მინდანთა რჩევებს თუ არ მივუდგეთ ყური,
ჭ-ირს გავიმრავლებთ, გეენა არის ახლოს,
ხ--ვედრი ვიცვალოთ, უფალს შევთხოვოთ შველა,
ჯ-ვრით გავიკვლიოთ გზა--უფალი რომ სახლობს,
"ჰ--ოე" და "ანის" უნდა ვირწმუნოთ ხალხო!

წმინდაო მარიამ

წმინდაო, წმინდაო, წმინდაო მარიამ,
დღეს გვედრებთ მზიანსა და ღამეს მთვარიანს.
ღვთისგან რჩეულო ჭურჭელო უწმინდესო,
უსაზღვროდ კეთილო, სულით უმდიდრესო.
ვადიდებთ ნაყოფსა შენისა მუცლისას,
შენ ხომ მშობელი ხარ მაცხოვრის - უფლისა.
შენ ხარ საფუძველი ახალი აღთქმისა,
შენა ხარ შანდალი უწმინდეს სანთლისა.
შენ ღმერთმა გიცნო და შენც მაშინვე იცან,
შენს ნაყოფს ადიდებს ცა და დედამიწა.

შენ ღვაწლი მიგიძღვის დიდი, არ მცირედი,
შენ ბოროტს შეები, გვაჩუქე იმედი.
შენ ხალხის გულებში სიკეთე აწვიმე,
უკუნეთ ბნელეთში სინათლე აბრწყინე.
შენ,ჩვენო ტკბილო და ჩვენო სანაქებო,
გულებში ღვთიური ცეცხლის დამანთებო.
შენ ფარისეველთა უცეცხლოდ დაგდაგეს,
შენი ძის წამებით სიკვდილი განახვეს.
მაგრამ ღმერთს მიენდე, გმირულად გაუძელ.....
მალე ძის აღდგომა ქვეყანას აუწყე.
წმინდაო, წმინდაო, წმიდაო მარიამ,
სიკვდილსა ვნატრულობთ, სიცოცხლე მწარეა.
გთხოვთ კვლავ გაგვიღვივო გულში სიყვარული,
კვლავ შეგვაძლებინო ცოდვის სინანული.
სოდომის, გომორის სიბილწე გვაშორე,
სიწმინდე, სიმართლე გვაჩუქე, გვათოვე.
სატანა გვებრძვის და გვიმონებს სრულებით,
გვედრებთ, რომ გვიცხოვნო ცოდვილი სულები.
ოხ, ვეღარ გავუძლებთ განსაცდელს ვეღარა,
მოხედე მარიამ შენს წილხვედრ ქვეყანას!

ოცნების ქალი

კვლავ გხვდება შენი ოცნების ქალი,
რომ შეეწირა უაზრო დუმილს,
და გემატება სახეზე ღარი,
და ამოვარდნას აპირებს გული.

და თავდაყირა დგება ყოველი,
თითქოს სხეულში რეკენ ზარები,
გრძნობ, რომ მის ნახვას მუდამ მოელი
და კვლავ გათრობენ მისი თვალები.

კვლავ გეკიდება ტრფობის ხანძარი
და კვლავ დაფრინავ ფიქრით წარსულში,
უფრო მეტად რომ დაგცეს თავზარი,
ღონიერ მკლავში გიმწყვდევს ბახუსი.

ლუკა

მთაში დაირხა ამბავი, მალ ჩამოვიდა ბარადა:
ერთი ლუკაი ყოფილა, რაზიკაშვილი გვარადა,
ღონიერი და მამაცი, სხვა ფშაველების დარადა,
გულ სტკივა სამშობლოსათვის, ცრემლი ჩამოსდის
ღვარადა.

თუმცა ჩოხაი აცვია, ფეხს უცავს ქალამანია,
ჩარგალში მისი ბადალი მაინც არავინ არია,
კაი მეზღაპრე, მელექსე, სიტყვა მოუდის სალია,
მტერს ძირში ისე მოცელავს, თითქოს ეკალ და ნარია.

მომღერალია ბუნების, უყვარს ბალახი ცვრიანი,
ლამაზად ამწვანებული და მოჩითული იანით,
ცადაწვდენილი ქედები, მათი "დეკა და ღვიანი",
ტიტველი სალი კლდეები, მიწაც ყამირი, ქვიანი.

იმასა ნაღვლობს პოეტი, რატომ არ გაჩნდა წვიმადა,
რომ ყოფილიყო "მუდამა ღრუბელთ გულ-მკერდის ღილადა",
რომ დედამიწა მოერწყო და შეენახა გრილადა
შემდეგ კი, თოვლად ქცეული გადაფარვოდა თბილადა.

უყვარს ცხოველიც, ფრინველიც, ვაჟა-ფშაველად წოდებულს,
ალეგორია ამშვენებს მის ნიჭს - ღვთისაგან ბოძებულს,
დაჭრილ არწივად გულისხმობს თავის სამშობლოს - გოდებულს,
ლექსების შეთხზვით ცეცხლს იქრობს საქართველოსგან მოდებულს.

ვაჟას სიცოცხლის ფესვები ყველა ბუჩქსა თუ ხეშია,
მას არ ეშლება ზნეობაც, სტუმარ-მასპინძლის წესია,
გულს ის უღრღნიდა, ურიცხვი მამულს მტერი რომ ესია
და მოგვევლინა ლექსებით, როგორც მხსნელი და მესია.

აგვავსო რწმენა-იმედით: კეთილი ისევ ჰყვაოდეს,
"შხამის და გესლის მთესველნი მოისპნენ, არარაობდნენ,
ჩვენი სიკვდილის მსურველნი, ყორნები აღარ ჩხაოდნენ"
დაეცეს ყველა ბოროტი, მხოლოდ სიკეთე ზვავობდეს.

თბილისს დაირხა ამბავი, გავრცელდა მთად და ბარადა:
ვაჟა-ფშაველად ცნობილი ლუკა გამხდარა ავადა,
"დეკა და ღვიის" ნატრული წასულა კუბოს კარადა,
გლოვის დღე უდგათ ქართველებს, ცრემლი ჩამოსდით ღვარადა.

მამუკა ოჩიაური

***

მსურს გაგიმხილო იმ ტრფობის ალი
რასაც ამ დღემდე კენტად უვლია
სადაა ნეტავ ის ტურფა ქალი
წარსულთან ერთად დაკარგულია

რად ვერ გითხარი ჩემი მზე ხარო,
დანაშაული აი რაშია
გულის ფეთქვავ და ხმაო მჭექარო,
ბედის მწერალი ვხედავ ცაშია

ვერ გახდი ჩემი გულის ზიარი,
მეც უსაშველოდ ისევ მინდიხარ
ჩემში ხარ, ჩემი დარდის ზიარი
ხან აისი ხარ, ხანაც ბინდი ხარ!

ბედმა, ეს ნეტავ რად დამაბედა,
მე ჩემი ტანჯვის მრგებია წილი
ჩემი შვილების არ გქვია დედა,
ვერ ჩაგიხსენი საკინძის ღილი.

რაღა დავწერო, ამაზე მეტი
გულს მიეჩვია უქრობი დარდი,
ასეთი იყო ორივეს ბედი
ნისლივით გაქრი, გამისიზმარდი!

ემიგრანტის წერილი

აქაც აცივდა გულცივობს მარტი,
ზეციდან წვეთებს თავს გვაყრის წვრილად
მამულო! ტკივილს გწერ ემიგრანტი,
და შენსკენ ვგზავნი ლექსებს წერილად.

ოცი წელია სხვის მიწას ვტკეპნი,
ოცი წელია რაც გაგეყარე
შენ ჩამოგშორდი, შენ მკერდს ვერ ვეკვრი
ღვთისგან ნაკურთხო სამშობლო მხარევ.

აქ ჩემთვის ყოფა გაუფერულდა,
შენთან დავტოვე დღენი ნათელი
ვიცი რომ გინდა, წარსულშიც გსურდა
კალთებქვეშ გყავდეს ყველა ქართველი.

მამულო მტკივა დღე განშორების,
მოგონებები მძიმე ,ავები
აღარ მთავრდება ბნელი შორეთის,
გზები დამღლელი, გაუთავები.

ოცი წელია ვარ ემიგრანდი,
ოცი წელია რაც გული მტივა

უცხო მიწაზეც გაჯიქდა მარტი,
ზამთრის სუსხია, საშინლად ცივა.

ვიხსნათ მამული

მდუმარე საფლავს სანთელი ანთებს,
ნელ - ნელა დნება დრო მეწამული,
ქართველო ხალხო სიმტკიცე გვმართებს
მტრისგან რომ ვიხსნათ ჩვენი მამული.

სარეველისგან გავწმიდოთ ყანა,
არ ჰქონდეს მამულს ეს იარები
ჩვენი დაყოფა, გათიშვა კმარა
გავთითოკაცდით და ვიარებით.

ვერ შევიცანით მოსული მტერი,
ვერ გაგვიგია ცუდი და კარგი
უცხო ქვეყნისკენ გზას ადგას ერი,
ბევრს წასაღებად შეუკრავს ბარგი.

ქართველი ქალი მსახურობს უცხოს,
არადა შვილთან სურდა დარჩენა
ის ცდილობს ოჯახს ხელი შეუწყოს,
შიმშილისაგან გადასარჩენად.

უდედოდ ბევრი გაზრდილა შვილი,
მძიმე ხვედრი და ყოფა რგებია
დააკლდა ღონე და თვალისჩინი,
შვილიშვილების გამზრდელ ბებიას.

მტერი ბევრია ირგვლივ და შორად,
ზოგს იარაღი, ზოგს თაფლაკვერი
ზოგმა კუთხენი ჩამოგვაშორა
და ზოგსაც გახრწნა მოუნდა ჩვენი.

გავერთიანდეთ დრო აღარ არის,
ნგრევის მაგივრად გვინდა შენება
უკვე ჩამოჰკრეს განგაშის ზარი,
ერს ემუქრება გადაშენება!

არადა გვიმზერს ჯვარი და გრემი,
გულზე მტერთაგან ნაჭრევიანი
თუ გადაბრუნდა ერთხელ ურემი,
მერწმუნეთ მერე არის გვიანი.

ოთხივე კუთხით მტერი მოგვადგა,
ჩვენ საჭურველი ზანდუკში ჩავდეთ
ყოფნა არყოფნის წუთები დადგა,
სამშობლოსათვის გავერთიანდეთ!

მავანთ შემორჩა ხის ტარი დროშად,
აღარ ხმიანობს, დღეს ჯურხას ფარი
მიგვიყიდია უცხოსთვის გროშად,
მრავალტანჯული ეს მიწა-წყალი.

გავერთიანდეთ,გვეყოფა ძილი
ამაზე ნეტავ რამდენი ვწერო,
მყარად დგას მუხის ფესვი და ძირი
ფერშეცვლილია კვირტი და ღერო.

ნეტავ ქართველო რამ დაგაძინა,
სადაა წესი, რიგი, კანონი
მევახშემ რამდენს წაართვა ბინა,
დატოვა სრულად უსახლკარონი.

მუმლივით უცხო მოედო ველებს,
გულმოდგინებით,პირველი დღიდან
და წინაპარნი ვერ მოინელებს,
წამოდგებიან საფლავებიდან.

რა დაგვიტოვეთ, რა დაგვრჩა ახლა
დაკარგულია ნდობა, შენდობა
სანამ მუმლისგან ეს მუხაც გახმა,
იქნებ ვისწავლოთ ქართველთ ერთობა.

მდუმარე საფლავს სანთელი ანთებს,
ფერი დაედო ცას მეწამული
როგორც არასდროს, დღეს ყველას გვმართებს
გავერთიანდეთ, - ვიხსნათ მამული!

შემოდგომა თათელში

თოვლი დევს მთათა ზედა,
სიცივე ისვრის ისრებს
გაბუტულია მზე და
შეხიზნულია ნისლებს.

დაეხშო ზეცის კარი,
დეკას სცივა და ზრეგა

ნოემბრის ცივი ქარი,
კარვის კარებში ძვრება.

შორს მგელი ყმუის ცალად,
გათეთრებულან მთები
როდის ჩამოვალ ბარად,
ო, როგორ მენატრები!

უშენობა

ეს უშენობა ჩემთვის მუდამ სიცივეს ბადებს,
ველარ მოგწერე სიყვარულით სავსე ბარათი
დრო იყო შენთვის, ყოველ დილით ვკრეფავდი ვარდებს,
გეუბნებოდი რომ ბარიდან მოგიპარავდი.

იმ დროს ეს იყო გაუქრობი ჩემი მიზანი,
და ოცნებები უსასრულო, დიდი, მთებური
მაშინ ვიყავი მაღალ მთების კენტი ხიზანი,
ბარულ ხმაურს და ბარულ ხორხოცს გარიდებული.

იდარე დღეო ნურასოდეს გაავდარდები,
გააქრე ნისლი მოფარფატე, ცაში და მთებზე
შენთვის ნაკრეფი წლების უკან დაჭკნენ ვარდები,
და დაეფინნენ ფიანდაზად წარსულის გზებზე.

არ ვიცი ახლა, ბარად არის როგორი დარი
წლები ვერ წაშლის ამოფრენილ გრძნობებს გულიდან
დაიმახსოვრე, ჩემთვის შენ ხარ ის ცელქი ქალი,
ვინაც მიცქერს და ვინაც მიხმობს იმ წარსულიდან!

ლიკა ქათამაძე

სიცოცხლე ერთი ამოსუნთქვაა

სიცოცხლე რაა? - სიკვდილთან დავა
ჭიდილი დროთა ორომტრიალში,
ცხოვრების ბილიკს თავადვე ვწერთ და
დასასრული კი, არვინ არ ვიცით.
სიცოცხლე, წამთა ერთად შერწყმაა,
დღისა და ღამის ერთობლიობა,
მანძილი სიკვდილ-სიცოცხლეს შორის
მხოლოდ რომ ერთი ამოსუნთქვაა.
ერთხელ გვეძლევა სიცოცხლე მხოლოდ,
განმეორება აღარ იქნება,
ჩვენი ცხოვრება ჩამოგავს ზღაპარს,
მხოლოდ მოყოლა გვეადვილება.
ვისთვის ლხენაა, ვისთვის კი შვება,
ვისთვის ნატანჯი მრავალი წამი,
ვისაც რომ ერთხელ არ უცხოვრია,
ნეტავ რა ჰქვია? ხმელეთზე მკვდარი?

უკვდავებას დავეძებ

მაინც ,დავეძებ უკვდავების მიმავალ ბილიკს,
თავად ვწერ კანონს, სიჯიუტე ჩემი ჰობია,
ვერ ვეთანხმები, ქვეყნიური ბუნების კანონს,
დავეხეტები, უმისამართოდ ვერ მიპოვია.
ჩვენი სიცოცხლე სანთელივით ნელ-ნელა იწვის,
დაიღვენთება, ისე თითქოს არც გვიცხოვრია,
გაიფანტება, როგორც ფერფლი არაფრის მთქმელი,
ბოლო მისია ამ ქვეყნიური ამოგვწურვია.
შორს, სადღაც სივრცეს, შეერევა ვარსკვლავი ერთი
მოწყდება ადგილს სხვა სივრცეში გაუწევია,
უსამართლო ხარ, შენ ცხოვრებავ! არაფრის მთქმელი,
ტყუილად გებრძვით, სიკვდილი ხომ გარდუვალია.
მინდა მჯეროდეს უკვდავება მაინც არსებობს
სადღაც სივრცეში სადაც ვერვის ვერ უპოვია,
ნუთუ ვერავინ დაგამარცხა ეულო მიწავ,
შენი გაზრდილი შვილი როგორ გაგიმეტია.
უაზრო ტრიალს გააგრძელებს დღეების ათვლა
კალენდრის გვერდსაც შეერევა ახალი წლები
სიკვდილს ვერასდროს შეაჩერებს ვერავინ ქვეყნად
ის ხომ ყველასთვის დაწერილი მძიმეა ხვედრი.

ვინ დამიტირებს

ნეტავ, მანახა ცხარე ცრემლით ვინ დამიტირებს!
ვინ, გაიხსენებს ჩემი ლექსის სტროფებს დარდიანს,
ნეტავ, თუ ჩემზეც გამწარდება ამ ქვეყნად ვინმე,
თუ ვინმე იტყვის, მის გარეშე როგორ ძნელია..
შეეხიზნება ძველ თაროებს ნაწერი ჩემი,

მტვერი ვერ წაშლის ვერასოდეს ნაწერს ცრემლიანს ,
გადაშლის ვინმე წაიკითხავს გულდასმით ფურცლებს,
გაუკვირდება რატომ წერდა ლექსებს დარდიანს?..
იცით? ვერასდროს ვერ ვიპოვე, რაც მსურდა მაინც,
იცით? ცხოვრების ამოცნობა როგორ რთულია,
როცა სიყვარულს ვერ იპოვი სამყაროს გასწვრივ,
დადიხარ ეძებ და სიგიჟის პოეტი გქვია.
მსურდა მეც მეგრძნო სამყაროში მცირედი სითბო,
თავდავიწყების რომანები ჩემს თავზეც მეთქვა,
- მე რომანტიკის და ნათელი ფერების გასწვრივ,
შექსპირის მსგავსად მე ლირიკის პოეტი მქვია!
მსურდა სიცოცხლე უკვდავების ჰორიზონტს გაღმა,
მეხატა ფუნჯით სიწმინდე და ძვირფასი ბაღჩა,
მწამდა არსებობს უკვდავებაც სიკვდილის შემდეგ,
მეც მოფარფატეს გრანელივით ზეცაში მსურდა....
მსურდა, მზის სხივით ანთებული სავალი გზანი,
მხოლოდ სიყვარულს ვერ გავუღე ვერცერთი კარი.
ჩემს კალამს ერგო, სისხლიანი ნაწერის კვალი,
ვერვინ გამიგო და დავტოვე სუყველა მაინც.
არ მეშინია აღარაფრის ტანჯვაში დაღლილს,
ლექსების სახით გავისტუმრე სამყაროს ვალი,
თუმცა იმ ქვეყნად! თან მიჰყვება მე ბევრი დარდი,
უფალო, ვიცი, რომ დამიცავ ზეცაში მაინც.

ჩემი სოფელი

მე, ჩემი სოფლის, მოხვეული ბილიკი მიყვარს!
იმ გზიდან ახლოს, როგორ მოსჩანს პატარა სახლი,
მე, მოჩუხჩუხე წყაროს წყალის სიმღერაც მიყვარს!
იქ სულ სხვაგვარი ჰაერია, სადაც მე გავჩნდი.

მე მიყვარს მიწა, მამა-პაპას სადაც უვლიათ,
სადაც ბებიებს, დაურწევიათ ლოცვით აკვანი,
მე, შემოდგომის სიყვარული შემომჩა დღემდე,
ყველა პატარა, რომ ვიყავით რთველში ჩართული,
კეცზე დამცხვარი საამური ჭადების გემო,
ბუხრის წინ როგორ, მერცხლებივით ვისხედით ერთ დროს,
ის წარუშლელი და ლამაზი ბავშობის წლები,
რას არ დავთმობდი, რომ ისევე, კვლავ დავიბრუნო..
თითქოს უცვლია ამ სამყაროს, დღეს უკვე ფერი,
თითქოს არავის არ ანაღვლებს, დღეს ქვეყნის ბედი,
მოვიგონიებ იმ საოცარ და ლამაზ ხანას,
ბავშობის გზები გამივლია, მათ გვერდით ლაღად.
მეამაყება, საქართველოს მიწაზე ვდგავარ,
მეამაყება, ქართველობა მიბოძა ღმერთმა,
ვერ დავივიწყებ, მოვიგონიებ ვიდრე ვარ ქვეყნად,
მათი სულების მოსახსენებლად, ქედს ვიხრი დღესაც...
მე ჩემი სოფლის, მოხვეული ბილიკი მიყვარს!
იმ გზიდან ახლოს, როგორ მოჩანს პატარა სახლი,
მე მოჩუხჩუქე წყაროს წყალის, სიმღერაც მიყვარს,
იქ, სულ სხვაგვარი ჰაერია, სადაც მე გავჩნდი...

მთაწმინდა და გალაკტიონი

აქ ,განისვენებს გენია ხალხთა,
არ დაბრუნდება, იმ ჟამთა ათვლა,
რამდენი ტკბილი ლამაზი ლექსი,
მათ დაგვიტოვეს შედევრთა მზგავსად.

მთაწმინდის მთვარე, დანათის თავზე,
ბუმბერაზ პოეტთ საფლავის ქვასთან,
აკაკი,ვაჟა,ილია ლადო,
დიდი რუსთველი არავის არ გავს.

შენ გალაკტიონ, ახედე მთვარეს,
როგორ ერთგულად გინათებს სამარხს!
არ ძალუძს არვის, სპეტაკთა სული,
დაფაროს, შავი სიბნელის ლანდმა.

ადგილმა შთანთქა, წინაპართ ჩრდილი,
მხოლოდ სახელი და ლექსი დარჩა,
თბილისის მიწა ჩაიკრავს გულში,
მათ საპატიო ადგილი დახვდათ.

მაგრამ არ მესმის, ქართველთა აღქმა,
რატომ ფასდება წასვლისას მართლა?
ნუთუ, სიკვდილი ამაღლებს პრესტიჟს,
ძეგლი თუ დავდგით სინანულს ფარავს?

წერდნენ და წერდნენ დღე და ღამ ამბად,
სამშობლოს ტკივილს, ცრემლების ფასად,
უამრავ შედევრს ფურცელზე სძინავს,
დღეს ვის ანაღვლებს, დავწერთ თუ დავწვავთ?

ვხატავთ და ხატვას, არ ააქვს ფასი,
არ გვაქვს შენდობა, ამ ქვეყნად მართალთ,
ძლიერი თუ კი, აღმოჩნდი მათზე,
ვერ დაფასდები, გესვრიან ტალახს.

მაინც ვაგრძელებ სინათლის ნახვას,
ლექსთა სტრიქონებს ტკივილით ვხლართავ,
დრო მოვა ვიცი, იტყვიან ჩემზე,
ის არ მომკვდარა, გენიად დარჩა.

მთაწმინდის მთვარეო! ერთ რამეს გკითხავ,
შენ ხომ, ამ ქვეყნად ყველაფერს ხედავ?
ნუთუ სიკვდილი სიცოცხლეს სჯაბნის
რომ განდიდების გენია გერქვას?

ყველაფერს ხედავს მთაწმინდის მთვარე,
ხედავს და მაინც დუმილით კვდება,
მან კარგად იცის სიკვდილის შემდეგ,
ყველას დიდების ტიტული ხვდებათ.

აქ განისვენებს გენია ხალხთა,
არ დაბრუნდება, იმ ჟამთა ათვლა,
მას შემდეგ წახდა, სამშობლოს ბედი,
თუმცა ლექსები შედევრად დარჩა.

მაკო მაჭარაშვილი

***

სარკმელს მიღმა დგას
იასამანი დედის იერის...
თავღია ქარი უთავბოლოდ
გარს უტრიალებს...
ანაზდად ცაზე მზერა თბილი
უხმოდ იელვებს
და მით ივსება სიცარიელე!
ლარნაკი სავსე იასამანით ,
დედის იერის...
მიმოფანტული ქარავანი
ნატვრა-იმედის!..

***

ისე ლამაზად ცრიდა ამ დილით,
საოცარ სურნელს აფრქვევდა ია...
ხან თოვს, ხან წვიმს და ხან ქარი ქრის,
ეს გაზაფხული რამ გადარია!?

***

ამიხდებოდეს ოცნება,
გადვიქცეოდე პატარად
დედასთან, "ჩოჩქოლის კარის"
"ხევები" შემომატარა,
იქვე მიწიდან მჩქეფარე
წყარო შემასვა ანკარა,
"სათივის" მწვანე მინდორზე,
სულ ფეხშიშველა მატარა!!!

ქურდი ქარაშოტი

უეცარ ისხარს მოჰყვა ქარაშოტი...
ქურდივით მომეპარა, გრძნობები წაიღო...
უფოთლოდ დამიტოვა ქარმა ყველა ტოტი,
შორს გააქროლა და ფეხვეშ გაიგო!

***

ლილისფერი ციდან მოდის
უნაზეს სხივთ სიფერმკრთალე,
მიწიდან კი მომანათეს ენძელებმა....
ფიფქთა მსგავსად მიმოფანტა,
ქარმა ლურჯი "ცისთვალები"...
ქარმა ლურჯი "ცისთვალები",
ვგრძნობ უშენოდ ოი, ყოფნა მეძნელება!

ვუსმენ ჰანგებს... გაზაფხულის ქარის ჰანგებს....
მზე - ღრუბლებში, მე -ძირს გეძებ....
ვეფერები ია-იას და ენძელას....
ვიგრძნო სურნელება შენი....
ვინძლო, შენი სუნი ვიგრძნო...
ოი, ყოფნა კვლავ უშენოდ, ვით მეძნელა!!!

გათენებამ ვერ ითმინა და გაშალა დღის კარავი...
და გაშალა დღის კარავი მწვანე მოლზე....
ცის კამარას შეჰფენია თოვლის ფიფქი, ვით ენძელა,
თოვლის ფიფქი ვით ენძელა....
ოი,ყოფნა, ვგრძნობ უშენოდ, კვლავ მეძნელა!!!!

კრძალვით ვისმენ მზისფერ ჰანგებს
მზე ღრუბლებში ფერიცვალობს....
მზე ღრუბლებში შესაშურად ფერიცვალობს...
ვეტრფი იმ წუთს, როს მეტყოდი:
მოდი, დედა გენაცვალოს....
მოდი, დედა გენაცვალოს!

მუზა

მუზა რა არის? გონება აზრის...
ხმელეთი... ზეცის ლურჯი ხედები...
მუზა რა არის? მკაცრ ჩანჩქერების
ნისლად ქცეული წყლისა წვეთები.
მუზა რა არის? მუზა სიტყვაა...
ყოფიერების ბგერა და ასო...
კაფე "მონპარნასს" ამად სტუმრობდნენ

ამადეო და პაბლო პიკასო.
მუზა რა არის? ჩიტი მზეწვია,
როს დაფრინდება ვაზის ნამხრევზე...
მუზა მზე არის აღსავლეთიდან,
სხივთა ბორჯღალით როს ისამხრეთებს.
მუზა რა არის? უშბა...თეთნულდი..
ცამდე აწვდილი მთათა პარნასი...
მშვენიერება და შთაგონება
პოეტთ საუფლო მრავალ ათასის.
მუზა რა არის? ჟღალი ღრუბელი...
მუზა ნისლია.. მუზა ბინდია..
სამყაროსაებრ უკვდავებაა
და შემოქმედთა ბეწვის ხიდია!

***

წყვდიადი ღამე... დახურული ყოფის ფურცელი...
ალიონს უხმობ... თუნდაც იყოს წვიმისგან სველი...
შემოდგომის მზეს... ალმაცერად გადახრილ სხივებს...
მიწას, მოფენილს შემოდგომის ფოთლებით ხმელით.
ნუ გაიხსენებ უსიამო დროს, დაივიწყე...
ნურც სინანულის, კაეშანის უხმობ ვუალებს...
პარადოქსების ეპოქაა... ადრე თუ გვიან...
საწყისს მოჰყვება დასასრული გარდაუვალი!
გასწი... იარე სიცრუისა კვლავ დასაგმობად...
გზა გაუკვალე, უარყოფილ ღვთიურ სიმართლეს,
მუდამ გახსოვდეს, მზე ღიმილით რომ აღებს ცის კარს...
და უსასრულო ზღვის ნაპირებს აფენს სინათლეს.

უნდა იყუჩო... დაიამო ის ტკივილები...
გაითავისო, შეურიგდე ულმობელ მარცხსაც...
გაჰყევი სხივებს, ჰორიზონტის სასრულ სივრცეებს
და ბუნდოვანი ბილიკები უნათე მართალს.
ამ უსასრულო სამყაროში მარტო ვართ რადგან!

წამო, წავიდეთ...

არ გთხოვ მანახო ეიფელი,
ლუვრი... ვერსალი... ან
პერ ლაშეზზე სასაფლაო
მ ო დ ი ლ ი ა ნ ი ს ...
არც შანზ-ელიზე,
არც ნოტღ დამი,
პიზა, ალპები...
წამო, წავიდეთ... რომ
არ იყოს ძლიერ გვიანი...
მოვინახულოთ ნიკოლოზის
წყარო ანკარა...
ზვრები ...ჭალები...
სხლიმიწების ლელი, ლიანი...
და მოვეფეროთ
წალდით გათლილ
ორღობის სკამზე
მსხდარ ჩემი სოფლის,
შრომით დაღლილ
ა დ ა მ ი ა ნ ე ბ ს!

ქეთევან ცაბაძე

***

დრო მხოლოდ შენზე ფიქრებს ამძაფრებს,
დროს უშენობა არ შეუძლია,
მე არ ვიჯერებ ასეთ დასასრულს
და შენს გარეშეც არ შემიძლია.
ისე მინდიხარ, როგორც ახლა მზე,
შენზე ფიქრები მე ჩვევად მექცა,
ხო და დაბრუნდი... სანამ დრო გვითმენს!
სანამ ოცნებებს ფერები ექნა!
ახლაც ვიხსენებ, იმ დღეებს როცა,
ფერებს აძლევდი ჩემს ყოველ დილას,
მერე წახვედი, გაქრა იმედი
და შენზე ფიქრი ტკივილად იქცა.
და სანამ მაინც იმედი არის,
სანამ დრო მაინც ჯიუტად გვითმენს,
დაბრუნდიი... სანამ ასე მოგელი
და მონატრების დიდ ტკივილს ვითმენ.

***

რამდენი თვე მონატრების
სასტიკ ტანჯვას ვმალავ,
დრო არ მშველის არ აყუჩებს
უშენობის ტანჯვას,
მესიზმები რომ წავედი
შენზე ფიქრი დავთმე,
ვოცნებობ რომ დაგივიწყო,
ფიქრებიდან გაქრე.
მე გავყევი ძველ ბილიკებს,
დრო სასტიკად მათოვს.
ისევ წვიმა, ისევ ცივა
და ისევ შენ გნატრობ.
ისევ მტკივა შემოდგომა,
ყვითელ ფოთლებს ვტირი
და მზის სხივიც გაყინულა,
ველარ მათბობს, მიდის.
მე კვლავ მახსოვს ჩვენი სკამი,
ჩვენი ჩრდილი მასთან
და ახლა თუ არ მოხვედი
ველარასდროს მნახავ.
მე გავყვები ფოთოლცვენას,
წვიმის წვეთებს სადღაც,
შენ კი მაინც ჩემში ხარ და
ნოემბრის ცას გავხარ.

***

ისევ გაცრეცილი ფიქრები,
ისევ არეული გზა,
შენ ხომ შენს თავსაც არ პირდები,
რომ კვლავ შეიცვლება რამ.
და ჩვენ კვლავ დავკარგეთ იმედი,
გარეთ ისევ ისე წვიმს,
შენ კვლავ ფოთოლცვენას მიყვები,
მე კვლავ ბედისწერას ვცდი.
ისევ უიმედოდ მოგელი
და კვლავ არ ვუტყდები თავს,
რომ შენ არ იყავი ის,
ვისაც, ჩემი სიყვარულის სწამს.
მაგრამ შემოდგომის სიცივეს
მაინც ხან, ხომ ათბობს მზე?!
ჩვენ დღეს ერთმანეთი დავკარგეთ!
დღეს ჩვენ ერთმანეთს გულს ვტკენთ!
მაგრამ, მაინც გულის სიღრმეში,
ისევ სასწაულის მწამს!
მაინც არ ვივიწყებ ამ გრძნობას,
შენს თითებსა და ხმას.

***

არ ღირს ტირილი და არც გულის ტკენა,
ზეცამ იტირა, უკვე საკმაოდ.
ისე წახვედი ისიც არ გითქვამს,
ან რას ფიქრობდი, ან რამ გაგაქრო ?!
რატომ დამტოვე, რატომ დამკარგე?
მარტის ქარიშხალს მარტო რად ვხვდებით,
თუ კი გიყვარდი რატომ გამწირე,

რად გამექეცი როცა გეძებდი.
დაიმსხვა გული, ისევ სიცივე,
მარტის მზეს ველი, აღარ ვნებდები.
მე გენდობოდი, მე შეგიყვარე,
მე გაზაფხულსაც შენთვის ველოდი.
ვერ დამაფასე, ვერ გამიფრთხილდი,
ვერ ამიხდინე მე ის სიზმრები,
ჩვენში რაც მოხდა მას დავივიწყებ
და მოგონებად გადაიქცევი.

***

უპასუხოდ დამრჩა ჩვენი გრძნობა,
გულის ფეთქვა და ღიმილი,
შენ არ შეიყვარე, ჩვენი სიყვარული,
ტანჯვა არჩიე და ტკივილი.
ისე გელოდი, რომ ცაც კი ტიროდა,
ღრუბლებმა მოიწყინეს ჩემსავით,
ძლიერ გნატრობდი და მარტო ნატვრად დამრჩი,
გაქრა ოცნება და ღიმილი.
ბევრჯერ დაგპირდი, რომ
მართლა დაგივიწყებ,
უკან დავტოვებდი ამ გრძნობას,
მაგრამ, როგორ დავთმო ის გულის ფეთქვა,
სითბო, შენს ხსენებას, რომ მოყვა?
რატომ გეშინია?
რატომ არ მეძახი?
რატომ გამიმწარე სიზმრები?
რატომ გაურბიხარ ასე ჩემს სიყვარულს
და სულ რატომ ინიღბები?

ბევრჯერ ვიბრძლე და ვერ შეგაჩერე,
მაინც ჩანელდა იმედი,
ვიცი შენც, რომ ისევ ისე გტკივა
ისევ ჩემს ნაბიჯებს მოელი.
ალბათ ასეთია, ჩვენი ბედისწერა,
აღარ შეერთდება ხელები,
ორივე ჩვენც ბილიკს,
მივყვებით ცალ–ცალკე
და მაინც ერთმანეთს მოველით.

***

მითხარი, როგორ გავუძლო ტკივილს,
რაც მარტს მოყვება მოგონებებად,
აყვავდნენ ისევ ყოჩივარდები,
და ძველებურად გულზე მაჭკნება.
ისევ მივყვები დათოვლილ ხეებს,
და ყვავილების სურნელით ვტკბები,
ისევ იგივე, რაც შარშან იყო,
ამ გაზაფხულზეც შენ გელოდები.
არ მითხრა ოღონდ, რომ ეს ფუჭია,
ისევ იებთან ერთად გაქრები,
თუ კი ყველაფერს დასასრული აქვს,
მე ამ ლოდინით, რად არ ვიღლები?!
ისევ მარტი და ისევ სიცივე,
ისევ აკრძალულ გრძნობის ატანა,
ერთხელ, ამ ქარში მოგენატრები
და ჩემი წასვლის განცდა დაგტანჯავს!!!

ეთერ გაჩეჩილაძე

ჩამეხუტე

ჩამეხუტე, გადამხვიე შენი ხელი
მაზიარე შენს სითბოს და ამოსუნთქვას.
ჩემს ოცნებად.. ჩემს იმედად გაჩენილი,
თითქოს ციდან სავსე მთვარე ჩამოცურდა.

წვიმის წვეთმა მომიტანა ნაამბობი,
შენ, რომ წვიმას უთხარი და მე რომ მსურდა.
რა შორსაა, თუმცა ახლოს მაინც ჩემთვის
შენი სული, შენი გული, შენი სუნთქვა.

ალიონზე თვალებს ვახელ შენზე ფიქრით.
ჩემს ფანჯრებთან შენს აჩრდილსაც მოსვლა უნდა.
ვინ რა იცის, რამდენჯერ ვწერ შენთვის წერილს
და რამდენჯერ ტკბილი სიტყვის თქმა, რომ მსურდა.

ჩამეხუტე, გადამხვიე თბილად ხელი.
ყურთან მინდა რაღაც გითხრა ტკბილად, ჩუმად.

რომ მიყვარხარ და რომ ძლიერ მენატრები
და სიცოცხლეს უდრის ჩემთვის შენი სუნთქვა,

შემინდე ისევ

ვერ მოვიცალე უფალო, შენთვის,
მაპატიე და შემინდე ისევ.
თვალის გახელას ცრემლები მასწრებს,
დამეხმარო და მიშველო, იქნებ.

ამდენ განსაცდელს ვერ ვუძლებ უკვე,
აღარ მაქვს აღარც შემლების თავი.
უსულო სხეულს ვატარებ უძღებს,
დავფარფატებ და დავდივარ მკვდარი.

ვერ გამოვნახე საშველი ჩემით,
ეკალ-ბარდებში ჩავვარდი ელდით.
საითაც ხელი გავწიე ნებით
სულ დამეკაწრა სხეული ეკლით.

თვალი დახუჭა მნათობმა ცაზე,
ნათელი არ ჩანს არსად და არსით.
სისუსტემ მძლია უმწეო მხარზე,
სიკვდილს მიეცა სიცოცხლის ფასი.

სადღეგრძელო

სადღეგრძელო ვთქვათ, მეგობრებო, ფეხზე ადგომით
და სასმისებში ჩამოვასხათ ყურძნის ნაჟური.
თავი დავხაროთ... ცრემლისა ვთქვათ თვალში ჩამდგომის,
არ ახდენილი ოცნებების, გულით ნაწურის.

გაცრუებული იმედებით მძაფრი ტკივილის
ფიქრად ქცეული ნატვრების და დარდის კრებულის.
სარკმელს მზირალი მომლოდინე თვალის ციმციმის,
ვით მოფარფატე ფოთოლისა ქარით, ეულის.

ცაში გაფრენილ ოცნებებით უტყვი სევდების,
თეთრად ნატეხი ბნელი ღამით გულის ჩქროლვების.
ძირს მობნეული დახეული ფურცლის, ლექსებით
და ყელს მომდგარი ამოუთქმელ მძიმე ოხვრების.

მოდით დავლიოთ, ჩაყლაპული ცხელი ცრემლების,
გულში ჩაკლული სიყვარულის თბილი გრძნობების
მარტოობისგან მდუმარების.. ხმების შემცველის
და დამსხვრეული ყველა ნატვრის, ტკბილი ოცნების....

ყველა შვილს...

გულს ნუ მატკენ, მომეფერე შვილო,
აღარ დამრჩა მე ცხოვრება გრძელი.
შენით გამაქვს ეს სიმძიმე ვცოცხლობ,
შენით ვაგებ მე ოცნებებს წლები.

დილა შენით მითენდება, ვხარობ,
შენითა მაქვს სიხარულის ცრემლი.
შენ ხარ ჩემი შთაგონების წყარო
და ცხოვრების სიხარული ერთი.

მე ხომ შენი სითბო უფრო მათბობს,
შენს სიცოცხლეს მივუძღვენი წლები.
მე, ხომ შენი ტკბილი სიტყვით ვხარობ
და ხომ ბევრი რამე დავთმე შენთვის.

შენთვის ვცოცხლობ და სულ შენზე ვფიქრობ,
ნურას მეტყვი, თუ კი ისე ვერ ვთქვი.
მაპატიე....მომითმინე შვილო,
შენ იქნები ღმერთის ტოლი ჩემთვის.

მომეფერე... ჩამიკარი გულში,
მე ხომ უკვე აღარ დამრჩა ბევრი...
შენს სიყვარულს ვერაფერში გავცვლი,
რადგან შენ ხარ სალოცავი ჩემი.

მჭირდები, გულო

გულო გაბედე, მითხარი რა გსურს?
არ მოგერიდოს.. რატომ ღვრი ცრემლებს?
იქნებ გატკინე და რამე გიწუხს,
ან კიდევ შველა, რომ ვეღარ შევძელ...
გულო მჭირდები, მადროვე კიდევ,
გამაგრდი უფრო, მომეცი ძალა.
ჯერ წლები მინდა სიცოცხლე ისევ,
რომ ავიხდინო ოცნება, ნატვრა..

დაყუჩდი გულო, ნუ ბორგავ ძლიერ,
არაფერი სჯობს სიმშვიდეს თურმე.
რა პატარა ხარ და როგორ იტევ,
ამდენ ტკივილს და სიყვარულს ულევს..
გულო გაბედე, მითხარი ჩუმად..
რით დაგიამო, გიშველო როგორ?
იქნებ ის გითხრა, რაც ჯერ არ უთქვამთ
და მოგეფერო, ჩემსავით ობოლს...
გულო გამაგრდი, მომეცი ძალა!
მჭირდები კიდევ, მადროვე წლები.
რადგან კვლავ ერთად მოგვიწევს გავლა
გზებზე, რომლებზეც გვივლია ბევრი...

***

დამსხვრეულ ოცნებებს ვაგროვებ ფურცლებზე,
ჩამოვწერ რიცხვის და თარიღის სიზუსტით.
ავკინძავ.. დავიდებ გადაღლილ მუხლებზე
და შემდეგ გადავშლი ჩვეული სიჩუმით.
ღამეებს ვერ დავთვლი უმთვაროდ ნათეთრებს,
უსიზმროს, ფიქრებში უშენოდ გავივლი.
დილებსაც უშენოს, ცრემლებით ნათენებს
ოთახის კედლებთან ნიაღვრად დავიცლი. .
ოცნებას ღამეში ვაგზავნი ზეცაზე,
მთვარეს და ვარსკვლავებს უბეში ჩავუთვლი.
ვინ იცის, რამდენჯერ გავუშვით მე და შენ,
ხელიდან იღბალი და შემდეგ ჩავჩუმდით.
ვინ იცის, დუმილი რამდენჯერ ვინანე
ან ნატვრა რამდენი, ფიქრებად ქცეული.
ვინ იცის, რამდენი ოცნება ვიდარდე
და ფურცლად ნაწერი, იმედი ეული.

ლია ხუციშვილი

***

თებერვალია, მზე ამოვიდა,
ფოთლებში ამოძვრა ია,
გამოთბა, სულ ცოტა გადაიდარა,
ბუნებას აღარ სძინავს.
იამ გვამცნო გაზაფხული
მოახლოვდა მარტი,
ხეში წყალი ჩადგება და..
კვირტებს გაშლის ვარდი..
ენძელამ კი ამოხეთქა
დათოვლილი მიწა,
გაზაფხული მალე მოვა,
გაგვახარებს ვფიცავ.

***

ეს ჩემი კუთხე, ჩემი სამყარო,
ულამაზესი მთა და გორები,
შემყვარებია დიადი ხედით
მთიდან ნაჯგეფი მღვრიე მორევით..

მთის მწვერვალიდან გრიალით ნადენ,
დურუჯის წყლისა ხრიალი ისმის,..
და მზებს გადაღმა უდაბურ ტყიდან
ტურების ყმუილი ყოველ ღამ გვესმის!...
ჭალაში შაშვი აშლილა მრავლად,
კურდღლის სოროებს დარაჯობს მწევარი,..
ხის ფუღუროდან ციყვი გამოხტა,..
ხაფანგს ამზადებს ნადირთ-მდევარი!..
კავკასიონზე მოუთოვია,..
თეთრი სამოსით გვიცქერს ბუნება,..
ქიმზე გადმოდგა ქორბუდა ირემი,..
გამოინათა განწყობა-გუნებამ!...
ულამაზესო კავკასიონო,..
ამაყად მდგარო, მთებო ყვარლისა
მღვრიე დურუჯო, ხანდროს საშიშო!...
შემხსენებელო იდუმალ დარდისა!..
ავსა და დუხჭირს ნუ შეგვახსენებ,..
საკმარი ავნე ჩვენს ლამაზ დაბას!...
შორით დატოვე უფალო ცრემლი,..
ავი აშორე ამ ედემ-ბაღნარს!

***

ქარი დაბერავს სასაფლაოზე,
ააშრიალებს ბალახს,
როცა მოვკვდებით, წავალთ იმ ქვეყნად,
გადავსახლდებით მარად.
ვეღარ გავიგებთ ცივ სამარეში
ქარის ქროლვას და წვიმას,
ვეღარც ვიხილავთ ზეცას,
გაცისკროვნებულს, მზიანს!..

აღარც ტირილი გვიშველის,
ჭირისუფალი ხალხის,
ყველას გაგვყვება ალბათ,
სიცოცხლის წყურვილის დარდი...
ველარ ვიხილავთ-ზემოთ,
ლამაზი ვარდების გროვას,
ველარც გავიგებთ-მწარედ
საფლავთან მოსულთ გლოვას!..
მხოლოდ,დავრჩებით დიდხანს,
გასახსენებლად,მწარედ,
მოვენატრებით, დაგვიტირებენ,
სევდის ცრემლებით ცხარედ..
მოვლენ ვარდებით, შენდობას იტყვიან,
ძაძებს დატოვენ კართან,
გაბრუნდებიან,იქ დაგვტოვებენ,
სამარეს ჩაყოლილ დარდთან..
ქარი დაბერავს,აჩურჩულდება,
მიყრუებული არე,
იქიდან ველარ ამოვალთ,
მიგვიხურავენ კარებს!...

***

გულში რაღაც ნაპერწკალი
აკიაფდა მალულ-მალულ,
სულში რაღაც ხმა ჩამესმა
უჩუმარი,..გაბმულ,გაბმულ!...
მესმის,..აგერ,ჩამჩურჩულებს,..
ხმა,ყოვლისგან სანეტარო,
ვაყურადებ,ვუსმენ გაბმით,..
არ მსურს ხმა რომ გამეპაროს!...

მოლოდინით გადაღლილმა,
დაქანცულმა მრავალ დღისამ,..
მოვისმინე ეს ხმა ჩუმი,.
თითქოს ჩქამი, ქვაზე წყლისა!...
დაა,ამ ხმისა გაგონებით,
ნაპერწკალი აგიზგიზდა,..
ცეცხლად იქცა, ჩაუქრობლად,..
ტალღებივით ალიცლიცდა!...
ეს ამინდიც აირია,
ხან წვიმაა, ხანაც დარი,..
წვიმის წვეთის ხმაურშიაც
ისმის უცხო ჩუმი ჩქამი!...
უჩუმარი და გაბმული
ხმა ნეტარი, ჩუმი, ტკბილი,
და ეს გული გაყინული
ძლივს გამილღვა, გახდა თბილი....

***

მზემ გამოანათა ზაფხულის თვეში,
პაპა გულდასმით თოხნის საბოსტნეს,
ელის დედაკაცს, თავის სიყვარულს,..
სათოხარშიაც მასზე აბოდებს...
გახედა შორით დაკლაკნილ ბილიკს,
-ნეტავი მალე მოვიდეს ცოლი,..
ჩემი ღიღინი ისმინოს ჩუმად,...
გულს გავუფანტო ღრუბლისა ლოდი..
ჩემი მოხუცი გამოჩნდა ფერდობს,.
საგზალი მოაქვს ჩემს მზეს და მთვარეს,..

მოაქვს ხელადით ვაზის ნაჟური,..
შავი მანდილით იფარავს თვალებს...
მომიახლოვდა ხელის მოჩრდილვით,
-კაცო, წამოდი, ჩამოჯექ ჩრდილში,..
დაიღლებოდი, მოგშივდებოდა,..
მოგწყურდებოდა საქმეში-ვიცი...
ღიღინში გართულმა შევხედე ღიმით,
წავუღიღინე ძველი სიმღერა,..
ესიამოვნა ჩემს მზეს და მთვარეს,
ერთ დროს სინაზით მე რომ მიმღერდა...
პატარა ბიჭივით შევხედე მოხუცს,..
მივართვი მინდვრის ყვავილი ნაზად..
გაოცებული მიცქერდა დიდხანს,..
ვეღარ იღებდა მოხუცი ხმასა...
მე სიყვარულით შევავლე თვალი,
პატარა ბიჭად ჩავთვალე თავი,..
გვიანღა მივხვდიი, დავბერებულვაარ, ...
ვაიმე თავოო, ... დამიდგეს თვალი!

ვედრება

დილის ნათელის ხილვისას
გულს რაღაც სევდა მოაწვა,
მოულოდნელი ცრემლები
თვალის უპეებს მოაწყდა..
გულს ჩაყოლილმა წუხილმა
გამთენიისას იმარჯვა,
წამომახტუნა ფეხზე და...

სული სიმწრისგან იტანჯა...
სიჩუმე სულს ცეცხლს უკიდებს,
ხმას ძალით ვიხშობ, არ ვკივი,
ვემორჩილები საწუთროს,
დამდაბლებული, - არ ვჩივი....
მივენდე ბედს და იღბალსა,
გულს ჩაყოლილი ფიქრებით,..
ვმალავ გულისა ნადებსა,
დარდით უცეცხლოდ ვიწვები..
ეს ჩემი დარდი ჩემია,
მუდამ გულს-თანა მყოფელი,
ოღონდაც უფალმა მიცოცხლოს,
ჩემს გულთან ახლოს მყოფები!...
მხოლოდ მათ თავებს ვავედრებ
ვლოცულობ, გულით მწუხარით,
მაკმაროს ტანჯვა-წამება,
არ მარგოს უფრო- მქუხარი!...
სანთელო წმინდავ, ნათელო,...
შენ შეგავედრებ - ვინც მიყვარს,
ჩუმი ჩურჩულით ვდუდუნებ,...
გულში შენს სახელს ვფიცავ!..
შენ ჩემო საფიცრად ნაქცევო,
შენ ჩემო დიდო იმედო,..
მიმყოფე ყველა ჯანმრთელად,..
შენგან მეტი რა ვინებო!?...

ირმა ტყემალაძე

***

ა--სე უთქვამს მაკედონელს
ბ--ევრს ანახეთ კუბო ღია,
გ--აიგონ რომ ისე მოველ
დ--ა არც არა წამიღია.
ე--ს ცხადია, ასეც ხდება,
ვ--ის რა მოაქვს რომ წაიღოს,
ზ--ოგი ამას გვიან ხვდება,
თ--უმცა არ სურს რომ გაიგოს,
ი--ბრძვის რამე დააგროვოს,
კ--ეთილ ზრახვებს აიგნორებს,
ლ--ოცვაც მხოლოდ მაშინ ახსოვს
მ--ტრის რისხვას რომ გაიგონებს.
ნ--უ გგონიათ რომ სიცოცხლე,
ო--ქრო ვერცხლით იყიდება,
პ--იარია ეს იცოდეთ
ჟ--მოტი კაცის ქადაგება.

რ--ოგორც ცარიელი მოხველ
ს--ამყაროსაც ისე ტოვებ,
ტ--ყუილია,,,რასაც მოხვეჭ
უ--ფლის გზად ვერ გაიყოლებ.
ფ--ასი მხოლოდ იმას ააქვს,
ქ--ვეყნად კარგი რა დათესე,
ღ--მერთი მარად დაინახავს
ყ--ოველივე კარგის მთესველს.
შ--იში "სიბოროტის" კაცში
ჩ--ვევად უნდა დაინერგოს,
ც--დები თუკი ფიქრობ მაშინ
ძ--ალადობა რომ შეგერგოს.
წ--უხარ მერე..... უკვე გვიან....
ჭ--ეშმარიტებას რომ გმობენ,
ხ--ალხნო დროებითობა რომ გვქვია
ჯ--ერ ამ ფაქტს რომ ნათლად ვცნობდეთ
ჰ--გავს დედამიწა სამოთხეს??

***

ჩ--ემი კუთხე, ჩემი მხარე,
ე--ს ჰაერი, წყალი, მიწა,
მ--კვებავს, მავსებს, გულს მიხარებს
ს--ხვანაირად ვსუნთქავ ვფიცავ,
ს--იყვარულით მიძგერს გული,
ა--ქ ყოველი სხვაგვარ მიყვარს,
ჩ--ემს საჩხერეს მხიარული
ხ--მით უმღერის თვით ყვირილაც,
ე--რთი ნახეთ;,, "მოდინახე"
რ--ოგორ ხიბლავს ყოველ მნახველს,

ე--ს ცა, ეს მზე და ეს მხარე
ს--ულს მითბობს და გულს ახარებს.

***

მინდა რომ გითხრათ ქალბატონო
და თან ვერ ვბედავ,
თითქოს ასაკი დაგტყობიათ
ჭაღარას ვხედავ,
თუმცა რას ვიზავთ, წლები გარბის,
დრო არ ჩერდება
და მხოლოდ გული ახალგაზრდობს
არა ბერდება,
თქვენ ნუ მოიწყენთ ქალბატონო
გულს გაუფრთხილდით,
დარდი არ უნდა აბატონო
სევდას უფრთხილდი,
ხშირი ღიმილი თქვენს ცხოვრებას
გაალამაზებს,
და ეგ ჭაღარაც უფრო მეტად
გაგალამაზებთ.

***

ჩემს ბავშვობაში არ გვქონდა შუქი
და ინტერნეტი არც გაგვეგონა,
სამაგიეროდ ჩვენ სიყვარული
და სხვანაირი ბავშვობა გვქონდა.
იყო ხალისი და ჟრიამული
ერთმენეთისთვის მეტი დრო გვქონდა,
ვიყავით მუდამ გულ მხიარული

გვიჭირდა მაგრამ არ გვეშინოდა.
შემოვსხდებოდით შეშის ღუმელთან,
ბებო კი ჩვენთვის თბილ წინდებს ქსოვდა,
ვყვებოდით ამბებს მბჟუტავ ლამფასთან
გარეთ კი როგორ ლამაზად თოვდა,
არ გვქონდა ჩათი და ინტერნეტი
არც ტანსაცმელი გვეცვა ბრენდული,
მაგრამ ჩვენ გვქონდა გრძნობები მეტი
და მეგობრობა წრფელი, ერთგული.

***

ჰ-ეი თქვენ ჩემო ქართველნო
ჯ-ავრ მორეულო მტერზედა
ხ-ომ არ გგონიათ გაგვთელონ
ჭ-ირი მოგვჭამონ მეტზედა
წ-აიღონ ჩვენი მიწები
ძ-ალა მოუვათ მეტზედა,
ც-ივ სისხლიანიც ვიქნებით
ჩ-ვენი სამშობლოს მტერზედა.
შ-ეუპოვრობა ქართველებს
ყ-ოველთვის გვაწევს მხრებზედა,
ღ-მერთია მოწმე არა ვცვლით
ქ-ვეყანას არაფერზედა.
ფ-იქრი მოისპონ ყოველმან
უ-ფლება ჰპოვონ ჩვენზედა
ტ-ყვიამ გვაშინოს რომელმან
ს-იცოცხლე ნაფერებზედა.
რ-ოდის იყო რომ ქართველებს
ჟ-ამთა სვლასისხლსა უცვლიდა
პ-ატიოსანი თავდაცვით

ო-მში სიკვილიც უღირდა.
ნ-უ შეეცდება ნურავინ
მ-იწაზე გვეცილებოდეს
ლ-ამობდეს ქართველთ ძმობასა
კ-ეთილ მტრის როლში ჩნდებოდეს.
ი-ცით რა არის კაცობა
თ-ავი რომ დღემდე მოყავდეს
ზ-ომიერების გაცნობა
ვ-ინ მტერი და ვინ მოყვარე.
ე-რთია ჩვენთვის სამშობლო
დ-ა არავისთვის გვეთმობა
გ-ვინდა მტრის რისხვა ვაშოროთ
ბ-რძოლაც ვიცით და ერთობაც.
ა-ქ არის ჩვენი სამშობლო
დიდება ჩვენს ქართველობას.

***

დაღონებულა დედამიწა, როგორ დაღლილა,
ამდენ ცოდვილთა შორის ცდილობს გზა გაამყაროს,
გვიან მივხვდებით რომ ცხოვრება ამად არ ღირდა,
უსიყვარულოდ რომ დარჩება მთელი სამყარო.
ადამიანო რისთვის იბრძვი მაინც რა გინდა?
სხვის დასანახად რატომ ცდილობ ჯვარი ატარო
ნუთუ სიცოცხლე არ ჯობია უფრო მარტივად
და სიყვარულის გაცემაში რომ გაატარო?
გადაიღალა დედამიწა, დაღონებულა
ამდენ მოძულნეს რა ძალი აქვს ბრალი აყაროს,
უმრავლესობა დღეს სიძულვილს დამონებულა
უსიყვარულიდ იღუპება მთელი სამყარო.

კახა ყავრელიშვილი

***

მოდის თვალის ცეცებით
სიბერეს არ ვნებდები,
ხოდა ისიც არ ჩქარობს
მოდის ფერებ-ფერებით.

***

საოცარია როცა
სიტყვა იქცევა ლოცვად,
ადამიანის ლოცვას
ბედნიერება მოაქვს.
ვიღაც ატარებს ბოღმას
ვიღაც ტალახში გორავს,
მაგრამ მოვა დრო როცა
ისიც შედგება ლოცვად.

ეს ჯავახეთია

აქ ორი მთვარეა
ორივე სავსეა,
ერთი რომ ცაზეა
მეორე ტბაზეა.

ზამთარში მზე ისე
შორი და ცივია,
აქ ხომ აბულია
აპრილშიც თეთრია.

აქ ტბები ბევრია
აქ იკრიბებიან
ამ ტბებით ტკბებიან
რაც ფრინველებია.

აქ წყაროს წყლებია
ცივი და კამკამა,
მდინარეს ერთვიან
ავსებენ ფარავანს.

აქ ბევრი ყორღანი
და ნასოფლარია,
აქ ქარის ქროლანიც
რა იდუმალია.

აქ იგრძნობ თუ გინდა
რა არის მისტიკა,
დრო როგორ ჩერდება

აქ ჩნდება შეგრძნება.

აქ ეკლესიები
იმდენად ბევრია
თან ისე ძველია
ეს ჯავახეთია.

აქ ნინოს კვალია
იმხელა მადლია,
ვაზის ჯვრის მადლია
ღვთის სიყვარულია.

ზაფხულში მზეც ისე
ახლო და მწველია,
ნახე და იგრძენი
ეს ჯავახეთია.

შენ სხვა ქალი ხარ

ქარი გეხება-გაშლილ დალალებს
თამაშ-თამაშით ჩემსკენ აქანებს,
არ ხარ ჩვეული ასეთ თამაშებს
ვიცი გაბრაზებს, ქარი გაბრაზებს.

შენ სხვა ქალი ხარ და ეს სხვა ქალი
ასიათასში გამოგარჩიე,
გულში მიმქრალი გრძნობის ლამპარი
ავაგიზგიზე, ცეცხლად ვაქციე.

მერე მოვედი ციხის ცხრა კარის
ცხრავე საკეტი ვლეწე, ვამტვრიე,
ხელი მოგხვიე, ოქროს დალალი
გადაგიწიე, გული გაგითბე.

შენ სხვა ქალი ხარ და ეს სხვა ქალი
შეგიყვარე და გრძნობა გავრითმე,
გადაგიხსენი გულის ცხრა კარი
გული მოგეცი, გული დაგითმე.

სიკვდილს

შენზე ამბობენ სიკვდილო
ცივი ხარ, როგორც მყინვარი
დაიარები, ყველგან ხარ
შენგან გამქცევი ვინ არის?

დაუნდობელი ბრმა ხარო
გემდურის ადამიანი,
სადაც სიცოცხლე თვალს ახელს
იქ ჩნდები ოხერ-ტიალი.

სიცოცხლემ გშობა, სიცოცხლემ
გაგხადა სახელიანი
მაინც სიცოცხლეს არ ინდობ
რატომ ხარ ასეთ ზნიანი.

არავის ინდობ სასტიკი
არ ხარ მოწყალე, გულჩვილი

ზოგს შუა გზაში ეწევი
ზოგსაც კი გზის დასაწყისში.

ბრმა ხარ და დაუნდობელი
არ გინდა თვალის ახელა,
ვერ მოგისყიდა ვერც მეფემ
ვერცა ვერავინ ამ ქვეყნად.

არც ოქრო-ვერცხლმა მოგხიბლა
არა ხარ მასეთ ზნიანი,
არცა სიმდიდრემ, ქონებამ
ამად ხარ სამართლიანი.

სულ ერთი წამი...

ივრის ჭალიდან აფრენილ ხოხობს
გაეკიდება მიმინო მალი,
სულ ერთი წამი, სულ ერთი წამი
დაეწევა და ვაჰ, ხოხბის ბრალი.

ივრის ჭალიდან აფრენილ ხოხობს
თუ გადაარჩენს სულ ერთი წამი,
თუ ერთი წამით, თუ ერთი წამით
დააგვიანებს მიმინო მალი.

დაუსხლტება და ივრის ჭალებში
ისევ ექნება იმედი წამის,
სულ ერთი წამით, სულ ერთი წამით
სიცოცხლე სიკვდილს უსხლტება, გარბის.

დალი დადუნაშვილი

შენდობას ვითხოვ

შენდობას ვითხოვ ყველასთან
შენდობასა ვთხოვ უფალს,
ღმერთია ვისაც ვუყვარვართ
სითბოს აჩვენებს გულქვას.
და შენ კი ადამიანო
ნუ დაივიწყებ ნათქვამს,,
დიდი ძალა აქვს შენს რწმენას,
განდევნე რაც კი გაგთქვამს "!

ნათლად ჩანდეს!

მეგობრობის ხელი მომეც
და შევიკრათ წრედ,
ერთად დგომა გადაგვარჩენს
და ვიქნებით მხნედ.
აქ ბედიის ტაძარია!
აქ ,,სამების" მზე!
დედის წილხვედრ საქართველოს

უფალი ყავს მწედ!
ვიდღეგრძელოთ ქართველთ შვილნო
გავიშალოთ მხრეებში,
მადლი უფლის სიყვარულის
ნათლად ჩანდეს ჩვენში!

კარგად ვიცი!

შენ დაგეძებ,შენც სომ მარტო დადიხარ
ვერც კი ხვდები რომ ძალიან მაკლიხარ
შენი ერთი შემოხედვაც მაგიჟებს,
ყოველ დილას სიმღერებით დაგიწყებ.
შემომხედე, გამიღიმე გულიდან
ჩემი გული ამოვარდეს ბუდიდან
შენი სითბო გულს სალბუნად ედება
გთხოვ სიცოცხლე დამილოცე ედემად.
ბარტყსა ვგავარ გადმოვარდნილს ბუდიდან
ქორს, მიმინოს ვერსად დავემალები
მხოლოდ შენი ფრთების ძალა დამიცავს
დამიგროვდეს შენი კოცნის ვალები.
დავდივარ და ისევ შენზე ფიქრებით
ხიდზე ვდგავარ თუ ბილიკებს მივყვები,
მახარებდეს მაგ თვალების ციალი
ხმა მესმოდეს მხოლოდ შენი ტრფიალის.
შენთვის ლექსს ვწერ, ავაჟღერე სიმები
მაოცებენ ვარდზე ნამის მძივები,
კარგად ვიცი რად მიყვარს და ვინა ვარ
შენი შუბლის მოტრფიალე წვიმა ვარ!

გაიხარეთ!

გაიხარეთ ჩემო კარგო
განათლება სიმდიდრეა,
საძირკველი სიხარულის
მხოლოდ, მხოლოდ წიგნებია.
რაც არსებობს ეს სამყარო,
რაც არსებობს დედამიწა,
წიგნზე უკეთესი რამე
არ მინახავს დედას ვფიცავ.
რასაც ვწერთ და რაც გვსმენია,
საფუძველი წიგნებია,
ყველაფერი რაც შეიქმნა -
უფლის მადლით შეგვიცვნია:
მოქარგული ველ მინდვრები,
მზე, მთვარე თუ ვარსკვლავია
მათი არსებობა ვიცით?
მასწავლებლად წიგნებია.
მოუსმინე ამ სამყაროს,
შეისწავლე ძალზე ბევრი
თაობებზე გასცე ცოდნა
დე გქვიოდეს ბრძენზე ბრძენი!

დავლოცოთ!

სიცოცხლის ყოველ წუთს დაგილოცავთ,
მუდამ კაშკაშა მზეს,
დედის თბილ ხელებს ალერსის მომცემს,
შვილით ბედნიერ წლებს.
სიცოცხლის ყოველ წუთს ჩუმად ლოცავს,
შვილით უღიმის მზეს,
დავლოცოთ მადლი დედაშვილობის
და დღევანდელი დღე!

ჩიორა

რისთვის მიმოქრის ქარი?
რომ გააღვიძოს ქალი!
ქალში დედობის მზე
და სიყვარულის წამი.
რისთვის ამოდის მზე?
გვაჩუქოს ერთი დღეც,
რისთვის აცეკვდა ტალღა ზღვის?
მოწონს ალერსი თბილი მზის!
რად გაბადრულა მთვარე?
იცის უმღერენ ღამეს,
ღამე რად სუფევს სიმშვიდე?
ესაა მისი სიმდიდრე!
ნეტა რად მღერის ჩიორა?
რომ გაგვახაროს იოლად,
ხედავ რა ხდება დღეს?
მე, შენ- ვუყვარვართ ღმერთს!

გრძნობს!

გაზაფხულის სურნელებას
ბილიკ ბილიკ უძღვის ქარი,
გაზაფხულდა!
ამ სურნელსა საოცრად გრძნობს
გული ქალის.
დაუფარავს ატმის ფიფქებს
გზა, სავალი, ბილიკ ... ქალის,
ვინ მოასწრებს ანც გაზაფხულს
ლოყა, ბაგე კოცნოს ქალის.
მხოლოდ დილას, მხოლოდ მზეს

და საფიცარსა გულის, ქალის!
მხოლოდ ამათ ნებას აძლევს
შარიშურით დატკბნენ ქალის!

მაგნიტი

რა დააკავებს თავნება აპრილს
ატმის კვირტებად გაიფურჩქნება...
რა დააკავებს სიყვარულს ჩვენსას
დე ერთმანეთი ვიწამოთ ღმერთად.
ვერ დააკავებს დროის დინებას
წუთი წუთისკენ წამით მიიწევს
მხოლოდ სიხარულს გავცემდეთ ულევს
არ შეგვაჩერონ ვთხოვოთ აპრილებს.
ან: და სიყვარულსაც დავიმსახურებთ.
მზე მაღლა ადის, გული გულისკენ
ისე მიიწევს როგორც მაგნიტი
დე სიყვარულსა ვუსინჯოთ პულსი
და ერთმანეთის გვერქვას „ მაგნიტი"!
ვუსმინოთ აპრილს, აისს ვუყუროთ
განმეორდება განა ეს წუთი?
მრავალ სიკეთეს შეიცნობს ტვინი
და გავიხარებთ თუნდაც ამ წუთით!
რაღა აზრი აქვს უზღვავ სიმდიდრეს
თუ გვერდით არ მყავს... ვის ვენატრები,
„გავაზაფხულოთ" ჩვენი ერთობით
აპრილს სიხარულს მივამატებდი...
რის „ნასესხები", რა „ნასესხები"...
ვალი იქეთ აქვს დროს, ჩვენი ვალი!
ერთმანეთისა სიყვარულს ვცდილობთ
დე გაგვინათდეს გონების თვალი.

ლილე კავკასიშვილი

აი, ვინ არის ალალი ბიჭი!

თბილისის ახლოს, თბილისის ახლოს,
ცხოვრობს ალალი ბიჭი.
ერთგული ვისი? მშობლების არა,
ცოლ-შვილის არა, აბა ვისი?
მარტიდან მშობელ მიწის.
სთავაზობს სტუმარს ვეწვიოთ დიდგორს,
ნახეთ რა არის დიდგორი დიდი!
სტუმარი ნაზად იზმორება და ასე მიუგებს:
ვნახოთ რა არის რჩეული შენი!
თუ შენ დიდგორი არ იცი ძმაო,
რა ჯიშისა ხარ, საიდან მოდი?
ჩემი წინაპრის სისხლი დაღვრილა
დიდგორის ბრძოლა იკითხეთ მაინც!
ვაი ქართველო, შესძახებს ბიჭი,
ცოტა ნაყლაპი წითელი ღვინით,
მე თუ დავიცავ ამ მიწას ძმაო,

რადგან წინაპრის დაღვრილა სისხლი.
სტუმარი დინჯად მიუგებს ახლა,
მერე რა მოხდა თუ არ ვიცი წარსული ქვეყნის.
მე იმისათვის ვარ განსწავლული,
რომ უკეთესი შენთვის შევქმნა მერმისი დიდი.
ჩაფიქრდა ბიჭი, სტუმარი არის,
ამან რა უნდა შექმნას მერმისის.
აქ რას ჩამოხვალ? შეეკითხება,
სტუმარი ეტყვის:
მინდა ვიყიდო მიწები დიდი:
გაოგნებული ალალი ბიჭი,
წითელი ღვინით უკვე დამთვრალი,
პასუხობს სტუმარს ახლა თამამად
არ იყიდება მიწები დიდი!

დაბრუნება

მიწის ბელტი დავაბრუნე მძიმე,
შემოვავლე მე საზღვრები ეზოს,
მერე სახლის საძირკველი ჩავყარე,
ვაზის ნერგით დავამშვენე ერდო.
სახლი დიდი აიგო და მაღალი
შთამომავალს უხარია ეგზომ.
ქორწილი და ლხინი არ მიკლებია
ჩემს აგებულ სახლებსა და ეზოს.
ახლა ჩიბუხს ვაბოლებ და ვზივარ,
არ ვცილდები კარ-მიდამოს, ერდოს.
სად წავიდა ნეტავ მართლა ეს ბიჭი?
შვილიშვილებს მე გავძახებ მხოლოდ.
ერთმა როდი მიატოვა სახლ-კარი,

რის გამოა გაეცალა ეზოს.
ნუთუ კაცი იმ ჭკუაზეც მოექცა
დაივიწყა საკუთარი ერდო.
გადის წლები, მესტუმრება სიკვდილი,
ვითვლი წუთებს, არც კი მინდა ფიქრი.
უცებ ვხედავ ჩემი ეზოს ჭიშკარს
გამოაღებს ჩემი შვილიშვილი.
პაპა, პაპა! როგორა ხარ, მითხარ,
თვალში ცრემლებს ვერ იკავებს ბიჭი,
ბადრო! ნუთუ შენ დაბრუნდი, კაცო?
სად იყავი? მალოდინე ბევრი.
ახლა მივხდი პაპა, ვინ ვართ, რანი!
საით მიდის წუთისოფლის გზანი?
რა სჯობია ამ მიდამოს ამ ველებს,
აქ დაღვრილა წინაპართა სისხლი.
მე დავბრუნდი რათა დავძრა ეს ბელტი,
მიწა რომლის ნაშობი ვარ შვილი,
ეზოს ახლა მე შევავლებ ხელებს
ბებერ ვაზებს განვაახლებ ჩემით.
ტყუილად როდი ირჯებოდნენ მეფენი, ჩვენი
მათ დაგვიტოვეს ესე სწორი ცხოვრების წესი,
ერთგული ლოცვებით და ქრსტეს ჯვარით,
მწამს გადარჩება (ერი ქართველი) მამული ჩვენი.

მე ვხედავ ერთიან ჩემს კავკასიას!

ეს გაუმარჯოს ძირძველ მესხეთს აკვანს ქართველთა!
ეს გაუმარჯოს ძირძველ კოლხეთს ჭრილობით სავსეს!
ეს გაუმარჯოს საზღვრებს იქით დარჩენილ ჩვენ ძმებს!
ეს გაუმარჯოს კავკასიის ერთიან დიდ რგოლს!

ქართლოსიანებს, ჰაოსიანებს, ტაოსიანებს,
ლეკებს, ჩეჩენთ, ჩერგეზ-ინგუშელთ, აბაზგიანელთა
ოვსებს ოდითგან ერთგულთ ბრძოლაში,
ჩვენს სისხლში მტკიცედ დამკვიდრებულებს.
მე მინდა ჩემი კავკასია ვნახო ერთიან,
ძმათა ომები არ გვენახოს ამიერითგან,
ღმერთი მოუხმობს თარგამოსის შთამომავალთა
რათა დამკვიდრდეს კვლავ ერთობა კავკასიანთა,
უნდა გადავრჩეთ კავკასიელნო,
და რომ გადავრჩეთ აღვავლინოთ ლოცვები მტკიცე,
ჩვენ ქრისტიანნო, ჩვენ მუსლიმანნო!
ვერ გავექცევით ლოცვების ბოლოს,
ჩვენგან წარმოთქმულ ამენს!

აჭარას!

როგორ გავბედო, შენზედ აჭარა,
ქება მოგიძღვნა დაულეველი,
რადგან შენს მიწას არ მოკლებია,
მარგალიტები სიტყვის ქებულის.
აჭარის წიაღს მარხია ძველი
არ გაჯიქებულ ისტორიანნი.
შენახულია სიწმინდე მთებში
კოლხეთ-მესხეთის სიდიადენი.
ზღვა ღელავს, შხეფებს უხვად ყრის
გემთა ბღავილი აკრთობს ნაპირებს.
არ დანებდება აჭარა წყვდიადს,
რადგან მოელის მერმისს უკეთესს.
თამარის ტაძარს აღვლენილი ლოცვები ახლა
მთასა თუ ბარში შეარყევს სივრცეს

და არ დაუშვებს აჭარელი კაცის
დამორჩილებას ტომზედ უცხოზედ.
სტუმარი მუდამ უყვარს აჭარას.
კარი ღიაა ყოველთვის მათთვის.
აბა გაბედე აჭარელ ვაჟკაცს
და შეურაცხე მას რჯული თვისი.

სამეგრელო!

სამეგრელო გადიშალა
თვალწინ მიძევს გზები სწორი,
საით გავიხედო მითხარ,
სი მარგალოუს ქოგუჩქუნეს
მეკითხება მგზავრი ჩემი.
ჭიჭე, ჭიჭე ქოგუჩქუნეს,
მავიწყდება ყველაფერი,
სამეგრელოს როცა ჩავალ
მახსენდება დანარჩენი.
ნეტავ აქა დამასახლა!
აქ ამომხდეს სული ჩემი,
სამარგალო სხვა რამეა,
ვნანობ მის ცას რომ ვერ ვშველი.
რადგან დიდი ტკივილია
გარდატეხეს ლამის წელში.
ვაი, ნანა ჩქიმი ცოდო
შველას მაინც არგზის ველი.
მაგრამ არა, ხმა ჩამძახის
არ შედრკება მარგალეთი
ქართულ სისხლის ყივილია
კოლხეთ-მესხეთ შენაერთი.

ნატალია ფიფია –სამუშია

***

ცხოვრება გამუდმებით ჩვენ თავბრუს გვახვევს,
საით მიგვაქანებ, აქ ჩვენ ვინა გვყავს,
იმას ვეღარ ვგრძნობთ რომ ჩვენ ნელ–ნელა
ვშორდებით სამშობლოს, საამო მიწა-წყალს .
სად არ წავედი რომელ მხარეში
მაგრამ ვერც ერთი ვერ შეგადარე
ჩემო სამშობლოვ შენზე ლამაზი
არც მეგულება ამ ქვეყანაზე.
ახლა ვზივარ და მე ამას ვფიქრობ
ფულის მონებად გადავქცეულვართ
რადგან სამშობლო თავზე გვემხობა
ჩვენც საშოვარზე გამოვქცეულვართ.
რამდენი ღამე ცრემლებით სავსე
რამდენჯერ თავზეც დაგვთენებია
ვეღარ ვიძინებთ, ვეღარ ვისვენებთ
ყველას სამშობლო მოგვნატრებია.
მაგრამ ვერც ერთი ნაბიჯს ვეღარ ვდგამთ
ხალხი ისეთი დამშეულია,

უფალო ჩემო შენ გევედრები
ნუ მიგვატოვებ ჩვენ შუა გზაზე
შენ მოახდინე ეს სასწაული
გაუტანლობა შენ დაამარცხე
და მერე ყველა ემიგრანტს ჩემო
საქართველოსკენ გზა გაუნათე.

გაზაფხული

გული სიყვარულით სავსე
ჩუმად მოკრძალებით დამაქვს
იქნებ მოგენატრო უცებ
იქნებ შემადარო არაგვს.
იქნებ გაზაფხულის მოსვლა
იქნებ შეხვედრები მალად,
იებს რომ მიკრეფდი ჩუმად
თმებში რომ მაბნევდი ნაზად.
ამდენი ყინვის შემდეგ
ძლივს გაზაფხული დადგა
აფეთქებულა ირგვლივ
ყოჩივარდების დასტა.
იებიც თვალს მიკრავენ და
შენ გელოდებიან ალბათ.
მე იმ გაზაფხულეთს ვეტრფი
როცა ჩვენ ვიყავით ბავშვად
მაშინ სულ სხვა დრო იყოო
მზეც ამოდიოდა სხვაფრად.
მეგობრობა და სიყვარული
იფურჩქნებოდა ვარდად
გაზაფხული კი თავის ფერებით
ალამაზებდა მთაბარს.

დღესაც მოვიდა ეს გაზაფხული
და თითქოს გულშიც დათბა,
ჩიტების ჭიკჭიკი ისმის ეზოში
მე რატომ ვერ ვგრძნობ ახლა?
იქნებ დამენახო სადმე ისევ
იქნებ დავიმშვიდოთ გული
რომ ერთმანეთისთვის მოგველოცოს
ეს ტურფა გაზაფხული.

ფიქრი

მე ჩემს ფიქრებში გამოვძერწე ბედნიერება ჩუმი ლამაზი.
სწორედ ისეთი რომ მინდოდა ჩვენ ორს გვქონოდა
დასასრულამდე მისასვლელ გზებს ფრთხილად ვეძებდი
მაგრამ ეს გზები სამწუხაროდ აღარ გამოჩნდა.
და ამიტომაც ვკეტავ ფანჯრებს, ვკეტავ კარებს, ვკეტავ
დარაბებს
რომ არასოდეს არ მომინდეს შენთან შეხვედრა.

ჩემს სოხუმს

იცი როგორ მომენატრე ენით ვერ ვიტყვი,
კალმით ვერც დავწერ ალბათ,
სუნთქვა შემეკრა და მომენატრა
და თოლიების ზღვა ჯარად,
გული ამიჩქარდა რომ გამახსენდით
ცრემლები ჩამომდის ღვარად,
წამით გავირინდე თითქოს შენთან ვიყავ
თითქოს ჩაგეხუტე წამად,
ჩემი სოხუმია ჩემი ქუჩებია
და უცებ ავფარფატდი ლაღად,
რომ გავიხედე ვზივარ მარტოდ მარტო

არავინ აღარ ჩანს არსად.
ჩემო სოხუმო ჩვენ დავბრუნდებით
ჩვენ ამ იმედს არ ვკარგავთ,
შენ არ მოიწყინო ოღონდ იარსებე
და დაგველოდე წყნარად!

ბედი

ვალაგებ ჩემს გრძნობებს,
ვაწყნარებ გონებას,
მაინც წარსულზე ფიქრი არ მშორდება,
თავისი კარგით, თავისი ცუდით.
მაინც სულ უკან ვბრუნდები წუთით.
ვბრუნდები მაგრამ იქ კი არ ვრჩები,
დღევანდელს ვუყურებ დღევანდელს ვითვლი,
დღევანდელობა ნამდვილი არის,
თავისი ტვირთით, თავისი ხიბლით.
მიყვარს ცხოვრება, მიყვარს მეგობრები.
მიყვარს გიჟური და მიყვარს უფლებები.
და ამიტომაც ეს მე ვარ ერთი
ღმერთმა მაჩუქა ასეთი ბედი.

***

განა შეცდომა არ დამიშლია? ნუ ფიქრობ ასე,
ქალი ვიყავი ახალგაზრდა უსიყვარულო,
მაგრამ სულ ვგრძნობდი რომ მიყვარდა ვიღაცა ერთი
და იმ ერთისთვის ჩემს სულსაც კი უფალს მივცემდი.
თაყვანისმცემელი? როგორ არა ბევრი მყოლია ...
არ ვყვარებივართ? მოგატყუებ ბევრსაც ვუყვარდი,
არ მიფიქრია რომ მეგრძნო და შემყვარებოდა...
და იცი რატომ?! უსასრულოდ შენ რომ მიყვარდი.

გთხოვ მიუტევე უფალო

განა უფლება გვაქვს არ გვიყვარდეს...
არ ვლოცულობდეთ, არ გვაქვს უფლება,
უფლის ნაჩუქარ სიცოცხლეს როცა
ბნელი სიკვდილი დაემუქრება.
და უძლური ხარ ვერაფერს ამბობ
და დღეები კი მიედინება...
გულში შენ ისევ ლოცვას ღაღადებ
სიარულის არ შეგეშინდება.
ლოცავ შვილებს და შვილიშვილებს
მეგობრებს, მტრებს და კიდევ ვინ იცის,
მაგრამ არასდროს არ წამოგცდება
უცოდველი ვარ, მე და ვის გიშლით.
პირიქით ცდილობ რომ თავდახრილმა
უკეთ დაიწყო გზების აგება
და ეს იმიტომ რადგანაც იცი
ხვალ ისევ ღმერთი შენთან დადგება.
აღარც კი ამბობ რამეს მაშინაც
როცა მართალი შენ თვითონა ხარ,
ფიქრობ აღარ, ღირს ენას არ ისვრი
გულში ინახავ მათ ყველა წყენას
და გზას აგრძელებ ჩუმი ჩურჩულით
შენ მოგვიტევე ჩემო უფალო
განა დღეს ვინმე უცოდველი ვართ?
ვფიქრობ ვატკინე ერთხელ მეც ვინმეს...
და ამიტომაც ჩემო უფალო
მეც მაპატიე, გთხოვ მეც შემინდე.

დალი ბურდიაშვილი

გზა

მოდის მოხუცი, დარდით ბაგეზე,
თოვლის ფიფქივით პატარა, ცივა,
ცრემლი მოგორავს დამჭკნარ სახეზე,
მისი თმებივით თეთრი და წმინდა.
ცრემლი მდინარი, გულს რომ უსველებს
წარსულ დღეების მაცნე წიგნია,
ეს მოგონება დარდებს უნელებს,
ფიქრები მისკენ სწრაფად მიჰქრიან.
მოდის ეული, სულ მარტოდმარტო,
მწარე ხვედრისგან შორს გარიყული,
გაჰყურებს ქუჩას, ეძებს და დარდობს,
მათზე, ვინც ასე ატკინეს გული,
დუდუნებს ლოცვას, რაც კიდევ ახსოვს,
ისევ შემორჩა გონებას ურჩად,
მიდის, მის სხეულს სიბერე ათოვს
გზა არ სრულდება, ბოლო არ უჩანს!
გადაიღალა, ფრთხილად ჩამოჯდა,

არეს გახედა უგულოდ, ცივად,
თეთრი ფიფქივით ნაზად ჩამოდნა
და დაიღვარა მიწაზე წვიმად!!!.

ზეიმი აქვთ დემონებს

ჩამოღამდა, დგას უკუნი,
მთვარე ნისლში ბანაობს,
მძაფრი ქარი გამალებით
არხევს ცაში მარაოს.
გაუშლიათ ფრთები ღრუბლებს,
წვერით მიწას სწვდებიან,
ქარიშხალთან ხელჩართულნი
უფრო ძლიერდებიან.
წამოვიდა მსხვილი სეტყვა,
იქნევს სახრეს ძლიერად,
პირი გახსნა, დაიქუხა,
ცა განათდა, იელა.
ქარბორბალა გზას იკაფავს,
მთას ხმაურით აწყდება,
ძლიერდება, იპყრობს მიწას
და თარეში არ წყდება.
ზღვა ბობოქრობს, ისვრის ტალღებს,
ხმელეთს ფარავს, იმონებს,
დედამიწა თვალს ვერ ახელს,
ზეიმი აქვთ დემონებს!

გახსოვს?

გახსოვს? ზღვის პირას მოლივლივე ტალღას ვხვდებოდით,
იცი? რომ მალვით შენს მაგიერ ვეფერებოდი,
წლებმა წამართვა ოცნებები, გული დანებდა,
ზღვამ კი ის ტალღა, შენს სიყვარულს რომ მაგონებდა!.
მახსოვს სახელებს როგორ ნაზად წერდი სილაზე,
მითხარ: მინდა, რომ ჩავაქსოვო სულის სინაზე,
შემდეგ ზღვას სთხოვე, არ გამწირო, უწყე მუდარა,
ბედის ტალღამ კი, ხედავ? — მაინც გადაუარა!.

მშვიდობა მოგცეს იესომ!

კავკასიონის მშვენებავ,
სამხრეთ ფერდობზე მბრწყინავო,
ქართველთ საფიცრად ხსენებავ,
მარადჟამს გაუწირავო!.
ჯიხვებს ქარაფზე იკრეფდე,
მზემ გაგინათოს ზვრებია,
უფლის ნაბოძი სიკეთე
არასდროს არა გკლებია.
ბევრჯერ გიწურეს მტევანი,
გიჩეხეს ვენახ- ვაზები,
თუმცა არავის უფინე,
ფარჩა და ფიანდაზები.
მჯერა იბრწყინებ, რომ ისევ,
კმარა, რაც ერმა იძინა,
არ დაბერდება ონისე,
არ გახუნდება ყიჟინა!.
ერო, მრავალჭირნახულო,
გულით გმირო და კაჟ- კაცო,
გრდემლზე ნაწრთობო, სახულო,

ფოლადად სხმულო ვაჟკაცო.
პატივს მივაგებთ გმირთა კვალს,
წინაპართ წმინდა ნაწილებს,
უფლის ნაბოძებ მიწა- წყალს,
არავის გავუნაწილებთ!.
შენ, ცაში ფრენას ჩვეულო,
სცადეს, მაგრამ ვერ გძლიესო,
თვით მარიამის რჩეულო,
მშვიდობა მოგცეს იესომ!.

იქნებ!

იქნებ მართლაც კიდევ შევხვდეთ სადმე,
დედამიწა ხომ წრიულად ბრუნავს,
იქნებ შენთვის მთიდან თოვლად დავდნე,
ვიქცე წყაროდ, სნეულ გულს რომ კურნავს.
ან, იქ შემხვდე ცაში, ღრუბლად ქცეულს,
სად, მარტო სულს უშენობით სცივა,
ჩამეხუტო, მომეფერო ეულს,
მიწას ერთად მოვევლინოთ წვიმად.
გზას დავადგე, იქნებ სწორედ იმ გზას,
ვით ზღაპარში, რომ მომიყვანს შენთან,
იქნებ შევძლო მივაღწიო მიზანს,
როგორც უწინ, კვლავ ვიაროთ ერთად!.
გულს ამშვიდებს სისპეტაკე ფერთა,
ვფიქრობ,— კვლავაც იმედი მაქვს ახლის,
რომ ყველასგან განშორებით,-ერთად,
ზღვაში, მარტოდ, გვედგას ჩვენი სახლი!.
იქნებ! — ვნატრობ, ამ ნატვრაში ვდნები,
ვიწვი, როგორც მარტოსული ალი,

უფლის ხატთან მუხლმოყრილი ვდგები,
შეგახვედროს ეს ჯიუტი ქალი!!!!.

სულის აგონია

მზის ფრთების ქვეშ შემაფარა,
ან ღრუბელი მომცა ბინად,
ქარიშხალი შემაყვარა,
მის მკლავებში დამაწვინა.
ცეცხლის ალმა გული მითბოს,
მთვარეს რითმად გაველექსო,
ნიაღვარმა გზა დამითმოს
ზღვას მივენდო საალერსოდ.
გზააბნეულ ექოდ ვიქცე,
მთის კალთებზე მქონდეს ბინა,
გადავლახო გრძნობის სივრცე,
რომ მაგ მკერდზე ჩამაძინა.
შენს ძლიერ ჩრდილს შემაფარა,
თუნდაც სუსტი მტრედი ვიყო,
ვნატრობ,— ისე შეგაყვარა,
რომ არასდროს არ გარიყო!!!!.....

ნანა მეტრეველი

***

გადაიქროლეს წლებმა ქარებად,
გული შემომრჩა ისევ უცვლელი,
ხშირად მტკიოდა, მაინც ყველაფერს
სიყვარულით და რწმენით ვუძლებდი.
ისევ ვაგროვებ მთაში გვირილებს,
თუმც აღარაფერს არ ვეკითხები,
ვიყავი, დავრჩი მეოცნებე და
აღარავისთვის არ შევიცვლები.
ამ ოცნებებში ვერც კი შევნიშნე,
რომ შემოდგომა დამდგარა კართან,
დააფრიალებს ოქროსფერ ფოთლებს,
არადა ეს დრო როგორ მიყვარდა.
იქროლე ქარო შემოდგომისა,
ვერ შემაშინებს ვეღარც ზამთარი,
ვერაფერს ავნებს გულს მეოცნებეს

ის სიყვარულით არის გამთბარი
და ვივლი ასე, ვიდრე უფალი,
აძგერებს ჩემს გულს იმედებიანს,
სიყვარულისთვის ღირდა სიცოცხლე,
სიყვარულით ხომ არც ბერდებიან.

თითის წვერზე აწეულო კოცნის ჟინო

წლების მიღმა დარჩენილო სილამაზეკ,
სიყმაწვილის გიჟმაჟურო ქარებო,
ფურცელ-ფურცელ დაფლეთილო გვირილებო,
სიყვარულო, გულით დანატარებო!

მარცვალ-მარცვალ აკინძულო მოგონებავ,
შეხვედრების ვნებიანო ალებო,
გულში ჩუმად შენახულ და გაუმხელელ
სიყვარულის გადუხდელო ვალებო.

გადავლილო ჭრელაჭრულა ბილიკებო,
მზის სხივებო სულ სხვაგვარად თბილებო,
თითის წვერზე აწეულო კოცნის ჟინო,
საკინძეზე აწყვეტილო ღილებო.

ტუჩის კიდეს შერჩენილო ღიმილებო,
მოგონების ყურში შებურბურება,
შემოდგომის ყვითელ ფოთოლთა შრიალო,
და წარსულის უკან ვერ დაბრუნებავ.

***

თუ გაზაფხული არ გამახარებს
და ყვავილობა იასამანთა,
მაშინ ვიტყვი, რომ უკვე ახლოს ვარ
ყოფნა-არყოფნის გზაგასაყართან.
თუკი სულ ერთი იქნება ჩემთვის
ვინ შემოაღებს კარებს ჭრიალით,
ნუღარ მომძებნი, მაშინ ყოველი
იქნება უკვე ძალზედ გვიანი.
თუ ზეცისთვალა იის სურნელით
არ აჩქარდება თავნება გული,
ნუ გაიოცებ, შენც თუ ვერ გიცან,
ნუ შემომხედავ გაკვირვებული.
გულიც ბერდება სწორედ ლოდინით,
კარს რომ უხურავს დაღლილ იმედებს,
როცა არავის არ ახსენდები,
ალალ ღიმილსაც არვინ იმეტებს.
ჰოდა იჩქარე, ვიდრე მახარებს,
ყვავილთ სურნელი და მზის ამოსვლა,
ვიდრე სულერთი გამხდარა კარგო,
ჩემამდე შენი მოსვლა-არმოსვლა.

ვინა ვარ...

ვინა ვარ?ერთი წერტილი,
ჩემი ლამაზი ქვეყნისა,
სიტყვა ვარ ლაღი, კეთილი,
ერთი ბწკარი ვარ ლექსისა.
წინაპრის სისხლის წვეთი ვარ,

მიწის გულიდან მოვდივარ,
გლეხის ღილკილოს ჩაწნული
ვაზის პატარა ყლორტი ვარ.
ბედმა სად აღარ მატარა,
რაჭაში მიდგას ფესვები,
წყარო ვარ ცივი, ანკარა,
მსვამენ და ისევ ვივსები.
დიდ ლიახვს შეერთებული
სამაჩაბლოს ცის ცრემლი ვარ,
აფხაზეთს შემორჩენილი
მაგნოლიების ტევრი ვარ.
ვინა ვარ? შვილმკვდარი დედის
განწირული ხმა, კივილი
და უბედური მამულის
კვნესა და გულის ტკივილი.
სიყვარული ვარ, სევდა ვარ,
ხან სიმღერებად მოვდივარ,
ხმელი წიფელის ფესვებზე
იმედად მდგარი ყლორტი ვარ.
ხან საგალობლის ენა ვარ,
უფლისა მადიდებელი,
რწმენა ვარ, ბედისწერა ვარ,
სამართლის მკითხავ მძებნელი.
ნუგეშად მოსული სიტყვის
შემსმენელი და მცველი ვარ,
რწმენის გარეშე კი, გეტყვით
უბრალოდ მიწის მტვერი ვარ.

ფიქრები ძველ თბილისზე

თოვლი დამდნარა, ყვავილობს ნუში,
მზე მთაწმინდიდან დახედავს ქალაქს,
ვერის დუქანში მეფაიტონე
სულმოუთქმელად გადაჰკრავს არაყს.
კედლებზე გაკრულ ნახატებს უმზერს,
მათში ცოცხლდება დიდი ნიკალა,
ასე ფიქრებში მგზავრებსაც ეტლით,
შემოატარებს მთელ თბილის ქალაქს.
ორთაჭალიდან თან გაიყოლებს,
იმ მემწვანილეს, ბეჭებში მოხრილს,
მტკვრის ნაპირზე კი მეთევზე ბიჭი
ბაწარზე ასხმულ თევზებით მოჰქრის.
თვალებით ეძებს მენახშირესაც,
გამურულ სახით და ზურგზე ტომრით,
ფიქრის გორაზე დიღმელ მემაწვნეს,
გასთეთრებია თმები ვით თოვლი.
მტკვრის პირს, მეტეხთან წაიღიღინებს
და მოინატრებს ნაცნობ მეარღნეს,
ძველ კოლორიტებს ჩვენი თბილისის
სევდა კი გულის სიმებს შეარხევს.
სიონის ზარი სულს ჩაეღვრება,
გახედავს მტკვარზე მოცურავს ტივი,
გაუმართიათ ლხინი კინტოებს,
ძირს გორავს ღვინით ავსილი ტიკი.
რა დრო გასულა...ან სად წასულან?
ნაცნობ სახეებს ვერ ხედავს, ვერა,
თითქოს ცხოვრების ტივს გჰყვნენ, ის კი
მემატიანედ შემორჩა ვერას...
ასეთი დილა ახსოვდა მოხუცს,
მისდევდა აღმართს ქოშინით, ნელა...
ნუში ყვაოდა ფიქრის გორაზე,
გაზაფხულობდა ბებერი ვერა!

ეკატერინე ზურაშვილი

***

და როგორც ბროლის ქალიშვილები,
დაკიდებულნი ცასა და ღრუბლებს
სიცივისაგან გამომშრალ მიწას,
უბაკუნებენ ყინვიან ქუსლებს.
დღენი და თვლემენ განმარტოებით,
სიმშვიდისათვის გადახდილ ხარკით,
ასკილის ტოტზე ქანაობს ჩიტი,
ბოლომოჭმული თებერვლის სახით.
თითქოს ჩამესმის ძახილი ზამთრის,
ნაბიჯს ვუზომავ შფოთიან ღამეს,
და თუთის ხეთა ტანმორჩილ ლანდებს
ტოტებზე ვკიდებ უძინარ თვალებს.
თოვლი, სულიდან მიაქვთ მარხილებს,
გამოძერწილი თიხის ბორბლებით,
ნაძვიდან ნაძვზე გადადის მთვარე,
და ჩრდილებს შორის თვრება ბოდლერით.
სუნთქვიდან ფრთებით ამოყოლილი

მინას ჩურჩულით ვაორთქლებ სიტყვებს,
რომ უშენობა სტკივათ ნეკნებს და
ლექსში მარცვლებად ჩაწყობილ ფიქრებს.
ზღურბლთან ჩამომჯდარ პეშვგაწვდილ ლოდინს,
ცრემლებზე ვკიდებ დღეთა საწყაულს
და უშენობით შემკრთალი გული
შენთან შეხვედრის მამცნობს სასწაულს.

***

შემოეხვია მზე ჯერაც შიშველ
ჭერამს და ქარში გაიყოლია,
პირველ პაემანს მოჰყვა მეორე
და თავბრუსხვევის ეიფორია...
მერე კი წვიმამ წაშალა კვალი,
და მოგონებას შეაჭრა თმები
არც არაფერი ყოფილა თითქოს
საფიქრალი და გასახსენები.

***

გავიდა დრო და როცა გაცხადდა
კავშირი მიზეზ-შედეგობრივი,
მზეს მფრთხალ სახეზე გაოცებისგან,
გადაუფრინა ჩრდილმა ქორივით.
სიტყვა ოფლივით შეაშრა ტუჩზე
და რომ ეგონა მას მხოლოდ ფლირტი,
იმ სიყვარულის დასტურად ჭერამს,
ამოჰბერვოდა მუცელზე კვირტი...

***

ვჯავრობ დღეებზე ჭორიკნებივით
უბნის სკამზე, რომ ამოახველათ
და ტანში ორმოს ვჭრი ბავშვობაში
ჩამარხული მზის ამოსათხრელად.
ვწუხ! ანდა, როგორ არუნდა ვწუხდე
რომ სიყვარულსაც დაედო ღალა
და ოცნებებსაც ჩვილი ხერხემლით
ქარის ხელებში ჩაეფშვნათ მალა...
ვტეხ! მოლოდინის დაგმანულ მინებს
სულიდან ნესტის გამოსადევნად
და ცას ვაწყვეტავ ლოცვის "რიტუალს"
მშვიდი დღის თავქვეშ ამოსადებად.
რადგანაც რწმენა ჩვევის ფიტულში
გამომწყვდეული, ითმენს სუნს შმორის
და ვით თრიაქის მწეველის ბოდვა
შეუცნობელი დგას სულ ჩვენ შორის.
ახლა ბევრს ვჯავრობ საკუთარ თავზეც
რომ ვედედოფლე სხვა ფიქრის მიწებს
და რომ ეს ფიქრი ვით მეტეორი
მოქნეულ ფრთებით მიმსხვრევს ლავიწებს.
ვწუხ! ანდა, როგორ არუნდა ვწუხდე
თვალებში ჩაყრილ სიზმრის ნამწვავებს
და წვეთ ცრემლზე ვდებ გრძნობას, რომელიც
მარტოობაზე ვერ გადავცვალე.

***

რეკენ ზარები და არემარეს
მხრებხე თოვლივით, ედება ღამე,
შორი მგზავრივით, ცის ქვეშ გასათევს,
შინდის წვერებზე ირკალავს მთვარე.
მეზობელ სახლში დედა აძინებს
ჩვილს და უმღერის ტკბილ იავნანას
სულიც, სიმშვიდის ტალღებზე რწევით
ხელებზე იწვენს,დღეთა ქარავანს.
ზამთრის სიჩუმით დაღლილ აივანს
შუბლზე გადასდის მწვანე ხვიარა
და კედელის ბზარშიც ხმელ ხავსმა თითქოს
ფეხისწვერებით გადაიარა.
აქ ქარს უცდიან სახურავებიც
იციან, ქარი მოიტანს ჭორებს,
ამბავს შეთითხნის სულმოუთქმელად
და მათთან ერთად დარდს გააბოლებს.
ცალფეხა სკამზე ზის მარტოობა
და უკაკუნებს მაგიდას თითებს
რაღაცნაირად სევდიან კაცის
სახეები აქვთ დრომოჭმულ ნივთებს.
ქოშზე წამოცმულ ნაბიჯთა შორის
რომ მოგყვებიან უკან ლანდივით
და საუკუნეს როგორც დიდებას
დაატარებენ სარკოფაგივით.
ხმა გაებზარა თავად ზამთარსაც
ასკილის ტოტებს ყინვით რომ ხრავდა
მერე დახუჭა თითქოს სევდა და
სიტყვის უთქმელად გაუჩინარდა.

***

ახლა მძიმე ვარ ფიქრით იმგვარად
თითქოს მეკიდოს ტანზე გირები
ისე სავსე ვარ სევდით, რომ ჩემში
თუკი შემოხვალ ჩაიძირები...
თოვლი ედება მზერის ნაკვერჩხლებს
მონატრებით, რომ ცვივდება თვალებს
და შემოდგომა გულზე ყურს ადებს
ყვითელ ფოთლებში დამარხულ ღამეს...
ცაზე ამოზრდილ ვარსკვლავის კერტებს
კბილებში იქცევს ჟამი წურბელი
და კბენის მტანჯველ სიმსუბუქისგან
წელში იხრება თეთრი ღრუბელი.
ყელს აღარ ვირთავ მზის ნამსხვრევებით
ჯანდაბას თუკი დღესაც იწვიმებს
ახლა ყველაფრით ისე სავსე ვარ,
თითქოს სხეულში სული ტივტივებს.

***

არ მიყვარს მეთქი თავს ვაჯერებდა
გულს ფრთებს ვაწიწკნი ჯერაც ღინღლიანს
და ყურს მობზუე მწერის ხმებივით
მუჭებში ვიმწყვდევ ფიქრებს პირღიას.
არაფერს გეტყვი, ამ ყვავილობის
მზეცა და წვიმაც თავად ვიქნები
შენ მხოლოდ ერთი გამაგებინე
თუ არ მიყვარხარ, რად მეფიქრები?...

ირმა ალფაიძე /იმერელი/

ვინ დათვლის

ვინ დათვლის თეთრად გათენებულ უძილო ღამეს...
ვინ მოთვლის სულში უთქმელ სიტყვებს...დარდს და
იარებს...
დრო მტკივნეული მონდომებით ითვლიდა წამებს...
გულგაბზარულმა...სევდიანმა წლებმაც იარეს...
ვუსმენ მუსიკას...ვეფერები საოცარ ბგერებს...
უცნაურ სიზმრად გადაიქცა სიცოცხლე...ვფიქრობ...
ცხოვრების გზაზე ადევნებულ სიძნელეებში...
ყველგან...ყოველთვის...შენი სულის სიკეთე მიხმობს...
სადღაც...ღრუბლებში...დაიკარგა ოცნება...ჩემი...
ცას გადმოსცვივდა სინანულის ცრემლები...თითქოს...
სურვილებით და უიმედო ფიქრებით დაღლილს
მიგრძვნია შენი ნაღვლიანი თვალების სითბო...
ყოველთვის...როცა მარტოობა ამირევს განცდებს...
როცა სამყარო ჩემგან სულის სიმშვიდეს ითხოვს...
მეიმედები...ჩვენი გრძნობის სიწმინდე მათბობს...
მამშვიდებს შენი საოცარი თვალების სითბო...

ძალიან მაკლდი

ძალიან მაკლდი...მთელი წლები ძალიან მაკლდი...
მზიან ამინდში დღის სინათლეს სიბნელე ახლდა...
ბევრჯერ...ცრემლებით შემოსილი...მოსულა დარდი...
კითხვები მქონდა...უსასრულო...საკუთარ თავთან...
დრომ გაიარა ტკივილებში...ლოდინში...დარდში...
უტყვ მოლოდინში საოცარი დამცვივდა წლები...
ვიცხოვრე ფიქრში მარტოდმარტო...განდეგილივით...
ბედნიერება აღარ მოვა...შეგრძნებით ვხვდები...
ნამდვილი გრძნობა ვეღარ შეცვლის უფერულ დღეებს...
თვალებს ემჩნევა იარები...გულს - ნატყვიარი...
დასეტყვილია ჩემი სული...ზამთრის ბაღივით...
ეს ჩემი სული-შენი სულის თანაზიარი...
შუაღამეა...ვუმზერ ზეცას...გარინდებული...
და გზის ბილიკებს...ჩვენი ნებით...გაყოფილს ორად...
მივყვები კენტად ამ ცხოვრებას-გრძნობადაცლილი...
ვგრძნობ...რომ სიმშვიდე სიცოცხლეში არასდროს მოვა...
მცივა მარტოსულს...მონატრებას ვერ ათბობს მთვარე...
გზარეული ოცნებები შემოდის ჩემში...
მოგეპარები წამით სიზმრად...მოგახვევ სუნთქვას...
თანხვედრა სულის...ჩვენი სულის...ჭკუიდან შემშლის...
ძალიან მაკლდი...მთელი წლები ძალიან მაკლდი...

ხანდახან

ხანდახან ფიქრი დროს...გარდასულს...თუ გამახსენებს...
და მარტოობა...უჩვეულო...ნატვრად ამანთებს...
მე მოვიტაცებ შენი სულის ფერებს...ძვირფასო...
და ჩემს სამყაროს მაისივით გავალამაზებ...

ხანდახან...თუკი მომაწვება დარდი...ჩვეული...
ავხედავ ზეცას...ვარდობისთვის მზედ რომ ანათებს...
მოვპარავ სხივებს...შემოვიხვევ სითბოს ღიმილად...
და ჩემს სამყაროს მაისივით გავალამაზებ...

ხანდახან...გრძნობა თუ მომიხმობს...სუნთქვად ქცეული...
ვუხმობ ოცნებას...სიხარული მზერას ანაზებს...
მოვიხდენ კაბას მე...შეკერილს ვარდის ფურცლებით...
და ჩემს სამყაროს მაისივით გავალამაზებ...

ხანდახან...როცა მონატრება მომეძალება...
ღამის სიჩუმეს მოვუყვები მხოლოდ...ამაზე...
გამოვიქცევი...შემოგახვევ ხელებს ყელზე და...
ჩემო ლურთვალავ...შენ მაისი გამილამაზე...*

ნუ მკითხავ

ნუ მკითხავ...ვინ ვარ...რა ვქნა...მაინც ვერ გიპასუხებ...
რადგან მზის სხივებს ხშირად ცვლიან ჩემში ქარები...
ხან ის ქალი ვარ...სიყვარულით ცას რომ უცინის...
ხანაც ობოლი...ნაღვლიანი დამაქვს თვალები...

ცხოვრება მიდის...ბევრი რამე მრჩება უთქმელი...
ჩუმ მოგონებებს მიტოვებენ სულში წამები...
მიჰქრიან წლები...მიჰყვებიან დროის დინებას...
და მოწყვეტილი ფოთოლივით არ ვენანები...

ხან ფიქრი მქვია...ხან ღიმილი...ოცნება...ნატვრა...
ამოკვნესება ტკივილიან დარდის სულიდან...

ყველაზე მეტად მე...რატომღაც ასე მგონია...
ცრემლის წვეთი ვარ...მოწყვეტილი გულის გულიდან...

ჯერ წინაა

ჩამიარა დრომ...და ხელი დამიქნია...
გაიტაცა სიყმაწვილის სუნთქვა...
გულში ფიქრად დამიტოვა სურნელება...
მოგონებებს მადლობა რომ ვუთხრა...

თუმცა თმებში შემპარვია თეთრი...მაინც
მზის ამოსვლას ოცნებებით ვხვდები...
მხიბლავს...მათრობს...გაზაფხულის ათინათი...
ჯერ წინაა საოცარი წლები...

სულში ვირგებ ბავშვის სამოსს...სიყვარულით...
და ვკამათობ კვლავ საკუთარ თავთან...
ვგრძნობ...სიბერე დაბერდება მოლოდინში...
ჩამომჯდარი ჩემი სახლის კართან...

ჩამიარა დრომ...და ხელი დამიქნია...
გაიტაცა სიყმაწვილის წლები...
ვერ შემცვალა...გათენებულ დილას დღემდე
გვირილების თეთრ კაბაში ვხვდები...*

მომენატრა

გულით სიცილი მომენატრა...ფიქრებგადაღლილს...
დარდები...მინდა...ღრუბელივით რომ გადავყარო...
უფალო... ვიდრე საბოლოო გზას დავადგები...
მე...გზაარეულს...მაპოვნინე ჩემი სამყარო...

დამღალა სევდამ...მოგონებებებს ვუხურავ კარებს...
უოცნებარი ზეცა ფერებს კარგავს...ხუნდება...
ჩურჩულით ვნატრობ...განთიადის მზემ არ დამტოვოს...
და მაპატიეთ ოცნებების გადადუღება...

მე...წლებთან ერთად...უთქმელ სათქმელს ლექსებად
ვკინძავ...
გთხოვთ...სულის სიმებს ნურასოდეს ნუ შეეხებით...
სტრიქონში ვეძებ ჩემი გულის საზრდოს და საყრდენს...
მესაიდუმლეს ვერასოდეს ვერ შეველევი...

ამქვეყნად ყველას ჩვენი ყოფის სიმძიმე დაგვაქვს...
ვიხვევთ მზის სხივებს...რომ სიცოცხლეს...ნატვრას
ათბობდეს...
უბელო დროში მინდა...ბედმა ისე მაცხოვროს...
რომ წასვლის შემდეგ ჩემი ყოფნა ვინმეს ახსოვდეს...

გულით სიცილი მომენატრა...ფიქრებ გადაღლილს
დარდები...მინდა...ღრუბელივით რომ გადავყარო...
უფალო...ვიდრე საბოლოო გზას დავადგები..
მე გზაარეულს მაპოვნინე ჩემი სამყარო.

დეზი ემანულიძე

***

დილის ათინათი, ზეცის ღიმილი, ცისკრის აისი,
გუგუნი მდინარის, ხეთა შრიალი იდუმალ ფერთან,
გაზაფხულიაო, ფრინველთა ჭიკჭიკი,
მოდის სიცოცხლე ბედნიერ დღეთა.

ბულბული ატკბობს ზეცას გალობით,
ტყეში ხეკაკუნა მუსიკას ჰქმის,
ჭალაში შაშვების ჭახჭახი გნიასით,
ბუნება იღვიძებს, სიცოცხლის სიო ქრის.

ლამაზ ფერებად გაღიმებული,
სიყვარულს აფრქვევს ზეცით ყლორტებად,
აფეთქებული ფერთა გამაში
სიცოცხლე მოაქვს გაზაფხულს ჩვენთან.

მალე წვიმაც მოვა წანწკარა,
წკაპა-წკუპით დედამიწას დაალბობს
ცისარტყელას ნაირფერი ათინათი,
დარდის ყველა შავ ფერს ერთად გააქრობს

ია-ია თვალს გაახელს ლურჯთვალა,
გვირილებიც მოჩითავენ მდელოს,
"გაზაფხული მოსულაო "უმღერებს,
სიყვარული ლამაზ საქართველოს!

***

თავს მადგამს გვირგვინს მუზათა მუზა,
და გარს მეხვევა მუზების ჯარი,
ცას ბინდავს შავად ღრუბლების გროვა
და იხურება ჭრიალით კარი.

ვფიქრობ ლოდინი ძალასა კარგავს
ფიქრებს მომავლის დარდი აწვალებს,
ნეტავ სიცოცხლე როდემდე გასტანს?!
წუთებს რომ გვითვლის და სულს აწვალებს.

სიცოცხლის დაცვა ღმერთებს მივანდე,
ღვთის გარდა ქვეყნად არაფრის არ მწამს
ღმერთის იმედით ვსუნთქავ ყოველ წუთს,
უფლის მადლს ჩოქვით ვილოცებ და მწამს!

ჩვენ, ნაბიჯებით ვტოვებთ ნაკვალევს ,
ჩვენზედ აუგი გვსურს არვინ არ თქვას,
და სინანულით ცოდვილთა მაინც
ნეტარ ცხოვრების უფელბა არ გვაქვს.

***

გრძნობა დაცლილი და ნაფერები
სულში ჩაღვრილი თრობის ფერები
ვნების კაეშანი გულში ფერებით
კივის წარსული ვნება ფერების

ეს მონატრება თავხედი, თავგასული,
ცრემლები ციდან წვიმებად მოსული,
ოხვრა გულიდან გრძნობად ამოსული
ლექსად ჩემეული შტრიხებად დასმული.

სულში ქარიშხლად ვნებები ქრიან
მათ დარდად ვატან გრძნობებს ფიქრიანს,
გულში აწეწილი ტკივილის ფიქრია
და ბწკარებად გავლებული ლექსებად მითქვია.

წარსულის სხივები ლანდებად გამქრალი
გრძნობები გულში არ არის ჩამქრალი,
ორივემ ვიცით რომ არ ვართ მართალნი
ცრემლიან თვალებით ყველაფრის ნათქვამი.

სული დარდისაგან წამებით გადაღლილი
ვნების კაეშნით მონატრება დაღლილი,
მოგონებები ტკივილით დაჭრილი
გულში ჭრილობები ვნებით დაცლილი.

ლოცვად დაჩოქილი მუხლებზე ნამყოფი
ჩვენი ერთი ღამე ცოდვის გასაყოფი,

ვედრება, ქვითინი არ არის სამყოფი
გოდება უფალთან რწმენაში გამყოფი.

სულში ჩვენი ტრფობა ტკივილად ჩასახული
დამთავრდა, გაქრა, გახდა წარსული
გვმოსავს სიყვარულის გრძნობა სინანულის
და დრო კი უკვე სუნთქვაგარდასული.

***

არ მინდა გავექცე მე ამ ჩემს ფიქრებს,
და არ მაშინებს თავსხმა წვიმები,
ვერ შემაშინებს ვერც ღრუბლის გროვა,
ღმერთო, მე მუდამ შენთან ვიქნები.

არ მინდა ოცნებებს შევაჭრა ფრთები,
არ მინდა გამუქდეს ქათქათა ქულა,
თვალუწვდენელი სიკეთის სივრცე
ენთოს ცისარტყელას ფერებად მუდამ.

მე მინდა სიცოცხლეს მოვხსნა საბურველი
საწუთროს მუხთალი ჩავაჭრა იბე,
მინდა სიყვარულს ავხსნა ბორკილები
ჩამოვხსნა ცხოვრების შავბნელი რიდე.

მინდა გავკვალო სიკეთის ბილიკები
ბედნიერების დავტოვო კვალი,
სიცოცხლის ხალასი მოვფინო სამყაროს,
სიძულვილს დავუმსხვრიო კლდეები სალი

სტუმრად მიწაზე მოვსულვარ ზეცით,
მეც ბევრი ცოდვით ნუ განმიკითხავთ,
მინდა სიკეთე რომ ვთესო ქვეყნად
სანამ უფალი მეც მომაკითხავს.

***

შენი თვალები ვერ იქნება ისე ლამაზი
თუ, ერთხელ მაინც არ გიტირია წმინდა ცრემლებით,
შენი ტუჩები ვერ იქნება ისეთი ტკბილი,
თუ ერთხელ მაინც არ გიკოცნია ეშხით, ვნებებით

შენი სიტყვები ვერ იქნება გრძნობით დაცლილი
თუ ერთხელ მაინც არ გილოცნია ღმერთთან ვედრებით
შენი ფიქრები ვერ იქნება კრთომით წაშლილი,
თუ ერთხელ მაინც არ გდენია სიყვარულის ცრემლის
წვეთები.

შენი სიცოცხლე, სიყვარულით დამთვრალი სევდა
შენი ტრფობა, ტკივილით ცრემლდენილი გოდება ცაში
შენი ალერსი მონატრების ვნებადქცეული
შენი სურვილი დადევნებული ამბორი გზაში

ტრფობა დაცლილი, დაფერფლილი მწველი ალებით,
ვნება, დამწვარი დანაცრებული ცეცხლის დენთივით
სულ მეძალება შენთან ბაასი ასე გრძნობებით
და მინდა გწერო მუზად ჩემო, ჩემი ლექსივით.

კახა გორგაძე

სივრცე და წამი

წამიერებამ იგრძნო სივრცე, ღამე გამეფებდა,
სულს ზამბახისფერს, შეუერთდა ლურჯი იები,
წამი და ვნება ვით უმწეო მთვარეს დანებდა
გამოეფინენ სივრცეებში, ლურჯი სხივები,

დრომ,სივრცეებმა დაიმონეს, დაიპყრეს წამი
ზენიტებიდან, ზენიტამდე ჩანს პირამიდა,
იისფერ სულმა წამიერად შეიგრძნო წამი
ბრძოლა მწადია, ზენიტებთან გაფრენა მინდა.

სული გადარჩა,დარჩა მუზა, ქალთა ამალა
სული უმწეო სივრცეებში ამ ქარებს გაჰყვა,
დავრჩი სივრცეში ქარისა და ლექსის ამარა,
ზამბახთა ფერი, სული ჩემი ლურჯ სხივებს აჰყვა.

***

ზეცა ბურუსში, ნისლში ეხვევა
ადიდებულა როგორ რიონი,
უმზეო ცას დღე ვეღარ ეჩვევა
სარკმელთან მოჩანს,გალაკტიონი,

ცას ეგებება ბოლო სიტყვებით:
ოლოლ,მოვდივარ, დღეს უნდა შეგხვდე,
ზღვაში მიცურავს გედივით,ფრთებით
სული ნატანჯი, სატრფოს რომ შეხვდეს.

გადმოდგა სარკმლით სული ეული
პოეტს უმზეოს, ტანჯვა ეგემა,
და გაყინული, ცივი სხეული
უეცრად, მიწას მძიმედ ეცემა.

ნატიფი

შენ ხარ ნატიფი, გულში ცრემლით ამონატიფრი,
სულ მუდამ დამდევს, მეყვარება შენი მშვენება
გაგიმხელ გრძნობებს და მოგიტან რითმათ,ლექსებად,
მოგიძღვნი რითმებს გვირილებად,ხან ენძელებად.
გეტყვი:მიყვარხარ, უშენობით სულს ეძნელება
შენს ნაფეხურებს სული ჩემი კვლავ ეფერება,
კვლავ ეფერება, გხატავს მუზა ლამაზ ფერებათ
შენს სიყვარულში ვივლი მუდამ, დაუბერებლად.
მოგაყრი რითმებს როგორც იებს, თანაც უკლებლად,
მინდვრებს იები, გვირილები ხომ არ ელევათ?
განა ნაძარცვ გულს, მუზა ღამით გამოელევა?
შენ ხარ ნატიფი, გულში ცრემლით ამონატიფრი
და ამ სიყვარულს, ვერც რა ძალა ვერ მოერევა.

ქართა ამალა

ზეცამ უეცრად შეჰკრა კამარა
აღმოვჩნდი, სადაც ზღვის მორევია,
ქარმა ზღვებში და თქეშში მატარა
ზღვის ტალღებს, სული ვერ მოერია.

მთვარე მოლურჯო მზეს მიეფარა
დაიპყრო სივრცე, ქართა ამალამ,
უმწეო სული ქარს მიებარა
დავრჩი, ქარის და ლექსის ამარა.

ცისკრის ვარსკვლავი

ვხედავ,ამ წუთს ცისარტყელა ზეცას რა რიგ ამკობს,
ცა მუქად მოოქროვილი, სათქმელს ტკბილად ამბობს,
ვარსკვლავთ ნათება და ბზინვა წყვდიადს ჩრდილში აქრობს
ზამბახთა ფერს, იდუმალი ცა ფერებში აქსოვს.
ცისკრის ვარსკვლავიც გაბრწყინდა და სინათლეს აფრქვევს,
სარდიონად, ლამაზ ფერად გადეფინა მთვარეს,
ამ ვარსკვლავის ბზინვარება ცას ფერებში ახვევს
უწინ ის ხომ კაციც იყო, თუმც ვერ შეიყვარეს.
უფალი ხორცში მოსული არ სცნეს, თუმცა ნახეს..
ცოდვის ძალა და წყვდიადი მთაბარს ნისლში ახვევს,
ერთდროს უფლის წმინდა კვართზე წილიც კი იყარეს
ცოდვით, ბნელით მოსილებმა მხსნელი ჯვარსაც აცვეს
არ იწამეს, თუმცა აღსდგა, ცას საოცრად ამკობს,
მისი სხივი და ნათება წვდიადს ჩრდილში აქრობს,
ცოდვილ, ბნელ დედამიწაზე სხივს ცრემლებად აფრქვევს
სარდიონის ლამაზ ფერებს მტერი ვეღარ ავნებს.

ცისკრის ვარსკვლავს იდუმალი მთვარე ვერ ჩააქრობს,
უკვდავების შარავანდედს ვერვინ ვერ დაამხობს,
მოდის ქრისტე, მოდის და ბნელს მალე მთლად გააქრობს.

სონეტი

ვარდებს უეკლოდ როგორ მოსწყვიტავ?
გულში გრძნობა გაქვს ეკლის და განცდის,
ეკლის შეხებით ხორცს დაიფლითავ
თუმცა აიხდენ შენ გულის წადილს,
ვარდზე ძვირფასს და ცრემლებით ნატიფს
განა შეიძენ, თუ ცრემლს არ დაღვრი?
სიყვარულს ისე როგორ მოსინჯავ
თუ არ იბრძოლებ და ტკივილს არ სცდი?
იებს უგულოდ განა მოჰკრიფავ?
ძლიერ ნაზია, სურნელიც ასდით,
უენოდ ტირის როდესაც სწყვიტავ
შენც აგატირებს, ცრემლიანს გაგხდის,
ასეა,როცა სატრფოს გულს შესძენ
გულს აგატკიებს, ცრემლებად დაგღვრის,
თუ გაუფრთხილდი, სიხარულს შეგძენს
და სამუდამოდ, ბედნიერს გაგხდის.

მერანს

მიჰქრის მერანი თავაწეული
უკვდავად, ლაღად გადაქცეული,
ერთ დროს მწყურვალი და წაქცეული
ეხლა ფეხზე დგას, სახტათ ქცეული.

მუქი ფერები ლანდად ქცეული
არ მასვენებენ, ვარ არეული,
ერთდროს მთლად სუსტი, სნემორეული
ეხლა კი სათნო, თავაწეული,
გამომწყვდეული, სულით ობოლი,
თუმცა სამოთხის კარს მიწეული.

დიდ მგოსანს

ციდან დაჰქროლა კატრინამ
და გაჩნდა სხვა აპათია,
ქარები ფსკერს დააწვინა
სისუტე არ აპატია.
ქართა ამალამ მუზები
სივრცეში ვერ დაატია,
მოდრკნენ წამები,წუთები
დრომ,ქარებიც აატირა.
მუზებშიც ორთაბრძოლაა
ქარებში სხვა ელფერია,
ქართა შეჯიბრი,რბოლაა
კვლავ მოჩანს პერიფერია.
გადმოსკდა კლდეკარს რიონი
ციდან მოვარდა კატრინა,
გამოჩნდა გალაკტიონი
კლდეს ცრემლები დაადინა.

მაია ზედგინიძე-
გარსევანიშვილი

***

ცვენა ისე მართობდა
რომ მეც ღამის ხელმწიფე თავს დამნათოდა,
მე კი წყალობად ცისკარს ვხარობდი,
ვარსკვლავთა განცხრომით შენთვის ვგალობდი.
აქამდე რად არ ვიფიქრე შენთვის,
ღამევ ვინ იტყვის შენ ხარ უკუნი,
შენს წყვდიადს უცხო სურნელი ერთვის
მზემ, დღის მფლობელმაც ვერ დაგდოს წუნი.
მეგონა ღამე ბუს ხვედრი იყო,
შენს სამყოფელში სიბნელე იდო,
ჩემს მკერდში გული ორად გაიყო
მინდა ნაწილი მძევლად დაგიდო.
შენს საბრძანებელს სტუმრად ვეწვევი,
შენა ხარ ჩემი ფიქრების გული,
ჩემი მასპინძლის უბეს ვეხვევი,
ღამევ მიმიღე შენი ერთგული.
შენი საუნჯე წიგნად მეშლება,
იდუმალება ხდება ხილული,

ფიქრის კიდობანს პირი ევსება
არ ეკარება ჩემს თვალებს რული.
შენ კი სახელად ღამე დაგარქვეს,
სულაც არა ხარ სიბნელის კერპი,
თამამად ესხმი ჩემს გულის სარქველს,
სიცოცხლის სურვილს ვერ გავუკერპდი.
შენი სიბნელის ნათელი ჭერი,
მშობლიურ ნდომას მაწვეთებს თმებში,
მე შენი ხიბლით გზა მომიჭერი
და გამაცოცხლე მარადის წლებში.

***

ისევ გათენდა დილა ლამაზი,
ისევ მომედო ალმური მზისა,
შემომეგებე როგორც ვარაზი
წყურვილო ჩემო მიწის და ცისა.
რა უცნაურად ვხვდები განთიადს,
გული საგულეს ახევს საკინძეს,
ცაზე ვარსკვლავნიც აღარ ანთია
ნეტავი მძივად ვისთვის აკინძეს.
მივერეკები ფარას ფიქრების,
მთელი სამყარო ახლა ჩვენია,
მარადისობის სკივრში სიზმრების,
ახდენილ დღეთა უხვი ძღვენია.
მშვენიერებას ვისუნთქავ ხარბად,
აღარ მივყვები აქოჩრილ ტალღებს,
დარაბებს კვნესა აღმოხდა ყალბად,
საიდუმლო კი მშვიდად კარს აღებს.
ჩემი ოცნება გამეფდა ისევ,
ცაში გაისმა ფიქრთა ბღავილი,

გადიდგულებულ ძალას თავს ვისევ
შვებას მგვრის ახლა შიშის ღნავილი
ისევ მოვივლი მინდვრებს ნაირმევს,
კვლავ შევერევი ფუტკრების ნაყარს,
ჩავეკონები ვარდს ნამაისევს,
ისევ გავყვები მერცხლების მაყარს.
გამოიფხიზლა განთიადს ზეცამ,
მთვლემარე მთვარე სარეცელს იწვევს,
გადმომეფარა ხელებით ზენა
დღეს მარტოობას დუელში ვიწვევ.

***

როგორ მახარებს ფიქრთა რიჟრაჟი,
დაორთქლილ მინას ვამშრალებ ხელით.
და შემომიტევს მუზა გიჟმაჟი,
თითქოს გამწყრალი თმენით რომ ველი.
ფუნჯით ვეხები ჩემს მოგონებებს,
ახლა იმ ქალის პორტრეტს რომ ხატავს,
გრძნობის მირაჟში აქოჩრილ ვნებებს
ჰაერში სევდის ნოტებად ფანტავს.
მოდი მესტუმრე ღმერთმანი გელი,
ფერხთით გაგიფენ ცვარ-ნამის ნამღერს
ტრფობის იალაღს მოგიქსოვ წნელით,
დრო სიყვარულის დაგვაყრის ნამქერს.
მოვეფინები ველზე ტიტებად,
შენი ალერსით დავჭკნები მზეზე,
ხან დავიბნევი მარგალიტებად
ნაფეხურებად გაგყვები გზებზე.

მოხატე ჩემი გულის ფიქრები,
მოგონებების ელვარე მხრისა,
მე კი მარადის შენთან ვიქნები,
ჩემი სავანის მხატვარო ცისა.

დედა

ქარი არხევდა მიძინებულ შიშველ ალუბლებს
და ჩვენს ეზოში სუსხი ჰაერს აგემოვნებდა,
დრო კვლავ ჩვეულად მონაცრისფროდ ღებავდა ღრუბლებს,
ნისლიან დღეებს ნოემბერიც არ აყოვნებდა.
ახლა მძინარეს შენი სუნთქვა მელამუნება,
ზურგზე ვიგრძენი შენი თბილი ხელის შეხება,
თითქოს ღრმა ძილშიც ველარ მიძლებს სიზმრის ცდუნება,
ჩემი თვალები შემი მკერდის სურნელს ეხება.
მინდა მოგიყვე, არ მეყოფა ეს ღამე ალბად,
სულაც გიმღერებ, რახანია არ მიმღერია,
რატომ შემომრჩი მოგონების სევდიან ამბად,
ფიქრები მარწევს შენს კალთაში ჩემო ფერია.
ჩემს ქუჩას მხრებზე მოხვევია რუხი აჩრდილი
და მაინც ისე გულიანად იცინის ზეცა,
მზემ დაიფარა ვერცხლისფერი ბედის მანდილი,
წლებიც დავარცხნილ გიშრისფერ თმებს სკივრში იკეცავს.

დავით ლომიძე

ნასახლარი

დადუმებულა ძველებური, კედლის საათი,
ლაქებად, მტვერიც მოსდებია კედელზე სურათს.
რა სიჩუმეა, ამ ძველ სახლში, რა სიჩუმეა...
თუ რამე სუნთქავს, საკითხავი ეს არის, სულაც...

გამოქცეულან კედლებიდან ბავშვობის წლები,
წყალმა ჩარეცხა მოგონება, ნაკადულივით...
და სახურავსაც ძლივსღა უძლებს ძველი კედლები
თითქოს, უნდა, რომ შეინახოს საგანძურივით.

ძველი ჭადარი, ჯერაც ცოცხლობს ორღობის ბოლოს,
ბებერი თონეც, ალბათ, ისევ ელის ბებიას...
ბაღში ხეხილსაც გახმობია მხცოვანი ფესვი,
მხოლოდ ჭრიალით ჰყვება ქარი ამბავს, სევდიანს...

***

ხელს ნუ გამიშვებ, მჭირდები კიდევ
მანამ მჭირდები სანამ მზე გვათბობს.
ხელს ნუ გამიშვებ, ცხოვრების კიბე
ვიდრე მიწვდება ჩვენს ერთგულ მნათობს..
ნუ დამიღამებ ადრიან დილას
და ნურც მომიწყვეტ ციდან ვარსკვლავებს
თორემ ვერ ხედავ, ცის ლურჯი ლილა
ხის კენწეროზე როგორ კანკალებს?!
ნუ მიმიტოვებ მზისდარ იმედებს
ნუ დამიბნელებ ნანატრ ალიონს.
თორემ ქარებს და მზეს მივენდობი
შემოდგომამ რომ გრძნობა არიოს...

***

მინდა, ისე უსასრულოდ გაწვიმდეს,
დამეღვაროს გულზე სევდა ნიაღვრად,
უიმედო სიყვარულის ცრემლებმა
დამასველოს, დამასველოს მთლიანად...

თუ წახვედი, მაშინ წადი ბოლომდე,
აღარ მინდა, რომ ფიქრებთან ვომობდე...
დაგივიწყებ, დაგივიწყებ როგორმე,
აღარ მინდა, უსასრულოდ ვგლოვობდე.

აღარ მათრობს გაზაფხულის სურნელი,
ჩემი ნებით, ვგრძნობ, რომ წარსულს ვბარდები...
შენი წასვლით დამიმსხვრიე მითები,
აღარ ვიცი, ვის გავანდო დარდები.

***

იქ გოლგოთისკენ მიმიწევს გული,
სადაც ცოდვები ერთად გროვდება,
ვერცხლი არ უნდა, გროშებს იბარებს,
ერთი იუდა მეც მელოდება.

ჯვარცმის ბილიკებს მეც გავუყვები,
წრფელი გულით და ცდომილი გზიდან.
მეც ხომ ერთ-ერთი ვარ იმათგანი.
ჯვარს ჩემსას მხრებით ბოლომდე ვზიდავ.

აქ ვარ, მეც გული შუბით გამიპეთ,
იქნება, ჩემშიც განწმინდოთ ცოდვა.
ფეხის გამთელეთ, გამამათრახეთ.,
რომ სიმწრისაგან დავიწყო ხოკვა.

ბოლოს ხომ ერთად წარვსდგებით ღმერთთან.
ყველას მოგველის ჩვენი სამსჯავრო,
მონანიების მხურვალე ცრემლით
სჯობს, ერთმანეთის სულზე ვიჯავროთ.

***

დაგტოვე მაინც ჩემი ფიქრის მემატიანედ
ვინძლო უშენოდ ვერ გავუძლო ოქტომბრის თავსხმებს
და დაჭრილ გულზე დამიამებს ისევ იარებს,
გრძნობა, რომელსაც არარსებულ იმედად.... გახვევ.

მინდა გიყვარდე ისე ძლიერ როგორაც მაშინ
როგორც გიყვარდი გაცნობისას, და პირველ ღამეს.

ახლა ოქტომბრის წვიმებში და უღმერთო ქარში
ვდგევარ და შენზე მოვუყვები ფიქრებით მთვარეს.

რომ სიყვარული შემძლებია შენზე ძლიერად.
ჩემი არ გქვია თუმცა მაინც ჩემში დარჩები.
და ყოველ ღამეს, შენთან მოვალ იმის იმედად
რომ სიყვარულით მიმიღებ და მეც გადავრჩები.

და როცა სულში გაზაფხული გამოანათებს
და როცა ტყეში აყვავდება ია ლურჯთვალა.
მინდა მე ვიყო ის პირველი, ვინც ლამაზ თვალებს
დაგიკოცნის და აგისრულებს ნატვრას, უთვალავს.

კლოუნადა

ლექსის წერა შევწყვიტე და
არტისტობა მოვინდომე,
მრავალსახა ჯამბაზების
მასკარადი მოვიგონე.
ხან მგელი ვარ რეჟისორის,
ხან - ცხვრის ქურქში გახვეული,
ხან მაცვია მეფის ჩოხა,
ხანაც - ფლასი დახეული.
ზოგჯერ მონა სიყვარულის,
ნასროლ ტალახს მეც ავიტან,
გულში უსამართლო ლახვარს
მეც მოვითმენ, ვით მარიტა.
ხან წარსულის გმირი ვარ და
მტერთან შეყრას ვნატრობ გზაზე,

ზოგჯერ გულში ვტირივარ და
სხვის ჯვარს ვზიდავ გოლგოთაზე...
პოეზია აღარ მინდა,
ჯამბაზობა მირჩევნია...
და ვეღარ ვცნობ შორი გზიდან
ვინ სხვისია, ვინ ჩემია!
ჰოდა, ასე „ დამევასეთ"
მოსეირე ჯამბაზები,
„ ბედნიერი" ცხოვრებისგან
აღარასდროს გავბრაზდები.

***

კალამში მელანს შევატყვე დაცლა
ბოლო წვეთია. მოვასწრებ წერას?
ფიქრის ზვარაკი ვაქციე განცდად
ისევ ვერ ვუძლებ შენს მაცდურ მზერას.
ბოლო წვეთია, წამზომი მიდის
ისრებიც ნაზად მიიზლაზნება.
ჩემი მერანიც მიმაფრენს, მიჰქრის
მიჰქრის და სადღაც მიეჩქარება.
დრო დამრჩა, რაღაც წამებზე ცოტა
მე კი ვწერ რაღაც გულის ძახილებს.
ძნელი ყოფილა გაექცე ცოდვას
თითქოს და ძილშიც ვიღაც მაფხიზლებს.
გამკრთალდა უკვე ყოველი სიტყვა
აღარ ემჩნევა გაცრეცილ ფურცელს.
მე კი ვწერ ისევ, ურითმო ლექსებს
და ვეჯიბრები ძლიერს და სუსტებს.

სოფიო სამანიშვილი-აბულაძე

მე მოვალ შენთან

მე მოვალ შენთან მხოლოდ ლექსებად,
ფერად სიზმრებად მოვალ მე შენთან.
ან კიდევ,მოვალ შენს ღრმა ფიქრებად
და უსასრულოდ ვიქნებით ერთად.
თუ სიხარული მოვა ღიმილად,
მადლობას ვიტყვი, მე მაღალ ღმერთთან
და თუ წუხილი, მოვა ცრემლებად,
მე პატიებას ვითხოვ ხატებთან.
ასე ვიცხოვრებთ ალბათ ამ ქვეყნად,
არც სამდურავი მექნება სხვებთან.
მე შემოქმედმა შემქმნა, მის მხევლად
და მორჩილი ვარ, ღმერთი არს ჩვენთან.

ჩვენო პატრიარქო

„ქართულ საგალობელს მადლი დაეფინა,
ჩვენი პატრიარქი გვიმზერს სამზიანოდ.
საქართველოს ზეცას სხივი მოეფინა,
როს ყველას მოგვიხმო ერის სამთლიანოდ.

ჩვენო სიამაყევ, ბერო მადლიანო,
თქვენი სიტყვა არის ძალა სულიწმინდის.
ყველაზე მშვიდო და ყველაზე სპეტაკო,
მჯერა მფარველობა გამკობს ყოვლადწმინდის.

ჩვენო პატრიარქო, სიბრძნედათოვლილო,
სითბო გვეფინება წმინდა თვალებიდან.
იბერიის მამავ, გლოცავს საქართველო.
მირონს გვინაწილებ მცხეთის კედლებიდან.

გერგეთში სამებას შევთხოვ გადღეგრძელოს,
ღვთისმშობლის იმედად დიდხანს გვიწინამძღვრე.
უფლის სადიდებლად კლდეზე უმტკიცესო,
წმინდა ნინოს ჯვარი დიდხანს იწინამძღვრე.

ღამე

ღამე ნაწამები, სევდიანი,
ისევ სანთელივით იღვენთება.

ცა კვლავ აირია ღრუბლიანი,
მთვარე სიმარტოვეს ემალება.

წვიმაც წამოვიდა ელვიანი,
ველარ შეიკავა მღელვარება.

მოდის ნიაღვარი ცრემლიანი,
ცრემლებს გაატანა მწუხარება.

სადღაც შორს ნათელი სვეტი არის,
ღრუბლები თანდათან იფანტება.

მთვარეც გამობრწყინდა, ვარსკვლავებიც,
ცას კვლავ დაუბრუნდა ბრწყინვალება.

ისევ ძველებური სიმშვიდეა,
ლურჯი ცა, სიყვარულით იბადება.

ღამის საიდუმლო

როცა ღამემ იცის სევდა,
ყველა ფიქრი და ოცნება.
იცის ყველა საიდუმლო,
არაფერი ავიწყდება.

როცა მთვარე რიტმებს კინძავს,
ვარსკვლავები რითმს და ფერებს.
მოჩუხჩუხე ნაკადული,
საოცნებო ნოტს და ბგერებს.

როცა თითქოს ყველას სძინავს
და ჩურჩულიც არის მკვეთრი,

განთიადზე ბულბული სტვენს,
ვარდობისთვეს ტკბილად მჟღერი.

ალბათ ამ დროს, ამ წუთებში.
იწერება სტრიქონები,
პოეზიის სიყვარულით
გამთბარი და ნაფერები.

იხატება სიტყვის ძალა,
უკვდავება ზეციერი.
იბადება მელოდია,
აღმაფრენის შესაფერი.

იმერეთი

მე ამ ბუნების შვილი,
აქ ვარ და თითქოს არც ვარ.
მარადჟამს ვნატრობ, იცით?!
ფიქრებს ყოველთვის ვმარცვლავ.

ბავშვობა იღვიძებს მშვიდი,
როცა ამ გზებზე ვდგავარ,
სილაღე იმატებს ჩემში
და ამ დროს პატარას ვგავარ.

აქ მიყვარს შხაპუნი წვიმის,
მზის ამოსვლაც და ჩასვლაც,
აქ მომწონს დაკრეფა იის,
მაყვლის საკრეფად წასვლაც.

მინდვრად გვირილებს ვკვალავ,
გვირგვინს დავიდგამ თავზე,
მზის სხივს დავიჭერ ქალავ
და დავიმაგრებ თმაზე.

აქეთ დაბერავს ქარი,
მიმოფენს ჭადრის ფოთლებს.
იქ გულკეთილი ვაზი,
ისტუმრებს სავსე გოდრებს.

ბოლო ფოთოლი ხეზე,
პირველი თოვლის სუნი,
აქ ყველაფერი მიყვარს,
სხვაგვარად ფეთქავს გული.

ჩემო ღვთისმშობელო

ჩემო ღვთისმშობელო, მარად პირნათელო,
სიცოცხლის მშობელო ქვეყნად.
წმინდაო ქალწულო, ყოვლად სანატრელო,
სულმა დაგიგულა ჩემად.

ჩემო ღვთისმშობელო, ყოველთა მფარველო,
გმადლობ, რომ მიგვიღე შენად.
დედაო მარიამ, მზეო უშრეტელო,
კალთა დაგვაფარე მცველად.

სანდრო-გიორგი სარუხანიშვილი

/სანდრო რუხი/

***

ყველას ჰგონია რომ ყინული მხოლოდ ცივია,
მშვენიერება სხივთა შურით განა მწირია?!
როცა მზის სხივი გაზაფხულზე უკვე თბილია,
დროა, ბუნება ამბობს შური გასაგმირია.
უმწიკვლო სუნთქვას ბუნებისას ჰგავხარ, ვით ქარი,
ნელი სიმშვიდით რომ დაჰქროლებს გრძნობათა აფრებს,
შენი თვალები ზღვაა, სადაც ხომალდთა ჯარი
ჰპოვებს სავანეს, სიმშვიდისკენ რომ გაატარებს.

***

მინდა, მიყვარდეს ისეთი ვინმე,
შურით კვდებოდეთ – რისხვით დავიგმე,
ყოველ დღე ჩემი ცქერით ტკბებოდეს,

მისი სურნელი სულს ეხებოდეს,
მისი თვალები სიბრძნეს ეძებდეს,
ენა კი მხოლოდ აზრს მეტყველებდეს,
ღიმილი მისი ყველას მერჩივნოს,
უჩემობისთვის მას სურდეს, ივნოს;
მინდა, იკითხოს ჩემი ლექსები,
აფრთოვანებდეს ჩემი ტექსტები,
უნაკლო ვიყო, ის ასე თვლიდეს,
ჩემი გულისთვის სახეს იცვლიდეს,
მისი შეხებით ვგრძნობდე სიამეს,
ხმა კი ფანტავდეს ყოველ სიავეს,
მის გვერდით ვიყო ურყევი ბოძი,
ის იყოს ჩემთვის ზეცის ნაბოძ'ი,
მისგან არ მწყინდეს, ვიღიმებოდე,
მის ნათქვამ სიბრძნეს სულით ვწვდებოდე,
მინდა, მიყვარდეს ისეთი ვინმე,
თქვან, ვინ იგია და კიდე–ვინ მე?!

***

მინდა, შევქმნა პერსონაჟი, ქალი.
მინდა, იყოს უმტკიცესი რვალი.
რომ მკითხველი განარისხოს ქცევამ,
თქვან, რომ იგი გამოზარდა ევამ,
თქვან, რომ გვერდით ლილიტი მას ჰყავდა
და ასწავლა, რაც სიმართლეს ჰგავდა,
თქვან, რომ იგი არის ქვეყნის ბოზი,
თქვან, პირიქით არის ავგაროზი,
თქვან, მან შერყვნა თვით ღვთიური ნეკნი,

თქვან, გმირია, თვით გულშეუდრეკნი.
მოკლედ, მინდა, შევქმნა ქალის სახე,
იყოს ყველა კაცის გრძნობათ მახე,
მსურს, ყველა მას მუდამ აღნიშნავდეს,
არვის ჰგავდეს და თან ყველას ჰგავდეს.

მე და ქარი

რა მშვიდია ის საღამო, როცა მღერის ქარი,
ნაზად ახებს უჩინარ ხელს და ასე ჟღერს ქნარი,
ცის დარაჯიც ლამაზია რძისფერი თმით, ცივით,
ქარი ღერებს ცას რომ ახებს, მღერის გრიგალივით.

არ მინდა, რომ ამ შეგრძნებამ, ეჰ, დამტოვოს მარტო,
მინდა, ვიყო ნაზი ყლორტი, მასოს სამოსმა რტო,
ქარმა მითხრას: „დამემგზავრე, მოვიმღეროთ ღამე,
მთელს მსოფლიოს ვასმენინოთ ეს საამო რამე“.

მაგრამ ვიცი ოცნებაა ყველაფერი რაც ვთქვი,
ვიცი, ფუჭი სიტყვებია თქვენთან მე რაც გავთქვი,
თუმც ოცნებით, შემიძლია ცა დავსერო მალე,
წავიმღერო ღამის სევდა ხმითვე მოწკრიალე.

სიყვარული

როცა ამბობენ შემიყვარდა, რას გულისხმობენ?
როცა ღიმილი, მისი სიტყვა აგაფრთოვანებს?
როცა ხვდები, რომ მისი მზერით შენს სულს იხმობენ,
გრძნობა ნაცნობი, თანაც უცხო სხვა გვარ ხმოვანებს.

სხვები ამბობენ, სიყვარული ნებელობაა,
მეორენი კი – ცის ნიჭი და უცაბედობა,
მე კი გეტყვით, რომ უმისობა უბედობაა,
მხოლოდ ეს გრძნობა არის ძალა და მნიშვნელობა.

ის დაგატყდებათ თავს ღვარცოფად, ვერაფერს იზამთ,
შემოგიტევთ და დაანგრევს კედლებს წლობით ნაშენებს,
მისი გულისთვის ყველა სიტყვის სულის სიღრმით გწამთ,
მზერას კარგავთ და სხვანაირად აცეკვებთ ენებს.

უცხო სახება

გამომსახეს, გამომხატეს, მშვიდი დრტვინვით,
შემოდგომის არილს ჰგავდა, შუქთა ბზინვით.
შევიცანი უცნობელი, მე ვიცანი
ის რაც მზესაც ამომრავებს და ნიშანი.

ქმნილად ვიყავ გაჩენილი, დავიყავი
მრავალქმნილად, თუმც ერთი ვარ და ვიყავი.
საგალობლად შეიკრიბნენ, მღერის ქარი,
სიმღერის ხმა შემომესმის, ბერის, ქალის.

ვხედავ, იწვის უცოდველი, მეც ვგრძნობ ტკივილს,
არ ვთმობ იმედს, უფრო ხშირად ვისმენ კივილს.
ვიღაც ამბობს: „ო, უფალო, როგორ მოხდა,
ეს ლოცვები უტყვად მოკვდა, მხოლოდ, მორჩა?!“

დუმილია ცისგან, ჩუმი, სულ ფლიდია,
რასაც ტაძრად ასწავლიან, ტყუილია.

როს მოვედი, ხატად იქცა თვით სახება,
ჩამოვედი, თქვეს წყვდიადს წვდა ნიმბ-ნათება.

სახვას ანდეს გულის ყუჩი სავანები,
დაამსხვრიეს კედლები და გალავნები.
ოცნებების აჩრდილები გამოიჭრნენ,
რუხ-ნაცრისფრად აფარფატდნენ, სულს შეიჭრნენ.

და მაშინვე მიხვდები, რომ ნახატია,
ნახატია, სიზმარია, რაც ხატია.
ზმანებათა მომვლენელი სულში ბუდობს,
რთულს ეძიებს, ზოგჯერ მცდარსაც ვარაუდობს.

თუ სირთულით მოიხიბლე, მოჯადოვდი,
სიმარტივე გაქრება, მაშ ცას რას სთხოვდი?!
ვხედავ ცეცხლზე იწვებიან უმანკონი,
სინდისს კარგავს ვითომ წმინდა, ზნის პატრონი.

მანანა მიქაძე

ათას წლის მერეც გაზაფხულია!
გიორგი ლეონიძეს.

ათას წლის მერე პაემანზე მოველ ხმობილი,
უცხოდ მოხატულა მიწა კურთხეული.
ზეცის სამყარო დარს გაუხსნია,
საოცრებად ჩანს ღვთისმშობლის ხელდებული.
ნებათა--ნება იყო ღმერთების,
მყინვარებს ჩაუქარგეს საქართველო ქედუხრელი.
მრავალ ვაებას გაუმკლავდა მძლეთამძლე ერი
და საოცნებო ისტორიას ქმნის ამაყი ერი!
ბნელეთს ააფარა აისმა რიდე.
სიმშვენიერე ამობრწყინდა მზის ათინათით.
ათას წლის მერეც ყივჩაღის ქალი
მოვსულვარ, სულში აპრილი ჰყვავის.
ვარდის ფურცლები თავზე მაყრია
და პაემანზე ჩემს გოგლას ველი!

უმშვენიერეს გაზაფხულზე შემოვდგი ფეხი
და ველოდები კარიბჭესთან ანთებულ გულით.
ალაზნის ველი მაგონდება მკრთომარე ბინდით,
ცაში ნარნარა ნისლების ჯარა,
მწუხრისას კართან ანგელოზები,
ციურ ვარსკვლავთა მომლოცველები.
აყვავებული თავთუხები ოქროსფერ ზვრებით,
მიწა ვაშლების ტრამვალები ყვითელ ფერებით.
გოგლა, სამშობლოს სიყვარულით გულავსებულო,
ზეციურ ძალით, სულით გამთბარო.
ბულბულის მსგავსად ლექსით ნამღერო;
ბავშვობის კერა პატარძეული,
გოგლას აკვანი ლერწით რწეული.
ეზოში ფშატი გადაქცეული,
ქვრივის დარდი და ძილი გამკრთალი.
დედის თავშალი მხრებზე ფენილი,
ყაბარდოს მთები გადავარცხნილი.
კლდეზე მფრინავი ოქროს არწივი,
ჩეგეტი ცისფერ ყინულოვანი.
ქართლის გმირები აქ, ხმლებით
საფლავებ გამომტვრეულნი,
ბრძოლებისათვის მომლოდინენი!
გაზაფხულიდან დაზამთრებამდე
მერცხლებთან ცაში აღმა ფრენილო,
,,მცხეთას უმტვრიე საკეტურები,,
გატაცებების სულის შფოთებით,
,,ნინო წმინდა... და პალატები",
ხატის მსგავს ქალის შემოფეთება.
ნადიმობა და კელაპტრები,
სულის გათანგვა , აბრიალება.

მუდამ იყავი გიზგიზა ცეცხლი,
„დაგნაცრა ელვამ ქალის ტანისამ,
ვერ გადაურჩი დუელს ყივჩაღთან"
და მოველ ეხლა მოსაფერებლად,
რომ დაგიამო ტკივილის განცდა.
თავზე მაყრია ვარდის ფურცლები
დრო, რომ დანიშნე პაემანისა!

თამარის სავანე!

სამზეოს ხანი ეწურება,
მირაჟს მიჰყვება მეწამული.
ჰოი, სოფელო!
რა მოკლე დროდ ხარ!
ნეტავ, სად ჩქარობ, ასე გარბიხარ.
ამერ–იმერი ოქროდ ჰყვაოდა,
სამეფო კარზე ზეცაც ლხინობდა!
მემატიანეს არა სჩვეოდა
დედოფლის კარზე დაგვიანება.
მაგრამ? ეს მოხდა ერთხელ, რატომღაც
და დაედევნა შეშფოთებული.
აისს ამოსვლა დაასწრო მთებში,
ჯორის კვალს მიჰყვა მიუვალ გზებში.
გავლილ გზას დღემდე ჰქვია ჯორკვალი.
მზეთამზე თამარს კვალდაკვალ აჰყვა.
ვერ დაეწია, უკვალოდ გაჰქრა
და ჩაეწურა გულში მალულად
მემატიანეს კაეშნის ცრემლი!
თამარ დედოფალს სხვები ეახლნენ,

ფრთაშესხმულ ჯიხვებს მიესწროთ ძღვენით,
ზურგზე შეისვეს ნებიერად
და მიაცილეს ყაფარის პირად.
თამარ სალოცავს აყვა ჩექლიმით,
საუფლო ტაძარს ალბობდა ცრემლით.
სავანეში მეფე ასული, ღმერთს ავედრებდა
საქართველოს და ქართველთ ბედს!
აქ, ფიჩვოსანი გამოჩნდა კრძალვით.
უსმინა თამარს მაღალმა ღმერთმა.
ბერმა აკურთხა მხურვალე ლოცვით
ქალწულ დედოფლის სურვილი, ნატვრა!
თეთნულდს აეკრა ფიქრების ცვილი,
ჩამოიბნელა თეთრი კალთები.
ვაჟკაცი ქირსლებს არღვევს ბექთარით
და ზენაზნიდან ქერუბიმს უხმობს!
ცამ ჩამოიხსნა მუქი პირბადე,
წამოუშინა დელგმა კურცხლები.
სულის ტკივილებს იყუჩებს თქეშში,
და არ ამჟღავნებს გატანჯულ ფიქრებს.
დამდუღრებული თბილისს დაბრუნდა.
ზებუნებრივი გრძნობით იწვოდა.
ვარამს საკინძე შეუხსნა რიდით,
დაჯდა, მხურვალედ გადმოგვიღვარა
„ვეფხისტყაოსნის„ პოემა ქმნილი!
თავისი სულის ამონაწური,
თამარს მიართვა ძვირფასი განძი!
ასეთი დღემდე ჯერ არ შექმნილი,
მსოფლიოს ხალხებს ეამაყებათ!
საქართველოში დაბადებულნი..
შოთა, ილია, ვაჟა, აკაკი,

ბესიკი, ტატო, გალაკტიონი,
ლეონიძე, ტიციანი, მირზა
და ძალზე ბევრნი საამაყონი!
ცხრა საუკუნე გვაშორებს რუსთველს,
მაგრამ გენია არ მეორდება!
სიცოცხლის მერეც შოთა რუსთველი
ფრესკად დაუდგა თამარის სამარხს
ხელაპყრობით, წვერშემოსილი
და საქართველოს მლოცველი!

ბარდნიდა!

ბარდნიდა, ფიქრების ოცნებებს მათოვდა,
წამწამნი ფანტელებს ცრემლად ადნობდა,
სიცივე უცნაურ სიყვარულს მჩუქნიდა,
კსინვა კი მინდორში გიჟივით დაქროდა.
ბაგეზე ფიფქებით ულევი ამბორით,
მათთან მომანატრა ცაში მეფარფატა.
სად იყავ ნეტავი შენ, სად ნავარდობდი,
როცა ფანტელი ლოცვებად მადნებოდა.
ღალატიც ეს იყო, ჩემდა უნებურად,
ვნატრობდი მდგარიყავ გვერდში ქომაგად,
ბარდნიდა, ფიფქები კოცნით მათოვდა.
რა მექნა, ცელქობა ბავშვივით მართობდა!

მანანა ხოზრევანიძე

***

თუ არ ჩამოგდის თვალზე ცრემლები
მაშ ღიმილებიც არ გიგემია,
აბა რად ვარგა ის სიყვარული,
ერთხელ მისთვის თუ არ გიმღერია.

თუ არ დაგსერა ეკალ ბარდებმა
მაშ არ გცოდნია ცხოვრების ფასი,
უნდა გაბედო ომში ბრძოლები,
რომ გაიმარჯვო და გერგოს თასი.

თუ არ გიგრძვნია ერთხელაც ყინვა
მაშ არ გცოდნია რა არის სითბო,
თუ ერთხელ მწარე არ გიგემია,
ვერასდროს იგრძნობ რა არის სიტკბო.

თუ ძირს არასდროს არ დაცემულხარ
მაშ ვერ გაიგებ ვინ ჩაგიარა,

აბა რად ვარგა ის მეგობარი
წაქცეულს ზედ თუ გადაგიარა.

თუ არ ათიე ერთხელაც ღამე
თუ არ შეგიპყრობს სევდა დარდები,
ცხოვრების გზებზე ეკლების შემდეგ,
კვლავ შემოგხვდება ია-ვარდები.

ის სადღეგრძელო აბა რად ვარგა,
თუ არ დაცალე ბოლომდე თასი,
თუ სიყვარულმა არ აგატირა,
მაშ არ გცოდნია გრძნობების ფასი.

***

ქართველნო ერო გთხოვთ გამოფხიზლდით!
ნუთუ ვერ გრძნობთ, რომ სამშობლოს ვკარგავთ?..
ჩვენს მიწა-წყალზე მოსულა უცხო
და ჩვენ მის მოსვლას ღიმილით ვქარგავთ.

ნელ-ნელა ქართულ ანბანსაც ვკარგავთ
და უცხო ენა უფრო ჟღერდება,
არა!.. შენ უცხოვ ჩემი სამშობლო,
შენი არ არის, შენ არ გერგება!

ნუ დავივიწყებთ იმ ჩვენს წინაპრებს,
ქართველობისთვის სისხლად დაღვრილებს
და გავუფრთხილდეთ მათ დანატოვარს,
ჩვენთვის ბრძოლაში ძლიერ დაღლილებს.

არა ჯერ უცხოვ ნუ იამაყებ,
სანამ ჯერ კიდევ ქართველი ვცოცხლობ,
სანამ ჯერ კიდევ შემწევს ძალა და
სანამ ჯერ კიდევ გმირულად ვბრძოლობ!

ჰეი! შენ უცხოვ ნუ გიხარია!
ჩემს საქართველოს მე არ დაგითმობ!
არა! არ მოგცემ იმის უფლებას,
რომ საქართველო ორად გაფლითო!

***

თუ კი ავტირდი განა დავმარცხდი?
არა არ ნიშნავს ცრემლი სისუსტეს,
უბრალოდ ზოგჯერ ცრემლიც შვებაა
და გულის ტკივილს თითქოს მიყუჩებს.

თუ კი დავეცი სულაც არ ნიშნავს,
რომ ფეხზე თითქოს ველარ დავდგები,
ძლიერი მხოლოდ მაშინ ვიქნები,
თუ წაქცეული ისევ ავდგები.

თუ კი აღარ ჩანს ცაზე მზის სხივი,
განა არასდროს აღარ ამოვა??
მჯერა ერთ დღესაც წავა ღრუბელი
და მზე ჩემთვისაც ისევ ამოვა.

გზა და გზა თუ კი მხვდება სირთულე
და ფეხს მიკაწრავს ეკალ-ბარდები,

მჯერა ოდესღაც ჩემს გზაზე ისევ,
კვლავ აყვავდება ია-ვარდები!

***

მინდა იქ წავიდე სადღაც,
სადაც არ იქნება სევდა
და კვლავ ატირებულს ისევ,
გულში ჩამიკრავდეს დედა.

მინდა იქ წავიდე სადღაც,
სადაც წლები ტკბილად გავა
და კვლავ ატირებულს ისევ,
ხელში ამიყვანდეს მამა.

მინდა იქ წავიდე სადღაც,
სადაც არ იქნება ცრემლი,
მუდამ,რომ ისმოდეს ისევ
კვლავაც ჟრიამულის ხმები.

მინდა იქ წავიდე სადღაც,
სადაც აღარ ვიგრძნობ ტკივილს,
სადაც აღარ დავღვრი ცრემლებს
და მზე გამათბობდეს სხივით.

***

მე ქართველი ვარ ამით ვამაყობ,
ქართულიც კარგად ვიცი წესები,
მიყვარს ქართული მიწა და წყალი,
რადგან აქ არის ჩემი ფესვები.

ყოველი კუთხე მიყვარს ქართული,
ჩემი სამშობლო საქართველოა,
ულამაზესი გვაქვს არე-მარე,
მოშრიალე ტყე, მთა და მდელოა.

არა არ დავთმობ სხვას ვერ მივუძღვნი,
მე ჩემს სამშობლოს შევეწირები,
ჩემს საქართველოს სიყვარულში კი
ჰეი შენ უცხოვ ნუ მეცილები!

ეს მიწა წყალი და მწვანე მდელო,
აშოტილი კლდე მაღალ მთებისა,
ეს საქართველოს სილამაზეა,
დანატოვარი წინაპრებისა.

ბევრჯერ დაღვარე სისხლი და ცრემლი,
მტრებთან ჭიდილმა ვერ დაგღალაო,
შენ საქართველო გქვია სახელად
და კვლავ ამიტომ შეგწევს ძალაო.

მე ქართველი ვარ ამით ვამაყობ!
დავიარები ქართული სულით,
მე ერთგული ვარ ჩემი ქვეყნისა
და ჩემს სამშობლოს ვატარებ გულით.

გვანცა კომახიძე

,,ჩუმი პოეტესა "

უნდა შეიგრძნო ყველა წამი როცა განგიცდი,
ყველა საათზე შევაჩერე ძვირფასო დრო და
ალბათ ათასი საუკუნე კიდევ დაგიცდი,
ლოდინის ბოლოს რომ ვიცოდე უთუოდ მოხვალ.

მავსებ და მფიტავ ერთდროულად, კვლავ გშლი და გხატავ,
სულის ანგელოზს შენს თბილ მკერდზე მშვიდად ვაძინებ.
როგორ ტკბილი ხარ, როცა ჩემი ფიქრების ზღვა ხარ
და როგორ მწარე თუნდ დროებით როცა გაცილებ.

დამიბრუნდები შენებურად მარტივ სიმშვიდით,
საოცარი ხარ და საოცრად ადამიანობ,
გამოვარჩიე სხვებისაგან შენი ღიმილი
და დაგიჩემე.... აგიჩემე ადამიანო...

ღრმად მწამს და მჯერავს, არ ვსრულდებით ვიწყებით აწი,
თუნდ ამ გზის ბოლოს გაუჩეხავ ტყესთან მივიდე.
შენ მოგაბარე ჩემს სხეულში მცხოვრები ბავშვი,
და სანამ შეძლებ შენებურად მინდა მივლიდე.

უფლება არ გაქვს არ შეიგრძნო ყოველი წამი,
ყველა ჩასუნთქვას უშენობის დაჰყვება შიში.
მსურს ერთხელ მაინც დაგანახა ჩემებურ თვალით,
რაოდენ გგრძნობ თან რა ლამაზი გრძნობები ვიცი.

და როცა შეგხვდი ერთ ეტაპად დასრულდი ... მორჩი,
ახალი სხივი მოიტანე ჩემს სულთა შინა.
თუ შენგან წავალ გთხოვ ჯიუტად შენ მაინც მოდი,
რადგან იცოდე შენთან ყოფნა ყოველთვის მინდა.

თუნდაც გითხრა რომ აღარ გგრძნობ და აღარ განგიცდი,
ტყუილებს ვსწავლობ რომ ჩემს სულში ნაკლებად ქუხდე.
და რომც გამიშვა სადღაც .... ჩუმად მაინც დაგიცდი,
შენ კი უღმერთო უნდა იყო რომ არ დაბრუნდე.

***

დუმილი მკურნავს, მარტოობას საოცრად ვუგებ,
არავინ მინდა, არც არავის ვითხოვ შეხედვას.
ვეჩვიე ლამაზ მელოდიებს, კალამს და ფურცლებს
და ჩვევად მექცა მთვარის ზურგზე ღამის თენება.
ყველა ჭრილობა შეხორცდება ადრე თუ გვიან,
არაფერია მომავალი წარსულის ფონზე.
მერე რაა თუკი ბავშვურობის სხივები მცვივა,

ერთ დღეს უთოდ გადაკარგულ სიმშვიდეს ვპოვებ,
და მოვალ შენთან! მოვალ როგორც ნაცნობი ძველი,
ფიქრებს აგიშლი, მოგიყვები რარიგ ვეწვალე.
გაგანდობ, როგორ ჩავიკალი ყველა წადილი,
სულში რომელიც შენ გელოდა, როგორც ერთადერთს.
მერე კი ჩუმი ღიმილებით გავყვები ჩემს გზას,
დაგტოვებ კენტად, ამჯერად კი ზურგს მე შეგაქცევ.
ყველა გზა თავად მოიჭერი ჩემამდე შენ და
არც კი ვიკითხავ გიჭირდა თუ არა ჩემამდე.
გეტყვი რომ გაცვდი. გახუნდი და გამიფერმკრთალდი,
ისევე როგორც ოცნებები ფერმკრთალდებიან.
აღარ მეწვევა შენს სახელზე მტანჯველი დარდი,
აღარ გავხედავ სევდიანად ისევ ხეივანს,
რომ სადმე მაინც დაგინახო, გამოჩნდე იქნებ,
რომ ერთადერთი სტუმარი ხარ ვინც აღარ მოვა.
ახლა კი როცა უშენფერო ცხოვრებას ვიწყებ,
ზურგი ვაქციე არარსებულ გრძნობებზე გლოვას.
და კვლავ დავდუმდი, რა ძალა აქვს ვერც კი გრძნობ
დუმილს,
მეტია ბევრად, მაგრამ შენ ხომ ვერც კი გაიგე,
როდესაც ფიქრებს შემატოვე მაშინაც ვდუმდი
და როგორც სხვებმა ჩემი სწავლა შენც ყდით დაიწყე.

***

ყოველ კითხვაზე თუ როგორ ვარ ვპასუხობ კარგად
და კარგად–ს მიღმა უამრავი საიდუმლო მაქვს.
იყო დრო, როცა ღმერთის გარდა არავინ მყავდა,
უკვე კი ვგრძნობ რომ რა ხანია ღმერთიც განრისხდა.

მე კვლავ ჩუმად ვარ ძველებურად თითები გწერენ,
დღეს შენ უცხო ხარ და არავინ მყავს შენს სულზე ახლო.
ერთ დღეს კალამიც დაიღლება ბევრი წლის შემდეგ
და გავაგრძელებ გზას შენგან შორს.... სხვის მხრებთან
ახლოს....

ბოლო დღეებში მოიმატა შეგრძნებამ შიშის
და კვლავ კითხვაზე თუ როგორ ვარ ვპასუხობ კარგად.
თითქოს რაღაცა ძვირფასს ვკარგავ და ცეცხლში ვიწვი,
თითქოს ზუსტად ის ვინც მჭირდება ჩემს გვერდით
არ მყავს...

უცხოა გრძნობა...ვერ აგიხსნი ედრება ჭაობს,
მე უსუსური ჩამითრია და ხავსებს ვეძებ.
თუ მიგატოვე ნურასოდეს ნუ მკითხავ რატომ -
შენთან დარჩენას დიდი დროით არ ან ვერ შევძლებ.

თითქოს რაღაცა ძვირფასს ვკარგავ და თავს ვერ ვშველი,
ამოუცნობი... უცხო გრძნობა მექცა ჭაობად,
იყო დღეები ცრემლშენაშრობ თითებით გწერდი
და ყველა ღამე რომ იტყვიან კბილით გამქონდა.

ახლა კი როცა ახალ ახალ ტყუილებს ვსწავლობ,
ვარ ბევრად უკეთ ვიდრე არის უბრალოდ კარგად.
რა მოგიხერხო არც კი ვიცი შენ ჩემო თავო,
მაშინ როდესაც დრო ძილამდე თვითგვემით გაგაქვს.

***

განმარტოების თეორია აღარ ამართლებს,
ახლა ხალხს ვეძებ საერთო რომ ვიპოვნო რამე.
მომაკვდავივით დღის მეტ ნაწილს ძილში ვატარებ
და თავად ვპარავ საკუთარ თავს სიცოცხლის წამებს.

რამდენი დღეა წერითაც კი ვერაფერს ვერ ვწერ,
და რამოდენი დამიგროვდა შენთვის უთქმელი.
გამოვიკეტე ჩემს თავთან და რა ვქნა თუ გეძებ,
შენა ხარ ჩემთვის პოეზიის ყველა უჯრედი.

ახლაც კი როცა ბოლო მელნის წვეთითაც შენ გწერ,
გულზე მაწვება ყველა სევდა ერთ დიდ იარად.
მე კვლავ შენ გიძღვნი რითმებად თქმულ წერილად ლექსებს
და კვლავ რაც შენთვის სათქმელი მაქვს ჩემთვის ვინახავ.

გეძებ იქ სადაც აფსურდია ყველა მცდელობა,
ყველა მოკვდავში გაცოცხლებ და არსად ცოცხლდები.
ნატვრის ხიდან ხარ მოგონილი თითქოს შიოლა
არადა ჩემთვის რომ გეთხოვა მთელ სულს მოგცემდი.

უკანასკნელი შენი ხილვა არც ერთ დღეს ჰგავდა,
დღემდე ვინახავ ემოციებს რაც ვერ გაგანდე.
შენ ჩემო თავად დამამსგავსე პატარა ბავშვს და
ამავდროულად ბავშვურობა შენით დავკარგე.

სისულელეა მარტოობა... აღარ ამართლებს,
შენთან ყოფნა კი ერთადერთი ხსნა არის ჩემთვის.

თინა გელაშვილი

როცა მონატრება

როცა მონატრება შემოგიტევს,
როცა გული სიყვარულით ფეთქავს.
როცა გრძნობ, რომ შიგნით პეპლები ფრენს,
და გრძნობ მონატრება გულს გიფერფლავს.

მაშინ სხვა არ გრჩება, უნდა წერო,
წერო, რასაც იგრძნობს გული სავსე.
გულიდან ფურცელზე გადაწერო,
მაშინაც, როცა თვალს ცრემლი ავსებს.

სხვა მოგონება თუ თავს გაბეზრებს,
თუ აღარ გინდა წარსულს უყურო.
თავს ვეღარავინ ვერ მოგაბეზრებს,
გაბედე კარი რომ მოუხურო!

დედა

საოცარი ჟღერადობა ახლავს,
წარმოთქვავ და გული უცბად თბება,
მოგონებით ბავშვობაში წახვალ,
გეგებება შენი თბილი დედა.

დაფუსფუსებს, არ ისვენებს გივლის,
არ მოგშივდეს, არ შეგცივდეს თოვლში.
საბანი თუ ამოიგე, ძილში
არ გაცივდე, არ გაგიკრთეს ძილი.

თვალს გაახელ, ფეხზე გხვდება დედა,
არც კი იცი როდის სძინავს ღამითᲨ.
დაღლილ თვალებს ახლავს ჩუმი სევდა,
გული ყელში ამოგვარდეს ლამის.

ახლა უკვე დედის ფასი ვიცი,
წლოვანებით გავასწარი კიდეც,
სახლში, სადაც გავიზარდე ახლაც,
მის ნაკვალევს დღესაც ვეძებ ისევ.

შილდის მთები

ვფიქრობ, ახლა ჩემი მთები როგორია...
ალბათ, ჩუმად, ნისლში გახვეულნი დგანან,
სევდიანნი ზეცის გლოვას შენატრიან,
ისინი, ხომ ზღაპრის, გოლიათებს ჰგვანან.

ცა იტირებს დაიფერთხავს ნაწვიმ კალთებს,
გადაიყრის გულის დარდს და ნაღველს სწრაფად,
მერე, საბანს მოხდის გოლიათებს ნისლის,
მცინარი მზის სხივით დაამშვენებს ცარგვალს.

ჩელთის ხევის ასეთ ხმაურიან გრიალს,
თან მოჰყვება მთათა ჩუმი ნატირალი.
მზე კი ამ დროს ლამაზ ცისარტყელას ქარგავს,
ცას შერჩება მისი ფეხის ნატერფალი.

დედა ენა

უფალმა გვისახსოვრა მარგალიტების,
უნიკალური, ლამაზი სხმული.
ჩაწიკწიკებული, ჩაგვირისტებული,
ასოთა მიმდევრობითი ბმული.

ზოგჯერ გგონია რომ ვაზის მწკრივებია,
ზოგჯერ ბწკარები ქართული ვაზის.
უფალსაც ძალიან მოუნდომებია,
რადგან კოდი მოგვცა ჩვენი დაცვის.

მოგვცა და მოგვმადლა ვეძიოთ ანბანში,
ჩვენი დაბადების სრული არსი.
ნალოლიავები, როგორც ჩვილი ბავშვი,
არამატერიალური განძი.

გაზაფხულს გავყვები

ოცდათერთმეტია...მაისიც გავიდა,
ზაფხული მოაბიჯებს სიცხით და ბუღით.
გაზაფხულს რომ გავყვე ჩემი დრო გავიდა?
იქნებ მეც გამიყოლოს ცოდვების გუდით.

ჩემს ცოდვებს გზადაგზა სიკეთედ დავთესავ,
სიყვარულს მიმოვაბნევ კეთილი გულით.
შევხვდები ბევრს, ჩემებრ სულიერ ნათესავს,
არ შევჩერდები, არ მომერევა რული.

გაზაფხული, ვფიქრობ, იქ უნდა მივიდეს,
სადაც, მე ვფიქრობ, გულით მინდოდა მისვლა.
გზად თუ ია-ვარდი ვთესე და ვახარე,
თუკი გუდა დავცალე, განვაგრძე წინსვლა.

თუ არ დავიკარგე, სწორად თუ ვიარე,
თუ სულ ყველაფერს გავართვი თავი კარგად.
მაშინ გაზაფხული არსად არ დამტოვებს,
და ის მიმიყვანს ნეტარი უფლის კართან.

და... მერე ისევ მოვა ეს გაზაფხული,
მეც თან მომიყოლებს ჩიტად, ან ყვავილად,
იქნებ ხედ მოვიდე, ჩემი სახლის ახლოს,
ისევე გამოვადგე ვინმეს საჩრდილად.

დავით გარეჯი საქართველოა

დავით გარეჯი საქართველოა!
ისე, ვით გრემი, ნეკრესი, ზარზმა.
აქ ყველა კუთხე სანაქებოა,
უფალს დაუდგავს თავისი ჯვარცმა.

მტკივა ხახული, ბანა და ოშკი,
ტაო-კლარჯეთი, ძველი ჰერეთი,
შავი ზღვის თვალი--მოჭრილი რიწა,
შიდა ქართლი და კვლავ აფხაზეთი.

სიონი ტირის, ჯვარი დაღლილი
დასცქერის მიწას სისხლით ნაპოხარს.
ყველა საზღვარი მტრისგან დაშლილი,
აპატარავებს ბრძოლით ნაპოვარს.

ალავერდი ნისლში გახვეულა,
თითქოს საცაა მწარედ იქუხებს.
ღმრთის რისხვა ყველა ავს მოეწევა,
ვინც მის სახლს თვისად, პარვით ისურვებს.

წმინდა გიორგი ამხედრებულა,
შემოუკრიბავს წმინდანთ ლაშქარი.
ჯვრით და სანთელით აჩქარებულან,
გააძლიერონ ქართველთ ფარ-ხმალი.

ნონო ჯანქანიძე

***

უფალი ღრუბლით, ქედს ხრიან მთები,
ქარებს მოჰყვება ზღაპარ-წიქარა
და...არეული ფიქრებით ვხვდები,
სადაც ვი-ბავშვ-ე, ახლაც იქა ვარ!...
იქედნით ვფარავ ნირ-წამხდარ მზერას,
გონებით ვწვდები, ვაცოცხლებ დაჭრილ
"გლახოს სინანულს",მკვდარ "ნებიერა"ს,
შორენას ცრემლებს ვაფრქვევ და ვაცრი...
მამცნეს:-მიხედეს ნაყამირ ველებს,
მტევანი მძივით ღვივის თავთავი!...
არ მოუმკიათ ქართველის ხელებს,
ეჭირათ ნორჩი პაატას თავი!...
ძღვენ-ტაბლა სტუმარს და მასპინძელნი
მშიერ ძუნძულით მიწა-წყალს გავცდით...
დამესიზმრება ფერეიდნელი,

მღერს "იავ-ნანა"ს ღვთიური განცდით.
უფალი ღრუბლით, ცა მაცდურ ლურჯი,
ლამის ტოროლაც მზის იქით გაჰყვეს...
გაჩნდება, იცით?!...ისეთი გურჯი,
ქართველთ აღდგომის ქუდ-ბედი დაჰყვეს!

***

შემოდგომის მზე? - რაღაც სხვა მზეა...
სხივს კი მიაწვდენს ყინვით შეპყრობილს,
მაგრამ... სიცოცხლე როცა შარზეა,
სადღაც სიკვდილსაც უკვე ემხრობი...

მეტი ფერი აქვთ დაისებს შენში,
არადა აისს რას არ არჩევდი,
თუკი გვირილის თოვლისფერ პეშვში
მის სიყვარულსაც აღმოაჩენდი...

მზე შემოდგომის? - რაღაც სხვა მზეა,
სინანულების დასდევს ჩრდილები...
ბაგეზე რიგ-რიგ მისწრებაზეა
ძველი ანცობის ყრმა ღიმილები!

***

სიზმარში ვნახე უქართველოდ ქართული მიწა,
წამიღო სიმწრის ნიაღვარმა - წყალი დამასხით!
ეს ნიშნავს, თოფი გადატენო, არ ვტყუი,ვფიცავ
და საფეთქელთან მიიტანო ტყვიების მასრით.

ჩამომქრალიყო დიდებისგან სვეტი-ცხოველი,
ჩაღამებული, დანგრეული, ვით როგორც ხანძთა...
მიტოვებული უპატრონოდ განძი ყოველი,
აწოწილიყო მათი გვერდით მეჩეთთა დასტა!

უყარაჩოღლოდ დავინახე მე მტკვარზე ტივი,
ვერსად,ქუჩებში, ვერ ვიპოვე ქართველთა ეშხი
შუა ქალაქში დაჩოქილი ვდგავარ და ვტირი,
ვიცოდი...ღმერთო! გულმა მიყო ადრევე რეჩხი.

გამოვიტირე სამება და თეთრი სიონი,
მერე ქართლ-კახეთს შევეხიზნე, ვენახი -არსად!
კვლავ მდუმარებდა ცივი თოვლით კავკასიონი,
წითელ კიმონოს მთავაზობდა ვიღაცა მასხრად.

აღარ მინდოდა სხვა კუთხისკენ წამეღო თვალი,
აი, რა გვიყო ყოყლოჩობამ, ერთურთის ბრალმა.
ვეძებდი პურს და გაშლილიყო ველ-მინდვრად ჭვავი,
ჩოხის მაგივრად შემეფეთა ნახვევი ჩალმა!

***

დგას ქართვლის დედა მოტირალი
და იხმობს შვილებს...
ხატად-ქცეული საქართველო
მტრებმა იშვილეს...
“ღმერთო ნუ ამიხდენ ამ სიზმარს”!

***

გინახავთ გულით დაღლილი ბავშვი?
არა! ... შუბლითაც როგორ ანათებს,
დიდხანს ნარბენი, ხვატსა და ქარში,
მოგირბენინებს წყალს და ბარათებს.
ან ცხოვრებაზე ნაწყენი ბავშვი,
გინახავთ? თუნდაც გახვლეპილ სახით,
არასდროს, ფიქრად, მოუვა თავში
ათიოს ღამე, რუხი და თალხი
და თუ წამოსცდა თვალთაგან წვიმა,
გაუფერმკრთალდა ღაწვები, თუკი,
წუთებთან ახლოსაც კი არ მივა
ფიქრით და თვალში ჩამქრალი შუქით.
ან დეპრესიით,ვარდნილი ხრამში,
(უსახლკაროზე არ ვამბობ,კმარა...)
დედით და მამით პატრონი...ბავშვი,
გინახავთ სადმეს?! არა და არა.
მაგრამ ბავშვები!... ჰო...ის ბავშვები!...
უმწეონი და ცას განაშვები?!

***

როგორ წვიმს იქ,
სადაც ცა ვერ დაეტია...
ვერ მწვდები ჩურჩულით:
- როგორ ხარ, რას შვრები?!...

მერეა ქარები...
ღრუბელთა რეტია...
შემხვედრთა ღიმილზე
ვჩერდები და ვშრები...

***

ვიცი,რომ არ ვცდები,
(უფალს არ გავცდები)
მუდარის თვალები
ლოცვაზე მიდიან.
გულწრფელი ცრემლები,
სირცხვილის განცდები,
წვიმაზე მეტია,
სათქმელზე დიდია!

***

სხივმკვდარი მზერები ვერაფერს გეტყვიან,
ჩამქრალი მზეებით შემკრთალან ღაწვები
და როცა მორჩები თვალებში ხეტიალს,
მოდიხარ,უჩუმრად, ჩემს სულში და წვები!

მაყვალა დავლაძე

მე შენთან მოვალ ფოთოლცვენის დროს

გიტარა მძაფრად აჟღერებს აკორდს,
ვერ გავექეცი მზერას დარდიანს,
დასალიერში, მზის ჩასვლის გამო,
ჩემი გრძნობები სევდიანია.
ნისლის საბანით გაგითბობ სულს და
ცის მნათობების კოცონს დაგინთებ,
მინდა გიამბო იმ უთქმელ დარდზე,
რაც მოხდა ჩვენში, ფოთოლცვენის დროს.
მე შენთან მოვალ და გაგახარებ,
გაზაფხულს ისევ შემოდგომა ცვლის,
მოვალ და ყვითელ ფერებით მოვრთავ,
შენს მარტოობის სიცარიელეს.
ათოვს ქალაქის უბნებს და ქუჩებს,
თოლიის წივწივს ზღვა ახმოვანებს,
უფლება არ გვაქვს გადაგვარების,
ცრემლი მძივებად ცვივა წამწამებს.

მე შენთან მოვალ ფოთოლცვენის დროს,
შენი თვალები მეტყვის ყველაფერს,
ჩუმი ღამიდან მოპარულ ზღაპარს,
სევდიანი ხმით ქარი იმღერებს.
გიტარა მძაფრად აჟღერებს აკორდს,
ვერ გავექეცი მზერას დარდიანს,
დასალიერში, მზის ჩასვლის გამო,
ჩემი გრძნობები სევდიანია.

გასაუბრება მხატვართან

თქვენ ხატავთ ქვაზე?
ან იქნებ ცაზე?
მითხარით ხატავთ სულის ალებზე?
თქვენ გესმით ბგერის?
პროზის და ლექსის,
ართქმული სიტყვის დაბადებისა?
მზე იშმუშნება ღრუბლების ფარქვეშ,
და ცისარტყელა ცას ეტმასნება,
თქვენ უსმენთ მოცარტს?
კითხულობთ ბოდლერს?
ნამიან ვარდის სურნელს იყნოსავთ?.
მიბოძეთ ტილო,ფუნჯი და ზეცა,
და მე დავხატავ ჯერ არ თქმულ სიტყვას,
ლარნაკში ჩემთვის რომ კვდება ია,
მას ურჩევნია ცხოვრება ჩემთან?.
ვარდის ფურცლების კალათა საკსე,
ბოშის ფართხუშა კაბის შრიალით,
ჩამოვატარე ჩემს სამფლობელოს,

და ეს სურნელი შემოგახალეთ.
თქვენ, ჩემი სულის მოხატვას შეძლებთ?
დროს გაუტოლებთ ასაკის ზღვარსაც?
თქვენ ხატავთ ქვაზე?
ან იქნებ ცაზე?
მითხარით. ქვასაც ყვავილად აქცევთ?..
დე, საუბარი აქვე დასრულდეს,
ეს დღე, ეს წამი და ეს წუთები,
იქცეს ლექსად და სიკეთეს გასცდეს.

სხვა ლურჯი ცა არ არსებობს ჩემთვის

საფიცარო! ჩემო მიწავ მშობელო,
ცას ღრუბელი მოსწყვეტია თითქოს,
თეთრ ქალაქში მოფარფატე თოლიებს,
ზამთრის სუსხი გამითოშავს ისევ.
ღიმილს გჩუქნი ულამაზეს ფიქრებით,
ჩემს ხსოვნაში ჩაუქრობელ გრძნობის,
რასაც ვხედავ წუთისოფლის საზომით,
ბორგავს სული, ვერ გაუძლებს ამდენს.
შეიმშრალე პირი სველი ცრემლების,
სხვა ლურჯი ცა არ არსებობს ჩემთვის.
მთას მომწყდარი თოვლიანი ზვავები,
ჩემს სხეულზე გადაგორდნენ ხვნეშით,
შემომტირის სხალთა,ტაო-კლარჯეთი,
სტუმარი ვარ, წუთისოფლის შვილი,
უფლის თვალში სევდის ცრემლი მოგორავს,
წინაპართა აჩრდილები კვნესის.
ჩემად,ფიქრთა საფარველად გილოცებ,

თეთრ ქალაქის ულამაზეს წალკოტს,
შენს წარსულს და მომავლის გზას დავლოცავ,
შენს სანაცვლოდ სიცოცხლესაც დავთმობ!

მომეგებე ნიავო

რიჟრაჟამდე ფიქრებში მინდა ვიხეტიალო,
დღის ტვირთისგან დავღლილვარ, მომეგებე ნიავო
ბროლის კოშკს ვაშენებდი, ვინ გაიგებს, რა მოხდა
თეთრი ნისლის ღრუბლებზე ძვლივს გიპოვე, ცა მოსკდა.
წვიმის თქეშის გუბეში, ძვლივსღა გამოვიარე,
უკვდავების წყაროსთან გული შემომაგებე,
სამოთხის ბაღს შემპირდი, დაუჭკნობელ წალკოტის,
ღამის მდუმარებაში კარგად ვერც დაგაკვირდი.
ვერ გიპოვე,ვინა ხარ, მე მას შემდეგ დაგეძებ,
შუქით მივსებ თვალის ჩინს, თეთრი ნისლის მორევზე.
იების დრო მოსულა, გაზაფხულის სურნელით,
თვალი მზისკენ მიჭირავს, შენ დაგეძებ მის შუქზე.
ანგელოზის ფრთები აქვს, სიკეთეს და სილაღეს,
ვიცი რაც სიკეთე მჭირს, შენ მიგზავნი ყოველ დღე.
ხეებს შემოდგომაზე ბოლო ფოთლის კვნესა ჭირთ,
მარტის თოვლზე ნაკვალევს, შენს იმედად დავამჩნევ,
ლურჯი ცის კაბადონზე, დრო წვალებით გასულა,
ბედნიერი წუთებით წლები შემოსაზღვრულა.
რიჟრაჟამდე ფიქრებში მინდა ვიხეტიალო,
დღის ტვირთისგან დავღლილვარ, მომეგებე ნიავო.

ბავშვობა

ქვიშაზე ფეხის გულები მეწვის,
ფეხსაცმლის ლანჩი გამდნარა თითქოს,
,დროის შეგრძნებას ვერასდროს ვერ ვგრძნობ,
მზე ხრუკავს სივრცეს და ზღვისკენ მიხმობს...
ბავშვობის ხანას ვიხსენებ ისევ..
დედამ თერმუსით, პლედით და ჩანთით
ამოირჩია წვრილი კენჭები,
რომ არ გვეტკინოს ფუმფულა ხორცი..
და სიყვარულით გვაპურებს ბალღებს.
მზის სხივთა კოცნით ვისუნთქავთ სივრცეს.
დავტანტალებდით სანაპიროზე
და ვაშენებდით ქვიშისგან სახლებს.
სველი სხეულით რომ ვკნკალებდით გალურჯებამდე...
და არც არავინ საუბრობდა
ზღვის და სხივების მეტაფორაზე.
ქვიშაზე ისევ ნაკვალევს ვამჩნევ,
მაგრამ ეს უკვე სულ სხვა ფილმია,
ის გემო აღარც ზღვის სურნელს არ აქვს
მზე კი მხრუკავს და მახსენებს წარსულს...
ქვიშაზე ფეხის გულები მეწვის...

აზა ბარბიძე

მთვარემ მიამბო იმ ღამის ამბავი!

მთვარემ მიამბო იმ ღამის ამბავი.
გრძნობების ქარცეცხლი, როგორ მიიწვა.
როგორ დაიდო გრძნობების ზავი,
და შენ მკლავებზე, რომ ქალი იწვა...

ისიც დასძინა, თუ როგორ გიყვარს.
როგორ აქსოვდი სიყვარულს თმაში...
ჩემი გრძნობები უკან თან მიმაქვს,
ზარი მერევა ცრემლიან ხმაში...

ისიც მიამბო, მოამბე მთვარემ.
თუ როგორ ითვლიდით, ვარსკვლავებს ცაზე.
როგორ მიიბნია ვარსკვლავი ღამემ
როცა სურვილი ჩაუთქვი მასზე.

როგორ გებნია მკერდზე ღილივით,
ვნებით ნათრთოლი უმანკო კოცნა.

და ყოველივე თეთრი მძივივით,
ესხა ქალბატონს, რაც მეოცნება...

ისიც მიამბო, როგორ დაღალეთ,
გრძნობით დამთვრალი თვით აკორდები.
ბედნიერებით როგორ დაღარეთ,
გზის განაპირას, მძინარე კორდები.

აღარ დამზოგა, მოამბე მთვარემ.
დიდხანს ატარა ავი ჭორები....
-იქნებ მიშველოს, მიშველოს რამემ.
სულს მიფლეთავენ ეჭვის ტორები...

ალბათ ბევრ რამეს მომიყვებოდა.
რომ არ მოესწრო ალიონს ცაზე...
ფეხარეული მიუყვებოდა.
ჩემი ფიქრები დაბნეულ გზაზე!

მე დავიბადე გაზაფხულივით

ეჰე! წარსულო გზა დამილოცნია,
სხვა მხარეს მივდივარ, ფრთები გავშალე.
თუ კი ოდესმე, რაც მიოცნია.
მომავლის გზებზე, ფრთებად გავშალე!

არ ამადევნო, უკან აჩრდილი.
მე, ნაფეხური უკვე წავშალე!
მომავლისკენ მაქვს ხელი გაწვდილი,
და იალქნებიც უკვე გავშალე!

დღეს დავიბადე, ვით განთიადი.
და ჩემი სული, სითბოთ ავშალე.
უკვე შორს დარჩა, ღამის წყვდიადი.
და მოგონებაც უკვე წავშალე!

სხივებს შევაგებე, ღიმილი ჩემი.
და მწვერვალების, კიბეც ავთვალე.
ცხოვრების სიტკბო, როგორიც წვენი,
სავსე ფიალით, უკვე დავცალე!

მე დავიბადე, გაზაფხულივით.
და თვით კვირტებად, უკვე ავფეთქდი!
რაც კი ვინახე საგანძურივით!
სტრიქონად დავდე, ლექსად ავლექსდი....

მე დავიბადე, უკვე ყვავილში.
სილამაზისთვის, ველს მოვეფინე...
და დავიბადე თვით ნაპრალებში,
სიამის წყაროდ, გადმოვედინე...

მზეს დავესესხე სითბო, სინათლე.
და ცისარტყელას ნაზი ფერები...
უკვე ამხდარა, რაც კი ვინატრე,
და ყველას, ყველას მოგეფერებით.!!!

დედა

შენს გადაღლილ ხელებს, ვენაცვალე დედა.
იმ ცრემლიან თვალებს, დაგიკოცნი დედა.
ყველა ტაძარს შევავედრებ, შენ სიცოცხლეს კარგო.
მინდა შენით მომავალი, მომავალი ვქარგო.
ცხოვრებაში სიძლიერის, მაგალითად მყავხარ.
შენი სულის სიდიადით ხვთისმშობელს, რომ გავხარ...
სულ მინდოდა შენთვის მეთქვა, დამეყრდენი დედა.
მინდა ვიყო შენთვის ძალა და საყრდენი დედა.
დარდმა უკვე გადაგღალა ფეხდაფეხ, რომ გსდევდა.
შენ ერთ ცრემლსა ვანაცვალებ, ჩემ ცხოვრებას დედა.
ქედს მოვიხრი დაგიკოცნი, იმ ნაწვალებ ხელებს.
შენ ღიმილს კი მიმოვაფენ, მიმოვაფენ ველებს.
ჩემი გული ვეღარ უცქერს, შენს გადაღლილ სახეს.
წვალებისგან გადაღლილი, შენ ხომ ბევრჯელ გნახეს.
ერთ დღეს მოვალ სიამაყით, სიტყვებს გეტყვი დედა!
დამეყრდენი, დაისვენე, მეც ხომ მქვია დედა!!!

ჩემი სიწმინდის ცა და მიწა ხარ!!!

ჩემო, აჭარავ! როგორ მიყვარხარ,
ბევრი ვარამის, ამტანო ხალხო!
ჩემი სიწმინდის, ცა და მიწახარ,
არ დაებურო, ღრუბელად თალხო!
როგორ გაგთელეს, როგორ შეგმუსრეს,
როგორ გეხვია ოსმალთა ურდო.
ზარზმის ზარები, ძაძით შემოსეს,
კარს გილეწავდა, ურჯულო, უღვთო.
ანდრიას სული, მთებზე გადმოდის.
რჯულსა და რწმენას დღემდი ქადაგებს.

,,ჰოი, და ნანა-ს“ ეშხი გადმოდის.
მტრებს რომ ულეწავს, ნდომის ფარდაგებს.
არ წაქცეულხართ, არ დაცემულხართ,
იდექით, როგორც, კედლები სხალთის.
საუკუნეებს გადმოცემულხართ,
როგორც გმირები, მითები ხალხის!
ტანში სიამაყის, ტალღები მივლის
გონიოს გმირობა, რომ მახსენდება.
ჭოროხს სიამის, ქარცეცხლი უვლის
გმირების სისხლი, როს აცეცხლდება.
როგორ ვმაღლდები, მთაზე რომ ვდგები,
მესმის ჩურჩული გვანცას ლოცვების.
თითქოს საომრად, თვით ყალყზე ვდგები,
როცა მომესმის, ქვითინი ლოდების...
ოჰ, აჭარლებო, რა რიგად გშვენით.
მთებში დაკრული, ეს განდაგანა.
როგორ, გამოვთქვა, გამოვთქვა ენით,
სიტყვა, სახოტბოდ არ მყოფნის განა?!
წყალს რომ ნარნარით, ნაფოტი ჩამოაქვს.
და საცეკვაოდ ეხვევა კოშაკი.
გუმის მთად მაშინ, მთვარე ჩამომაქვს,
და ვარსკვლავების, ვხვდები გუშაგი...
მტირალას როცა, მოწყდება ქარი,
ააშრიალებს სათუთად ლეჩაქს.
მაშინ განახა ის მორცხვი ქალი.
კაცს რომ დაგათრობს, უღვინოდ ბეჩავს...
ჩემო, აჭარავ! როგორ მიყვარხარ,
ბევრი ვარამის, ამტანო ხალხო,
ჩემი სიწმინდის, ცა და მიწა ხარ,
არ დაებურო, ღრუბელად თალხო!!!

თორღვა ანატორელ თიღილაური

მე სულ ამისა მთქმელი ვარ.

მე სულ ამისა მთქმელი ვარ,
მით ფიქრ მაწვება ხინჯადა,
თუ, საწუთროსა მოსულხარ,
უნდ სჭვრეტდე მამულს ყინჩადა.
კაცი არ უნდა ფიქრობდეს,
მარტოდენ თავის თავზედა,
ცხვირ აწეული ვიდოდეს,
ვითომ მეტია ძმაზესა.
როს ბეჩავს გადაეყაროს,
არ უნდ გაუდგეს განზედა,
სჯობსა რო ხელ გაუწოდოს,
დააყენოდეს გზაზედა.
არ ვიცით, ვის რა მოგველის,
კოკა გამტყდარა წყალზედა,
მინახავს წამოგებული,
პატრონი თავის ხმალზედა.
ყმას უნდა ჰქონდეს თავის მე,

არ ბჭობდეს სხვათა თქმაზედა,
გვიან იქნება ვაი მე,
ტყავ, რომ დასძვრება ტანზედა,
წარსულზე მუდამ დაობდენ,
დამეფიცება ხატზედა,
ესეა,დრონი მეფობენ,
მუდმივ ვინ მჯდარა ტახდზედა.
სჯობია ცოტა იუბნო,
გონიერ კაცის ხმაზედა,
ბრძენთ ნათქვამ არ დაიწუნო,
ხვალ რო გაკრავდენ ჯვარზედა.

არ მინდა ოქრო და ვერცხლი

არ მინდა ოქრო და ვერცხლი,
არც უსახელო მხედრობა,
ქება დიდებას არ ველი,
ჯილდოდ მამული მეყოფა.
ვერმნახავთ თავაშვებულსა,
ჯაბნობის არა მეტყობა,
ანკიდე გაშავებულსა,
არ დამიკარგავ ზნეობა.
დევიზი: - ჩემი ცხოვრების
შრომაა, და მოთმინება,
მომტანი ბედნიერების,
მთლად ახდენილი ოცნება.
თუმც, გულს მატყვია დაღები,
არდამიკარგავ გონება,
მეცვას ქალამნის წაღები,

ბეჩავ კაცისა ქონება.
სული ძლიერი გაუძლებს,
შხამით არ გაიქონება,
ეამბორება მსაჯულებს,
მტერს, კი არ დაემონება.

რად სდუმხარ ანატორელო?

რად სდუმხარ ანატორელო?
სახე მოგიჩანს შავადა,
ერთდროს ვერფხვივით მტორელო,
რამ - რა გაგხადა ავადა.
შენი ვაება გავიგეთ,
აღარ გადავდეთ ხვალადა,
პურ და მარილი ავიღეთ,
მოვედით სანახავადა.
დავთქვითა, დროზე მივიდეთ,
ნუ ვივლით წარამარადა,
ჭირვეულს მხარში დავუდგეთ,
გულისა გასამაგრადა.
- აი, საძმოცა მოვედით,
შენ სახლის დირე, კარადა,
წამოდგომასა მოველით,
რაც შეიძლება ჩქარადა.
იქნება გვითხრა სიმართლე,
მოძალებული მრავლადა,
ფარდა გაიხსნას,სიმართლე,
მეგზურ გაგვიხდეს სავლადა.

ორგანვე, მთაში და ბარში,
ავლისასა და ჩავლადა,
ნათელ გამოჩნდეს ნაქარში,
ყინვების გასაკვალადა.
გეტყვითა: - ნათქვამ რას გიშველთ,
არ გამოდგება კალადა,
ოთხმხრივა ურჩხული გვიმზერს,
ერისა დასაკლავადა.
ესე დარდი მკლავს მხცოვანსა,
გულზე მაწვება დარდადა,
ენასა ვკარგავთ ხნოვანსა,
ურჯულოთ გასახარადა.
გრძელ სიტყვა მოკლედ გითხარით,
ჭკვა, გონის დასახმარადა,
ხადიხან ცუდი გვიხარის,
მტყუან გვიცვნია მართლადა.
გვახსოვდეს: - ბრძენს თუ მოვუსმენთ,
ჩვენში არიან მრავლადა,
მათ მოძღვრებასა შევისმენთ,
ერს მოუხდება წამლადა,
იხარებს თავთუხის ყანა,
ხორბალი ძველებურადა.
ეხლა, ხომ მიჰხვდით ჯამათნო,
რაისადაც ვარ ავადა,
დარდი გითხარით ამაყნო,
რაც ღირდა ჩემის ნახვადა.

გუმანით რაც არ მწადია

გუმანით, რაც არ მწადია,
ვერ მათქმევინებთ ძალადა,
თავ მხრებზე იმად მადგია,
სიმართლე ვთქოდე მარადა.

მისი გულისად თავს დავდებ,
აროს ვიქნები წყნარადა,
სიყვარულს ხიდადა გავდებ,
თავს ვეტყვი: - გასჩნდი მაშ რადა.

სცოცხლობ? უნდ გქონდეს სახელი,
მამულს უნდ ედგე მყარადა,
იწოდე, ვითარც სანთელი,
მდგარი სამშობლოს კარადა.

არაა? ....ხალხი გაგრიყავს,
მოგიხსენებენ მხდალადა,
ერი და ბერი შეგრისხავს,
მადლიერების ნაცვლადა.

ელენე გურგენაძე –დარაშვილი

***

მზემ გადმოყარა ნაკვერჩხლები ზეცის კიდეზე,
წელს შემოდგომა ძველებურად აღარ ფერადობს...
მე სიყვარულის ნაკლებობას მოვიმიზეზებ,
რომ ეს სიცოცხლე კიდევ უფრო გამიფერადო...
ქვევრში დუღს ღვინო, გადაყვითლდა მანდარინები...
მზე თითქოს ცრემლებს ფთილა-ფთილა ღრუბლებით
იწმენდს...
მე კიდევ ერთხელ გულმოდგინედ გარდავიქმნები,
და სიყვარულით დასატკობად კვლავ გამოგიწვევ...
ოქროსფერ ყანას გადათელავს ჩემი ფიქრები,
ეს ნოემბერი ისევ მიხმობს სახეტიალოდ...
მე უშენგულოდ ბედნიერი როგორ ვიქნები,
როცა ჩემს სულში დღენიადაგ დახეტიალობ?!.
სევდას გავხედავ, მიმობნეულს ზეცის კიდეზე,
წელს შემოდგომა ძველებურად აღარ ფერადობს...
მე სიყვარულის ნაკლებობას მოვიმიზეზებ,
რომ ეს სიცოცხლე კიდევ უფრო გამიფერადო!

***

ხანდახან ისე დავხუჭავ თვალებს,
რომ აღარასდროს მინდა გახელა...
და საკუთარ თავს ისე ვაწვალებ,
ჩუმი სიმართლის არ მსურს გამხელა!
ხანდახან ისე დავიხშობ ყურებს,
რომ აღარაფრის მინდა მოსმენა...
გავხედავ, მუდამ ვიღაც მიყურებს,
მომწყინდა ამ ცრუ მიდამოს ცქერა...
ხანდახან ისე ვაჩუმებ ენას,
რომ აღარ მინდა არცერთი სიტყვა,
აღარც ვინმესი მინდა მოსმენა,
ლექსებიც თითქოს არასდროს მითქვამს...
ხანდახან განგებ ხასიათს ვიცვლი,
ხან სულ არ მინდა ღიმილი ბაცი...
ზოგჯერ ათასჯერ ზედმეტი ვიცი,
მაგრამ უვიცებს საუბარს ვაცდი!
ხანდახან ისე დავხუჭავ თვალებს,
რომ აღარასდროს მინდა გახელა...
და საკუთარ თავს ძლიერ ვაწვალებ,
რადგან სიმართლის არ მსურს გამხელა!

***

მზეო, აიკეცე კაბა ცეცხლისფერი...
ღრუბელო, მაწვიმე ცრემლები მადიანად...
გრძნობებმა წამიღეს, უკვე ვერ მშვიდდები,
ლექსი მაწერინეს დილაადრიანად...
მზეო,ნუ დამღალე, წადი და დამტოვე...
მინდა რომ სევდებმა ცოტათი დამთრგუნონ...
შენ კი არ მიდიხარ და მარტო არ მტოვებ...

მინდა, რომ უფალმა სიმშვიდე მარგუნოს...
მზეო, აიკეცე კაბა ცეცხლისფერი,
ქუდი დაიხურე, წადი, მიმატოვე...
გრძნობებმა წამიღეს, უკვე ვერ ვმშვიდდები,
თურმე მენატრება ისევ სიმარტოვე...

***

მზე რომ ტორტმანებს ცაზე მთვრალივით,
ჩემში დაძრწიხარ ვით მაწანწალა...
გამეფიქრება: ჩემი ქმარივით,
ნეტავი ეს მზე სადღა დამთვრალა?!
ოქროსფერ მინდვრებს გადამწვარს,უხეშს
ეს სექტემბერი ძარცვავს სრულიად,
ზოგან ქალები შეკრავენ ფუჩეჩს,
ყურძენიც ქვევრში დაწურულია...
ცაზე ტორტმანებს მზე ისე მწველი,
შენ რომ გაქვს ზოგჯერ ხელისგულები...
დამთავრდა თითქმის ვენახში რთველი,
მე, ისევ ისე, მეჩემგულები.
შენ ღვინო გათრობს, მე შენით ვთვრები,
სამყაროს იქით დავფრინავთ ერთად...
ჩამოასვენე დაღლილი მხრები,
შენ ქალად მთვლი და, მე კი შენ ღმერთად...

***

ვერ მიპოვნია ჩემი ადგილი ვერც შინ, ვერც გარეთ,
მზეზე ხშირად ვფენ ლამაზ სიტყვებს, როგორც ფარდაგებს...
როცა სიმშვიდე დამკარგვია, დავეძებ კარებს,
რომ გავიქცე და დავივიწყო, რომ არ გადარდებ...
ვერ მიპოვნია ჩემი ადგილი ამ სამყაროში,

მზე მეკარგება, სულში ისევ ფოთოლცვენაა...
ასე მგონია, დამიმთავრდი, გათავდი, მორჩი...
ლექსის წერა კი, ეს უბრალოდ მავნე ჩვევაა.
შემოათენდა ჩემს სტრიქონებს, სულშიჩამწვდომებს...
გარეთ წვიმაა, თავს იგიჟებს ქარი სექტემბრის,
ეს შემოდგომა თვითმკვლელობას ძლიერ მანდომებს,
მაგრამ ვხვდები, რომ სიმარტოვითვის არ მემეტები.

***

ააჩირაღდნებს შემოდგომა ხეებზე ფოთლებს,
ზეცის კიდეზე მზე ღრუბლებში გადაიჩრდილებს...
ჩვენს სიყვარულზე უკეთესი რა უნდა მქონდეს?!.
მოხვედი, სული სიმარტოვეს გადამირჩინე...
მოხვედი, სულით მომიტანე მზე, აპრილები...
სამყაროს აღქმა ჭრელ ფერებში ისევ დავიწყე...
შემოდგომაზე და ზამთარშიც მეაპრილები,
მიწიერობას ზოგჯერ თითქოს სრულად მავიწყებ...
და რა გაუძლებს შემოდგომის ქარებს ვნებიანს?
ეს სექტემბერი რაღაც თითქოს უფრო ცივია...
ჩემი სევდები ორღობეში იკარგებიან,
და თვალებიდან გვირილები ისევ მცვივიან...
ნაკვერჩხლისფერი ფოთლები და წვიმა ყვითელი...
შენი სულიდან მოციმციმე მზე,აპრილები...
ამაზე მეტად ბედნიერი როგორ ვიქნები,
შემოდგომაზე და ზამთარშიც მეაპრილები!

***

ისევ უღიმღამო თავსხმა წვიმებია,
მზე დაკარგულა და ღიმილებს დავეძებ...

თითქოს საუკუნე აღარ მძინებია,
თითქოს ყველა ფიქრი მატყვია სახეზე...
სევდამორეული ვებრძვი შემოდგომას,
ისევ თავსხმებია და მზის პანაშვიდი,
აღარც საწოლიდან მინდა წამოდგომა...
შენ კი, როგორც ადრე, ვიცი დამამშვიდებ:
მალე გაივლისო წვიმა, ეს ქარებიც...
თუმცა ზამთარია წინ და, თან უმზეო...
ვიცი მაინც ისევ, მზემდე გეყვარები,
მე ხომ ასეთი ვარ, ურჩი და უზნეო?!.
ჩემი ხასიათი მარტის ამინდივით,
ზოგჯერ არეული, ზოგჯერ მზიანია...
ალბათ მილიონჯერ მაინც აგიტირდი,
თუმცა ჩემთან ყოფნა შენ არ გინანია...
გარეთ უსაშველოდ ცივი თავსხმებია,
სულში მზეს უხმობენ ჩემი აპრილები....
შენზე ფიქრები რომ მხრებზე მასხდებიან,
მე კვლავ ძველებურად თვალებს ვაკვირდები....
თვალებს ვაკვირდები, და ისე მიყურებ,
მათში მიპოვნია მზეც,ჩემი აპრილიც...
ისე, შენც არ იცი, ტკივილებს მიყუჩებ,
უკან მოვიტოვეთ სევდის ზღვის ნაპირი...
როცა გარეთ ასე თავსხმა წვიმებია,
როცა ხერხემალი მტკივა ძველებურად,
თითქოს საუკუნე აღარ მძინებია,
სახეც თითქოს ისევ სევდით შემებურა...
ვიცი, არ გაივლის მალე ეს ქარები,
ჯერ წინ ზამთარია ცივი და უმზეო,
ვიცი, შენებურად მზემდე გეყვარები,
მე ხომ ასეთი ვარ, ურჩი და უზნეო?!.

ხათუნა დარბაიძე

ჩემი ოცნება არის მზისფერი

მინდა, რომ ვიყო მე ბედნიერი,
ამ ქვეყნად ცხოვრების ნებიერი,
არ მსურს აწმყოში წარსულის ნატვრა,
ან მომავალი შავ-თეთრი ფერი.

თავაწეულმა გავკვალო გზები,
ღირსება იყოს ჩემი თანმდევი,
რომ შვილთაშვილებს მოვუყვე ლაღად,
როგორ ვიარე მე ასი წელი.

ჩემი ოცნება არის მზისფერი
და ჩანაფიქრი სიკეთის ბქმნელი,
აღმართს ავივლი, კი ვიგრძნობ დაღლას,
მაგრამ სიხარულს ზენიტში ველი.

ყვავილების კრება

ყური უგდეთ ყვავილების კრებას,
ასე ტკბილად რას ამბობენ ნეტავ?
-სილამაზე იმსახურებს ქებას,
შემოქმედმა ნაირფერად შეგვქმნა.

ვარდს ბულბული ხომ უგალობს ედემს,
ენძელებს მთის ნაკადული კვებავს,
მზის სხივები ეფერება იებს,
ყაყაჩოზე პურის ყანა ღელავს.

პოეტები ჩაგვაქსოვენ ლექსებს,
,,იავ, ნანა" , ,,ვარდო, ნანა"- გვესმა,
ჩვენ სურნელით თავბრუს ვახვევთ პეპლებს,
ფუტკარს ტკბილი წვენი თაფლად ექცა.

იასამნებს, მიართმევენ დედებს,
გაბუტულებს შევარიგებთ ხელად,
,,ვუყვარვარ თუ არ ვუყვარვარ ნეტავ?"
გვირილებს გვეკითხებიან ველად.

ყური უგდეთ ყვავილების კრებას,
ისე ტკბილად ბაასობენ ყველა
და თუ გრძნობას ლამაზ სიტყვით ვკვებავთ,
სიყვარულმაც იცის აყვავება.

ჩუმი სიკეთე

ჩემო ნიბლია, რას დაჰყურებ ამ წითელ ძახველს,
გაოცებს მისი თეთრი ქუდი თავზე, რომ ადევს?!
ზამთარსაც თავის ხიბლი აქვსო, თვალსა ჭრის მნახველს,
საამოდ თოვს და ყველაფერი ირგვლივ კაშკაშებს.

კაცის ბუნებაც, ხან მაგონებს ზამთრის ცივ სახეს,
მაგრამ გულშიც ხომ შეიძლება თბილად რომ თოვდეს?!
ჩიტი ნიბლიაც არ შორდება ამ წითელ ძახველს,
ჩუმი სიკეთით, ის, მის ცხოვრებას ალამაზებს.

ცხოვრება გვითვლის წამებსა

სად არის წუთისოფელი,
წუთი უცვლიათ წამებსა,
სადაც გავხედავ, რას ვხედავ,
ავადობს არემარეცა.

დაპატარავდა სიცოცხლე,
სიკვდილს რა დასთხრის თვალებსა,
ღმერთო, გვაღირსე სიბერე,
ნურვის წაიყვან ადრემცა.

ეს სნეულება, ოხერი,
ზოგს მისდგომია კარებსა,
ყველა ვიღაცის შვილია,
მშობელს ნუ განაწამებსა.

ღმერთო, განკურნე ყოველი,
ულხინე დიდ-პატარებსა,
არ მოგვიშალო იმედი,
ცხოვრება გვითვლის წამებსა.

გაწვიმდეს, გაწვიმდეს

თბილისს დღეს ცეცხლისფრად მოედო ღრუბელი,
ნეტავ რას გვანიშნებ უფალო, ზეციდან?
კვალდაკვალ დაგვყვება ცოდვები ულევი,
გზა ისე ვიწროა შენამდე ჩვენიდან.

გაწვიმდეს, გაწვიმდეს, გაწმინდე სამყარო,
წვიმამ ჩამოგვრეცხოს ცოდვების მტვერია,
უშფოთველ ცხოვრებას, გთხოვ, რომ გვაზიარო,
გვწყალობდე უფალო, ხსნა მხოლოდ შენშია.

საშენოა საქართველო

პატივი ეცი სხვისა ქვეყანას,
დედა,,სამშობლოს ნუ დაივიწყებ,
პატივი ეცი სხვისა ენასა,
მაგრამ საკუთარს რად ამახინჯებ?

მოდას აყოლილს, წამლით დაბოლილს,
გახსოვდეს მუდამ ვისი გორის ხარ
და როცა სხვაგან წასვლა მოგინდეს,
არ დაგავიწყდეს სიდან მოდიხარ.

პატივი ეცი სხვისა პოეტებს,
საკუთარ ლექსის გულისთქმას ენდე,
გიყვარდეს მუდამ ქართული ნანა,
სხვისა სიმღერას მხოლოდ უსმენდე...

ნუ მიბაძავ სხვისა მრუდ გზას,
სჯობს სწორი გზა შენ აჩვენო
და რუსთველის ყველა სიბრძნე,
ქვეყანაზე გაავრცელო.

ნუ მიბაძავ სხვისა წესებს,
ტრადიცია გვაქვს პირველი,
წაუკითხე უცხო შვილებს,
ვაჟას „სტუმარ-მასპინძელი“.

და ბოლოს გთხოვ, ჩემო ძმაო,
არ გვაკლია ყვავ-ყორანი,
ქართველთ მხოლოდ სული შეგვრჩა,
გაუფრთხილდი, დაიცავი.

მრავალტანჯულს ამ ქვეყნის სულს,
თავად რისთვის ჰკლავ ქართველო?
„საუცხოოს“ ნუ კი გახდი,
„საშენოა საქართველო!“.

სარჩევი

გერმანე საზანოელი 5
გულნაზი ხარაიშვილი 8
ზურა ქობალია 11
ზურა მამულაშვილი 17
შორენა გორგოძე 22
ზაირა ფრუიძე 27
ნინო ბაკურაძე 33
თამთა აბულაძე 39
მადონა დვალი 44
ირმა კვაშილავა 47
ნუგზარი კობერიძე 52
ხათუნა დოლიძე 57
მზია გუმბერიძე 63
ეკატერინე ციცქიშვილი 68
ლეილა ჯახველაძე 73
ლაურა სარალიძე 78
მაია წიკლაური 83
ნანა ყალიჩავა 88
მანანა სამყურაშვილი 91
ნათია ჯიმშელეიშვილი 96
ზიზო ბურდული 101
ივეტა რეხვიაშვილი 106
მაგდა გორგიძე 111
გვანცა იაკობიძე 116
გიგა ლაბარტყავა 121
დათო ცაბუტაშვილი 126

მანანა ჭეიშვილი 131
მარინა ღონღაძე 136
ერეკლე ჩხაიძე 141
თამრიკო კაპანაძე 146
ნინო კიწმარიშვილი 151
სოსო მიქელაძე 156
ნათელა შაინიძე 161
მთვარისა ფუხაშვილი—კევლიშვილი 166
დავით შენგელია 171
ლეილა მაჩაიძე 176
მაია ტურაშვილი 181
აზა გოგიტაური 186
თამარ ნასრაშვილი 191
ვარდო დევაძე 196
ლია გურული 201
ლალი ბარდაველიძე 206
ნონო ჯანაშია 211
ცაგო აბაშმაძე 217
მარი კუბლაშვილი 222
მაია გამცემლიძე 227
თამარ ნადირაშვილი 232
მამუკა ოჩიაური 237
ლიკა ქათამაძე 243
მაკო მაჭარაშვილი 249
ქეთევან ცაბაძე 254
ეთერ გაჩეჩილაძე 259
ლია ხუციშვილი 264
ირმა ტყემალაძე 270

კახა ყავრელიშვილი 275
დალი დადუნაშვილი 280
ლილე კავკასიშვილი 285
ნატალია ფიფია—სამუშია 290
დალი ბურდიაშვილი 295
ნანა მეტრეველი 300
ეკატერინე ზურაშვილი 305
ირმა ალფაიძე/იმერელი/ 310
დეზი ემანულიძე 315
კახა გორგაძე 320
მაია ზედგინიძე-გარსევანიშვილი 325
დავით ლომიძე 329
სოფიო სამანიშვილი-აბულაძე 334
სანდრო-გიორგი სარუხანიშვილი 339
მანანა მიქაძე 344
მანანა ხოზრევანიძე 349
გვანცა კომახიძე 354
თინა გელაშვილი 359
ნონო ჯანქანიძე 364
მაყვალა დავლაძე 369
აზა ბარბიძე 374
თორღვა ანატორელ თიღილაური 379
ელენე გურგენაძე—დარაშვილი 384
ხათუნა დარბაიძე 389

კომპიუტერული უზრუნველყოფა:
ნინო პატარაია

წიგნი დაიბეჭდა აკაკი წერეთლის
სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის
სტამბაში

ქაღალდის ზომა 60x84 1/16
ნაბეჭდი ფორმა 24.8125